

კონსტანტინე კუბლაშვილი

ძირითადი უფლებები



გამომცემლობა ჯისნიაი

კონსტანტინე კუბლაშვილი

პირითადი უფლებები

იურიდიული სახელმძღვანელო

თბილისი
2008

რედაქტორი თამარ ბერიძე
რეცენზენტები: თეოდორე ნინიძე
 კონსტანტინე კორკელია
კომპიუტერული
უზრუნველყოფა ლია მოხეშვილი



სახელმძღვანელო გამოცემა ფონდის „ლია
საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური
მხარდაჭერით.

ძეორე გამოცემა

ყველა უფლება დაცულია

© კონსტანტინე კუბლაშვილი
© გამომცემლობა **ჯიბიაი** 2008
ISBN 978-99940-17-87-4

I ნაწილი - ზოგადი დებულებები	1
1. საჯარო სამართალი და სახელმწიფო	1
ა) სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი	1
ბ) სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალი - სახელმწიფო სამართალი - საჯარო სამართალი	3
გ) სახელმწიფო სამართალი - საკონსტიტუციო სამართალი	4
2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები	6
ა) საქართველო - დემოკრატიული რესპუბლიკა	7
ბ) საქართველო - სამართლებრივი სახელმწიფო	16
გ) თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება	24
3. ძირითადი უფლებების ისტორიული განვითარება	26
ა) ისტორიული განვითარება	26
ბ) ძირითადი უფლებები საქართველოში	31
გ) ძირითადი უფლებები, როგორც ბუნებითი უფლებები	33
4. ძირითად უფლებათა ცნება და სახეები	39
ა) ძირითად უფლებათა ცნების ელემენტები	39
ბ) ძირითად უფლებათა დაჯგუფების პრინციპები	40
გ) ადამიანის უფლებები და მოქალაქის უფლებები	43
5. ძირითადი უფლებების ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში	46
ა) ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა	46
ბ) ძირითად უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები	50
6. ძირითად უფლებათა მფლობელი სუბიექტები	55
ა) ძირითადი უფლებები და ფიზიკური პირები	55
ბ) ძირითადი უფლებები და იურიდიული პირები	58
ბ.ა) ძირითადი უფლებები და კერძო სამართლის იურიდიული პირები	59
ბ.ბ) ძირითადი უფლებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები	62

ბ.კ) ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება კავრცელდეს იურიდიულ პირებზე	66
7. ძირითადი უფლებების სტრუქტურა	69
ა) დაცული სფერო	70
ბ) დაცულ სფეროში ჩარევა	71
გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	72
II ნაწილი – ცალკეული ძირითადი უფლებები	86
თავი პირველი – თავისუფლების ძირითადი უფლებები	86
1. მ.17 – ადამიანის ღირსება: უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება	86
I. შესავალი	86
II. დაცული სფერო	87
III. დაცულ სფეროში ჩარევა	91
2. მ.16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება	93
I. შესავალი	93
II. კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან	95
III. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსი	96
IV. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება	98
ა) დაცული სფერო	98
ბ) დაცულ სფეროში ჩარევა	100
გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	101
V. ზოგადი პიროვნული უფლება	105
1. თვითგამორკვევის უფლება	106
ა) საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება	106
ბ) საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლება	106
გ) ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება	107
გ.ა) კონსტიტუციის 41-ე მუხლი	109
2. პირადი ცხოვრების უფლება (სფეროთა თეორია)	112
ა) ინტიმური სფერო	113
ბ) კერძო სფერო	114
გ) სოციალური და საჯარო სფეროები	115
3. თვითგამოსახვის უფლება	117

ა) უფლება საკუთარ სიტყვაზე.....	117
ბ) უფლება საკუთარ სურათზე.....	119
გ) უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე.....	120
დ) უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე.....	123
4. დასკვნა.....	123
3. მ. 15 – სიცოცხლის უფლება.....	124
I. შესავალი.....	124
II. დაცული სფერო.....	126
III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ- სამართლებრივი საფუძველი.....	127
4. მ. 17, პ. 2 – ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება.....	130
I. შესავალი.....	130
II. დაცული სფერო.....	130
III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ- სამართლებრივი საფუძველი.....	131
5. მ. 18 – ადამიანის თავისუფლება.....	133
I. შესავალი.....	133
II. დაცული სფერო.....	134
III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	134
6. მ. 19 – რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები.....	137
I. შესავალი.....	137
II. რწმენის (რელიგიის) თავისუფლება.....	139
I. ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლება.....	139
ა) დაცული სფერო.....	139
ბ) დაცულ სფეროში ჩარევა.....	142
გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	142
2. კოლექტიური რელიგიის თავისუფლება.....	143
ა) დაცული სფერო.....	143
ბ) დაცულ სფეროში ჩარევა.....	144
გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	144

III. სინდისის თავისუფლება	145
ა) დაცული სფერო	145
ბ) დაცულ სფეროში ჩარევა	145
გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	145
IV. კონკრეტული სასამართლო საქმეები	146
7. მ. 20 – პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები	156
I. შესავალი	156
II. პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობა	156
1. დაცული სფერო	156
ა) პირადი ჩანაწერი და მიმოწერა	157
ბ) საუბარი ტელეფონითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით	158
2. დაცულ სფეროში ჩარევა	158
3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	159
III. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა	161
1. დაცული სფერო	161
2. დაცულ სფეროში ჩარევა	162
3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	162
IV. კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან	163
ა) ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები	164
ბ) კერძო საუბარი და ფარული ჩანაწერები	167
8. მ. 21 – საკუთრების უფლება	169
I. შესავალი	169
II. დაცული სფერო	170
III. დაცულ სფეროში ჩარევა	173
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	175
V. კონკრეტული სასამართლო საქმეები	177
9. მ. 22 – მიმოსვლის თავისუფლება	186
I. შესავალი	186
II. დაცული სფერო	186
III. დაცულ სფეროში ჩარევა	188
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	189
10. მ. 23 – ხელოვნების თავისუფლება	190
I. შესავალი	190

II. ცნება	191
III. დაცული სფერო	192
IV. დაცულ სფეროში ჩარევა	195
V. კონკრეტული სასამართლო საქმეები	197
11. მ. 24 – აზრის თავისუფლება	208
I. შესავალი	208
II. ზოგადი მნიშვნელობა	210
III. ცნება და დაცული სფერო	212
1. აზრის გამოთქმა (შეხვედულებები)	212
2. ფაქტები	216
3. შეხვედულებებისა და ფაქტების გამოჯენა	219
4. გამოთქმის სხვა ფორმები	220
IV. დაცულ სფეროში ჩარევა	220
V. შეზღუდვები	221
1. გამონათქვამის გავება	222
2. ნორმის ვანმარტება	223
3. ნორმის შეფარდება	224
<u>ჩანართი 1. აშშ-ისა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკა</u>	224
ა) აშერიკული გზა	224
ბ) გერმანული გზა	226
ბ.ა) ფაქტები	227
ბ.ბ) შეხვედულებები (შეფასებითი გამონათქვამები)	229
VI. ვარაუდის წესი	231
VII. კონკრეტული სასამართლო საქმეები	235
12. მ. 24, პ. 1 – ინფორმაციის თავისუფლება	249
I. შესავალი	249
II. დაცული სფერო	249
III. დაცულ სფეროში ჩარევა	251
IV. კონკრეტული სასამართლო საქმეები	252
13. მ. 24, პ. 2 – მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა	
თავისუფლება	253
I. შესავალი	253
II. პრესის თავისუფლება	254
1. შესავალი	254
2. ცნება და დაცული სფერო	254

3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	260
III. ელექტრონული მედიის თავისუფლება	262
1. შესავალი	262
2. ცნება და დაცული სფერო	263
3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	266
IV. საქართველოს კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ	267
<u>ჩანართი 1.</u> კრიტიკა და მისი სამართლებრივი მხარე	269
V. ცენზურის აკრძალვა	271
VI. კონკრეტული სასამართლო საქმეები	272
<u>ჩანართი 2.</u> მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების წინააღმდეგ (უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა)	282
1. შესავალი	282
II. ნამდვილი ფაქტები	283
1. ინტიმური სფერო	284
2. საიდუმლო სფერო	286
3. კერძო სფერო	288
ა) პირადი ცხოვრების სფერო	288
ბ) ზოგადი პიროვნული უფლება და სისხლის სამართალი	293
1. ხანელის მითითება	293
2. შეზღუდვა დროში	294
4. სოციალური და საჯარო სფეროები	297
III. მცდარი (ყალბი) ფაქტები	299
1. მართლწინააღმდეგობის პრინციპი	299
2. გამონაკლისები	300
14. მ. 25 – შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება	302
1. შესავალი	302
II. ცნება და დაცული სფერო	303
III. შეზღუდვები და დაცულ სფეროში ჩარევა	307
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	309

15. მ. 26 – საზოგადოებრივი ვაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი უფლება	311
I. შესავალი	311
II. ცნება და დაცული სფერო	312
III. დაცულ სფეროში ჩარევა	315
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	316
V. პოლიტიკური პარტიები	317
1. ცნება და დაცული სფერო	317
2. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი	319
 თავი მეორე – თანასწორობის ძირითადი უფლებები	321
1. თანასწორობის ძირითად უფლებათა დარღვევის შემოწმება	321
2. მ. 14 – თანასწორობის ძირითადი უფლება	323
I. შესავალი	323
II. დაცული სფერო	324
ა) „მნიშვნელოვნად თანასწორის“ მიმართ არათანასწორი მიდგომა	326
ბ) „მნიშვნელოვნად არათანასწორის“ მიმართ თანასწორი მიდგომა	329
3. მ. 29 და 3. მ. 38 – საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა	332
I. შესავალი	332
II. დაცული სფერო და ჩარევა დაცულ სფეროში	332
III. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი	334
4. მ. 28 – საარჩევნო უფლება	335
I. შესავალი	335
II. საარჩევნო უფლების კონსტიტუციური პრინციპები	336
1. საყოველთაო არჩევნები	336
2. პირდაპირი არჩევნები	336
3. თავისუფალი არჩევნები	337
4. თანასწორი არჩევნები	338
5. ფარული არჩევნები	339

თავი მესამე – საპროცესო ძირითადი უფლებები.....	340
1. მ. 42, პ. 1, 3, 6, 8 – სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება.....	340
I. შესავალი.....	340
II. დაცული სფერო.....	341
III. დაცულ სფეროში ჩარევა.....	344
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	345
2. მ. 42, პ. 2 – უფლება კანონიერ სასამართლოზე.....	345
I. შესავალი.....	345
II. დაცული სფერო.....	346
III. დაცულ სფეროში ჩარევა.....	347
IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	348
3. მ. 42, პ. 4 – ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა (ne bis in idem).....	348
I. შესავალი.....	348
II. დაცული სფერო.....	348
III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	350
4. მ. 42, პ. 5 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (nulla poena sine lege), კანონის უკუძალა.....	350
I. შესავალი.....	350
II. დაცული სფერო.....	350
III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.....	352
IV. ნდობის დაცვა და კანონის უკუძალის ზოგადი პრინციპი.....	353

2002 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ გრანტის სახით დამტკიცებულ იქნა პროექტი „იურიდიული სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის: ადამიანის ძირითადი უფლებები“. ამ პროექტის განხორციელების შედეგად ქართულ ენაზე პირველად შეიქმნა პრაქტიკული იურიდიული სახელმძღვანელო ადამიანის ძირითად უფლებათა და თავის უფლებათა შესახებ. სახელმძღვანელო შედგენილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში ადამიანის უფლებათა სფეროში დამკვიდრებული სასწავლო კურსის შესაბამისად. მასში დაწერილებით არის განხილული ადამიანის უფლებათა წარმოშობის ისტორია, ადამიანის უფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი პირველი იურიდიული დოკუმენტები, კონსტიტუციები და დეკლარაციები, საქართველოს კონსტიტუციით უსრუწველოყოფილი ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების შემსლუდავი უმუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა, ძირითადი უფლებების ცნება, კატეგორიები, მათი გამოყენების უფლებამოსილების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ეოველი კონკრეტული ძირითადი უფლების ცნება, შინაარსი, მის მიერ დაცული სფერო, შესაძლებელი შესლუდვის ფარგლები და ამ შესლუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძირითად უფლებებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, სახელმძღვანელოში ეოველი კონკრეტული ძირითადი უფლების შესახებ მოცემულია კონკრეტული მაგალითები, საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, აგრეთვე საქართველოსა და (უმეტესად) უცხო ქვეყნების (მათ შორის გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების) სასამართლო პრაქტიკიდან. მოკლედ რომ ვთქვათ, ნაპროში წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა სფეროში და გვინჟენებს ეოველდიურ ცნოწრებაში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად გამოყენების სამართლებრივ გზებს.

უპირველეს ეოველისა, სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის. ერთი მხრივ, იგი ხელს შეუწეობს საქართველოს უმაღლეს

სახსრულელებში ადამიანის უფლებათა შესახებ სპეციალური სიტყვის მითხრობას, მეორე მხრივ კი სტრუქტურებისათვის გაცილებით მისასწავლებელი იქნება არა მხოლოდ უცხოური, არამედ ქართული სახელმძღვანელოს გამოყენება ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს შესასწავლად. გარდა ამისა, უფიქრობ, ნამართმი დაინტერესებს ადვოკატებს, პროკურორებსა და, რაც მთავარია, მოსამართლეებს, რომელთათვისაც ნათელი გახდება, რომ საქმეთა განსიღვიცხას ხშირად აწვდილებელია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი ობიექტური სამართლის გამოყენება. იმედი მაქვს, სახელმძღვანელოს თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებენ ავრთველ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები. ასევე ვიმედოვნებ, რომ ნაშრომით დაინტერესდებიან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები და სუბიექტური მოქალაქეები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინტერესის გაზრდას ადამიანის უფლებებისადმი.

ზოგადი დებულებები

საქართველოში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა (მოკლედ – „ძირითადი უფლებები“¹) შესასწავლად თავდაპირველად აუცილებელია ისეთი ფუნდამენტური თემების განხილვა, როგორებიცაა სახელმწიფო და სამართალი. გარდა ამისა, ასევე საჭიროა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით დაფუძნებული ახალი სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების გაანალიზება და მათი მნიშვნელობის წარმოჩენა. ამ საკითხების მიმოხილვა აუცილებელია იმისათვის, რათა თავიდანვე ცხადი გახდეს, თუ სამართლის რომელი სფერო მოიცავს ძირითად უფლებებს, რა კავშირია სახელმწიფოსა და ამ უფლებებს შორის და რა ადგილი უჭირავს მათ ახალი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში.

1. საჯარო სამართალი და სახელმწიფო

ა) *სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი*

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მთელ მსოფლიოში გაბატონებულია ცნობილი გერმანელი იურისტის *გეორგ ელინგკის* მიერ სახელმწიფოს შესახებ შექმნილი ე.წ. „სამი ელემენტის მოძღვრება“. ამ მოძღვრების მიხედვით, სოციალურ წარმონაქმნს „სახელმწიფო“ შეიძლება ეწოდოს იმ შემთხვევაში, თუ მისი ძირითადი ნიშნებია: (1) „სახელმწიფო ტერიტორია“; (2) „სახელმწიფო ხალხი“ და (3) „სახელმწიფო ხელისუფლება“. *საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით* სწორედ ასეთი „სახელმწიფო“ შეიძლება იყოს საერთა-

¹ სახელმძღვანელოში „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა“ ნაცვლად ვსთაერესად გამოყენებული იქნება ტერმინი „ძირითადი უფლებები“. იშვიათად გამოვიყენებთ აგრეთვე ტერმინს „ადამიანის ძირითადი უფლებები“.

შორისო სამართლის სუბიექტი, სახელმწიფოს შესახებ არსებული სხვა მოძღვრებებისაგან განსხვავებით, აქ საქმე გვაქვს ნორმატიულ კატეგორიასთან, რომელიც სინამდვილის შეფასებას კი არ ცდილობს, არამედ ადგენს წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში სოციალური წარმონაქმნი საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობით სახელმწიფოდ მოიაზრება.

გარკვეულ სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული „საბი ელემენტის მოძღვრების“ გამოყენება შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება შიდასახელმწიფოებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. სახელმწიფო-სამართლებრივი თვალსაზრისით ამ მოძღვრების დებულებები არასაკმარისია სახელმწიფოს ცნების განსაზღვრისათვის. აქ აუცილებელია გამოვიყენოთ მოძღვრება სახელმწიფოზე, როგორც იურიდიულ პირზე.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართალში დიდი ხანია დამკვიდრებულია ფიზიკურ პირთა ან ქონების სამართლებრივი გაცნობიერება და განსაზღვრა. ზემოხსენებული მოძღვრების მიხედვით კი, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სადაც უფლებათა და მოვალეობათა მატარებელი ძირითადად ფიზიკური პირები არიან (სხვა სუბიექტებთან, მაგალითად, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად), იქმნება ახალი, უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტი: სახელმწიფო – იურიდიული პირი. სახელმწიფოზე, როგორც იურიდიულ პირზე (ტერიტორიულ გაერთიანებაზე), არსებული მოძღვრება დღეს ასევე გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც გარკვეული მიზნის მისაღწევად შექმნილი გაერთიანებები, ვერ მოქმედებენ თვითონ. მათ სჭირდებათ შესაბამისი „ორგანოები“, რათა აქტიურად იმოქმედონ სოციალურ რეალობაში და განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებები. სწორედ ამ ორგანოების მეშვეობით იძენენ ისინი ქმედუნარიანობას.

სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ორგანო“ არის ყველა ის დაწესებულება, უწყება და ინსტიტუცია, რომელიც მისთვის მოქმედებს. „ორგანოს“ ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციაში მითითებული „უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებით“. მეორე მხრივ, არ შეიძლება მისი გაიგივება ცალკეულ

ფიზიკურ პირებთან, რომლებიც ასრულებენ გარკვეულ ფუნქციებს და უზრუნველყოფენ ორგანოს ფუნქციონირებას. ფიზიკურ პირებს, რომლებიც ორგანოს უფლებამოსილებებს ახორციელებენ, „ორგანოს მმართველები“ ეწოდებათ. სახელმწიფოს შესახებ არსებული ზემოხსენებული მოძღვრებების დებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ *სახელმწიფო-სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტერიტორიული გაერთიანება, რომელიც ფლობს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს და მოქმედებს თავისი ორგანოების მეშვეობით.*

ბ) სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალი – სახელმწიფო სამართალი – საჯარო სამართალი

სამართლის ცალკეულ სფეროთა განზილვისას „სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალი“ ყურადღებას იქცევს იმით, რომ თითქოს (თვით სიტყვებიდან გამომდინარე) იმთავითვე ცხადია: იგი სახელმწიფოს შიდა ორგანიზაციას მოიცავს. მაგრამ აქ არ იგულისხმება მხოლოდ ორგანოთა სტრუქტურა და სხვა სახელმწიფო უწყებათა სამართლებრივი მდგომარეობა. სამართლის ეს სფერო, გაბატონებული შეხედულებით, „სახელმწიფო სამართლის“ მთავარი შემადგენელი ნაწილია და მოიცავს ყველაფერს, ადამიანის ძირითადი უფლებების გარდა. ამის გამო, უმჯობესია თავდაპირველად განვიხილოთ *სახელმწიფო სამართლის* ცნება. მისი დეფინიციისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მეთოდი „*per genus et differentiam*“, რომლის მიხედვითაც, თავდაპირველად იკვლევენ რანგით მაღლა მდგომ ცნებას („*genus*“), რათა შემდეგ უფრო იოლად გამოიკვლიონ ქვემდგომი ცნება („*differentia*“).

სახელმწიფო სამართალი არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი და მის მეორე ძირითად ნაწილთან – ადმინისტრაციულ სამართალთან ერთად დგას კერძო სამართლის საპირისპიროდ. კერძო სამართალი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს ფიზიკურ პირთა შორის (აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა თუ იურიდიულ პირებს შორის), საჯარო სამართალი კი წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მფლობელთა სპეციფიკურ სამართალს, მიუხედავად იმისა, საქმე ეხება მათ ურთიერთობებს ერთმანეთთან (ანუ ურთიერთობებს საჯარო ხელისუფლების ორგანოებს შორის),

თუ მოქალაქეთა მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საჯარო სამართალი არის სახელმწიფოსა და სხვა საჯარო ორგანოების განსაკუთრებული სამართალი.**

სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებულობა საჯარო სამართლის სხვა დარგებს შორის იმაში არ მდგომარეობს, რომ აქ ძირითადი მოქმედი პირები სახელმწიფო ორგანოები არიან. სახელმწიფო ორგანოები, უწყებები და დაწესებულებები ადმინისტრაციულ სამართალშიც არიან აღჭურვილნი უფლებებითა და მოვალეობებით. სახელმწიფო სამართლის განსხვავებული სპეციფიკურობა („*differentia specifica*“) არის ის, რომ იგი ვრცელდება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **სახელმწიფო სამართალი არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც აწესრიგებს და განსაზღვრავს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნის წესს, ორგანიზაციას და უფლებამოსილებებს.**

თუ კარგად დაუვკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებული დეფინიცია არ მოიცავს ისეთ უშიშვნელოვანეს სფეროს, როგორიცაა ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც მოქმედებს არა მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების, არამედ საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი მფლობელის მიმართ. ამდენად, სახელმწიფო სამართლის სრულყოფილი განმარტება ასეთია: **სახელმწიფო სამართალი მოიცავს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს და აწესრიგებს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნის წესს, ორგანიზაციას და უფლებამოსილებებს, აგრეთვე ადამიანის ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს.** გამომდინარე იქედან, რომ ძირითადი უფლებები და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებები არ განეკუთვნება სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალს, შეიძლება საბოლოოდ დავადგინოთ, რომ **სახელმწიფო ორგანიზაციის სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნის წესს, ორგანიზაციას და უფლებამოსილებებს.**

გ) სახელმწიფო სამართალი – საკონსტიტუციო სამართალი
საკონსტიტუციო სამართალი სახელმწიფო სამართლის ის ნაწილია, რომელიც მოცემულია კონსტიტუციაში. სახელმწიფო

სამართლისა და საკონსტიტუციო სამართლის ურთიერთდამოკიდებულება ძალიან ჰგავს ორი კონცენტრირებული წრის მდგომარეობას – ყველაფერი, რაც საკონსტიტუციო-სამართლებრივია, იმაგდროულად სახელმწიფო-სამართლებრივიც არის, მაგრამ ყველაფერი, რაც სახელმწიფო-სამართლებრივიც არის, იმაგდროულად არ არის საკონსტიტუციო-სამართლებრივი. თავდაპირველად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს დებულება საეჭვოა, რადგან შესაძლოა ვიფიქროთ და დაეუშვათ, რომ უმაღლესა სახელმწიფო ორგანოების შექმნა, ორგანიზაცია და უფლებამოსილებები კონსტიტუციით არის განსაზღვრული (ამ ორგანოებს სხვაგვარად „უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს“ უწოდებენ). მაგრამ თუნდაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის ფორმირების ნორმებზე მცირედი დაკვირვებაც კი სხვა რამეს გვიჩვენებს. კონსტიტუციაში მოცემულია საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები ანუ საფუძვლები. თვით საარჩევნო სისტემის (პროპორციული და მაჟორიტარული) დაწერილებით განსაზღვრის უფლებამოსილება კი კონსტიტუციით გადაცემული აქვს კანონმდებელს, რომელიც ვალდებულია მიიღოს ორგანული კანონი არჩევნების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში სრულიადაც არ არის უმნიშვნელო იმ საკითხის გარკვევა, რომელიმე სფერო კონსტიტუციითაა მოწესრიგებული თუ ორგანული და ჩვეულებრივი კანონებით. საქართველოს კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს საკმაოდ რთული პროცედურის გავლის შემდეგ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით (მ. 102, პ. 3), ორგანული კანონისათვის აუცილებელია მხოლოდ სითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი (მ. 66, პ. 2; ჩვეულებრივი კანონისათვის კიდევ უფრო დაბალი კვორუმიცაა საჭირო – დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (მ. 66, პ. 1)). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩვეულებრივი საკანონმდებლო ნორმები არ არის ისეთი „მუდმივი“ და „მუუცვლელი“, როგორც კონსტიტუციის ნორმები (მისი შეცვლის მეტად რთული მექანიზმის გამო). თუმცა როცა კანონები ეხება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს, ისინი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება.

კონსტიტუციურ-თეორიულად შეიძლება დაისვას შეკითხვა, თუ რომელი სფერო კი უნდა მოაწესრიგოს კონსტიტუციამ. პოზიტიური სამართლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის *ჰანს კელზენის* აზრით, კონსტიტუციამ მხოლოდ საკანონმდებლო პროცესის ნორმები უნდა განსაზღვროს, ყველა სხვა სფერო კი შეიძლება მოწესრიგდეს ჩვეულებრივი ან ორგანული კანონით. უნიტარული სახელმწიფოს მიმართ ეს მოსაზრება მართლაც მიზანშეწონილია, მაგრამ ფედერალური სახელმწიფოსათვის ეს საკმაოდ გონივრული თეორიული შეხედულება მოითხოვს გაერცობასა და განმარტებას: ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუცია აუცილებლად უნდა შეიცავდეს ნორმებს ორ სახელმწიფოებრივ დონეს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, ერთიანმა სახელმწიფომ და წევრმა-სახელმწიფოებმა პრეტენზია განაცხადონ ერთსა და იმავე უფლებამოსილებაზე.

ზემოთ მოცემული მოკლე განხილვისა და განმარტებების შემდეგ შეიძლება დაკასკენათ, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები საკონსტიტუციო სამართლის შემადგენელი ნაწილია, რადგან მათ კონსტიტუცია ითვალისწინებს და აღიარებს. ასევე ცხადია, რომ სახელმწიფო სამართალი მოიცავს საკონსტიტუციო სამართალს და შესაბამისად – ძირითად უფლებებსაც.

2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ამოქმედდა იმავე წლის 25 ნოემბერს. კონსტიტუციის პრეამბულით გაცხადდა საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება – დაამკვიდრონ თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო. კონსტიტუციის საერთო კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, რომლებიც ცალკეულ მუხლებშია ასახული. აქ მოკლედ მიმოვიხილია ამ ძირითად პრინციპებს – საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით

დაფუძნებული ახალი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებს.

ა) საქართველო – დემოკრატიული რესპუბლიკა

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აცხადებს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

სახელმწიფო წესწყობილების ფორმად რესპუბლიკის არჩევით ფაქტობრივად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მონარქიის წინააღმდეგ. ამ დებულების უცვლელობისა და ე.წ. „მუდმივობის“ მექანიზმი კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული (განსხვავებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონისაგან, რომლის 79-ე მუხლით აკრძალულია ძირითადი კანონით განმტკიცებული სახელმწიფო წყობილების ფორმის შეცვლა), მაგრამ რეალურად წარმოუდგენელია, ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს უახლოეს მომავალში. ეს ნორმა საქართველოს ცივილიზებული განვითარების მყარი და ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს ნიკოლო მაკიაველის ე.წ. „სახელმწიფოს ორგანიზაციის“ თეორია და არა ანტიკური ფილოსოფიის მიერ განვითარებული „სამი სახის სახელმწიფო წყობილების“ მოძღვრება. სახელმწიფო წესწყობილების ფორმად რესპუბლიკის არჩევა ნიშნავს დინასტიური მმართველის (მეფე) უარყოფას და განსაზღვრული ვადით არჩეული სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის, ინსტიტუტის შემოღებას (კონსტიტუციის 69-ე მუხლი). საქართველოს კონსტიტუციის მიერ გამოყენებულ „რესპუბლიკის“ ცნებაში უპირველესად მოიაზრება „არამონარქია“ და სრულიადაც არ არის აუცილებელი გარდა ამ ძირითადი მნიშვნელობისა მასში იგულისხმებოდეს დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ელემენტები. ეს საჭირო არ არის, ეინაიდან კონსტიტუციამ ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საქართველოს კონსტიტუციის არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ იმპედროულად ნიშნავს მონოკრატიისა (ერთპიროვნული მმართველობის) და არისტოკრატიული მმართველობის ყოველგვარი ფორმის უარყოფას.

დღეს ძნელად თუ მოიძებნება ცნება, რომელიც პოლიტიკურ დისკუსიებში ისე ხშირად და ამავე დროს იმდენად განსხვავებული

მნიშვნელობებით აყოს გამოყენებული, როგორც დემოკრატია. ამიტომ აუცილებელია. ზუსტად განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება დემოკრატიაში. რა მოთხოვნებისა თუ წინაპირობების შესრულებაა საჭირო, რათა სახელმწიფო დემოკრატიულად იწოდებოდეს. მაშინ, როცა მე-19 საუკუნეში დემოკრატია ჯერ კიდევ რადიკალური ბრძოლის ნიშანი იყო, დღეს ყველა (რამდენიმე სამხედრო დიქტატურის, გვიანი ფაშისტური და ფეოდალური რეჟიმის გამოკლებით) ცდილობს დემოკრატიით აღიჭურვოს. თავად „დემოკრატია“ სიტყვა სიტყვით „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს. მაგრამ როგორ უნდა განახორციელოს ხალხმა მმართველობა?

დემოკრატია სათავეს იღებს ანტიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. სახელმწიფოს ფორმების შესახებ ანტიკური თეორიების მიხედვით, რომლებმაც განსაკუთრებული განვითარება არისტოტელესთან ჰპოვა, სახელმწიფოები იყოფოდა იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებდა ხელისუფლებას: ერთი პიროვნება, რამდენიმე თუ ყველა ერთად. შესაბამისად გამოიყო სამი ძირითადი ტიპი: მონარქია (ერთი პიროვნების ხელისუფლება), არისტოკრატია (უმცირესობის, ელიტარული წრის ხელისუფლება) და დემოკრატია (ხალხის ხელისუფლება). სახელმწიფოს „დადებითი“ ფორმების ეს სამი ძირითადი ტიპი უპირისპირდება სახელმწიფოს „უარყოფითი“ ფორმების ასევე სამ ტიპს: ტირანიას, ოლიგარქიასა და დევგენერირებულ დემოკრაციას. „დადებით“ სახელმწიფოში ხელისუფალი მართავს ყველას სასიკეთოდ, ხოლო „უარყოფით“ სახელმწიფოში ხელისუფლის მმართველობა მხოლოდ პირად კეთილდღეობას ემსახურება და, ამდენად, თვითნებური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, არისტოტელეს მიერ მოცემულ სახელმწიფოს ფორმებს იმავდროულად ეთიკურ ღირებულებებთან აქვს კავშირი.

ნიკოლო მაკიაველი ნაშრომში „მთავარი“ (1532) სახელმწიფოს ფორმების ანტიკურ ტიპოლოგიას ცელის სხვაგვარი დაყოფით: მონარქია და რესპუბლიკა. დროთა განმავლობაში „რესპუბლიკა“ იქცა თავისუფალი სახელმწიფოს აღმნიშვნელ ტერმინად. მე-18 საუკუნის ბოლოდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და რევოლუციების ეპოქაში, მთელ ევროპაში დღის წესრიგში დადგა მონარქიის გაუქმების საკითხი. ამავე პერიოდიდან, განმანათლებელთა ფილოსოფიასა და საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად იწყება თანამედროვე დემოკრატიის უახლესი

ისტორია. ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მოქალაქეთა პოლიტიკური და ეკონომიკური ემანსიპაცია აყითარებდა მოძრაობას, რომელმაც გამოიწვია „სახალხო სუვერენიტეტის“ თეორიის გაძლიერება, რომელმაც საყოველთაო გავრცელება კპოვა. ლიბერალიზმი და მოგვიანებით სოციალიზმი იყო ძირითადი პოლიტიკური მიმართულებები, რომლებიც მე-19 საუკუნეში აქტიურად მოითხოვდნენ დემოკრატიის განვითარებას და ხელს უწყობდნენ ევროპის სახელმწიფოებში დემოკრატიული პრინციპების დანერგვას. ისინი ერთხმად აღიარებდნენ ახალ, უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებას – თანასწორობას, ასევე დემოკრატიის არსებობისათვის აუცილებელ მინიმუმს – საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ამასთან, სოციალიზმისაგან განსხვავებით, ლიბერალიზმი სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის იდეას გაცხადებდა მნიშვნელოვნად თვლიდა, ვიდრე ხელისუფლების დანაწილების უარყოფას, ტოტალურ გათანაბრებასა და უმრავლესობის დიქტატურას (ტირანიას). სოციალისტები თანასწორობას განუყოფლად უკავშირებდნენ ეკონომიკურ, სოციალურ და მატერიალურ უფლებებს, მაგრამ განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდათ სახელმწიფოს ფორმასთან დაკავშირებით, რომლის სახეებიც ე.წ. „ზალხის სახელმწიფოდან“ (სახალხო დემოკრატია) მმართველობისაგან აბსოლუტურად თავისუფალ „უტოპიებამდე“ ვრცელდებოდა.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე დემოკრატიის ცნებას ისტორიული ფესვები აქვს, განსაკუთრებით – ლიბერალური და სოციალისტური. აბრაამ ლინკოლნის საქვეყნოდ ცნობილი და ხშირად არასწორად გაგებული ფორმულიდან შესაძლებელია გამოვყოთ დემოკრატიის სამი ძირითადი პრინციპი: „**government of the people**“ – სახალხო სუვერენიტეტი; „**government by the people**“ – მოსახლეობის ფართო პოლიტიკური მონაწილეობა; „**government for the people**“ – პოლიტიკის სოციალური ბოჭვა. მსგავსი პრინციპები შეიძლება აღმოვაჩინოთ კიდევ ერთ გენიალურ ისტორიულ ფორმულაში: საფრანგეთის რევოლუციის დევიზი აერთიანებს თავისუფლებას, როგორც პიროვნების თავისუფლებას, თანასწორობას, როგორც სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპს და ძმობას, როგორც ადამიანობის სოლიდარულ-სოციალურ პრინციპს.

დემოკრატიის ცნების განვითარების გზაზე გამოკვეთილია ორი ძირითადი მიმართულება:

ა) ფორმალური ცნების თანახმად, დემოკრატიის ძირითადი ელემენტებია:

1. სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლი ხელისუფლების დანაწილების საშუალებით;
2. ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი საპართალი;
3. სახელმწიფოში ხელისუფლებაში მოსვლის მიზნისა და სამართლებრივი შესაძლებლობის მქონე ოპოზიციის არსებობა. სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა და სუვერენთან – ხალხთან კავშირი, უზრუნველყოფილია პერიოდული არჩევნებით, რომლებიც მოცემულ ხელისუფლებას მმართველობის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ გარკვეული დროით (შომავალ არჩევნებამდე).

ბ) აღნიშნულის საპირისპიროდ, შინაარსზე ორიენტირებული ცნება დემოკრატიას განიხილავს როგორც ცხოვრების წესს, რომელიც გამოდინარეობს თავისუფლების, თანასწორობისა და ადამიანის უფლებებისაგან და ცდილობს, თავისი ძირითადი იდეა – ხალხის მიერ ძალაუფლების ფლობა – განახორციელოს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

თანამედროვე დემოკრატიას აქვს მუდმივი და განუყოფელი საფუძველი – *ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი მფლობელია*. ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ყველა სახის სახელმწიფო ხელისუფლება გამომდინარეობს ხალხისგან. საქართველოს კონსტიტუციაში ეს ძირითადი პრინციპი ასახულია მე-5 მუხლის პირველ პუნქტში: „*საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი*“. ახლთ ნათლად და გარკვევით არას აღიარებული დემოკრატიის ძირითადი იდეა: სახელმწიფოს ყოველგვარი საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს ხალხის ნებას და მის მიერ უნდა იყოს ლეგიტიმირებული. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ხალხის ნებაზე დამოკიდებულობა არის საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ერთ-ერთი ნიშანი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „*არავის არა აქვს უფლება მიითვისოს არ უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება*“. ეს დებულება ფართოდ უნდა

განიმარტოს. იგი იცავს დემოკრატიული სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ ძირითად პრინციპს და კონსტიტუციით შექმნილ თავისუფალ დემოკრატიულ წესწყობილებას. თუ ვინმე მიითვისებს ან უკანონოდ მოიპოვებს ხელისუფლებას და აღნიშნული წყობილების გაუქმებას მოინდომებს, ხალხს უფლება აქვს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს მას, თუკი არ არსებობს სხვა საშუალება ამ წყობილების შესანარჩუნებლად. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ხალხის შეიარაღებულ გამოსვლას თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების დასაცავად, თუმცა იმავდროულად უკიდურეს, რადიკალურ საშუალებად მიიჩნევს მას.

სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პრინციპი ხორციელდება „ქვეიდან ზევით“. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში სახალხო სუვერენიტეტის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია ორგვარად: უშუალოდ, ანუ ხალხის პირდაპირი მმართველობით, და არაპირდაპირ, ანუ ხალხის წარმომადგენლებისათვის ძალაუფლების გადაცემით. პირდაპირი დემოკრატიის განხორციელებისას ხალხი თვითონ მართავს სახელმწიფოს, მაგრამ ისტორიულად ეს ფორმა დროის დიდ მონაკვეთში არსად განხორციელებულა, იგი დღესაც იშვიათ გამოჩვეულების წარმოდგენს. ისტორიული გამოცდილების შედეგად ცხადი გახდა, რომ პირდაპირი დემოკრატია თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ძალიან დიდია, პრაქტიკულად ვერ ხორციელდება რთული სამართლებრივი და ორგანიზაციული პრობლემების გამო. ამიტომ თანამედროვე სახელმწიფოები სახალხო სუვერენიტეტის განსახორციელებლად არაპირდაპირ დემოკრატიას ირჩევენ. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხის პირდაპირი მმართველობის ფორმა კვლავ არსებობს სახალხო გამოკითხვის სახით, რომელსაც ბევრი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო მიმართავს. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია პირდაპირი ანუ უშუალო დემოკრატიის აღნიშნული ფორმა, კერძოდ, მე-5 მუხლი აცხადებს: „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“; 74-ე მუხლი ადგენს რეფერენდუმის ჩასატარებლად აუცილებელ ძირითად მოთხოვნებს, 67-ე მუხლის პირველი პუნქტით კი გათვალისწინებულია ხალხის

პირდაპირი საკანონმდებლო ინიციატივა: „საკანონმდებლო ანტიკორუფციის უფლება აქვს ... არანაკლებ 30000 ამომრჩეველს“.

ხალხის ძალაუფლების დელეგირება ხალხის წარმომადგენლებზე, როგორც სახალხო სუვერენიტეტის ძირითად შუამავლებზე, ამცირებს მოსახლეობის პირდაპირ ზეგავლენას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ბევრი მეცნიერის აზრით, ხალხის წარმომადგენლობა თავისუფალი და საყოველთაო არჩევნებით არჩეული დეპუტატების მიერ დემოკრატიის ძირითადი კრიტერიუმია. მათზე ხალხის ძალაუფლების დელეგირება შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს: ერთ შემთხვევაში შესაძლებელია დეპუტატები აღიჭურვონ განსაზღვრული უფლებამოსილებებით. ამ დროს დასაშვებია ამ უფლებამოსილებათა უკან გამოთხოვა. გარდა ამისა, შეიძლება მათი განხორციელება დამოკიდებული იყოს ამომრჩეველთა უკუფის კონკრეტულ მითითებებზე. ამ ნიშან-თვისებებით ხასიათდება იმპერატიული მანდატი; მეორე შემთხვევაში, ჯერ კიდევ ადრეული ლიბერალიზმიდან მოყოლებული, ხალხის წარმომადგენელთა აღჭურვა ხორციელდება „წარმომადგენლობის ვიწრო მნიშვნელობით“, ანუ დეპუტატთა თავისუფალი მანდატით, რომელიც მხოლოდ საარჩევნო პერიოდით არის შეზღუდული. სწორედ ეს პრინციპია ასახული საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლში: „საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია“. ამით სახალხო სუვერენიტეტი გადაეცემა ხალხის წარმომადგენლობას, როგორც ერთიან ორგანიზმს – პარლამენტსა და მის წევრებს – დეპუტატებს.

სახალხო სუვერენიტეტის ხალხის წარმომადგენლების საშუალებით განხორციელების ძირითადი გზა, უპირველეს ყოვლისა, არის *არჩევნები*, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ნებისმიერ საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ყოველგვარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველი არჩევნებია, რომელთა მეშვეობითაც ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ და განახორციელონ კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ამასთან, დემოკრატიის თითოეულ მოქალაქეს აძლევს საშუალებას პქონდეს სახელმწიფოს მართვაში თანამონაწილეობის პრეტენზია (ე.წ. „აქტიური მოქალაქეობა“), მისგანთად, უფლებას – არჩეულ იქნეს

სახალხო წარმომადგენლობით ორგანოში ან თვითმმართველობის გაერთიანებებში. ბუნებრივია, აქ დასაშვებია გარკვეული მინიმალური პირობების დადგენა (საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება საჯარო სამსახურში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, *“თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“*). აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული უფლების განხორციელებისათვის შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს გარკვეული ასაკის მიღწევა ან ნასამართლობის არქონა.

ამდენად, *საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული არჩევნები ყოველი დემოკრატიის ძირითადი ნიშანია*. საქართველოს კონსტიტუცია სხვადასხვა მუხლებში ასახავს ამ მოთხოვნებს როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. ეს არჩევნები, კონსტიტუციის 49-ე და 70-ე მუხლების მიხედვით, არის: *საყოველთაო* – განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში ყველა მოქალაქეს (კანონით შეიძლება დადგინდეს გამონაკლისები: ქმედუნარო ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები და ა.შ.) აქვს აქტიური (აირჩიოს) და პასიური (იყოს არჩეული) საარჩევნო უფლება; *პირდაპირი* – ასარჩევი პირები (ხალხის წარმომადგენლები) აირჩევიან ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი ხმის მიცემით (კენჭისყრით) და არა ამომრჩეველთა მიერ არჩეული ე.წ. *ამომრჩევი პირების* საშუალებით; *თანასწორი* – ყოველ ხმას აქვს თანაბარი რაოდენობრივი და წარმატებითი (შედეგობრივი) მნიშვნელობა; *ფარული* – არჩევნები არ უნდა ჩატარდეს საჯაროდ, ანუ ყოველმა ამომრჩეველმა ისე უნდა მისცეს ხმა, რომ ვერაინ შეძლოს გაგება ან გადამოწმება, ვის სასარგებლოდ მიიღო მან გადაწყვეტილება; კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია არჩევნების თავისუფლების პრინციპი: *„უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება“*. თავისუფალი არჩევნები ნიშნავს, რომ აკრძალულია ყოველგვარი იძულება თუ ძალდატანება ამომრჩეველზე, რომელიც მას უბიძგებს ხმა მისცეს რომელიმე პარტიას ან კანდიდატს.

დემოკრატია შედარებითია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მზად არის, სახელმწიფოს მმართველობა გადასცეს ნებისმიერ პოლიტიკურ შეხედულებას, რომელსაც მოცემული უმრავლესობა იზიარებს. სწორედ

ამიტომ უნდა არსებობდეს ეფექტიანი და ქმედითი ოპოზიციის შექმნისა და განხორციელების შესაძლებლობა. ბუნებრივია, აქ გამონაკლისს წარმოადგენს ის დაჯგუფებები, რომლებიც აშკარად იბრძვიან დემოკრატიის წინააღმდეგ და მიზნად ისახევენ სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილების გაუქმებას. აღსანიშნავია, რომ შრავალი მეცნიერი დემოკრატიის (კიდევ ერთ) განუყოფელ ნიშნად *უმრავლესობის მმართველობას* თვლის. ამავე დროს, უმცირესობას (ანუ ოპოზიციას) ყოველთვის უნდა დარჩეს შანსი, ე.ი. უნდა პქონდეს სამართლებრივი საშუალება, მომდევნო არჩევნებში დაამარცხოს მმართველი ძალა და თვითონ გახდეს უმრავლესობა. ასეთი დემოკრატიული ცვლილებების უზრუნველსაყოფად უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონკურირებადი პოლიტიკური ძალების არსებობას. ამისათვის კი აუცილებელია სხვადასხვა პარტიის თავისუფალი შეჯიბრებითობა და პოლიტიკური პროცესის გასწვრივობა. ამ თვალსაზრისით აღნიშნული დემოკრატიული პრინციპის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონსტიტუციის 26-ე მუხლით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს პოლიტიკური პარტიების შექმნის, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის შესახებ, აგრეთვე ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებებს (მ. 24), შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას (მ. 25) და საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის უფლებას (მ. 26). სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (პრესა, რადიო, ტელევიზია) მიიღწევა საჯაროობა მოცემული პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას. მათი კრიტიკა ხელს უწყობს მოსახლეობის (ამომრჩეველთა) აზრისა და შეფასების ჩამოყალიბებას. ისინი უზრუნველყოფენ პოლიტიკური ხელისუფლების მუდმივ კონტროლს.

დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა დიდად არის დამოკიდებული საარჩევნო სისტემაზე, რომელიც ყოველთვის და ყველა სახელმწიფოში განსაკუთრებული კამათის საგანს წარმოადგენს. არჩევნების პროპორციულ სისტემას ახასიათებს პოლიტიკურ პარტიათა შანსების გაცილებით მეტი თანასწორობა ამომრჩეველის ყოველი ხმის მიხედვით, რადგან საარჩევნო სიის წარმდგენი თითოეული პოლიტიკური პარტია მონაწილეობს მანდატებზე ამომრჩეველთა ხმების პროპორციულ განაწილებაში (რა თქმა უნდა, შესაბამისი მინიმალური

საარჩევნო ზღვრის გათვალისწინებით). არჩევნების მათემატიკური სისტემა კი კონცენტრირდება დიდ და რეგიონებში აქტიურად მოქმედ პარტიებზე; ამ დროს მანდატები ნაწილდება მოცემულ საარჩევნო ერთეულში ყველაზე მეტი ხმების მქონე კანდიდატზე. კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოში მოქმედებს ორივე სისტემა (რასაც „შერეულ სისტემას“ უწოდებენ, რაც, ბევრი მეცნიერის აზრით, არასწორია), ანუ პარლამენტის წევრები აირჩევიან როგორც პროპორციული, ისე მათემატიკური საარჩევნო სისტემის მიხედვით. ამასთან, ე.წ. პატარა პარტიებისა და პარლამენტის მეტისმეტი პარტიული დაქუცმაცებულობის თავიდან ასაცილებლად კონსტიტუციით დაწესებულია 5-პროცენტიანი მინიმალური საარჩევნო ზღვარი. 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე აბოძრეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც“.

დემოკრატიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ პარტიებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური პარტიის შექმნა თავისუფალია; საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ამდენად, პარტიები არ არიან სახელმწიფო ორგანოები და საჯარო ხელისუფლების მფლობელები. ისინი წარმოიშობიან მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობის შედეგად საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროდან და ამ სფეროშივე საქმიანობენ. საყოველთაო თანასწორობის (მ. 14), საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობისა (მ. 38) და განსაკუთრებით არჩევნების თანასწორობის პრინციპიდან (მ. 49) გამომდინარეობს პარტიების უფლება პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მანძის თანასწორობაზე. აღნიშნული უფლების მიხედვით, მავალითად, ყველა ორგანო თუ დაწესებულება, რომელიც თავის შენობას ან დარბაზს უთმობს პარტიებს საარჩევნო ღონისძიებებისათვის, ვალდებულია თანასწორად მოეპყრას მათ. დაუშვებელია შენობისა თუ დარბაზის დაქირავებაზე რომელიმე პარტიის (რომლის

საქმიანობა შექვერტული არ არის ან რომელიც არ არის აკრძალული კანონის შესაბამისად) განაცხადის უარყოფა იმ საფუძველით, რომ მას კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნები აქვს. საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა შექმნისა და საქმიანობის საფუძველებს კონსტიტუციის 26-ე მუხლთან ერთად ადგენს საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“.

დემოკრატია გამოირჩევა იმითაც, რომ იგი უარს ამბობს საკუთარ იდენტიფიკაციაზე სხვადასხვა ფენებთან, ინტერესებთან ან ღირებულებით წარმოდგენებთან. იგი არის ღია, გახსნილი და პლურალისტური საზოგადოებრივი წყობა, რომლის საფუძველი ღირსებადაცული ადამიანების არსებობაა. სწორედ ადამიანის ღირსებაა დემოკრატიული სახელმწიფოს საყრდენი წერტილი. ამის გამო დემოკრატია სულაც არ სჭირდება იდეოლოგია. როგორც ზემოთ აღინიშნა, დემოკრატია მზად არის გადასცეს სახელმწიფოს მმართველობა ნებისმიერ პოლიტიკურ შეხედულებას, რომელსაც მოცემული უძრავლესობა იზიარებს. სწორედ პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმეა იდეოლოგია, თვით დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველები კი სხვადასხვა იდეოლოგიური მიმდინარეობისაგან თავისუფალია. დემოკრატის „იდეოლოგია“ კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ღირსება, ძირითადი უფლებები და სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებია.

ბ) საქართველო – სამართლებრივი სახელმწიფო

სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება ავტომატურად სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფო უპასუხებს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, უძრავლესობა ყოველთვის როდი იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს. დემოკრატიულად არჩეული უძრავლესობის გადაწყვეტილებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. სწორედ ამიტომ საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიაასთან ერთად აღიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუციის არც ერთი მუხლი არ შეიცავს უშუალო მიფითებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე, მაგრამ

საკონსტიტუციო სამართალი შედგება არა მხოლოდ კონსტიტუციაში უშუალოდ მოცემული დებულებებისაგან, არამედ აგრეთვე ამ დებულებების შემკველი, შინაარსობრივად მათი გამაერთიანებელი საყოველთაო პრინციპებისა და იდეებისაგან, რომლებიც კანონმდებელმა არ დააკონკრეტა არც ერთ წინადადებაში. საქართველოს კონსტიტუციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ასეთ ძირითად პრინციპს განეკუთვნება **სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი**.

კვლავზე მოკლე და მარტივი განმარტებით, სამართლებრივია სახელმწიფო, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია სამართლით. უფრო კონკრეტულად, სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება ვადმოსცემს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით სახელმწიფოს (აღმასრულებელი ხელისუფლების) შეზღუდვის, ხოლო კონსტიტუციით მთელი სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეას. საქართველოს კონსტიტუცია პრეამბულაში გარკვევით მიუთითებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, ძირითად ნაწილში კი უპირობოდ იზიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ დებულებას და აცხადებს, რომ „*სახელმწიფო ხელისუფლება ბორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში*“ (მ. 5, პ. 1). მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება სულ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, სწორედ ის შეიცავს სამართალზე ორიენტირებული სახელმწიფოს იდეას. ამ დებულების განმარტების შედეგად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გამოხატულებას ჰპოვებს შემდეგი სახით: კანონმდებლობა შებოჭილია კონსტიტუციით, უფრო კონკრეტულად – კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება კი – კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ სამართლით (მე-ნ მუხლის პირველი პუნქტით დადასტურებულია კონსტიტუციის უზენაესობა და მისი უპირატესი ძალა ყველა სხვა აქტის მიმართ: „*საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას*“). აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკრძალება თავისუფალი, მხოლოდ საკუთარი შეხედულებების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. იგი აუცილებლად უნდა იყოს ორიენტირებული მოქმედი სამართლის

ნორმებზე, განსაკუთრებით – კონსტიტუციასა და კანონებზე, ეს კი, ანუ კანონის უპირატესობა, კანონის ნორმის უპირატესი ძალა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. კონსტიტუციით განმტკიცებული აღნიშნული ნორმა ნიშნავს, რომ კანონის სახით გადმოცემულ სახელმწიფოს წებას უპირატესი ძალა აქვს ნებისმიერი სხვა ფორმით გამოხატული სახელმწიფოს ნების მიმართ (რა თქმა უნდა, კონსტიტუციის გარდა). კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში მითითებულია, რომ *აღმაინის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე* (მაგალითად: მ. 19 – სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებები; მ. 20 – პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის თავისუფლება; მ. 21 – საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; მ. 22 – თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება; მ. 24 – ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები; მ. 25 – შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება და ა.შ.), ანუ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან პიროვნების მიმართ ყოველგვარი მოქმედების განხორციელების, მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ჩარევის აუცილებელი წინაპირობაა კანონის არსებობა, რაც ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნიშანია. აღნიშნული დებულების მიხედვით, სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას) შეუძლია მოქალაქეთა თავისუფლებაში ან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევა მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონით იქნება უფლებამოსილი.

იე-5 მუხლში მოცემული უნიშვნელოვანესი დებულების გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დაკონკრეტებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც:

- ა) უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის დებულებები უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების, აგრეთვე მათი უფლებამოსილებების შესახებ, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო ხელისუფლება საფუძველშივე სამართლით არის შეზღუდული;
- ბ) სამართლებრივი სახელმწიფო წარმოუდგენელია სახელმწიფოს ძირითადი კანონით – კონსტიტუციით აღიარებული და გან-

მტიკცებული ადამიანის ძირითადი უფლებების გარეშე. კონსტიტუციის მეორე თავში მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც უშუალოდ მოქმედ სამართალს წარმოადგენს და რომლებითაც შეზღუდულია ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას (მ. 7). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლების დებულებებს, რომლებითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოცემულია ე.წ. საპროცესო ძირითადი უფლებები;

- გ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (მ. 5, პ. 4);
- დ) 82-ე-91-ე მუხლების დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნისა და ფუნქციონირების საფუძვლებსა და უფლებამოსილებებს, აგრეთვე აფუძნებს შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება შეიცავს *სამართლიანობის იდეას*. ეს იდეა ყოველი სახელმწიფოებრივი მოქმედების მიზნად სახავეს მატერიალური სამართლიანობის მიღწევასა და შენარჩუნებას. სამართლიანობის იდეა მოითხოვს სამართლიანობისაკენ სწრაფვას არა 'ხოგადად, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ კანონები სამართლიან ნორმებს უნდა შეიცავდეს, სამართლიან წესებს უნდა ადგენდეს და ამ ნორმათა გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოთა ან სასამართლოთა მიერ სამართლიან, ანუ შინაარსობრივად გამართულ გადაწყვეტილებამდე და შედეგებამდე უნდა მივყავდეთ. თუ რა არის მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი, ამის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებისა და შეფასების შემდეგ. სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევა იქნება, მაგალითად, სისხლის სამართლის დამნაშავეის მიმართ მისი ბრალის შეუსაბამო, ზედმეტად მკაცრი სასჯელის გამოყენება. ასევე უსამართლო იქნება სამხედრო პირის ან საჯარო მოხელის დისციპლინური წესით რამდენჯერმე დასჯა ერთი და იმავე სამსახურებრივი გადაცდომისათვის ან რამდენჯერმე

დასჯა ქმედებისათვის. რომელაც ერთდროულად სამსახურებრივ გადაცდომასა და სისხლისსამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს.

სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლიანობის მსგავსად, წარმოადგენს სამართლებრივი საბელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. მისი მიზანია, უზრუნველყოს *სამართლებრივი მშვილობა* საზოგადოებაში. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას შეიძლება დაეყრდნონ და რისი ნდობა შეიძლება ჰქონდეთ. სამართლებრივი უსაფრთხოება ნიშნავს, რომ არ შეიძლება მუდმივად განახლდეს ყოველი სამართლებრივი დავა და რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მყარდება სამართლებრივი მშვილობა. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს და გადაისინჯოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უსამართლოა; ამისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული პირობების შესრულება. კანონმდებელმა ამ სფეროში სამართლიანობის იდეა გამოხატა იმით, რომ დაუშვა სასამართლოს მიერ განხილული დავის ხელახალი განხილვა და საქმის გადასინჯვა მხოლოდ რამდენიმე ზუსტად განსაზღვრული გარემოების არსებობისას. ამას ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტიც: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს აგრეთვე **ზომიერების** (იგივე **თანაზომიერების**) **პრინციპი**. ამ პრინციპის მიხედვით ფიზიკური პირი დაცული უნდა იქნეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში საჯარო ხელისუფლების ზედმეტი, არასაჭირო ჩარევებისაგან. თუ ასეთი ჩარევა გადაუდებელი და აუცილებელია, მას უნდა ჰქონდეს კანონით განსაზღვრული საფუძველი, ამასთან. ეს საფუძველი თავისი შინაარსის, ფორმის, მიზნისა და გავრცელების მიხედვით უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული, ნათელი და არაორაზროვანი, რათა მოქალაქემ ადვილად შეიძინოს იგი. ზომიერების პრინციპი საშუალებასა და მიზანს შორის ურთიერთობის საფუძველია. ძირითადი უფლების რაიმე საშუალებით *შეზღუდვა* დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავი *გამოსადევი* და *აუცილებელია* დასახული მიზნის მისაღწევად. საშუალება *გამოსადეგია*, თუ მისი დახმარებით შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. საშუალება *აუცილებელია*,

თუკი არ არსებობს სხვა გზა, რომელსაც მსგავსი მოქმედების ძალა აქვს, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად ზღუდავს ძირითად უფლებას. შესაბამისად, აუცილებელია ყოველთვის ყველაზე უფრო რბილი, მოქნილი, არარადიკალური საშუალების გამოყენება.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც აღიარებულია კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით: „*აღაპიანი უდანაშაულოდ ითვლება, კიდრე მისი დაშაშაეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით*“; „*არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს*“.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით ასევე აკრძალულია ბრალდებულისათვის ბრალის დადასტურების გარეშე სასჯელის დაკისრება, ანუ ყოველი სასჯელის უცილობელი წინაპირობაა ბრალის არსებობა („*nulla poena sine culpa*“), ბრალდების მტკიცების მოვალეობა კი ბრალმდებელს ეკისრება. თუკი პირს ბრალი არ მიუძღვის, მისი დასჯა დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუცია, თავისი საერთო კონცეფციის შესაბამისად, გარკვევით აღიარებს *ხელისუფლების დანაწილების პრინციპს*. ყოველი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძველად მიჩნეული ეს პრინციპი გაცხადებულია კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით: „*სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით*“. კონსტიტუციის დებულებებით განსაზღვრულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა შექმნისა და საქმიანობის წესი და მათი უფლებამოსილებები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლებებისა. კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლო ხელისუფლების შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ „*სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას აზორციელებენ მხოლოდ სასამართლოები*“.

თუ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ისტორიულ განვითარებას გადავხედავთ, მის ფესვებს ისევ *არისტოტელესთან* ვნახავთ. არისტოტელე განასხვავებდა ე.წ. *რჩევების* (სადაც რჩევებს აძლევენ,

ბჭობენ სხვადასხვა საკითხებზე) ხელისუფლებას (საკანონმდებლო ხელისუფლება), *მაგისტრატს* (აღმასრულებელი ხელისუფლება) და *მართლმსაჯულებას*. *ჯონ ლოკი* ხელისუფლებას ანაწილებდა ხალხზე, პარლამენტზე, მონარქსა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე (*Treatises of government*, 1690). *მარლ მონტესკიეს* მიერ საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომში „კანონთა გონი“ (1748) მოცემული დებულებების შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად პირველად გვხვდება პენსილვანიის შტატის კონსტიტუციაში (1776), შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში (1787), მე-18 საუკუნის ბოლოს კი მას იმეორებს *იმანუელ კანტი* („სამართლის თეორიის მეტაფიზიკური საფუძვლები“, 1798).

ხელისუფლების დანაწილება მიზნად არ ისახავს მხოლოდ ხელისუფლების ორგანიზაციულ განაწილებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებზე. ის ძირითადად მიმართულია ძალმომრეობითი, ერთპიროვნული, დიქტატორული მმართველობის საფრთხის თავიდან აცილებისკენ ან შემცირებისკენ მაინც. ხელისუფლების უზურპაციისა და უსამართლო მმართველობის საფრთხე მინიმუმამდეა დასული, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს არა ერთი პირი ან ერთი სახელმწიფო ორგანო, არამედ როდესაც სახელმწიფოს ამოცანები განაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ხელისუფლების ორგანიზაციული დანაწილების სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები განაწილებულია სხვადასხვა ორგანოებზე იმგვარად, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ლეგალურად, კანონიერი გზით მოიპოვოს კონტროლი მთელ სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ამასთან, ერთი ხელისუფლების წარმომადგენლები არ შეიძლება ფლობდნენ სხვა ხელისუფლების თანამდებობებს (*ხელისუფლების პერსონალური დანაწილება*). მაგალითად, დაუშვებელია, მოქმედი მოსამართლე იმავდროულად იყოს პარლამენტის წევრი ან მინისტრი, ისევე როგორც დაუშვებელია, მოქმედი საჯარო მოხელე იყოს მოსამართლე ან პარლამენტის წევრი.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიზანია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხელისუფლების სამ სხვადასხვა განშტოებას შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმის

(checks and balances) შექმნა. საქართველოს კონსტიტუცია იზიარებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ამ ძირითად იდეას და ხელისუფლებათა აბსოლუტურ გაყოფას კი არ ახდენს, არამედ ქმნის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების სისტემას. კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების დანაწილების აზრი მდგომარეობს არა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების მკაცრ გაყოფაში, არამედ იმაში, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები ერთმანეთს აკონტროლებენ და ზღუდავენ, რათა გაწონასწორდეს სახელმწიფოს ძალაუფლება და დაცულ იქნეს პიროვნების თავისუფლება. აღნიშნული სისტემა გამოხატულებას პოვებს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში, მაგალითად: პარლამენტი აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას (მ. 48, მ. 56, მ. 59, მ. 60, პ. 2, მ. 64), სასამართლოები (საერთო სასამართლოები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) ახორციელებენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების აქტების კონტროლს კანონებსა და კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით; თავის მხრივ, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობს პრეზიდენტი ე.წ. ვეტოს უფლებით, ამავე დროს, ძალაში შესასვლელად ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს (მ. 68).

ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემაში ძირითადად ერთი ხელისუფლების ორგანო ნიშნავს ან ირჩევს სხვა ხელისუფლების თანამდებობის პირებს და პირიქით. საქართველოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის შესაბამისად, მთავრობის შემადგენლობას ნდობას უცხადებს პარლამენტი, 90-ე მუხლის მიხედვით კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი.

გარკვეულ შემთხვევებში, ხელისუფლების სპეციფიკური ამოცანები შეიძლება აღსასრულებლად გადაეცეს სამართლებრივად თვითმყოფად და დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მოაწესრიგოს შესაბამისი ურთიერთობები საკუთარი პასუხისმგებლობითა და შეხედულებისამებრ. ასეთ ორგანოებად საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კონტროლის პალატას, რომელთა დამოუკიდებლობის გარანტიები და უფლებამოსილებები აღწერილია 95-ე და 97-ე მუხლებში. ამ მუხლებით განსაზღვრულია,

რომ ეროვნული ბაჟი და კონტროლის პალატა თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელნი არიან. მათთვის გადაცემული სახელმწიფოებრივი ამოცანების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზემოაღნიშნული ნიშნის ვათეალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსა და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობებზე პირთა გამწესებაში მონაწილეობენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები.

გ) თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება

ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამომდინარე, თამაძე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით შეიქმნა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის საფუძველია თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება.

თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ძირითადი უფლებებით შექმნილ ღირებულებათა სისტემას მოიცავს. სწორედ ეს უფლებები, როგორც უზენაესი და ხელშეუვალი ღირებულებები, წარმოადგენს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების საფუძველს. აქედან გამომდინარე, ამ წესწყობილებას ქვაკუთხედი თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანია, თავისუფლება და თანასწორობა კი სახელმწიფოებრივი ერთიანობის მუდმივა და ძირითადი ღირებულებებია. ამდენად, თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება ტოტალიტარული სახელმწიფოს აბსოლუტურად საპირისპირო წესრიგია, რადგან ტოტალიტარული სახელმწიფო სრულიად გამორიცხავს და უარყოფს ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას. მოსახრება იმის შესახებ, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, მცდარია. იგი ეყრდნობა თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ცნების ადრეულ სახელმწიფო წყობილების იმ ფორმებთან, რომლებშიც ამ წესწყობილებამ შეიძლება ასახვა პოვოს.

თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ფუნქციონირება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი „თამაშის წესების“ სისტემით. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აზრისა და პრესის, შეკრებებისა და მანიფესტაციების, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის

თავისუფლებები განაპირობებს და უზრუნველყოფს საქართველოში მრავალპარტიული სისტემის არსებობას და უფლებას ორგანიზებულ პოლიტიკურ ოპოზიციასზე. შედარებით მოკლე ვადებში რეგულარულად განმეორებული თავისუფალი არჩევნები უზრუნველყოფს ხალხის კონტროლს პოლიტიკური უმრავლესობის მიერ ძალაუფლების გამოყენებაზე. ხალხის წარმომადგენლობა (პარლამენტი) აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა, ურთიერთ-კონტროლირებად და ურთიერთშემზღუდავ შტოებზე განაწილების პრინციპი გამოირიცხავს ერთ ხელისუფლებაში (ძირითადად საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში) ძალაუფლების ზედმეტ კონცენტრირებას. ძირითადი უფლებებით მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია ცხოვრებისა და საქმიანობის თავისუფალი სფეროები. ამ უფლებათა დაცვას უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი სასამართლოები, მთელ სახელმწიფო სისტემას კი, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური მართლმსაჯულება (საკონსტიტუციო სასამართლო) იცავს.

ისის გამო, რომ თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება თავისი საჯაროობიდან, გახსნილობიდან, მრავალმხრივი გარანტიებიდან და ზოგადად მოქალაქეთა და საზოგადოების თავისუფლებიდან გამომდინარე, მუდმივად საფრთხის ქვეშ იმყოფება, იგი თავს იცავს იმ ძალებისაგან, რომლებიც სარგებლობენ ასეთი თავისუფლებით და მის უზენაეს ღირებულებებს, კონსტიტუციურ საფუძვლებს და მისი „თამაშის წესებს“ პრინციპულად ეწინააღმდეგებიან. თავდაცვის ნორმები ძირითადად მოცემულია კონსტიტუციაში და შემდეგ გავრცობილია სხვადასხვა კანონებში. აქ შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, კონსტიტუციის 26-ე მუხლით განსაზღვრული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესაძლებლობა.

ყოველივე 'ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც *წესრიგი, რომელიც გამოირიცხავს ყოველგვარ ტოტალიტარულ და თვითნებურ ძმართველობას და წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის წესრიგს. იგი ეფუძნება მოქმედი უმრავლესობის ნებას, შესაბამისად ხალხის თვითგამორკვევას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ამ წყობილების ფუნდამენტური*

პრინციპებია: (1) კონსტიტუციით აღიარებული და კონკრეტი-
ზებული ადამიანის უფლებების, უპირველესად კი ადამიანის
ღირსების, სიცოცხლისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი
განვითარების უფლების პატივისცემა, (2) ხალხის სუვერენიტეტი,
(3) ხელისუფლების დანაწილება, (4) ხელისუფლების პასუხის-
მგებლობა ხალხის წინაშე, (5) აღმასრულებელი ხელისუფლების
კანონებით შეზოგვა, (6) სასამართლოს დამოუკიდებლობა, (7)
მრავალპარტიულობა და შანსების თანასწორობა ყველა პოლიტი-
კური პარტიისათვის, რათა კონსტიტუციის შესაბამისად შექ-
მნან და განახორციელონ ოპოზიცია.

მსჯილის

③ ძირითადი უფლებების ისტორიული განვითარება

ა) ისტორიული განვითარება

მოძღვრება ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ შუა საუკუ-
ნეებში წარმოიშვა, მე-20 საუკუნეში კი ყველა დემოკრატიული სახელ-
მწიფოს კონსტიტუცია შეიცადა ე.წ. ძირითად უფლებათა კატალოგს,
ანუ სრულ ნუსხას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა
და თავისუფლებებისა. საუკუნეთა განმავლობაში ძირითადი უფლებების
განვითარება არ ყოფილა თანამიმდევრული. გაკრცვლებული მეცნიერუ-
ლი შეხედულების მიხედვით, ძირითადი უფლებები პირველად ინგლისში,
1215 წლის 15 ივნისის ცნობილ დოკუმენტში – Magna Carta Liber-
tatum – ჩამოყალიბდა. თუმცა ეს დოკუმენტი ძალიან განსხვავდება
თანამედროვე კატალოგებისაგან, რადგან წარმოადგენს დიდგვაროვანთა
ყენის მიერ მეფის ხელისუფლებისაგან მიღებულ, მათი უფლებების
დამადასტურებელ საბუთს. Magna Carta-ს 63 მუხლიდან ნახევარზე
მეტე ფაქტობრივად ფეოდალთა პრეტენზიების აღიარებაა. თუმცა
არის მუხლები, რომლებიც თანამედროვე ძირითადი უფლებების ჩანა-
სახად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთია, მაგალითად, 39-ე მუხლი, რომლის
მიხედვითაც „დაუშვებელია თავისუფალი ადამიანის დაპატიმრება,
საკუთრების ჩამორთმევა ან მისი გაძევება ქვეყნის კანონის საფუძველზე
მოღებული კანონიერი განაჩენის გარეშე“.

მოუხედავად იმისა, რომ Magna Carta-სა და თანამედროვე ძირითად
უფლებებს შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირი, გვერდს ვერ

ავუვლით იმ თავისებურებას, რომ ფუნდამენტური უფლებები ყოველთვის იდგა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების საფრთხის ქვეშ. ასეთი სიტუაციები მეორდებოდა სხვადასხვა საუკუნეებში, რის შედეგადაც შეიქმნა ადამიანის ძირითადი უფლებების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი: ეს უფლებები ყოველთვის ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული რევოლუციური ბრძოლების დროს წარმოიშობოდა და რევოლუციების გამარჯვების შემდეგ მტკიცდებოდა, რითაც ინდივიდებს ან გარკვეულ ჯგუფებს უნარჩუნდებოდა მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა. თუმცა ეს უფლებები მაინც საფრთხის ქვეშ იდგა, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერების პერიოდში ყოველთვის ხდებოდა მათი უგულებელყოფა და დარღვევა. ადამიანის უფლებები არასოდეს იყო აბსოლუტურად გარანტირებული. როცა სახელმწიფო ხელისუფლება სუსტდებოდა, ამ დროს ძლიერი იყო ადამიანის უფლებათა მოქმედება და გააღწევა, მაგრამ ხელისუფლების გაძლიერებისთანავე ხდებოდა მათი შეზღუდვა და ხშირი უგულებელყოფა.

შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარების გზაზე იყო ინგლისში მიღებული ორი დოკუმენტი: *Act of Habeas Corpus* (1679) და *Bill of Rights* (1689). პირველი მათგანი ადგენდა ადამიანის საპროცესო უფლებებს თავისუფლების აღკვეთის დროს და პირდაპირ მიუთითებდა, რომ ადამიანი დაკავებისთანავე უნდა წარედგინათ მოსამართლისათვის. ამ დოკუმენტის სახელწოდება წარმოადგენს ცნობილი ლათინური ფრაზის „*Habeas corpus ad subjiciendum*“ („სხეული უნდა წარედგენოს სასამართლოს“) ნაწილს. დოკუმენტის მიღება გამოიწვია რამდენიმე შემთხვევამ, რომლებსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მთელ ინგლისში. პირველი და ყველაზე ცნობილი შემთხვევა მოხდა 1621 წელს ლონდონში. ინგლისელ არისტოკრატთა წრეში ზღვარგადასული გართობითა და დროსტარებით ცნობილი ჯალბატონის ალისა რობინსონის ვილაში მიმდინარეობდა ხმაურიანი საღამო. როცა ხმაურმა და გართობამ ძალიან მოიმატა, ვილაში მივიდა პოლიციელი, რომელმაც ალისა რობინსონსა და მის სტუმრებს სთხოვა თავშეკავება და საღამოს წყნარად გაგრძელება. მასპინძელმა უშუკრი სიტყვებით გალანძლა პოლიციელი, რის გამოც მან დააპატიმრა ჯალბატონი და ადგილობრივი ადმინისტრატორის ბრძანებით იმავე ღამეს ციხეში მოათავსა. ალისა რობინსონი მხოლოდ

ორი კვირის შემდეგ წარუდგინეს სასამართლოს. სასამართლო პროცესზე ცნობილი გახდა ციხეში მის მიმართ სასტიკი მოპყრობის დეტალები. რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ვაირკეა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალბატონი რობინსონის საკვები მხოლოდ მშრალი პური და წყალი იყო. ებინა პირდაპირ სველ მიწაზე, ერთხელ კი გააშიშვლეს და 50 როზგით სცემეს. იმ დროის მკაცრი და ზოგჯერ სასტიკი პირობების მიუხედავად, დაკავებულის მიმართ ასეთი მოპყრობა მაშინაც კი ბარბაროსულად ითვლებოდა. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, როგორც სასამართლოზე ვაირკეა, ალისა რობინსონი ფეხშიძედ იყო.

საზოგადოების პროტესტი იმდენად მწვავე და ძლიერი იყო, რომ სასამართლომ ალისა რობინსონი უდანაშაულოდ ცნო, პოლიციელი დააპატიმრეს და ორდერის გარეშე ადამიანის საკუთრებაში შესვლისა და დაკავების გამო საპყრობილეში მოათავსეს, ადგილობრივ ადმინისტრატორს კი მკაცრი საყვედური გამოუცხადეს. ამ და მომდევნო წლებში მომხდარმა რამდენიმე მსგავსმა შემთხვევამ შექმნა *Act of Habeas Corpus*-ის შექმნის საფუძველი.

მეორე დოკუმენტი (*Bill of Rights*) პარლამენტის უფლებებთან ერთად აღიარებდა რამდენიმე ინდივიდუალურ უფლებას, მაგალითად, პეტციის უფლებას. ამ დოკუმენტის მიხედვით, მეფისათვის პეტციებით მიმართვის შემთხვევაში ადამიანის ყოველი დაპატიმრება და სამართლებრივი დევნა უკანონოდ ითვლებოდა და უნდა შეჩერებულიყო მეფის მიერ პეტციის განხილვამდე.

მეცნიერ-იურისტთა გაბატონებული შეხედულებით ძირითად უფლებათა ამჟღავნებელ პირველ სრულყოფილ დოკუმენტად ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის დეკლარაცია (*Virginia Bill of Rights*) ითვლება. ამ დოკუმენტში ნათლად ირეკლება ბუნებითი სამართლისა და განმანათლებლობის იდეები, რომელთა მიხედვითაც, ადამიანი თავისუფალი ინდივიდი, სასელმწიფოსა და საზოგადოების ცენტრალური ფიგურაა. ზემოხსენებული იდეების ამკარა გამოხატულებას წარმოადგენს დეკლარაციის პირველივე მუხლი: „*ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და დაბადებისთანავე ფლობს კონკრეტულ უფლებებს...*“ ადამიანის ბუნებითი უფლებები, რომლებიც მას დაბადებისთანავე წარმოეყობა, შეიძლება შეიზღუდოს ე.წ. საზოგადოებ-

რივი ხელშეკრულებით. ქაგრამ მათი გაუქმება დაუშვებელია. ამასთან, არსებობს ისეთი უზენაესი და ხელშეუხებელი უფლებები, რომელთა შეზღუდვა სახელმწიფოს არ შეუძლია. შინაარსობრივად დეკლარაციას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უზენაესი სამართლებრივი დოკუმენტის სახე აქვს და ისტორიული თვალსაზრისით ახალი დროის ადამიანის უფლებათა სათავეებთან დგას. მასში თანაბრად არის შეტანილი ევროპული ბუნებითი სამართალი და ინგლისური სამართლის ტრადიციები. Habeas Corpus-ით თავისუფლების შეზღუდვის დროს დაფიქსირებული საპროცესო უფლებების (ეს უფლებები გადმოცემულია დეკლარაციის მე-8-მე-11 მუხლებში) გარდა, დეკლარაცია შეიცავს ისეთ ახალ ძირითად უფლებებს, როგორცაა, მაგალითად, მე-12 მუხლის დებულება, რომლის მიხედვითაც „*პრესის თავისუფლება თავისუფლების ერთ-ერთი უდიდესი შემადგენელი ნაწილია და დაუშვებელია მისი შეზღუდვა, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტური მთავრობების მმართველობისას*“, მე-16 მუხლით კი უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლება.

მოუხედავად ვირჯინიის დეკლარაციის უდიდესი სამართლებრივი და ისტორიული მნიშვნელობისა, ადამიანის უფლებათა ამღიარებულ ყველაზე ცნობილ დოკუმენტად საფრანგეთის რევოლუციის შედეგად 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (*Déclaration des droits de l'homme et du citoyen*) ითვლება. ეს დოკუმენტი ფაქტობრივად ევროპის კონსტიტუციური განვითარების ახალი ეპოქის დასაწყისის წარმოდგენს. დეკლარაციის პირველივე მუხლი *ჟან ჟაკ რუსოს* განმანათლებლური იდეების გამოძახილია: „*ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსჯევებები მათ შორის შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონით*“.

საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია შეიცავს დღეისათვის ცნობილ თითქმის ყველა ძირითად უფლებას. მე-4 მუხლის მიხედვით, თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის კეთების უფლებას, რაც სხვას არ აყენებს ზიანს. ამდენად, ადამიანის ბუნებითი უფლებების გამოყენება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს არ უშლის სხვა ადამიანების ასეთივე უფლებების განხორციელებას. ეს შეზღუდვები დადგენილ უნდა იქნეს მხოლოდ კანონით (მ. 4, წინ. 2). დაუშვებელია

ადამიანის დაკავება, დაპატიმრება ან მისთვის ბრალის წაყენება კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მასში მითითებული ფორმების გარეშე (მ. 7). დეკლარაცია შეიცავს სისხლის სამართლის კანონების უკუშაღლის დაუშვებლობას (მ. 8) და აღიარებს უდანაშაულობის პრეზუმეციას (მ. 9). უზრუნველყოფილია აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები: „დაუშვებელია ადამიანზე ზეწოლა აზრის, მათ შორის, რელიგიური აზრის გამოთქმის გამო, თუკი ამ გამონათქვამთ არ ირღვევა კანონით განსაზღვრული საჯარო წესრიგი“ (მ. 10); იდეებისა და აზრების თავისუფალი გავრცელება ადამიანის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლებათა. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, თავისუფლად ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს, იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელიც მას ეკისრება ამ თავისუფლების დარღვევისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ (მ. 11).

როგორც ვხედავთ, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია შეიცავს ადამიანის ყველა იმ ძირითად უფლებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის: ადამიანების თანასწორობის ძირითად პრინციპს, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას, აზრისა და პრესის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებებს, აგრეთვე უზრუნველყოფს საკუთრების, როგორც თანამედროვე საზოგადოების სასიცოცხლო ელემენტის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და დაცვას. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის 1958 წლის 4 ოქტომბრის (ამჟამად მოქმედი) კონსტიტუცია პრეამბულაში ხაზს უსვამს დეკლარაციის უდიდეს მნიშვნელობას და მას კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად აცხადებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა განმტკიცება მოხდა მონარქთა აბსოლუტურ ბატონობასთან ჯერ დიდკუაროვანთა და წარჩინებულთა, შემდეგ კი მოსახლეობის ფართო ფენების მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, პოლიტიკური განმანათლებლობის მხარდაჭერით, რომელთა ძირითადი მიზანი ხელისუფლების დანაწილება და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნა იყო. ასე მოხდა, მაგალითად, გერმანიაშიც, სადაც 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ფრანკფურტის წმ. პავლეს ტაძარში შეკრებილმა ე.წ. „ერებამ ეკლესიაში“ (*Paulskirchenversammlung*) შეიმუშავა ძირითადი უფლებების ვრცელი კატალოგი; მაგრამ ის პრაქტიკული მნიშვნელობის

ვარეჟე დარჩა. იმპერიის 1871 წლის კონსტიტუციამ უარი თქვა ძირითად უფლებებზე. მხოლოდ ვაიმარის 1919 წლის კონსტიტუციაში აისახა „გერმანელთა ძირითადი უფლებები და ძირითადი ვალდებულებები“. 1933 წელს, ხელისუფლებაში პიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოსვლის შემდეგ, ისინი ნაწილობრივ სრულად აღიკვეთა, ნაწილობრივ კი აღუსრულებლობის გამო უმოქმედოდ დარჩა. 1949 წლის 23 მაისის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში კვლავ განისაზღვრა ძირითად უფლებათა კატალოგი.

დღეისათვის ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციები აღიარებენ და უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებს. უამრავი საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით ასევე აღიარებულია ადამიანის უფლებების უდიდესი მნიშვნელობა, მათ შორის: გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომლის დებულებებზე დაყრდნობითაც სტრასბურგში მდებარე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეებს; ევროპის საბჭოს 1961 წლის 26 თებერვლის ევროპის სოციალური ქარტიით; გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ამერიკის სახელმწიფოთა ადამიანის უფლებების კონვენციით (1969), აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დასკენითი აქტებით (1975, პელსინკი).

ბ) ძირითადი უფლებები საქართველოში

საქართველოში ადამიანის ძირითად უფლებებს მცირე ხნის, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს. პირველად ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. ისევე როგორც მთლიანად კონსტიტუცია, ადამიანის ძირითად უფლებათა ნაწილიც („თავი 3. მოქალაქის უფლებანი“) საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და იმდროინდელ სამართლებრივ სტანდარტებს სრულად შეესაბამება. კონსტიტუციაში მოცემულია ადამიანის უფლებათა საკმაოდ ვრცელი

კატალოგი, კონსტიტუცულად კი უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობა, პიროვნების ხელშეუხებლობა, მიმოსვლისა და ბანადრობის თავისუფლებები. ბინისა და საცხოვრებლის, მიმოწერის ხელშეუხებლობა, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები, აზრის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, გაერთიანებათა თავისუფლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში დადგენილი საპროცესო ძირითადი უფლებები (მუხლები 20-26), რომლებიც დეტალურად აწესრიგებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის საკითხებს.

სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, 1921 წლის კონსტიტუციას პრაქტიკულად ერთი დღეც არ უმოქმედია. 1921 წლის თებერვალში რუსეთის წითელი არმიის ინტერვენციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლება მოვიდა და საქართველოს ყველა შემდგომი კონსტიტუცია ტიპურ საბჭოთა კონსტიტუციას წარმოადგენდა, რომლის ძირითადი პრინციპი იყო კომუნისტური პარტიის ერთადერთობა და განსაკუთრებულობა. სოციალისტური საქართველოს კონსტიტუციები მხოლოდ მოქალაქის სოციალურ უფლებებს და საარჩევნო უფლებას აღიარებდა (კომუნისტური პარტია ყოველთვის ხმების 99,9%-ით იგებდა არჩევნებს), სხვა ძირითადი უფლებები კი (მით უმეტეს, ძირითად უფლებათა კატალოგი) ამ დოკუმენტებში საერთოდ არ იყო განსაზღვრული.

საქართველოს ისტორიაში მეორედ, რეალურად კი პირველად ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა და ამოქმედდა 1995 წლის კონსტიტუციით. მისი მეორე თავი – „*საქართველოს მოქალაქეთა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი*“ ფაქტობრივად წარმოადგენს ძირითად უფლებათა კატალოგს, მე-7 მუხლი კი ძირითად უფლებებს თვით ხალხის ნების შემზღვეველ პრინციპებად აცხადებს: „*სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზუნავს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით*“.

კ) ძირითადი უფლებები, როგორც ბუნებითი უფლებები

გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით, ადამიანის ძირითადი უფლებების საფუძველია ბუნებითი სამართალი. ძირითადი უფლებების, როგორც ბუნებითი უფლებების, ცნება არის უძველესი, დღესაც უშიშრე კენელოვანესი და იმავდროულად ურთულესი ცნება ადამიანის უფლებებისა. მათი პრობლემატიკა უფრო ნათლად ჩანს კითხვების დასმით: არსებობს თუ არა უფლებები, რომლებიც ადამიანის დაბადებასთან ერთად ჩნდება? რომლებიც ადამიანებს აქვს იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან და რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაცული და აღიარებული უნდა იყოს? რომლებსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგრამ რომელთა არც მინიჭება შეუძლია და არც ჩამორთმევა? აქვს თუ არა ამ უფლებებს უფრო მეტი ავტორიტეტი და ძალა, ვიდრე სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს იმ თვალსაზრისით, რომ ამ უფლებებსა და კანონს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში ეს უკანასკნელი ძალას კარგავს და აღარ მოქმედებს? *ჯონ ლოკს* ამ კითხვებს დადებითი პასუხი ვასცა. ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც ბუნებითი უფლებების, იდეა მე-17 საუკუნეში სწორედ მან განავითარა. ლოკი აცხადებდა, რომ ძირითადი უფლებები უნივერსალური, „*აღრესბელმწიფოკრივი*“ უფლებებია, ამიტომ სახელმწიფოს არა აქვს ადამიანებისათვის მათი მინიჭების ან ჩამორთმევის უფლება. ადამიანს ეს უფლებები სახელმწიფოს შექმნამდე ჰქონდათ, რადგან ისინი „*ბუნების კანონიდან*“ გამოიღინარეობს. ყოველ ადამიანს თავისი გონის მეშვეობით შეუძლია „*ბუნების კანონის*“ შეცნობა, რომელიც მთელი კაცობრიობის შენარჩუნებას მოიხსოვს. „*ბუნების კანონიდან*“ ლოკმა გამოყო სამი ე.წ. საკუთრების უფლება (*property*): სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება (*life, liberty and estate*). სახელმწიფოს მოვალეობაა დაიცვას ეს უფლებები. მათი შეზღუდვის შემთხვევაში მოქალაქეს აქვს წინააღმდეგობის გაწევის უფლება. ეს ყველაფერი უნდა აისახოს *საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში*.

ლოკის იდეები ყველაზე სრულყოფილად აისახა ეირჯინის 1776 წლის დეკლარაციაში, რომელსაც საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია მოჰყვა. დღეს ყველა აღიარებს, რომ ძირითად უფლებათა პირველი აქტებისა და დეკლარაციების საფუძველი ბუნებითი სამართალია. აღნიშნული საერთაშორისო დეკლა-

რაციები და დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ცნობენ და იცავენ ამ უფლებებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს...“.

მართალია, ზემოხსენებულ კითხვებზე დღეს სამართლის ფილოსოფოსთა და მეცნიერ-იურისტთა უმრავლესობას დადებითი პასუხი აქვს, მაგრამ გასულ საუკუნეებში ძირითად უფლებათა და ზოგადად სამართლის შესახებ სრულიად განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა.

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ადამიანები ცდილობდნენ პასუხი გაეცათ რამდენიმე კითხვისათვის, რომელთა შორის ყველაზე საკამათო იყო კითხვები სამართლისა და მორალის შესახებ. რა არის სამართალი და რა არის მორალი? შეიძლება თუ არა მორალურად არასწორი სამართლებრივად სწორი, ანუ სამართლიანი იყოს? ამ კითხვებზე განსხვავებული პასუხები ჰქონდათ ბუნებითი და პოზიტიური სამართლის სკოლათა წარმომადგენლებს. პოზიტიური სამართლის წარმომადგენლები (პოზიტივისტები) მკაცრად ყოფდნენ ერთმანეთისაგან სამართალსა და მორალს და მიაჩნდათ, რომ სამართალი არის მხოლოდ პოზიტიური სამართალი, ანუ სამართლის ნორმები, რომლებიც არსებობს და მოქმედებს. ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთა აზრით კი, სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მოქმედი, როცა იგი არ ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ მორალურ პრინციპებს.

საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ამ თეორიულ დავაში გამოიკვეთა მხარეთა ძირითადი არგუმენტები. პოზიტივისტებში სამი მთავარი მოსაზრება დამკვიდრდა. პირველი მათგანის მიხედვით, სამართალი არის მხოლოდ ის, რაც დადგენილია (გამოცემულია) სახელმწიფოს მიერ (ამ მოსაზრების კლასიკური წარმომადგენელია თომას ჰობსი „ნორმები, რომლებიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ, არის სამართალი“); მეორე მოსაზრების თანახმად, სამართალი არის მხოლოდ ის, რასაც ემორჩილებიან მოქალაქეები და რასაც იყენებს სახელმწიფო (ამ მოსაზრების კლასიკური წარმომადგენელია მესს ვებერი, რომელიც აცხადებს, რომ სამართლის ნორმები, რომლებიც მხოლოდ ფურცელზე არსებობს, ანუ რომლებსაც არ ასრულებენ მოქალაქეები და არ იყენებს სახელმწიფო

(ადმინისტრაცია და სასამართლო), არ არის სამართალი); *მესამე თვალსაზრისით* მიხედვით კი, სამართალი არის მხოლოდ ის, რაც მოქალაქეებისა და სახელმწიფოს მიერ ერთხმად აღიარებულია ძირითად წესებად (ამ მოსაზრების კლასიკური წარმომადგენლის *ერნსტ რუდოლფ ბიურლინგის* აზრით, სამართალი არის ყველაფერი ის, რასაც ადამიანები აღიარებენ სავალდებულო წესებად).

ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ბუნებითი სამართალი მოიცავს უზენაეს პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც პოზიტიური სამართლის საფუძველია.

ბუნებითი (=ზეპოზიტიური) სამართალი
(მაგალითად: სამართლიანობა)

პოზიტიური სამართალი
(მაგალითად: კონსტიტუცია)

ანტიკური პერიოდის უდიდეს ფილოსოფოსთა (*კერაკლიტე, პლატონი, არისტოტელე*) აზრით, ყველაფერი სამართლიანი „ბუნებითი“ იყო. პლატონი აცხადებდა, რომ „სამართლიანი სამართალი არის ღვთიური წესრიგი“. სტოელების ფილოსოფიური მიმდინარეობა (*ცაცერონი, სენეკა, მარკუს აერელიუსი*) ბუნებით სამართალს ყველა ადამიანზე (მოქალაქეებსა და უცხოელებზე) ავრცელებდა. მათი აზრით, „*ius naturale*“ ადამიანთა გონში იყო ასახული, „*ius civile*“ კი მოქმედებდა მხოლოდ რომის მამაკაც მოქალაქეთა შიგნით.

შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა შეხედულებით, პოზიტიურ და ბუნებით სამართალთან ერთად არსებობდა აგრეთვე ღვთიური (საღვთო = მარადიული) სამართალი. *ნეტარი ავგუსტინე* და *თომა აკვინელი* აცხადებდნენ, რომ ნებისმიერი პოზიტიური სამართალი, რომელიც ბუნებით ან საღვთო სამართალს ეწინააღმდეგება, არ არის სამართლიანი და ადამიანებს შეუძლიათ არ დაემორჩილონ მას. *მარტინ ლუთერის* რეფორმატორული იდეების შემდეგ, რომელიც აცხადებდა, რომ სამართალს ბუნებითი საფუძველი კი არა აქვს, არამედ მეცნიერებისაგან არის შექმნილი, *ჰუგო გრაციუსმა* განავითარა იდეა, რომლის მიხედვითაც, სამართალს ბუნებითი საფუძველი აქვს, მიუხედავად იმისა, ღმერთი

არსებობს თუ არა. ანუ “სამართლიანი სამართლის” საფუძველი თავად ადამიანის კვირიული ბუნებაა. სწორედ ამ იდეაზე დაყრდნობით შექმნა *კან კაკ რუსომ* სოციალური ხელშეკრულების თეორია.

პოზიტივისტთა და ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთა შორის მიმდინარე ამ თეორიული დავის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი ზოგადი შეხედულება: „ბუნებით სამართალს“ ჩვენ ვერ ენახეთ კანონთა კრებულებში, ასევე შეუძლებელია მისი კოდიფიცირება. იგი ცალკეული, უზენაესი (ზეპოზიტიური) პრინციპების ერთობლიობაა. თუმცა ამის შესახებ თვით ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთა შორისაც არ იყო სრული თანხმობა. აქაც გამოიკვეთა სამი ძირითადი მოსაზრება. *პირველი მათგანი*ს თანახმად, სამართალი არის მხოლოდ ის, რაც არ ეწინააღმდეგება ადამიანთა ბუნებას; *მეორე მოსაზრება* სამართლად აღიარებს მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც ღვთიურ ძალებთან ადამიანის ურთიერთობას არ ეწინააღმდეგება; *მესამე თავდასაზრისის* მიხედვით კი, სამართალი არის მხოლოდ ის, რაც არ ეწინააღმდეგება გონიერებასა და ზომიერებას.

მე-18-მე-19 საუკუნეებში პოზიტიური სამართლის შეხედულებანი გაბატონდა. სამართლის ისტორიული სკოლის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა *ფრიდრიხ კარლ ფონ სავინიმ* ბუნებით სამართალს ყილოსოფოსთა „უსაფუძვლო ქედმაღლობა“ უწოდა. მისი აზრით, სამართალი „ხალხის სულისაგან“ გამომდინარე ძალებით იყო გაუღუნთილი. *ანსელმ ფოიერბახმა* სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა განავითარა, *ჰანს კელზენმა* კი (მე-20 საუკუნის დასაწყისში) განაცხადა, რომ ყოველი ნორმის საფუძველია არა ბუნებითი სამართალი, არამედ „ძირითადი (პოზიტიური) ნორმა“.

ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთა უმთავრესი არგუმენტი პოზიტივისტთა წინააღმდეგ არის ნორმათა *სამართლიანობის* საკითხი. მაგალითად, რაღენად სამართლიანი იყო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფაშისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირში მიღებული საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზედაც მილიონობით ადამიანი იქნა გადასახლებული და დაზარეული? ამ კითხვის საფუძველზე ჩამოყალიბდა პოზიტივისტთა წინააღმდეგ მიმართული ე.წ. არასამართლიანობის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია არსებობდეს ნორმები ან ნორმათა სისტემები, რომლებიც

იმდენად უსამართლოა, რომ მათ არ შეიძლება ჰქონდეს მოქმედი და საეკლესიო-სამართლო ნორმების ანუ სამართლის ძალა. მე-20 საუკუნის შუა ხანებში ეკლესიის რადიკალური შეცვლა ერთმანეთთან დაეკავშირებინა პოზიტივისტთა და ბუნებითი სამართლის წარმომადგენელთა მოსაზრებები. მან ჩამოაყალიბა ე.წ. რადიკალური ფორმულა: „კონფლიქტი სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის შეიძლება მოწესრიგდეს იმ მხრივ, რომ პოზიტიურ, კანონითა და ძალაუფლებით უზრუნველყოფილ სამართალს უპირატესი ძალა აქვს მაშინაც, როცა იგი შინაარსობრივად არასამართლიანი და მიზანშეუწონელია, ვარდა იმ შემთხვევებისა, როცა პოზიტიური კანონის შეუსაბამობა სამართლიანობასთან იმდენად გაუსაძლის ზომებს იღებს, რომ კანონმა, როგორც „არასამართლიანმა სამართალმა“, უკან უნდა დაიხიოს სამართლიანობის წინაშე“. ამ ფორმულის პირველ ნაწილში რადიკალი „პოზიტივისტია“; პოზიტიურ სამართალს აქვს გენერალური უპირატესობა, განურჩევლად იმისა, სამართლიანია იგი თუ არა; მეორე ნაწილში კი ის „ბუნებითი სამართლის წარმომადგენელია“; თუკი კანონი უსაფრთხოდ არასამართლიანია, მაშინ იგი აღარ არის „სამართლიანი სამართალი“.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში, გერმანიასა და საბჭოთა კავშირში განვითარებული ისტორიული მოვლენებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუნებითი სამართლის პოზიციები გაძლიერდა. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, იგი „დაბრუნდა“, პოზიტიური სამართლის მიმართ ზეპოზიტიური პრინციპის – სამართლიანობის უზენაესობა ყველამ აღიარა. პოზიტიური და ბუნებითი სამართლის სკოლებს შორის მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრებული ურთიერთობების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. კედლის დამკვეთთა სასამართლო პროცესი.

როგორც ცნობილია, 1961-დან 1989 წლამდე დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია, აგრეთვე დასავლეთი და აღმოსავლეთი ბერლინი გაყოფილი იყო კედლით. ამ კედელს უნდა შეეჩერებინა სოციალისტური გერმანიის მოქალაქეები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადასვლისაგან. კედლის არსებობის მანძილზე აღმოსავლეთგერმანელი მესაზღვრეების მიერ მოკლულ იქნა კედლის გადალახვის მსურველი 264 მოქალაქე. ზოგიერთი მათგანი კედელთან განთავსებულ ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღებზე აფეთქდა, ზოგიერთი ავტომატის ჯერით

მოკლეს, ზოგიერთ დაჭრილს კი რამდენიმე საათი არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და ისინი სისხლდენისაგან დაიღუპნენ. მესა-ზღვრეები ამისთვის შედეგებითა და პრემიებით ჯილდოვდებოდნენ, რადგან პირნათლად ასრულებდნენ ბრძანებას – ყველა საშუალებით აღეკვეთათ საზღვრის გადალახვის მცდელობა.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, 1997 წელს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა კითხვისათვის: სამართლიანი იყო თუ არა კედლის გადალახვის მცდელობისას ადამიანთა მკვლელობა და უნდა გვესამართლებინა თუ არა ერთიანი გერმანიის ხელისუფლებას „კედლის დამცველი“ მესაზღვრეები. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით კედლის გადალახვის ანუ საზღვრის გადაკვეთისა და გაქცევის მსურველთა განადგურება არ ითვლებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად. დასაშვები იყო თუ არა ამ კანონმდებლობის გამოცხადება არასამართლიანად? თუ კანონის უკუძალის პრინციპს გავითვალისწინებთ – არა. მაგრამ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში დაარღვია კანონის უკუძალის პრინციპი, დაეყრდნო ზემოთ მოცემულ „რადბრუხის ფორმულას“ და განაცხადა, რომ *სამართლიანობის ელემენტარული მოთხოვნებისა და საერთაშორისო სამართლით დაცული ადამიანის უფლებების სრულიად აშკარა და უმძიმესი დარღვევის გამო მოქალაქეთა წინასწარგანზრახული მკვლელობა ამსოლუტურად არასამართლიანი და დაუშვებელი იყო*. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა „კედლის დამცველთა“ გასამართლება.

ზემოთ აღწერილი თეორიული დავა დღესაც გრძელდება, მაგრამ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი მდგომარეობა და თუნდაც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის დებულებები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აღენიშნოთ: დღეს ბუნებითი სამართლის პრინციპები და პოზიტიური სამართალი ერთმანეთს ავსებენ. ეს არა მხოლოდ ადამიანთა და მათ წარმოშობადგენელთა – პოლიტიკოსთა მოჩლომების, არამედ საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე ფაქტობრივი დაპირისპირების განვითარების შედეგია: *მარლ მონტესკიეს* სკლისუფლების განაწილების თეორია, *ჯონ ლოკის* თავისუფლების

იდეა, იმართულ კანტის ღირსების პრინციპი და შრავალი სხვა მოსაზრება წარმოადგენს მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა და, მათ შორის, საქართველოს თანამედროვე სამართლებრივი სისტემის საფუძველს.

4) *გისკორცუ* ძირითად უფლებათა ცნება და სახეები

ა) ძირითად უფლებათა ცნების ელემენტები

ძირითადი უფლებები სამართლებრივი სისტემის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული მე-7 მუხლით, რომელიც ძირითად უფლებებს „უშუალოდ მოქმედ სამართალს“ უწოდებს. წმინდა სამართლებრივი ენით რომ ეთქვას, ისინი „ობიექტურ სამართალს“ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს რამდენიმე სახელმწიფოს კონსტიტუცია შეიცავს ძირითად უფლებებს მხოლოდ პროგრამის, რეკომენდაციების, მიზნების მნიშვნელობით.

ძირითადი უფლებები პერსონალურ პრეტენზიას (მოთხოვნას) წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს: ყველას, ვინც ფიქრობს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ დარღვეულია მისი ძირითადი უფლება, შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მ. 89, პ. 1, ქვპ. „ვ“). ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ძირითად უფლებებს პატივი უნდა სცენ არა მხოლოდ მათ, ვინც ვალდებულია (საჯარო ხელისუფლებამ), არამედ თვით ამ უფლებებით აღჭურვილმა ადამიანებმაც, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს დახმარებით შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთ უფლებათა დაცვა და დაფასება. ამდენად, ძირითადი უფლებები *სუბიექტური უფლებებია*.

ზემოთქმულიდან უკვე იკვეთება ძირითად უფლებათა მთავარი არსი: ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსაგან *ადამიანის დამკავი უფლებებია*. ისინი იცავენ ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ჩარევისაგან და ამით უზრუნველყოფს ადამიანებისათვის ცხოვრების (სახელმწიფოსაგან) თავისუფალ სფეროებს. ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს, სახელმწიფო ხელისუფლებას და გამორიცხავს იმას,

რომ ხელისუფლებას ყველაფერის უფლება აქონდეს. თუ კარგად დაუუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ძირითადი უფლებების ეს მიზანი (სახელმწიფოს შებოჭვა) მათი ისტორიული განვითარების თავისებურებიდან გამომდინარეობს და დღესაც მათ ტიპურ ფუნქციას წარმოადგენს.

ძირითადი უფლებები ავადდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ დებულების სამართლიანობა გამომდინარეობს ძირითადი უფლებების ისტორიული ფუნქციიდან, ზემოთ ციტირებული კონსტიტუციის მე-7 მუხლის ნორმიდან და პრაქტიკული მოსაზრებიდან. სახელმწიფოს ეს ვადდებულება მოქმედებს როგორც *ნეგატიური* (სახელმწიფოს მიერ რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება), ისე *პოზიტიური* (მოქალაქეთათვის სამსახურის გაწევა და მათი ძირითადი უფლებების აქტიური დაცვა) თვალსაზრისით. მაგალითად, საჯარო მოსამსახურეს არა აქვს უფლება, თვითნებურად შეაწუხოს ან რაიმე უპირატესობა მიანიჭოს მოქალაქეს. რაკი ძირითადი უფლებები სახელმწიფოს ზღვდავს და არა კერძო პირებს, მათ *საჯარო უფლებებსაც* უწოდებენ.

ძირითადი უფლებები კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია: ადამიანები ფლობენ მრავალ სუბიექტურ უფლებას სახელმწიფოს მიმართ, მაგალითად, ზედმეტად გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნების, ანაზღაურების უფლებას, მაგრამ ეს არ არის ძირითადი უფლება. ძირითადი მხოლოდ ის უფლებებია, რომლებიც კონსტიტუციით არის გარანტირებული. ამდენად, საქართველოში არ არსებობს, მაგალითად, შრომის ძირითადი უფლება, რადგან სათანადო ფორმულირება კონსტიტუციაში არ არის (კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ პუნქტში მხოლოდ აღნიშნულია, რომ „შრომა თავისუფალია“). თუმცა, ბევრი მეცნიერის აზრით, გარკვეული უფლებები, რომლებიც არ არის შეტანილი ძირითადი უფლებების კატალოგში, მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც შეიძლება ჩაითვალოს ძირითად უფლებებად, უფრო ზუსტად – ძირითად უფლებათა თანაბარ (მსგავს) უფლებებად.

ბ) ძირითად უფლებათა დაჯგუფების პრინციპები

ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სახელმწიფო ხელისუფლებაზე ორიენტირების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ძირითად უფლებათა დაყოფის საფუძველია საკითხი, თუ რა უნდა გააკეთოს, რა უნდა მოითმინოს და რა არ უნდა გააკეთოს კალდებულმა, ანუ სახელმწიფო ხელისუფლებამ. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად შეიძლება გამოიყოს:

1. თავისუფლების უფლებები

თავისუფლების უფლებების მიზანია, უზრუნველყონ ადამიანისათვის სახელმწიფოსაგან თავისუფალი სფერო. მათ ე.წ. „ნეგატიური სტატუსი“ აქვთ (*status negativus*), რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს არავითარი ინტერვენცია ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. თავისი კანონებით სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ შესამე პირიც პატივს სცემდეს ამ უფლებებს, რომლებსაც მიეკუთვნება: ადამიანის ღირსება, სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუვალობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის, ინფორმაციის, აზრისა და პრესის, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებები.

2. სამოქალაქო უფლებები

ძირითადი უფლებების პირველი კატელოგები თავისუფლების უფლებებთან ერთად შეიცავდა ე. წ. სამოქალაქო (იგივე პოლიტიკურ) უფლებებს, რომლებსაც ე.წ. „აქტიური სტატუსი“ აქვს – სამოქალაქო უფლებებით ხორციელდება ზემოქმედება სახელმწიფოზე (*status activus*). მაგალითად, პარლამენტმა უნდა მოითმინოს და აიტანოს ახალი არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება დეპუტატების პარლამენტის წევრობის საკითხი. საყურადღებოა, რომ თავისუფლების უფლებები შესაძლოა ავტორიტარულ სახელმწიფოშიც არსებობდეს, რომელიც ხელისუფლების დანაწილებას არ ცნობს, მაგრამ სამოქალაქო უფლებების იქ არსებობა გამოირიცხვლია. უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო უფლებებია საარჩევნო უფლება. თუმცა ასევე ცხადია, რომ თავისუფალი არჩევნები მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა სახეზეა ინფორმაციის, აზრისა და პრესის, შეკრებებისა და გაეროიანების თავისუფლებები.

3. სოციალური უფლებები

სოციალური უფლებების პირველი ფორმულირება მოხდა მე-19 საუკუნეში ე.წ. ძმობის სულის გავლენით. ეს უფლებები, რომლებსაც ე.წ. „პოზიტიური სტატუსი“ აქვს, ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს სჭირდება (*status positivus*). აქ უპირველესად იგულისხმება საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი. ძირითად უფლებათა ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოთ აგრეთვე განათლების, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებები.

მეცნიერ-იურისტთა გაბატონებული შეხედულებით, ძირითადი უფლებების უკეთ შესასწავლად მიზანშეწონილია მათი დაჯგუფება **დაცული სამართლებრივი სიკეთის** მიხედვით. ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ძირითადი უფლებების შინაარსის უკეთ გასაგებად, არამედ მათი დარღვევის შემოწმების პროცესისთვისაც. აღნიშნული დანაწილების მიხედვით გამოიყოფა:

ა. თავისუფლების უფლებები

ძირითადი უფლებების უმეტესი ნაწილი ე.წ. *თავისუფლების უფლებებს* წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, ისინი ადამიანებისათვის უზრუნველყოფს საქმიანობისა და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო ან საერთოდ ვერ ერევა ან ერევა სპეციალური დასაბუთებით – მხოლოდ კანონის საფუძველზე ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში და შესაბამისი წესით.

ბ. თანასწორობის უფლებები

თანასწორობის უფლებები წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ სახელმწიფო თანასწორად მოეპყრას თავის მოქალაქეებს. დაუშვებელია ადამიანისათვის უსაფუძველო უპირატესობის მინიჭება ან სხვებთან შედარებით მისი უარეს მდგომარეობაში ჩაყენება. სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოეპყრას ადამიანებს უთანასწოროდ, როცა ამისთვის აქვს განსაკუთრებული საფუძველი (იურიდიულად ეს შეიძლება ასეც ვთქვათ: როცა სახელმწიფოს აქვს დიფერენცირების

არსებითი საფუძველი). ამასთან, კანონის წინაშე თანასწორობა ვრცელდება ყველა სფეროზე.

გ. საპროცესო უფლებები

საპროცესო უფლებები, რომლებსაც “მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც” უწოდებენ, უპირველესად უზრუნველყოფს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, დაცვის უფლებას, აგრეთვე განსაზღვრავს დაკავებისას, დაპატიმრებისას და თავისუფლების შეზღუდვის შემდეგ ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძვლებს.

გ) ადამიანის უფლებები და მოქალაქის უფლებები

ზემოთ მოცემული დაჯგუფებების გარდა, ყოველი სახელმწიფოს კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები შეიძლება დაიყოს აგრეთვე იმის მიხედვით, თუ ვის შეუძლია მათი გამოყენება – ყველა ადამიანს თუ მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს. საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს; იმავედროულად აღიარებულია ისეთი უფლებებიც, რომლებსაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ფლობენ. ამ დაყოფის მიხედვით პირველი ჯგუფის უფლებებს ეწოდება **ადამიანის უფლებები**, მეორე ჯგუფისას კი – **მოქალაქის უფლებები**, რაც არ უნდა აგვერიოს ზემოთ აღწერილი პირველი პრინციპის საფუძველზე განხორციელებულ დაყოფაში მოცემულ **სამოქალაქო უფლებებში**. რომელია ადამიანის უფლებები, ამის განსაზღვრა ძნელი არ არის. აქ შეიძლება დავასახელოთ, **შეკრუთად**, ადამიანის ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, სიცოცხლის უფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლებები, აზრის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და ა.შ. მოქალაქის უფლებათა ჯგუფში კი შედის პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის უფლება, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის დაუშვებლობა, საქართველოს მოქალაქის გაძევების დაუშვებლობა, საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავებისას, რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

თავისუფლების უფლებები	თანასწორობის უფლებები	საპროცესო უფლებები
<p>ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ჩარევისაგან თავისუფალი სფეროები</p>	<p>სახელმწიფოს მიერ ადამიანთა თანასწორი მოპყრობის გარანტია</p>	<p>ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტია</p>
<p>1) მ. 19: სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებები;</p> <p>2) მ. 20, პ. 1: პირადი ცხოვრებას, მიმოწერისა და შეტყობინებათა ხელშეუხებლობა;</p> <p>3) მ. 20, პ. 2: საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება;</p> <p>4) მ. 21: საკუთრების უფლება;</p> <p>5) მ. 22: თავისუფალი მოძოვლისა და საცხოვრებლის თავისუფალი არჩევის უფლება;</p> <p>6) მ. 23: ხელოვნების თავისუფლება;</p> <p>7) მ. 24: აზრის, ინფორმაციის, პრესისა და ელექტრონული მედიის თავისუფლებები;</p> <p>8) მ. 25: შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება;</p> <p>9) მ. 26: გაერთიანებების თავისუფლება;</p> <p>10) მ. 16: საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება.</p>	<p>1) მ. 14: კანონის წინაშე ყველას თანასწორობა (თანასწორობის საყოველთაო უფლება);</p> <p>2) მ. 14: ყველას თანასწორობა სქესის, წარმოშობის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენის, კონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების განურჩევლად;</p> <p>3) მ. 38: საქართველოს ყველა მოქალაქის სამოქალაქო თანასწორუფლებიანობა;</p> <p>4) მ. 28, პ. 1: საქართველოს მოქალაქეთა თანასწორი საარჩევნო უფლება.</p>	<p>1) მ. 40: უდანაშაულობის პრეზუმფცია;</p> <p>2) მ. 42, პ. 1: სსსპროლოსთვის მიმართვის უფლება;</p> <p>3) მ. 83: საგანგებო ან საეციკალური სასამართლოების აკრძალვა;</p> <p>4) მ. 42: ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ძირითადი უფლებები.</p>

დაცულ პირთა წრე

საქართველოს მოქალაქის უფლებები	ადამიანის უფლებები
<ol style="list-style-type: none"> 1. მ. 26, პ. 2: საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის უფლება. 2. მ. 32: სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. 3. მ. 13, პ. 2: დაუშვებელია საქართველოს მოქალაქისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა. 4. მ. 13, პ. 3: დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან. 5. მ. 38, პ. 1: საქართველოს მოქალაქეები თანასწორუფლებიანნი არიან. 6. მ. 28: საქართველოს მოქალაქეებს აქვთ თანასწორი საარჩევნო უფლება 7. მ. 29: საქართველოს მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების თანასწორი უფლება 	<p>ყველა დანარჩენი ძირითადი უფლება</p> <p>მ. 47, პ. 2: „პოლიტიკური თავშესაფრის უფლება“ - არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე.</p>

ამ საკითხს უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.“ კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანამართი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“ ამ დებულებების შესაბამისად საქართველოში უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, საქართველოში უცხოელებად ითვლებიან:

„ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი);

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც აქვთ უცხო სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (უცხო სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი).“

აღნიშნული კანონი, საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ დებულებათა შესაბამისად, განსაზღვრავს აგრეთვე საქართველოში მყოფ უცხოელთა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს (მუხლები 7-22), საქართველოში უცხოელთა შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის ძირითად წესებს (მუხლები 23-27), აგრეთვე ადგენს უცხოელთა პასუხისმგებლობის საფუძვლებს (მუხლები 28-31).

ენციკლოპედია წ. ძირითადი უფლებების ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

ა) ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს ბოქვა

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სცილდება მის ზემოხსენებულ ფორმალურ მახასიათებლებს. იგი გაცილებით მეტია, ვიდრე პიროვნების თავისუფლებას განსამტკიცებლად შექმნილი სამართლებრივი ტექნიკის ელემენტე-

ბის სისტემა. სამართლებრივი სახელმწიფო მოიცავს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ იმპედროულად მატერიალურ წესრიგს, რომლის საფუძველიც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების უშუალოდ მბოჭავი ადამიანის ძირითადი უფლებებია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლს. მასში მოცემული დებულება კონსტიტუციის უდიდესი მონაპოვარია. აღნიშნული დებულების მიხედვით, საქართველოს „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. ცხადია, რომ ამ დებულების საფუძველი, ისევე როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა აღიარებული სხვა ისტორიული დოკუმენტებისა, ბუნებითი სამართალია. საქართველო აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც ადამიანის ბუნებრივ (ბუნებით) უფლებებს, რომლებიც მას აქვს იმიტომ, რომ ადამიანია. ეს უფლებები ადამიანის დაბადებასთან ერთად წარმოიშობა, ზოგიერთი მათგანი კი ჯერ კიდევ დედის წიაღში მყოფ ნაყოფსაც (nasciturus) აქვს. შესაბამისად სახელმწიფოს არ შეუძლია წაართვას ან მიანიჭოს ისინი ადამიანს; სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებებს და იმპედროულად უზრუნველყოს ისინი. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მოქმედი სამართლის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ, უშუალოდ მოქმედებს და შესაბამისად ობიექტურ სამართალს წარმოადგენს, განსხვავებით ზოგიერთი სხვა (მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რამდენიმე მხარის) კონსტიტუციისაგან, რომლებშიც ადამიანის უფლებები მხოლოდ პროგრამული, დეკლარაციული ხასიათისაა. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულების შესაბამისად, ამ უფლებებით შეზღუდულია არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ ხალხიც, რომელიც თავისი ნების გამოხატვისას ვალდებულია გაითვალისწინოს ისინი და ყოველი კონკრეტული საკითხი მათ შესაბამისად გადაწყვიტოს. ძირითად უფლებებსა და სახელმწიფოს ნებისმიერ აქტს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ძალას კარგავს და არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ აქტად.

როგორც აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ნიშნავს; საკანონმდებლო ხელისუფლება შებოჭილია კონსტიტუციით, უფრო კონკრეტულად – კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება კი – კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ სამართლით. „ხელისუფლების მბოჭავ“ ნორმებში, უპირველეს ყოვლისა, ისევე ადამიანის ძირითადი უფლებები უნდა ვიგულისხმოთ. სწორედ ისინი ბოჭავს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. აღმასრულებელი ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს მოქმედი სამართლის ნორმებზე, ანუ კანონებზე, მაგრამ თვით ამ კანონების მიღებისას საკანონმდებლო ხელისუფლება შეზღუდულია ძირითადი უფლებებით, რადგან ყველა კანონი სწორედ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს უნდა შეესაბამებოდეს. ასევე შეზღუდულია სასამართლო ხელისუფლებაც, რომელმაც ისე უნდა განმარტოს და გამოიყენოს კანონის ნორმები, რომ არ დაირღვეს ძირითადი უფლებები. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ კანონის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს მოქალაქეთა თავისუფლებაში ან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამისთვის კანონით იქნება უფლებამოსილი. თანაც, როგორც უკვე აღინიშნა, თავად კანონი და კანონის ნორმათა გამომყენებელი სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არსს.

ძირითადი უფლებების უშუალო და პირდაპირი მოქმედება განსაკუთრებით ნათლად ჩანს იქ, სადაც ყველაზე ხშირია სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა პირადი თავისუფლების სფეროებში ჩარევის შემთხვევები: სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლების დებულებებით აღიარებულია ადამიანის ძირითადი საპროცესო უფლებები. დაუშვებელია, საგამოძიებო ორგანოები და სასამართლო მრეპყრან ადამიანს, როგორც შიშველ ობიექტს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სისხლის სამართლის სფეროში გამოიხატება შემდეგნაირად:

ა. ყოველი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი სამართლიანი უნდა იყოს და შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავის ბრალს. აქ განსაკუთრებით მკვეთრად ელმინდება ზემოხსენებული *ზოძიერების*, ანუ *შესაბამისობის* პრინციპის მნიშვნელობა. იგი კრძალავს შეუსაბამო, გადაჭარბებული და სასტიკი სასჯელის გამოყენებას. იგივე არის განმტკიცებული კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაუმანური, სასტიკი ან ჰატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“;

ბ) ყოველი სასჯელის უცილობელი წინაპირობაა ბრალის არსებობა („*nulla poena sine culpa*“). ყოველი ადამიანი უნდა დაისჯოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ბრალეულად ჩაიდინა. თუ პირს ბრალი არ მიუძღვის, მისი დასჯა დაუშვებელია;

გ. „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დატკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“ (უდანაშაულობის პრეზუმეცია – მ. 40, პ. 1);

დ) „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ („*ne bis in idem*“ – მ. 42, პ. 4);

ე) „არავინ არ აეკბს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“ („*nulla poena sine lege*“ – მ. 42, პ. 5, წინ. 1).

3.4.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ვალდებული არიან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში გაითვალისწინონ ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი მნიშვნელობა და მოქმედების ძალა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ უფლებათა გათვალისწინება სასამართლო ხელისუფლების მიერ, რადგან სწორედ საერთო სასამართლოები იყენებენ მოქმედ სამართალს, იხილავენ და წვევტენ მოქალაქეთა შორის, მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანოებს შორის დავათა უდიდეს ნაწილს. მათი გადაწყვეტის პროცესში სამართლის ნორმათა განმარტებისა და გამოყენების დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ კონსტიტუციის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებით შექმნილი ღირებულებათა სისტემა. საქართველოს კანონმდებლობით, საქმის საპროცესო მხარე, თავად პროცესი, მოცემული საქმის

შინაარსის შეფასება, ვარემოებათა ანალიზი, სამართლის ნორმათა განმარტება და გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი საერთო სასამართლოს კომპეტენცია. მაგრამ სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ძირითად უფლებათა მნიშვნელობა საქმეთა განხილვისას და კონკრეტულ ნორმათა გამოყენებისას. ეს აუცილებელია იმ შემთხვევებშიც, როცა საქმე ეხება სამოქალაქო-სამართლებრივ დავას ორ (ფიზიკურ თუ კერძო სამართლის იურიდიულ) პირს შორის. მიუხედავად იმისა, რომ, საყოველთაოდ გაბატონებული შეხედულებით, ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს და არა მოქალაქეთა (ან მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა) შორის ურთიერთობებში, იმავე გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ძირითადად უფლებები ავითარებს ე.წ. *შუალობითი (არაპირდაპირი)* მოქმედების ძალას ასეთ ურთიერთობებზე. შესაბამისად, ამ შემთხვევებშიც სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტება, გამოყენება და შეფარდება ორიენტირებული უნდა იყოს ძირითადი უფლებების მნიშვნელობასა და შინაარსზე. კონსტიტუციური ნორმები ირღვევა მაშინ, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში იკვეთება ნორმათა განმარტებისას დაშვებული შეცდომა, რომელიც გამოწვეულია კონკრეტული ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და გამოსაყენებელ საკანონმდებლო ნორმებზე მისი ზეგავლენის ძალის, განსაკუთრებით კი ამ უფლებით დაცული სფეროს ფარგლების მცდარი შეფასებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: თუ სასამართლო ცდება და საქმის განხილვისას ძირითადი უფლებების ნამდვილ შინაარსს, სამართლის ნორმებზე მათი ზემოქმედების ძალას მართებულად ვერ აფასებს, ეს ნიშნავს, რომ საერთო სასამართლო, როგორც საჯარო ხელისუფლების მფლობელი, უყურადღებოდ ტოვებს ძირითადი უფლების მნიშვნელობას, ამის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება კი არღვევს ამ უფლებას, ამიტომ ეს გადაწყვეტილება გაუქმებული უნდა იქნეს ზემდგომი ინსტანციის კომპეტენტური სასამართლოს მიერ. **7**

ბ) ძირითად უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციით ზოგიერთი ძირითადი უფლებისათვის არ არის დადგენილი შეზღუდვის საფუძველი. ასეთი ძირითადი უფლება

აბსოლუტურად უზრუნველყოფილად ითვლება და სახელმწიფოს არც ერთ შემთხვევაში, თვით კანონის საფუძველზეც კი არ შეუძლია ამ უფლების შეზღუდვა. *მაგალითად*, ინტელექტუალური შემოქმედების ანუ ხელოვნების თავისუფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. კონსტიტუციით შეზღუდვა დაწესებულია მხოლოდ შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელებაზე: გავრცელება შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არღვევს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს. რაც შეეხება თავად შემოქმედებით პროცესს, მასში ჩარევა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. ასეთი აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ისევ და ისევ მხოლოდ სხვა ძირითად უფლებასთან კონფლიქტის დროს, როცა კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ აბსოლუტურად უზრუნველყოფილ ძირითად უფლებასთან კოლიზირებულ, არანაკლები მნიშვნელობისა და მოქმედების ძალის მქონე ძირითად უფლებას უნდა მიენიჭოს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ძირითადი უფლებების უმრავლესობა შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ, მაგრამ ამისათვის სახელმწიფომ უნდა დაიცვას რამდენიმე აუცილებელი პირობა. უპირველეს ყოვლისა, (1) *შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე*. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, თავად კანონი და კანონის ნორმათა გამოყენებელი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არსს. გარდა ამისა, თავად კანონი უნდა იყოს ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მისი ნორმები – ცხადი, კონკრეტული და არაორაზროვანი, კანონის ნამდვილი აზრი – ადვილად მისახვედრი და გასაგები, მისი დარღვევის შედეგები კი – ადვილად განჭვრეტადი; (2) ძირითადი უფლებების კანონის საფუძველზე განხორციელებული შეზღუდვა უნდა იყოს *აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის*. საქართველოს კონსტიტუცია პარდაპირ მიუთითებს ამ აუცილებლობაზე (მაგალითად, 22-ე მუხლის მე-3 და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტებში), რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ძირითად უფლებათა შესაზღუდავ დაყვანოს ზოგად აუცილებლობას; *შეზღუდვა გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს, თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების შენარჩუნებისა და არსებობის აუცილებლობით*. გარდა ამისა,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტერმინი „აუცილებელი“ არ არის „ხაჭიროს“ სინონიმი; მას ასევე არა აქვს ისეთი გამოთქმების მნიშვნელობა, როგორებიცაა: „დასაშვები“, „მისაღები“, „საკმარისი“ ან „სასურველი“. თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, თავის მხრივ (როგორც ზემოთ აღინიშნა), გამოირჩევა ყოველგვარ ტოტალიტარულ და ძალმომრეობით მმართველობას და წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის სისტემას. იგი ეფუძნება მოქმედი უმრავლესობის ნებას, შესაბამისად ხალხის თვითგამორკვევას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ამ წყობილების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი კი კონსტიტუციით აღიარებული და კონკრეტიზებული ადამიანის უფლებების, უპირველესად – ადამიანის ღირსების, სიცოცხლისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პატივისცემაა; (3) კანონი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ძირითადი უფლების შეზღუდვა, აუცილებლად უნდა იყოს შეზღუდვის მიზნის თანაზომიერი, ანუ უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით კანონს უნდა ჰქონდეს (ა) ლეგიტიმური საჯარო მიზანი, (ბ) უნდა იყოს გამოსადეგი (მიზნის მისაღწევად), (გ) აუცილებელი (საჭირო) (მიზნის მისაღწევად) და (დ) შესაბამისი, ანუ მიზნის თანაზომიერი (ეიწრო ვაკეობით). (შენიშვნა: თანაზომიერების პრინციპი დაწვრილებით იქნება განხილული სახელმძღვანელოს მე-7 თემაში „ძირითადი უფლებების სტრუქტურა“).

კონსტიტუციის 46-ე მუხლი ითვალისწინებს ძირითად უფლებათა შეზღუდვის ზოგად საფუძველსაც: ეს არის ქვეყანაში შექმნილი საგარეგო და საომარი მდგომარეობები. ასეთ შემთხვევებში „პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს“ კონსტიტუციის მე-18 (ადამიანის თავისუფლება), მე-20 (პირადი მიძოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა), 21-ე (საკუთრების უფლება), 22-ე (მიძოწვლის თავისუფლება), 24-ე (ინფორმაციის აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები), 25-ე (შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება), 30-ე (შრომის თავისუფლება), 33-ე (გაფიცვის უფლება) და 41-ე (პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა) მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. იმავედროულად „პრეზიდენტი ვალდებულია არა უკვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილებას შეიტანოს პარლამენტში დასაბუთებლად“. კონსტიტუციის 62-ე მუხლის

თანხმად, აღნიშნულ საკითხზე პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს წევრთა სრული შემადგენლობის უპრავლესობით.

კონსტიტუციის 46-ე მუხლში მითითებული პრეზიდენტის „გადაწყვეტილება“ ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესახებ არის არა ბრძანებულება, განკარგულება ან ბრძანება, არამედ კანონის ძალის მქონე დეკრეტი, რომლის გამოცემის უფლებამოსილება პრეზიდენტს მინიჭებული აქვს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით. იმავეს ადასტურებს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლებიც კონკრეტულად მიუთითებს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ძირითადი უფლებების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის ძალის მქონე დეკრეტის საფუძველზე. ეს მექანიზმი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ზოგად წესს მშვიდობიან დროს ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესახებ – მხოლოდ კანონის საფუძველზე მათ შეზღუდვას.

ზემოაღნიშნული კანონები განსაზღვრავს „საგანგებო“ და „საომარი“ მდგომარეობის შინაარსს: „საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, საშხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოოტიების ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას“ („საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონის მ. 1); „საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს“. საომარი მდგომარეობა „მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას“ („საომარი მდგომარეობის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის

მ. 1). ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნულ პირობებში მართლაც შეიძლება საჭირო გახდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, რისი უფლებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რათა უზრუნველყოს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესები, სახელმწიფო უშიშროება და რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს საზოგადოებრივი წესრიგი და კეთილდღეობა.

საყურადღებოა, რომ 2006 წლის 27 დეკემბრამდე კონსტიტუციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე არსებობდა გარკვეული კონსტიტუციური ხარვეზი. მიეყვით თანმიმდევრობით: 46-ე მუხლის ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სხვა ძირითად უფლებებთან ერთად შეიძლება შეიზღუდოს მე-18 მუხლით უზრუნველყოფილი ადამიანის თავისუფლება. ზემოთ აღნიშნულ თარიღამდე კი მე-18 მუხლს ჰქონდა მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც *„დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“*. შესაბამისად, შეიზღუდებოდა ეს დებულებაც. შედეგად, მივიღივართ დასკვნამდე, რომ საქართველოს კონსტიტუცია უშვებდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადამიანის მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური იძულების საშუალებათა გამოყენებას. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის, ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ.

მიუხედავად კონსტიტუციის ზემოხსენებული ხარვეზისა, ადამიანი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდში მაინც დაცული იყო ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებისაგან. მის ასეთ ყოვლისმომცველ დაცვას უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც პირველი პუნქტით ადამიანის პატივსა და ღირსებას ხელშეუვალად აცხადებს, მე-2 პუნქტით კი დაუშვებლად მიიჩნევს *„აღაძრანის წაშებას, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას“*. კონსტიტუცია ამ დებულებით აბსოლუტურად კრძალავს ადამიანის ღირსების შემლახველ მოქმედებებს და არ უშვებს არავითარ გამოწაკლის საერთო წესიდან. ეს აკრძალავს ეზება ღირსების შემლახველ ყველა სახის ქმედებას, მათ შორის, ფიზიკურ და ფსიქიკურ იძულებას, და მოქმედებს როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე საგანგებო თუ საომარი

მდგომარეობის დროს. ამდენად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის კანონის ძალის ქონე დეკრეტით კონსტიტუციის მე-18 მუხლით უზრუნველყოფილი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა არ ნიშნავს, რომ დასაშვებია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. ამგვარი იძულებისაგან ადამიანი დაცულია კონსტიტუციის მე-17 მუხლით, რომლითაც აბსოლუტურად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე არის უზრუნველყოფილი ადამიანის ღირსება და აკრძალულია ნებისმიერი ღირსებაშემლახველი მოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ მე-17 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების დაცვას საომარი თუ საგანგებო მდგომარეობის დროს და ამით ანეიტრალებს აღნიშნული ხარვეზის უარყოფით ეფექტს, კანონმდებელმა მაინც მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება და 2006 წლის 27 დეკემბერს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლითაც მე-18 მუხლის მე-4 პუნქტიდან აღნიშნული დებულება ამოღებულ იქნა და აგი დაემატა მე-17 მუხლს მე-3 პუნქტად. ამით საბოლოოდ გამოსწორდა ჩვენს მიერ განხილული ხარვეზი.

⑥ ძირითად უფლებათა მფლობელი სუბიექტები

ა) ძირითადი უფლებები და ფიზიკური პირები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადი უფლებების მთავარი მახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათი საშუალებით ფიზიკურ პირებს შეუძლიათ თავი დაიცვან სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ჩარევისაგან. ამასთან, რადგან ძირითადი უფლებებით შეზოგნილია სახელმწიფო ხელისუფლება, მათი დაცვის ვალდებულება ეკისრება როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ისე სასამართლო ხელისუფლებას. სასამართლო ხელისუფლებაში კი უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ საერთო სასამართლოები, არამედ უპირველესად საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს კონსტიტუციითა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონით დადგენილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს „ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავი-

სეკულულების დაცვას“ (მ. 1, პ. 1). კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკონსტიტუციო სასამართლო „მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით“.

აღნიშნული დებულების ხარვეზი ამჟამად: იგი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვით საკუთარი უფლებების დაცვის საშუალებას აძლევს მხოლოდ „მოქალაქეს“, ანუ საქართველოს მოქალაქეებს. როგორც უკვე აღინიშნა, არის გარკვეული უფლებები, რომელთა გამოყენება შეუძლია არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. მაგრამ, როგორც ვიცით, ბევრი სხვა ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, არამედ ყველა ადამიანისათვის, ანუ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის. შესაბამისად ეს უფლებები წარმოადგენს არა მოქალაქის, არამედ ადამიანის უფლებებს და მათი გამოყენება ყველა ადამიანს შეუძლია. თუ დაირღვევა საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ეს ძირითადი უფლებები, მათ, კონსტიტუციის 89-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროებში ჩარევისაგან თავის დაცვის არავითარი საშუალება არ ექნებათ.

1996 წელს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დებულების ხარვეზი გამოსწორებულ იქნა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მათი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“. თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ დებულებით ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორდა: სარჩელის შეტანის უფლება მიეცა მხოლოდ სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირებს და არა მოქალაქეობის არმქონე პირებს.

ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულება საკონსტიტუციო სასამართლოს ამოქმედებიდან 2002 წლის თებერვლაშდ მოქმედება. მაგრამ მას, ზემოაღნიშნული მცირე ხარვეზის გარდა, კიდევ ერთი, გაცალკებით უფრო მნიშვნელოვანი ხარვეზი ჰქონდა.

როგორც ცნობილია, როცა საუბარია ძირითად უფლებებზე, საქმე გვაქვს ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობასთან. მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ამით არ იზღუდება და 45-ე მუხლით აცხადებს, რომ „*კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე*“.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს სრულიად ლოგიკური კითხვა: თუ 45-ე მუხლით იურიდიულ პირებსაც მიეცათ უფლება, კონკრეტულ შემთხვევებში გამოყენებინათ ძირითადი უფლებები, ხომ უნდა დადგინდეს იურიდიული პირების მიერ ამ უფლების განხორციელების პროცედურა? რა თქმა უნდა, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან 45-ე მუხლით უშუალოდ იურიდიულ პირებს (და არა მით წარმომადგენელ ფიზიკურ პირებს) ეძლევა ძირითადი უფლებების გამოყენების საშუალება. თანაც მათ შეუძლიათ არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ძირითადი უფლების გამოყენება, რადგან იურიდიულ პირებზე ეს უფლებები ვრცელდება „*მათი შინაარსის გათვალისწინებით*“. ცხადია, იურიდიულ პირს, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტია და აქვს გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, უნდა ჰქონდეს მისთვის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლების რეალიზაციის საკანონმდებლო საშუალება.

2002 წლის 12 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ასე გამოიყურება:

„1. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი“.

2005 წლის 27 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ შესწორდა 89-ე მუხლის “ვ” ქვეპუნქტიც და სიტყვა “მოქალაქე” შეიცვალა სიტყვით “პირი”. შესაბამისად, დღეს ძირითადი უფლებებით სახელმწიფოსაგან თავის დაცვის შესაძლებლობა აქვთ, ანუ ძირითადი უფლებების მფლობელი სუბიექტები არიან: ნებისმიერი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირები“, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირებიც) და იურიდიული პირები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეუძლიათ არა მხოლოდ მათი ძირითადი უფლებების უშუალოდ დარღვევის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს აშკარა საფრთხე და პირობები, რომ ეს უფლებები „შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს“.

ბ) ძირითადი უფლებები და იურიდიული პირები

როგორც ვხედავთ, დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზა სრულად უზრუნველყოფს კონსტიტუციის 45-ე მუხლით იურიდიული პირებისათვის გარანტირებულ ძირითად უფლებათა გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ამ მუხლის ფორმულირება აშკარად მიუთითებს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები, როგორც ძირითადი უფლებების მფლობელნი და მატარებელნი, არსებითად თანასწორნი მაინც არ არიან; ძირითადი უფლებების გამოყენების პრიორიტეტი კვლავ ინდივიდთან, ფიზიკურ პირთან რჩება. 45-ე მუხლი მხოლოდ აღიარებს, რომ ძირითადი უფლებები ერცელდება „აგრეთვე იურიდიულ პირებზე“ მხოლოდ მათი (ძირითადი უფლებების) შინაარსის გათვალისწინებით, ანუ აქ დადგენილია ვარკვეული პირობა, რომლის თანახმადაც კონკრეტული ძირითადი უფლება, მისი შინაარსის მიხედვით, შეიძლება გაერცვლადეს იურიდიულ პირზეც. ეს ფორმულირება ორ ძირითად კითხვას ბაძებს:

ა) კონკრეტულად რომელმა იურიდიულმა პირებმა შეიძლება გამოიყენონ ძირითადი უფლებები?

ბ) კონკრეტულად რომელი ძირითადი უფლება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება გაერცხლდეს იურიდიულ პირებზე?

სანამ უშუალოდ ამ კითხვებს გაეცემდეთ პასუხს, ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: კონსტიტუციის 45-ე მუხლი ზოგადად „იურიდიულ პირებზე“ მიუთითებს, ხოლო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია „საქართველოს იურიდიული პირები“.² ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ „ეროვნულ“ იურიდიულ პირებს შეუძლიათ ძირითადი უფლებების გამოყენება, ხოლო „ეროვნული“ თუ არა იურიდიული პირი, ეს შეიძლება გაარკვეს მისი ოფიციალური მისამართის მიხედვით. შესაბამისად, იურიდიული პირი არის „უცხოელი“, თუ მისი ადგილსამყოფელი, ანუ ოფიციალური იურიდიული მისამართი და საქმიანობის ფაქტობრივი ადგილი არ მდებარეობს კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფო ტერიტორიაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს ტერიტორიაზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული „უცხოელი“ იურიდიული პირის შეიღობილი კომპანია, ფილიალი ან წარმომადგენლობა შეიძლება ჩავთვალოთ „ეროვნულ“ იურიდიულ პირად; შესაბამისად მას უფლება ექნება საჭიროების შემთხვევაში თავი დაიცვას ძირითადი უფლებებით.

ბ.ა) ძირითადი უფლებები და კერძო სამართლის იურიდიული პირები

არაეითარ ეჭვს არ იწვევს ისეთი ძირითადი უფლებების არსებობა, რომლებიც არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. დაფუძნების (შექმნის) აქტის საფუძველზე იურიდიულ პირს წარმოეშობა გარკვეული უფლებები და მოვალეობები, მაგრამ მისი უფლებაუნარიანობა მაინც მუდმივად შეზღუდულია, რადგან იგი ვერ ვრცელდება იმ უფლებებზე, რომლებსაც შეიძლება ფლობდეს

² გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ასევე მხოლოდ „ეროვნულ იურიდიულ პირებზე“ შეიძლება ვაერცხლდეს.

მხედროდ თვისიკური პირი მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებების საფუძველზე.¹ აღნიშნული პრინციპი მოქმედებს ძირითადი უწყობების დონეზეც, სადაც შეგვიძლია მოვახდინოთ უფრო დაწკრილებითი დეფინირება: *იურიდიულმა პირებმა შეიძლება გამოიყენონ ყველა ძირითადი უფლება, გარდა ისეთებისა, რომელთა გამოსაყენებლადაც იურიდიულია ადამიანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებები, როგორებიცაა მისი სხეულის თვისებები, განსაკუთრებით – სქესი, ასაკი, ნათესაობა, რასა, ფიზიკური თვითდამკვიდრება და ფიზიკური ქადაგვებების თავისუფლება, ერთი მხრივ, და შინაგანი სულიერი თვისებები, მეორე მხრივ. ეს დებულება უფრო ნათელი გახდება, თუ აღვნიშნავთ, რომ, მაგალითად, იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსების (მ. 17, პ. 1), აგრეთვე სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები (მ. 15, პ. 1). სამაგიეროდ იურიდიულმა პირებმა, ფიზიკური პირების მსგავსად, შეიძლება გამოიყენონ, მაგალითად, საკუთრების უფლება (მ. 21). აღნიშნულ საკითხს ქვემოთ დაწკრილებით განვიხილავთ.*

საყურადღებოა, რომ ყოველი ძირითადი უფლების შემოხვევაში ცალკე უნდა გაირკვეს და შემოწმდეს, თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება თუ არა მის მიერ ფიზიკური პირის მიმართ გარანტირებული დაცვა იურიდიულ პირზეც გავრცელდეს. ამ დროს, უპირველეს ყოვლიანა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ძირითადი უფლებები პირველ რიგში ინდივიდუალური უფლებებია, რომლებიც იცავს სახელმწიფო ჩარევის საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანის თავისუფლების კონკრეტულ სფეროს. დაცვის ამ ფარდის ქვეშ იურიდიული პირების შეყვანა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი და გონიერული, როცა მათი შექმნა და საქმიანობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გამოხატულებებია, ანუ როცა ფიზიკური პირების დაცვა იურიდიული პირების დაცვასაც საჭიროდ და მიზანშეწონილად წარმოაჩენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი უფლება თავისი შინაარსის მიხედვით შესაძლოა გავრცელდეს იურიდიულ პირზე იმ

¹ შეად. შევიცარიის სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლი: *იურიდიული პირი შეიძლება იქონიებდეს ყველა უფლებასა და მოვალეობას, გარდა ისეთებისა, რომლებიც არსებითად დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებებთან. როგორებიცაა სქესი, ასაკი, ნათესაობა და ა.შ.*

შემთხვევაში, თუ ამ უფლებით დაცული ფიზიკური პირის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს იურიდიული პირის მიერაც, ანუ თუკი იურიდიული პირის საქმიანობა შეიძლება დადგეს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ისეთივე საფრთხის ქვეშ, როგორც ფიზიკური პირის საქმიანობის ესა თუ ის სფერო.

ზემოაღნიშნული წინაპირობები ფაქტობრივად მთლიანად შესრულებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, რომელთა შესახებ მსჯელობისას შეგვიძლია თამამად დავადასტუროთ მათ მიერ ძირითადი უფლებების ფლობისა და გამოყენების იურიდიული შესაძლებლობა. ეს თანაბრად ეხება კერძო სამართლის როგორც კომერციულ (საქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი და ა.შ.), ისე არაკომერციულ (კავშირი, ფონდი) იურიდიულ პირებს. ყველა ამ იურიდიული პირის მიმართ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მათი შექმნა და საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გამოხატულებაა, ანუ, სხვაგვარად: მათი საქმიანობა დგას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ისეთივე საფრთხის ქვეშ, როგორც ფიზიკური პირის საქმიანობის ესა თუ ის სფერო.

შესაძლოა, თავდაპირველად გარკვეული ვაუგებრობა გამოიწვიოს ფონდების მიმართ ამ პრინციპის გავრცელებამ, მაგრამ საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულება ერთგულდება არა მხოლოდ წევრობაზე დაყრდნობულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, არამედ არაწევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც, ანუ ფონდზეც. ფონდი, როგორც ცნობილია, იქმნება კერძო-სამართლებრივი აქტით – დამფუძნებლების ხელმოწერით დადასტურებული დამფუძნებელი აქტით, რომელიც წარმოიშობა ცოცხალ ან გარდაცვლილ პირთა ნების (ანდერძის ან სამემკვიდრეო ხელშეკრულების, ანდა კონკრეტული მიზნის მიღწევის თუ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის სურვილის) საფუძველზე. შინაარსის გათვალისწინებით სრულიად ლოგიკურია, რომ ფონდზე გავრცელდეს კონსტიტუციის მე-16 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 21-ე (საკუთრების უფლება) მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები. ფონდების მიერ ძირითადი უფლებების გამოყენებისას არა აქვს მნიშვნელობა, საქმე კერძო ფონდებს

ეხება თუ საჯაროს. ასევე არაკითარ როლს არ ასრულებს ის ფაქტი, ფონდები ფინანსური პირების მიერაა დაფუძნებული თუ იურიდიულის.

ძირითადი უფლებების გამოყენება არ შეუძლია ყველა კერძო სამართლის იურიდიულ პირს. ამ ძირითად უფლებებს ვერ ფლობენ და ვერ იყენებენ კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებიც ასრულებენ საჯარო ხელისუფლების ამოცანებსა და ფუნქციებს. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი ფორმით ახორციელებს საქმიანობას სახელმწიფო – უშუალოდ თუ მის მიერ დაფუძნებული რომელიმე კერძო სამართლის იურიდიული პირის საშუალებით. *შეგალითად*, საწარმო, რომელიც დაკავებულია მომარაგების ფუნქციით და იმყოფება საჯარო ხელისუფლების დაქვემდებარებაში, წარმოადგენს მხოლოდ განსაკუთრებულ და განსხვავებულ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხდება საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

ბ.ბ) ძირითადი უფლებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სხვაგვარი სიტუაციაა *საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან* დაკავშირებით. კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულება არ იზღუდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირებით. ამ დებულების მიხედვით, ძირითადი უფლებები მათი შინაარსის გათვალისწინებით ერთგვარდება *ზოგადად იურიდიულ პირებზე*. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადი უფლებები, მათი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ. მათ მიერ ძირითადი უფლებების გამოყენება ფაქტობრივად გამოიწვევს იმას, რომ სახელმწიფო ან მის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციისა და ამოცანის შესასრულებლად შექმნილი იურიდიული პირი (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც მმართველობის სისტემის, სახელმწიფო ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილია, ძირითადი უფლებებით გათვალისწინებულ დაცვას საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოიყენებს. ეს ცხადი ხდება იმ დებულებიდან, რომ *ძირითადი უფლებები თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის დამცავ უფლებებს, მიმართულს სახელმწიფოს (შესაბამისად სახელმწიფოს ყველა ორგანოსა თუ საჯარო-სახელმწიფოებრივი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებების) მხრიდან*

მათი (ფიზიკური პირების) ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის წინააღმდეგ, შესაბამისად ძირითადი უფლებები განსაზღვრავს ინდივიდსა და საჯარო ხელისუფლებას შორის ურთიერთობას და ამ პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ სახელმწიფო ყოფილიყო ამ უფლებების მფლობელიც და ადრესატიც. სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის დაევბი თავისი არსით მათ შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ დაევბს წარმოადგენს, რომლებიც უნდა გადაწყდეს მათ უფლებამოსილებათა თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტებით თუ შიდა დებულებებით დადგენილი წესით. ასეთ დაევბს არაფერი აქვს საერთო ძირითადი უფლებებისათვის ტიპურ კონფლიქტებთან სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ ძირითად უფლებებს და გამოიყენონ ისინი თავიანთი უფლებების დასაცავად. იგივე შეიძლება ითქვას, *შევალითად*, სააქციო საზოგადოების შესახებ, რომლის ერთადერთი ამოცანაა ქალაქში კომუნალური ფუნქციების შესრულება (კომუნალური მომსახურება) და რომლის ერთადერთი აქციონერი არის ადგილობრივი თუ სახელმწიფო გაერთიანება — საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

გამონაკლისები აქაც არსებობს. მათი არსებობა შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით სპეციფიკური ტიპის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქმიანობას ახორციელებს კონკრეტული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში; ეს იურიდიული პირები ემსახურებიან ფიზიკურ პირებს და ეხმარებიან მათ ინდივიდუალური უფლებების განხორციელებაში, იმავდროულად კი ისინი არსებობენ როგორც თვითმყოფადი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ან დისტანცირებული დაწესებულებები. ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს გამონაკლისები:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ *უნივერსიტეტები ანუ, ზოგადად უმაღლესი სასწავლებლები*. როგორც აღინიშნა, არც სახელმწიფოსა და არც მის დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ ძირითადი უფლებების, როგორც სუბიექტური საჯარო უფლებების, გამოყენება, ანუ ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთდროულად მფლობელებიც და ადრესატებიც ძირითადი უფლებებისა. მაგრამ ეს პრინციპი არ მოქმედებს მაშინ, როცა

სახელმწიფოს დაწესებულებები იცავენ ძირითად უფლებებს ისეთ სუეროში, რომელშიც ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არიან. ეს, უპირველეს ყოვლისა. სწორედ უნივერსიტეტებზე, უმაღლეს სასწავლებლებზე შეიძლება ითქვას, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფუნქციონირებენ და ფინანსდებიან, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევის სფეროში თავისუფალნი და სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელი არიან.

ბუნებრივია, თავად უმაღლესი სასწავლებლები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არ ეწევიან სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო საქმიანობას, მაგრამ მათ ძირითადი უფლებების გამოყენება სჭირდებათ იმისათვის, რომ ზელი შეუწყონ ამ სფეროში მოქმედი ყველა მეცნიერ-მკვლევრისა და მასწავლებლის დაცვას. ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, რათა მეცნიერ-მკვლევართა, მასწავლებელთა და ამ სფეროს სხვა მონაწილეთა საქმიანობა დაიცვას სახელმწიფო ჩარევისაგან.

2. მეორე გამონაკლისს წარმოადგენს *რელიგიის სფერო და ამ სფეროში მოქმედი რელიგიური გაერთიანებები – საჯარო სამართლის იურიდიული პირები*. ამასთან დაკავშირებით თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეკლესიები და სხვა რელიგიური გაერთიანებები, სხვა საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ არიან სახელმწიფოსთან ორგანულად შერწყმულნი. საკმაოდ საკამათოა საკითხი. ეს ორგანიზაციები შეიძლება ჩამოყალიბდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირების სახით თუ მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უნდა წარმოადგენდნენ; მაგრამ, თუნდაც ეკლესიები საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ, ისინი მაინც არანაირი სახით არ არიან ინკორპორირებული სახელმწიფოში, ანუ ფართო გაგებით ისინი არ წარმოადგენენ „უშუალო სახელმწიფოებრივ“ ორგანიზაციებს ან ადმინისტრაციულ დაწესებულებებს. მათი მთავარი ამოცანები, უფლებამოსილებები და ფუნქციები არის ორიგინალური და არა წარმომომილი, ნაწარმოები ან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული. მათ, თავიანთი განსაკუთრებული სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეუძლიათ სახელმწიფოს წინაშე წარსდგნენ დამოუკიდებელი პირის სახით და გამოიყენონ საკუთარი უფლებები. ამ თვალსაზრისით

მათ ძირითადი უფლებების გამოყენების სრული უფლება აქვთ.

ძირითადი უფლებების გამოყენება შეუძლიათ არასაყოველთაოდ აღიარებულ, ნაკლებად ცნობილ რელიგიურ გაერთიანებებსაც. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული აღმსარებლობისა და რწმენის, ანუ რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ დიდი, ძლიერი და ცნობილი ეკლესიებისა თუ რელიგიური გაერთიანებების წევრთათვის, არამედ ყველა სხვა რელიგიური გაერთიანების მიმდევართათვის. რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლება არ არის დამოკიდებული ასეთი გაერთიანების მიმდევართა დიდ რაოდენობაზე ან მის სოციალურ მნიშვნელობაზე. ეს გამომდინარეობს სახელმწიფოსათვის სავალდებულო მოთხოვნიდან, დაიცვას მსოფლმშენველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტი, აგრეთვე რელიგიათა და აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპიდან.

3. კიდევ ერთი გამოწვევის ეხება *საჯარო-სამართლებრივ სატელევიზიო და რადიოსადგურებს*. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ მოქალაქის ინდივიდუალური ძირითადი უფლება თავისი ცხოვრების ერთ-ერთი თავისუფალი სფეროს უზრუნველყოფისა და სახელმწიფო ჩარევისაგან დაცვის შესახებ. პირველ გამოწვევისზე მითითებით შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ საჯარო-სამართლებრივი სატელევიზიო და რადიოსადგურები არიან სახელმწიფოს ისეთი დაწესებულებები, რომლებიც იცავენ ძირითად უფლებებს მეტად სპეციფიკურ სფეროში და ამ სფეროში სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი არიან. კერძო-სამართლებრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარდა, სატელევიზიო და რადიოსადგურები იქმნება სახელმწიფოს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლების განხორციელებისათვის; ისინი რეალურად უნდა იყვნენ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საჯარო სამართლის თვითმყოფადი და თვითმმართველი წარმონაქმნები; მათი შიდა ორგანიზაცია კი ისეთი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს სახელმწიფოს გადაამწყვეტი და ყოვლისმომცველი გავლენა. სწორედ ასეთი ნორმების დადგენას და შესაბამის შიდა ორგანიზაციას მოითხოვს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა

თავისუფლება. შესაბამისად, ასეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სატელევიზიო და რადიოსადგურებს შეუძლიათ, კონსტიტუციური სარჩელის შეტანით დაიცვან თავი და გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლება, თუ სახელმწიფო ჩაერევა მათ საქმიანობაში.

4. გამოჩენილია ასევე კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებული ინტელექტუალური შემოქმედების ანუ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება, რომელიც შეიძლება გამოიყენონ არა მხოლოდ კერძო სამართლის, არამედ ამ სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმაც. ცნობილია, რომ საჯარო ხელისუფლება აფუძნებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გაერთიანებების არსებობას, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ასეთია, *მაგალითად, სახელოვნებო, მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, გალერეები, მუზეუმები, თეატრები და ა.შ.* მათი საშუალებით საზოგადოება ახლოს ეცნობა ხელოვნების ნიმუშებს. იმაკლროულად ეს გაერთიანებები სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის ისეთივე საფრთხის ქვეშ იმყოფებიან, როგორც ფიზიკური პირები. შესაბამისად ისინიც ისევე უნდა იყვნენ დაცულნი ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ფიზიკური პირები. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სახელოვნებო და მუსიკალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, გალერეებმა, მუზეუმებმა და თეატრებმა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თავი დაიცვან სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენებით.

ბ.გ) ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება გაერცხვოდეს იურიდიულ პირებზე

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ შეუძლებელია ზოგადი, აბსტრაქტული პასუხი გავცეს კითხვას: შინაარსის გათვალისწინებით რომელი ძირითადი უფლებები შეიძლება გაერცხვოდეს იურიდიულ პირებზე? ცხადია, რომ იურიდიულ პირებზე ვერ გაერცხვდება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც მხოლოდ ფიზიკურმა პირმა, ინდივიდმა შეიძლება გამოიყენოს. კონსტიტუციით აღიარებული ასეთი ძირითადი უფლებებია: მ. 13 -

მოქალაქეობა, მოქალაქეობის ჩამორთმევისა და საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევების დაუშვებლობა; მ. 14 – კანონის წინაშე თანასწორობა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა; მ. 15, პ. 1 – სიცოცხლის უფლება; მ. 17, პ. 1 – ღირსება; მ. 17, პ. 2 და მ. 18 – ადამიანის თავისუფლება და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება; მ. 28 – საარჩევნო უფლება; მ. 29 – სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანასწორი უფლება; მ. 35 – განათლების უფლება; მ. 36 – თვასი და ქორწინება, დედათა და ბავშვთა უფლებები; მ. 37 – ჯანმრთელობის დაცვის უფლება; მ. 47 – თავშესაფრის უფლება.

ყველა სხვა ძირითადი უფლება შესაძლებელია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდეს (კერძო სამართლის) იურიდიულ პირებზე. მოკლედ შევხვით რამდენიმე მათგანს:

იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავიანთ უფლებათა დასაცავად გამოიყენონ კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ამ დებულების ტექსტიდან გამომდინარე, ეს ძირითადი უფლება თითქოს მხოლოდ ფიზიკურ პირებზე შეიძლება გავრცელდეს, მაგრამ თუ კარგად დავეუკივრებით, ვნახავთ, რომ ადამიანებმა საკუთარი პიროვნება შესაძლოა სწორედ იურიდიული პირის დაფუძნებითა და მის მიერ განხორციელებული კომერციული თუ არაკომერციული საქმიანობით განავითარონ. აქედან გამომდინარე, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გაცილებით უფრო ფართო და ბევრისმომცველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს ძირითადი უფლება ფაქტობრივად უზრუნველყოფს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც სრული უფლება აქვთ და შეუძლიათ, იურიდიული პირების დაფუძნებით განახორციელონ კონკრეტული სამეურნეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თავად იურიდიულმა პირმა, როგორც ასეთმა, საჭიროების შემთხვევაში (სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში ჩარევის დროს) შესაძლოა დაიცვას თავისი უფლებები სწორედ მე-16 მუხლზე მითითებით – საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების გარანტიის საფუძველზე.

იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილი ხინდისის, აღმსარებლობისა და

რწმენის თავისუფლებები. თუმცა საკამათო არ არის, რომ იურიდიულ სიჩქარს არც რწმენა აქვთ და არც საკუთარი სინდისით ნაკარნახევი კლავსტრულულების მიღება შეუძლიათ. მაგრამ მათ შეუძლიათ, თავიანთ წვერთა რწმენის გავრცელება და ხელშეწყობა, ასევე რელიგიური მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვა და ამისთვის საჭირო საქმიანობის განსარცილება. ამდენად, იურიდიული პირები (და არა მხოლოდ ეკლესიები თუ რელიგიური გაერთიანებები) წარმოადგენენ უფლებამოსილ პირებს და შეუძლიათ მე-19 მუხლით აღიარებული ძირითადი უფლებების გამოყენება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 23-ე და 24-ე მუხლებში მოცემული სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები, ინტელექტუალური შემოქმედებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირების მიერ. მართალია, იურიდიულ პირს, შეიძლება არ ჰქონდეს საკუთარი აზრი ანდა თავად არ განახორციელოს შემოქმედებითი ან სამეცნიერო საქმიანობა, მაგრამ მას შეუძლია გააერთიანოს თავის წევრთა ან სხვათა აზრები და ხელი შეუწყოს ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას, ამ გზით კი იგი ხვდება ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში და შესაბამისად, შეუძლია მათი გამოყენება.

იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებული შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლება. ყველა იურიდიულ პირს შეუძლია საკუთარი სახელით მოაწვოს შეკრებები ან მანიფესტაციები, და შესაბამისად, ამ უფლების სახელმწიფოს მიერ დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს 25-ე მუხლის საფუძველზე.

კონსტიტუციის 26-ე მუხლით ვანცხადებულ გაერთიანებათა თავისუფლება ორ კომპონენტს მოიცავს: (1) გაერთიანების დაარსებისა და მასში გაწევრიანების უფლებას, (2) თვით გაერთიანების უფლებას წარმოშობაზე, არსებობასა და საქმიანობაზე. ორივე კომპონენტის გამოყენება შესაძლებელია იურიდიული პირების მიერაც. გამონაკლისია შემთხვევა, როცა გაერთიანება ფიზიკურ პირთა წევრობაზე არის დაფუძნებული. მაგალითად, იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკურ გაერთიანებათა წევრები.

კონსტიტუციის 22-ე მუხლით. გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილების ძირითადი უფლება იურიდიული პირებისათვის ნიშნავს უფლებას თავისი ადგილსამყოფლის თავისუფალ არჩევასა და შეცვლაზე.

კონსტიტუციის მე-20 მუხლში მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება აგრეთვე სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“), ანუ ამ ძირითადი უფლების გამოყენება შეუზღუდავად შეუძლიათ იურიდიულ პირებსაც.

იგივე ეხება კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებასაც. ბუნებრივია, ყველა იურიდიულ პირს შეიძლება ქონდეს საკუთრება და შესაბამისად, ამ საკუთრების დაცვის უფლებაც (აქ შეგვიძლია მოვიხმოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც „*Everyone has the right to own property alone as well as on association with others*“). იურიდიულ პირებზე ვრცელდება აგრეთვე იმავე მუხლით აღიარებული მემკვიდრეობის უფლება.

^{სტრუქტურა} ⑦ ძირითადი უფლებების სტრუქტურა

ძირითად უფლებათა მნიშვნელობისა და სამართლის ნორმებზე მათი ზემოქმედების უკეთ შესაცნობად აუცილებელია ამ უფლებათა სტრუქტურის განხილვა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძირითად უფლებათა მნიშვნელობის შეფასება და მათი დარღვევის შემოწმება უნდა მოხდეს განსაზღვრული სქემის (სტრუქტურის) მიხედვით, რომელიც სამი საფეხურისაგან შედგება. ესენია: (1) ძირითადი უფლებით დაცული სფეროს განსაზღვრა, (2) დაცულ სფეროში ჩარევა (ანუ ძირითადი უფლების შეზღუდვა) და (3) ჩარევის (ანუ შეზღუდვის) კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.

(შენიშვნა: აქ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ თავისუფლების ძირითად უფლებათა დარღვევის შემოწმების სქემა. თანასწორობის ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმება ხდება სხვა სქემით, რომელიც განხილული იქნება სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში).

ა) დაცული სფერო

ყველა ადამიანს შეუძლია, თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ძირითადი უფლებები. უფრო კონკრეტულად: ადამიანებს უფლება აქვთ, სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებლად და თავისუფლად იმოქმედონ იმ დაცულ სფეროში, რომელიც უზრუნველყოფილია ამ თუ იმ ძირითადი უფლებით. მაგალითად, კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებებს. დაცული სფერო აქ არის რწმენის, სინდისის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილების თავისუფლება.

თუ ძირითადი უფლების შეზღუდვისას სახეზეა ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, ეს ნიშნავს, რომ დაცული სფერო „ღია“ ანუ „გაიხსნა“. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: თავდაპირველად უნდა გაირკვეს, მოცემული ძირითადი უფლება, რომელიც შეიზღუდა სახელმწიფოს მიერ, „ადამიანის უფლებას“ (ანუ მისი გამოყენება შეუძლია ყველა ფიზიკურ პირს) თუ „მოქალაქის უფლებას“ (ანუ მისი გამოყენება შეუძლია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს).

ამის შემდეგ წარმოიშობა ორი შეკითხვა:

1. კონკრეტულად რას მოიცავს დაცული სფერო? ანუ: რა არის „რწმენა“ და რა არის „რელიგიური კუთვნილება“? ყველაფერი ის, რასაც ქრისტიანული ეკლესიები თვლიან ამ ცნებებში, ის, რასაც მორწმუნე თავისთვის აღიარებს, თუ ის, რასაც სექტა უბრძანებს თავის წევრებს?

2. რა მოხდება, თუკი ძირითადი უფლებით დაცული მოქმედებით შეიღახება სხვათა ძირითადი უფლებები? აქვს თუ არა უფლება რომელიმე რელიგიის წარმომადგენელს (მოძღვარს), თავისი დილის ღოცვა ჩაატაროს ავტოსტრადაზე და ამით წარმოქმნას კილომეტრიანი ე.წ. საცობი, რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ავტოავარიები, რის შედეგადაც შეიძლება დასახიჩრდნენ ან დაიღუპონ ადამიანები?

მეორე შეკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია და ძირითადი უფლებების შესწავლისთვის არსებითი ხასიათი აქვს.

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დაპირისპირებული ინტერესების შედარება (აწონ-დაწონვა):

მოძღვრის ინტერესი
დილის ლოცვის ჩატარებაზე
(რწმენის თავისუფლება და
რელიგიის განხორციელების
გარანტია: მ. 19).

აეკთმფლობელთა ინტერესი
ავარიებისა და დაყოვნებისაგან
თავისუფალ, უსაფრთხო
მოძრაობაზე (საქმიანობის
საყოველთაო თავისუფლება –
გამომდინარეობს პიროვნების
თავისუფალი განვითარების
უფლებიდან: მ. 16).

ზემოსხნებული პრობლემა ცენტრალური საკითხია არა მხოლოდ ძირითადი უფლებებისა, არამედ მთლიანად სამართლისა. მიუხედავად ამისა, ცხადია ერთი რამ: ძირითადი უფლებებით უზრუნველყოფილია დაცული სფეროები, რომლებშიც ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ ცხოვრება და მოქმედება. იმავდროულად ნათელია ისიც, რომ ზოგჯერ ხდება კოლიზია ადამიანის ძირითად უფლებებს შორის. ამ დროს საჭიროა კოლიდირებულ ინტერესთა და ძირითად უფლებათა შედარება (აწონ-დაწონება), რის საფუძველზედაც უნდა გაირკვეს, თუ რომელი მხარის ინტერესია კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მეტად დაცვის ღირსი.

ბ) დაცულ სფეროში ჩარევა

ჩარევის დეფინიცია ასეთია:

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი უზენაესი აქტი ან ღონისძიება, რომელიც ინდივიდს ხელს უშლის ან უკრძალავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ხდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ამ დეფინიციის მიხედვით, ძირითადი უფლება დარღვეულია, თუ ხდება ჩარევა მის მიერ დაცულ სფეროში. ჩარევა ყველა შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან. *შეკალითად: მოძღვარი აეკთმფლობელთა პოლიციის ძალით იქნება გაყვანილი.*

: სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სამი საშუალებით:

1. კანონისა, სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც შეზღუდავს ძირითად უფლებას. *მაგალითად*, კანონმა შეიძლება აუკრძალოს რელიგიურ კატოიანებს რიტუალური მოქმედების შესრულების დროს ცხოველების წამება.

2. *ადმინისტრაციული ორგანოების (ადმინისტრაციის) მოქმედებით*. ხუროთმოძღვრულ შემთხვევაში მოძღვარს ავტოსტრადიდან გაიყვანენ პოლიციელები (= ადმინისტრაციის ნაწილი). ეს მოქმედება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ჩარევას.


3. *სასამართლოს გადაწყვეტილებით*. არცთუ იშვიათად სასამართლოს გადაწყვეტილებებიც შეიძლება წარმოადგენდეს ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. *მაგალითად*, მოძღვარმა გაასაჩივრა სასამართლოში პოლიციის მოქმედება, მაგრამ სასამართლომ მიიღო ადმინისტრაციის სასარგებლო გადაწყვეტილება.

ვ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ყოველი ჩარევა შეიძლება გამართლებულ იქნეს. პოლიციელთა მიერ მოძღვრის ავტოსტრადიდან გაყვანა, მართალია, წარმოადგენს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, მაგრამ ეს ჩარევა გამართლებულია, რადგან მოძღვრის ლოცვის გამო ავტოსტრადის გადაკეცილთ დაირღვა სხვა მრავალი პირის ძირითადი უფლება საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაზე.

სწორედ ჩარევის გამართლების ეტაპზე უნდა განხორციელდეს კოლიდირებულ ძირითად უფლებათა და ინტერესთა ზემოხსენებული შედარება (აწონ-დაწონვა) (იმაგლოუელად უნდა გაეთვალისწინოთ, რომ შედარებისას არ უნდა „გადავიჭრაო“ ფილოსოფიასა და პოლიტიკაზე, ღებროსა და სამართალზე ზოგად „აზრთა ფრქვევაში“. მსგავსი შედარების დროს ასეთ შეცდომებს ხშირად უშვებენ).


დაცულ სფეროში ჩარევის გამართლების საფუძველების დადგენისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებზე. აქედან გამომდინარე, ძირითად უფლებათა სტრუქტურის მოცემულ პუნქტს შეიძლება (და უნდა) ეწოდოს ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.



შემოწმების მესამე საფეხური, ანუ ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, საჭიროებს შექმდომ ღიფერენცირებას. ამ დროს ერთმანეთისაგან განირჩევა ჩარევის სახეები.

როგორც აღინიშნა, ჩარევა შეიძლება განხორციელდეს:

1. კანონით,
2. ადმინისტრაციის მოქმედებით,
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით.



1. კანონისმიერი ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში კანონის საფუძველზე ჩარევის (კანონისმიერი ჩარევის) კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება საეცალური სქემის მიხედვით ხორციელდება. ამ სქემის უკეთ გასაცნობად გამოვიყენოთ შემდეგი მაგალითი: პარლამენტი იღებს კანონს, რომელიც სისხლისსამართლებრივად დასჯადად აცხადებს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკების მმართველობის დიქტატორული რეჟიმის დროს ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ტყუილის თქმას. აქვს თუ არა პარლამენტს ამის უფლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით ვარანტირებულია აზრის თავისუფლება?

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული კანონისმიერი ჩარევის საფუძვლების შემოწმების სქემაში განასხვავებენ ორ მნიშვნელოვან ეტაპს:

ა) ფორმალური შესაბამისობა

იმისათვის, რომ კანონი, რომლის საფუძველზეაც განხორციელდა ჩარევა, კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულ იქნეს, აუცილებელია, იგი თავდაპირველად „ფორმალურად შესაბამისი“ იყოს. ეს ნიშნავს:

ა.ა) უფლებამოსილება:

ქონდა თუ არა კანონმდებელს უფლება, მოეწესრიგებინა ეს საკითხი? მაგალითად: პარლამენტი კრძალავს „რეპრესიებზე ტყუილის თქმას“. აქვს თუ არა მას ამის უფლებამოსილება, ანუ ფლობს თუ არა იგი შესაბამის კომპეტენციას? ის, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები, რომლებითაც პარლამენტს უფლება აქვს, სამართლებრივად მოაწესრიგოს ესა თუ ის ხეირო.

ა.ბ) პროცედურა:

დაცულ იქნა თუ არა საკანონმდებლო პროცედურა? მაგალითად: ჩართულ იქნა თუ არა ცველა შესაბამისი სამარლამენტო სტრუქტურა კანონპროექტის განხილვის პროცესში, რაც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტითა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით? ყველა პროცედურის დაკვირვებით გამოქვეყნდა თუ არა კანონი?

დაცულ იქნა თუ არა კანონის მიღებასთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნები? ისინი, როგორც წესა, ყოველთვის დაცულია.

ბ) მატერიალური შესაბამისობა

„ფორმალური შესაბამისობის“ გარდა, კანონი აუცილებლად „მატერიალურად შესაბამისი“ უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ძირითად უფლებებში ჩარევისასთვის საჭიროა არსებობდეს კონსტიტუციურად განსაზღვრული საფუძველი. ეს საფუძველი (კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა) წარმოადგენს ძირითადი უფლების ზღვარს, ანუ ამით შეზღუდულია ძირითადი უფლება. ძირითადი უფლების შეზღუდვა, ანუ დაცულ სფეროში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული საფუძვლის მიხედვით. ასეთი საფუძვლის გარეშე სახელმწიფოს საშუალება ექნებოდა ჩარეულიყო ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში თავისი შეზღუდვებისსაშემარ, მისთვის სასურველ ნებისმიერ შემთხვევაში. შედეგად კი ძირითად უფლებებს ფაქტობრივად არანაირი „ხელისუფლების მბოჭავი ძალა“ აღარ ექნებოდა.

მაგალითი 1: საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა თავისუფლება; იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაშლა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნოზურ, რელიგიურ ან სოციალურ შეუღლს“. მე-6 პუნქტის მიხედვით კი „საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით“. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ დადგენილია კონსტიტუციური ზღვარი, ანუ თავიდანვე დაუშვებელია შემოადინებული მიზნების (და მხოლოდ ასეთი მიზნების) მქონე გაერთიანებათა შექმნა, იქვე მითითებულია წინაპირობა – კანონის არსებობა. ე.ი, კანონი, რომელიც კრძალავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მქონე გაერთიანებებს, წარმოადგენს ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული ჩარევის საფუძველს.

ასეთი ვაქციონასებები ვერ დაეყრდნობიან 26-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

მაგალითი 2: კონსტიტუციის 24-ე მუხლით უზრუნველყოფილია აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სამუქალებათა თავისუფლება; იმავე მუხლის მე-4 პუნქტში კი მითითებულია, რომ ეს თავისუფლებები „შესაძლებელია კანონით შეზღუდოს“ სხვადასხვა საეკეცელზე, ანუ მოცემულია შეზღუდვის შინაარსი. ეს დებულებები კანონის არსებობის აუცილებლობის კიდევ ერთი მაგალითია. ამასთან, მე-4 პუნქტი ხაზს უსვამს, რომ კანონით ძირითადი უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ პუნქტში ჩამოთვლილი პირობების უზრუნველსაყოფად. უფრო კონკრეტულად: ზემოაღნიშნულ ძირითად უფლებებში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული იქნება, თუკი იგი ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის მიზანია კონსტიტუციაში მითითებული მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვა.

პრობლემა: შესაძლოა, კანონმდებელმა მთავრის კანონების საფუძველზე ხშირი ჩარევა ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროებში და მათი მნიშვნელობის გაუფასურება. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია, ძირითად უფლებებში ყოველი კანონისმიერი ჩარევა იყოს *თანპროპორტი* (იხ. ქვემოთ „თანპროპორტიების პრინციპი“).

მაგალითი 3: საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-16 მუხლით; აქ ვერსად ენახაეთ ვერც უშუალო კონსტიტუციურ ზღვარს და ვერც შემზღუდავი კანონის არსებობას (როგორც წინაპირობას). ნიშნავს თუ არა ეს, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება სრულიად შეუზღუდავად მოქმედებს და იგი აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა? დაუშვებელია თუ არა ამ უფლების შეზღუდვის მიზნით კანონის მიღება?

ეს მაგალითი წარმოაჩენს ძირითად უფლებას, რომელიც თავდაპირველად სრულიად შეუზღუდავ, ე.წ. აბსოლუტურ ძირითად უფლებად გვეჩვენება. მაგრამ სინამდვილეში მის მიმართაც მოქმედებს გარკვეული ზღვარი — ე.წ. *შიდაკონსტიტუციური ზღვარი*. ასეთი შეიძლება იყოს: მესამე პირობა ძირითადი უფლებები ან სხვა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სიკეთეები (მაგალითად: თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება).

პრობლემა: რამდენად ინტენსიურად, რამდენად ფართოდ შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში?

კონსტიტუციის ზემოთ განხილული მუხლებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფოს შეუძლია დაცულ სფეროში ჩარევა. სახელმწიფოს მოქმედება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) სახეზეა ძირითადი უფლების ზღვარი, ანუ მისი შემზღუდავი კანონი, რომლის საფუძველზედაც განხორციელდა ჩარევა დაცულ სფეროში.

მაგრამ კანონმდებელს რომ ყოველი ასეთი ზღვრის, ანუ კონსტიტუციაში მითითებული კანონების საფუძველზე ჰქონდეს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ძირითადი უფლებები და ჩაერიოს დაცულ სფეროში, მაშინ ეს უფლებები დაკარგაულა თავის მნიშვნელობას. ამიტომ ყოველი კანონი უნდა იყოს „თანაზომიერი“ (ე.წ. ზღვრის ზღვარი).

მაგალითი 4: *პარლამენტმა მიიღო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რის შედეგადაც აიკრძალა პოლიტიკოსების ყოველგვარი კრიტიკა. პარლამენტის გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ, ვერ ერთი, პოლიტიკოსებს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, აქვთ პიროვნული უფლებები, რომელთა დარღვევა დაუშვებელია, და მეორე, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში შემოხსენებული კანონისძიერი ჩარევა (კრიტიკის აკრძალვა) გამართლებულია, რადგან კონსტიტუცია გარკვევით მიუთითებს, რომ დასაშვებია აზრის თავისუფლების შეზღუდვა კანონის საფუძველზე.*

ამ კანონის ზომიერება მეტად საეჭვოა. თითქოს შინაგანი გრძნობაც კი ვეკარნახობს ამას. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის გამოკვლევა და სამართლებრივი დასაბუთება?

თანაზომიერების პრინციპი მოიცავს შემოწმების ოთხ პუნქტს:

- ა) **ლეგიტიმური საჯარო მიზანი.** ასეთი მიზანი კანონს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. როგორც წესი, ეს არის „სახელმწიფოსა და საზოგადოების საყოველთაო კეთილდღეობა“, „სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა“ ან „სხვათა უფლებების დაცვა“ და ა.შ. ეს პუნქტი, ძირითადად, ყოველთვის სახეზეა;
- ბ) **გამოსაღვეობა.** თუ მიზნის მიღწევა თეორიულად შესაძლებელია, მაშინ კანონი გამოსაღვეია. კანონმდებელს აქ აქვს ე.წ. საპროგნოზო-

სამოქმედო „მოედანი“, რადგან მას შეუძლია ამტკიცოს, რომ სწორედ კანონით აპირებს დასახული მიზნის მიღწევას. ამიტომ, როგორც წესი, ყოველი კანონი გამოსადეგია;

გ) **საჭიროება (აუცილებლობა)**. კანონი საჭიროა (აუცილებელია), თუ არ არსებობს სხვა, შედარებით რბილი, ნაკლებად რადიკალური საშუალება, რომელიც იმავე შედეგს მოიტანდა, რასაც კანონი. ეს პუნქტი ზოგჯერ შეიძლება საეჭვო იყოს, მაგრამ ხშირად ჩვენთვის საერთოდ არ არის ცნობილი, არსებობს თუ არა ასეთი „სხვა საშუალება“;

დ) **შესაბამისობა (ანუ თანაზომიერება ვიწრო გაგებით)**. კანონის მიზანი არ უნდა იყოს ჩარევის ინტენსივობის შეუსაბამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონით განხორციელებული ჩარევა მიზნის შესაბამისი, თანაზომიერი უნდა იყოს, შესაბამისად, უნდა მოხდეს სიკეთეთა შედარება (აწონ-დაწონვა) (მაგალითად, სექტის წევრისა და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ზემოთ მოყვანილი შემთხვევა). ასეთ აწონ-დაწონვას, ანუ ინტერესების შედარებას და მათ შეფასებას „პრაქტიკული კონკორდანსი“ ეწოდება. *სწორედ ამ პუნქტს აქვს ჩარევის შემოწმების დროს გადაამწვევტი მნიშვნელობა.*

შენიშვნა: როგორც ხედავთ, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემოწმება ფაქტობრივად ფარავს ერთმანეთს. ხშირად უკვე მესამე („გ“) ეტაპზე ირკვევა დარღვეულია თუ არა თანაზომიერების პრინციპი. აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც შემოწმების სამსაფეხურიან პრინციპს იყენებს საქმეთა გადაწყვეტისას. თუმცა, მეოთხე ეტაპი საჭირო ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა მესამე ეტაპზე საბოლოოდ ვერ ირკვევა ჩარევის თანაზომიერება.

ზემოხსენებულ მოთხოვნებთან ერთად კანონი უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული და მკაფიო (*განსაზღვრულობის პრინციპი*), რაც ნიშნავს, რომ ნორმის შინაარსი და მისი დარღვევის სამართლებრივი შედეგი ადამიანისათვის გასაგები და მაქსიმალურად ნათლად გამოკვეთილი უნდა იყოს. დაუსვეებელია კანონის ნორმათა გაურკვეველი, ორაზროვანი და რიგითი მოქალაქისათვის გასაგებად რთული წყობა, რაც ხშირად ნორმათა მცდარი განმარტების საფუძველი შეიძლება გახდეს. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა.

I. დაცული სფერო
კრი-კრთო თავის ეფულებს ეფულება გახსნილია

II. ჩარევა
კანონის საშუალებით - სახეზეა

კანონის საშუალებით განხორციელებული ჩარევის
III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი
საფუძველი (გამართლება)

1. ფორმალური შესაბამისობა
(უფლებამოსილება, პროცედურა, ფორმა)

2. მატერიალური შესაბამისობა

ა) ზღვარი
(აქვს თუ არა კანონმდებელს ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას უფლება?)

უშუალო
კონსტიტუციური
ზღვარი
მაგალითად: მუხ. 26, პ.
3: „დაუშვებელია ისეთი
საზოგადოებრივი და
პოლიტიკური გაკრთიანების
შექმნა და საქმიანობა...“

კვალიფიციური
წინაპირობა - კანონის
არსებობისა
მაგალითად: მუხ. 24 პ.
4: „ამ მუხლის პირველ და
მეორე პუნქტებში
ჩამოთვლილ უფლებათა
კანხორციელება შეიძლება
კანონით შეიზღუდოს ისეთი
პირობებით...“

შიდაკონსტიტუციური
ზღვარი
მაგალითად: მუხ. 16: ამ
უფლების ზღვარია სხვათა
ძირითადი უფლებები ან
სხვა კონსტიტუციურ
სიკეთეთა დაცვა

ბ) ზღვრის ზღვარი
(რა დოზით, რა ინტენსიუობით შეუძლია კანონმდებელს დაცულ სფეროში ჩარევა?)

1. თანაზომიერების პრინციპი: ლევიტიმური საჯარო მიზანი, გამოსაღვეობა, საჭირიება (აუცილებლობა), შესაბამისობა (=თანაზომიერება ვიწრო გაგებით);
2. განსაზღვრულობის პრინციპი (გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან)

შეგადგომის; კანონით პოლიტიკოსთა კრიტიკის აკრძალვა

საქმის არხი: საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო პროცედურის დაცვით მიიღო შესუველი შინაარსის კანონი: „მუხლი 1. პოლიტიკოსების კოლეგიატივი კრებები აკრძალულია“; „მუხლი 9. ამ კანონით იზღუდება კონსტიტუციის მე-19 მუხლითა („სიტყვის, აზრის თავისუფლება“) და 24-ე მუხლის პირველი პუნქტით (აზრის თავისუფლება – ევლას აქეს უფლება „კამოთქვას და გააკრელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“)“ უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებები“. კანონის მიზანია პოლიტიკოსების დაცვა ცილისწამებისა და კრიტიკისაგან, რათა მათ უფრო შეძლონ თავიანთ საქმეებზე კონცენტრირება, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების წინაპირობაა. წინააღმდეგ შეთხვევაში, ანუ სახელმწიფოს მართვის გაუარესებით, შეიძლება საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. შეესაბამება თუ არა ეს კანონი კონსტიტუციას?

ამოხსნის გზა

კანონი კონსტიტუციის შესაბამისი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია.

I. დაცული სფერო

როგორც საქმის შინაარსიდან ჩანს, კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო გახსნილი უნდა იყოს, რადგან ამ პუნქტით უზრუნველყოფილია აზრის თავისუფლება. აზრის თავისუფლებით დაცული სფერო კი მოიცავს გამონათქვამებს, შეფასებებს, შეხვედლებებსა და, საერთოდ, აზრებს პოლიტიკოსთა, მათი საქმიანობისა და მათ მოსაზრებათა შესახებ. ამდენად, 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ძირითადი უფლებით დაცული სფერო გახსნილია.

II. დაცულ სფეროში ჩარევა

ამის შემდეგ უნდა გაირკვეს, ჩაერია თუ არა სახელმწიფო დაცულ სფეროში. როგორც ცნობილია, ჩარევა არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი უზენაესი აქტი ან ღონისძიება, რომელიც ინდივიდს ხელს უშლის ან უკრძალავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ხვდება კონკრეტული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი წარმოადგენს სწორედ ასეთ ჩარევას აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

III. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ძირითადი უფლებით დაკულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა უნდა განხორციელდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ საფუძველზე, ანუ ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული უნდა იყოს. ამისათვის აუცილებელია, კანონი ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

1. *ფორმალური შესაბამისობა.* კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტს, როგორც უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება სისხლის სამართლის სფეროში. საქმის შინაარსის მიხედვით, კანონი „საკანონმდებლო პროცედურის დაცვით“ იქნა მიღებული. ასევე უნდა ვივარაუდოთ *ფორმის* შესაბამისობა. ამდენად, კანონი ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია.

2. *მატერიალური შესაბამისობა.* პარლამენტს აღნიშნული შეზღუდვა უნდა განეხორციელებინა დასაშვები ფორმით (ძირითადი უფლების *ზღვარი*). 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი აზრის თავისუფლების შესაზღვრად აუცილებელ წინაპირობად ითვალისწინებს კანონის არსებობას. ამდენად, ეს ძირითადი უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონის საფუძველზე. აღნიშნული სისხლის სამართლის კანონი სწორედ ასეთ კანონთა რიცხვს მიეკუთვნება.

3. *მგრამ საკითხაია, ჩარევის მიზნის თანაზომიერია თუ არა აღნიშნული კანონი (ზღვრის ზღვარი)?*

ა) ამისათვის თავდაპირველად აუცილებელია, კანონს ჰქონდეს *ლევტიმური საჯარო მიზანი*. კანონმდებლის აზრით, მოცემული კანონის დებულებებით უნდა გამარტივდეს და კრიტიკისაგან გათავისუფლდეს პოლიტიკოსთა საქმიანობა, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფოს მართვა, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სახელმწიფო უშიშროება. ეს არის მისი *ლევტიმური საჯარო მიზანი*.

ბ) გარდა ზემოთქმულისა, კანონი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად *გამოსადეგი*. აქ კანონმდებელს აქვს ე.წ. საპროგნოზო-სათამაშო „მოვლანი“, სადაც შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ იმოქმედოს. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსები ნამდვილად უკეთესად შეძლებენ თავიანთ საქმიანობაზე კონცენტრირებას, თუ ისინი არ იქნებიან გაკრიტიკებულნი და ამით ხელი არ შეეშლებათ მუშაობაში. ამდენად, კანონი შეიძლება იყოს გამოსადეგი დასახული მიზნის მისაღწევად.

გ) შეზღვევით აძინა, კანონი საჭირო (აუცილებელი) უნდა იყოს. „საქიროება“ ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს რაიმე უფრო ნაკლებად რადიკალური, საშუალება, რომელიც იმავე შედეგს მოიტანდა, რასაც კანონი. მოცემულ საქმეში ეს ნამდვილად არ არის ცხადი და გასარკვევია, სხვა საშუალებები დაეხმარებოდა თუ არა პოლიტიკოსებს თავიანთ საქმიანობაზე უფრო მეტად კონცენტრირებაში. ეს თვითონ პოლიტიკოსთა მიერ საკუთარი სამუშაოს ორგანიზებაზე დასოკიდებული; მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ, რა ფორმით ექნებათ ან საერთოდ ექნებათ თუ არა კონტაქტი კრიტიკოსებთან. ამდენად, კანონის საჭიროება უკვე ეჭვს იწვევს.

დ) და ბოლოს, კანონი აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი, ანუ თანაზომიერი ვიწრო ვაგებით. საკითხავია, უშვებს თუ არა პოლიტიკოსთა ქმედუნარიანობის გაზრდისა და ხელშეწყობის მოთხოვნა აზრის თავისუფლების შეზღუდვას, ანუ იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თუ არა პოლიტიკოსთა კრიტიკის ვარეშე საქმიანობას, რომ ამისათვის დასაშვები იყოს აზრის თავისუფლების შეზღუდვა. როგორც ვიცით, კონსტიტუციით დადგენილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილებისათვის დისკუსია და კრიტიკა განუყოფელი და აუცილებელი წინაპირობებია.

სწორედ დებუტატები, რომლებიც კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სრულად საქართველოს წარმომადგენლები არიან“ და რომელთა გაწვევა დაუშვებელია, უნდა იყვნენ მზად მოქალაქეთა იდეებისა და კრიტიკის მოსასმენად. საჯარო დისკუსიებისა და კამათის ვარეშე დებუტატები არ შეიძლება იყვნენ და ვერც იქნებან ნამდვილი “ხალხის წარმომადგენლები“. ანუ კრიტიკა არათუ ხელს უშლის მათ საქმიანობას, არამედ პირიქით, ეხმარება მათ. კრიტიკა რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური ოპოზიციის შექმნა და არსებობა. ოპოზიციასზე უფლება კი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებითი, შემადგენელი ნაწილია. ნაძღვილად შეუსაბამო და არაზომიერი იქნება, რომ აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ოპოზიციასზე უფლება „პოლიტიკოსების საქმიანობის გამართლებებისა და მათთვის ხელისშეწყობის“ საფუძველზე შეიზღუდოს.

შედეგი: კანონი მატერიალურად არ შეესაბამება კონსტიტუციას, ანუ კანონის საფუძველზე განხორციელებული ჩარევა დაცულ სფეროში არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. დარღვეულია კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლება – აზრის თავისუფლება.

2. ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ადმინისტრაციის მოქმედებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა, ანუ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ კანონის საშუალებით, არამედ ადმინისტრაციის მოქმედებით (მაგალითად, *ქალიცია არ აძლევს მოქალაქეებს დემონსტრაციის ჩატარების საშუალებას ან შლის შეკრებას*) ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევებში უნდა შემოწმდეს ორი საკითხი:

1. მოქმედების სამართლებრივი საფუძვლის კონსტიტუციასთან შესაბამისობა

და

2. თავად მოქმედების (=ადმინისტრაციის მოქმედება, სასამართლოს გადაწყვეტილება) კონსტიტუციასთან შესაბამისობა

ცხადია, რომ პირველ რიგში უნდა შემოწმდეს კანონი, რომელსაც ეყრდნობა მოქმედება. მაგალითად: ადმინისტრაციას არ შეუძლია მარტივად, საკუთარი შეხედულებისამებრ დაშალოს შეკრება ან დემონსტრაცია. ამისთვის მას სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი (კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“). ეს შემოწმება ხორციელდება ზემოთ წარმოდგენილი სქემის მიხედვით.

აღნიშნულის შემდეგ უნდა შემოწმდეს კონკრეტული ქმედების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ეს შემოწმება თანაზომიერების პრინციპის ზემოთ ნაჩვენები სქემის მიხედვით ხორციელდება:

- ლეგიტიმური საჯარო მიზანი,
- გამოსადეგობა,
- საჭიროება (აუცილებლობა),
- შესაბამისობა (თანაზომიერება ვიწრო გაგებით),

აგრეთვე ითვლება *კანსაზღვრულობის პრინციპი*.

შედეგად:

პირველად მოწმდება საკანონმდებლო საფუძველი
(მაგალითად, კანონი „შეტრეებისა და მანიფესტაციების შესახებ“)
შესდე კი მოწმდება მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული
მოქმედება

(მაგალითად, პოლიციის მიერ დემონსტრაციის დაშლა).

აღნიშნულ სქემაში პირველი ნაწილი ზორციელდება ზუსტად ისე,
რაცორც ეს აღწერილი იყო პირველ ნაწილში („კანონისმიერი ჩარევის
კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი“). შემდეგ კი შემოწმდება
ვრძელდება ამ (მეორე) ნაწილში მოცემული („ადმინისტრაციის მოქ-
მედებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩარევის კონსტიტუციურ-
სამართლებრივი საფუძველი“) სქემის მიხედვით. /

თავისუფლების ძირითადი უფლების დარღვევის შემოწმების სქემა

I. დაცული სფეროს გახსნა

II. ჩარევა სახეზეა

კანონით

ადმინისტრაციის მოქმედებით

სასამართლოს გადაწყვეტილებით

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

1. ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან

(უფლებამოსილება, პროცესი, ფორმა).

2. მატერიალური შესაბამისობა კონსტიტუციასთან

ა) კანონისმიერი შეზღუდვის დასაშვებობა (ზღვარი)

ა.ა) უშუალო კონსტიტუციური ზღვარი (მაგ.: მ. 26, პ. 3);

ა.ბ) კანონის არსებობა (მაგ.: მ. 24, პ. 4);

ა.გ) შიდაკონსტიტუციური ზღვარი (მაგ.: მ. 16: სხვათა ძირითადად უფლებათა ან მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთეთა დაცვა);

ბ) ზღვრის ზღვარი

ბ.ა) ზომიერების პრინციპი (ლევტიმური საჯარო მიზანი, გამოსადეგობა, საჭიროება, ზომიერება),

ბ.ბ) განსაზღვრულობის პრინციპი (ნორმის შინაარსი და სამართლებრივი შედეგი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, (სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნა).

1. კონსტიტუციის შესაბამისი კანონიერი საფუძველი

ადმინისტრაციის მოქმედებისათვის

(შემოწმდება ისევე, როგორც მოცემულია მარცხენა მხარეს).

2. კონკრეტული მოქმედების

კონსტიტუციასთან შესაბამისობა

(=ადმინისტრაციის მოქმედება, სასამართლოს გადაწყვეტილება)

ა) თანაზომიერების პრინციპი (ლევტიმური საჯარო მიზანი, გამოსადეგობა, საჭიროება, ზომიერება),

ბ) განსაზღვრულობის პრინციპი (=მოქმედება უნდა იყოს ნათელი და მკაფიოდ განსაზღვრული).

II ნაწილი

ცალკეული ძირითადი უფლებები

თავი პირველი

თავისუფლების ძირითადი უფლებები

1. მ. 17 – ადამიანის ღირსება: უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება

I. შესავალი

თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი. კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდად, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოყალიბების შესაძლებლობა და უნარი. ამ უნარიდან გამომდინარე, ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განკითარების შესაძლებლობით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური სფეროებისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია ადამიანს ამისათვის შეუქმნას შესაბამისი პირობები და მისცეს თავისუფალი ცხოვრებისა და საქმიანობის საშუალება. სწორედ აქ არის თვითმართვლობისა და დემოკრატიის ფესვები.

ადამიანის ღირსება
მ. 17

<p style="text-align: center;">სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მას; დაუშვებელია ადამიანის ღირსების დარღვევა <i>(სახელმწიფო ხელისუფლების უძთავრესი მოთქავე ნორმა)</i></p>	<p style="text-align: center;">სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას იგი; სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს ადამიანის ღირსების დარღვევა <i>(სახელმწიფო ხელისუფლების მოქანა)</i></p>
---	--

II. დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.“ იმავე მუხლის მე-2 პუნქტით კი „დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაპაუზანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.“ კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლში მოცემული ძირითადი უფლების შინაარსისა და ამ უფლებით დაცული სფეროს განსაზღვრა მეტად რთულია. ფილოსოფიური მოძღვრებები მას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ. თუმცა უდავოა ის ფაქტი, რომ „ადამიანის ღირსების“ განვითარება ისტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანობასთან. ამის საფუძველი ადამიანის ღმერთთან მსგავსებაა: „შექმნა ღმერთმა კაცი სახედ თვისად, თავის ბაჭად შექმნა იგი“. სწორედ აქედან გამომდინარე, ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ღირსება, ღირებულება, რის გამოც იგი არ შეიძლება იქცეს რაიმეს ობიექტად ან ინსტრუმენტად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი არასოდეს არ უნდა იქცეს მიზნის მისაღწევ საშუალებად, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ღირსების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს აბსოლუტურად ვველა ადამიანს. აქ ადამიანთა დიფერენცირება რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით დაუშვებელია. ღირსება ერთდროულად აქვს ქალს და კაცს, ბავშვს და მოხუცს, კანონმორჩილ მოქალაქეს და რეციდივისტს. თვით დედის სხეულში მყოფ მომავალ

საკაცხოველსაც შეუძლია მოიხმოს საკუთარ უფლებათა დასაცავად აღძვარის ღირსება. ღირსება არ არის დაკავშირებული:

- ა) უცვლელაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან;
- ბ) ღირსების შეგრძნების შესაძლებლობასთან;
- გ) შეგნებასთან, რომ ღირსების მფლობელი ხარ.

შესაბამისად, ღირსება აქვს როგორც დედის სხეულში მყოფ ნაყოფს (*inasciturus*), ისე რაიმე ფიზიკური ნაკლით დაბადებულს და სულით ავადმყოფს. ადამიანის ღირსება ვრცელდება აგრეთვე გვამზე და კარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე. პატიმრებსაც, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან უმძიმესი დანაშაულებისათვის, აქვთ ღირსება.

როგორც აღინიშნა, ადამიანის ღირსების პატივისცემა მღვდმარეობს იმაში, რომ ყოველი ადამიანი აღიარებულია საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე დამოუკიდებელ და თავისუფალ პიროვნებად. არავინ არ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს საქმიანობის „შიშველი ობიექტი“. ადამიანის ღირსება დაირღვევა მაშინ, როცა მას დევნის, დამცირების, უფლების აყრის გზით მოეპყრობიან, როგორც საგანს. ამასთან, ღირსება არ არის ხელშესახები, ასევე არ შეიძლება მისი დაკარგვა. არც სახელმწიფოს შეუძლია რაიმე პირობების არსებობისას ადამიანს ღირსება მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოართვას და არც ადამიანი კარგავს ღირსებას თავისი უღირსი საქციელით, საქმიანობით თუ ცხოვრების სტილის გამო. სადაც კი არსებობს ადამიანი, იქვეა მისი ღირსებაც და არა აქვს მნიშვნელობა, ღირსების მფლობელს ესმის თუ არა ეს.

ღირსების განსაკუთრებული, ფუნდამენტური მნიშვნელობა იკვეთება იმაშიც, რომ იგი არა მხოლოდ *დამტკავი* ძირითადი უფლებაა (*status negativus* – სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს არავითარი ინტერვენცია ადამიანის ღირსებით დაცულ სფეროში, არ უნდა შელახოს ადამიანის ღირსება), არამედ მას ე.წ. „*აქტიური სტატუსიც*“ (*status activus*) აქვს. იგი სახელმწიფოსაგან *მოითხოვს* ადამიანების ელემენტარული სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფას. ადამიანებს არ შეიძლება მიენიჭოთ განსხვავებული (დაბალი და მაღალი რანგის) სამართლებრივი სტატუსი. სწორედ აქედან გამომდინარე, დაუშვებელია და ადამიანის ღირსების შელახვად ითვლება მონობა და რასისტული დისკრიმინაცია. გარდა ამისა, ღირსების


ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან **მოითხოვს** ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური პირობების შექმნას. აქ იგულისხმება როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ისე სოციალური სისტემა. ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი უნარის შესაბამისად მიიღოს საჭირო განათლება და საკუთარი შრომით კანონიერად მოიპოვოს ის შემოსავალი, რაც აუცილებელია ღირსეულად ცხოვრებისათვის. აქედან გამომდინარე, ადამიანის ღირსების შელახვად შეიძლება შევაფასოთ სახელმწიფოში არსებული ძალიან მაღალი, არაგონივრული გადასახადები, რომელთა გადახდის შემდეგაც ადამიანს რჩება ის შემოსავალი, რაც არ აძლევს მას ღირსეულად ცხოვრების საშუალებას (*მაგალითად*, არ შეუძლია საკუთარი თავი და ოჯახი უზრუნველყოს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით (შესაბამისი საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით და ა.შ.)) და აიძულებს არაკანონიერი გზებით მოიპოვოს საჭირო შემოსავალი.

ადამიანის ღირსების მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად ჩანს აგრეთვე სისხლის სამართალში, სადაც ეს ძირითადი უფლება ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის საზღვრებს და ბოჭავს მას. სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი და შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავეს ბრალს; დაუსუბებელია სახელმწიფოს მხრიდან სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. დანაშაულის ჩამდენი პირი არ უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად. ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ინდივიდუალური და სოციალური პირობები შენარჩუნებული უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ეხება სასჯელის აღსრულებასაც. ამ მოთხოვნის გამო უნებურად ჩნდება კითხვა: *სამართლიანია თუ არა სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთის დადგენა და გამოყენება?* აღნიშნულ კითხვას პასუხი შეიძლება გავცეთ კონკრეტული სასამართლო საქმის საფუძველზე:

მაგალითი 1: სამართლის ერთ-ერთმა ცნობილმა პროფესორმა, რომელიც იმედგეროულად საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი თავისი კლიენტის სახელით, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი სარჩელში მოითხოვდა სასჯელის ამ სახის გაუქმებას. მისი აზრით, უვადო თავისუფლების

აღკვეთა არღვევდა ადამიანის ღირსებას, რადგან ამით ადამიანი მთელი სიცოცხლე ოთხ კედელს შორის იქნებოდა გამოძევებული, კვლავ შეძლებდა საკუთარი პიროვნების განვითარებას და როგორც ინდივიდი, სიცოცხლეშივე მკვლარი იქნებოდა, რადგან იცოდა, რომ საერთოდ არ აქონდა განთავისუფლების რეალური, სამართლებრივი შანსი. პროფესორი იმეორებდა, რომ „დაუშვებელია და ადამიანის ღირსებას არღვევს ისეთი ნორმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ შეიძლება იძულებით აღუკვეთოს უვადოდ თავისუფლება პირს, ყოველგვარი შანსისა და იმედის გარეშე, რომ იგი რაღაც დროის შემდეგ შეიძლება განთავისუფლდეს. შეწყალების პრინციპი ამ მოთხოვნას შეესაბამება, ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს შეწყალების პრინციპის სამართლის ნორმის დონეზე აყენას.“ სასამართლომ განიხილა საქმე და გადაწყვეტილებაში მოუთითა, რომ ეს სასჯელი წარმოადგენს ადამიანის ღირსების უმძიმეს დარღვევას, მაგრამ მისი არსებობა დასაშვებია, თუ იმადროულად დამნაშავეს ექნება შანსი, ვარკვეული დროის შემდეგ ისევ მოიპოვოს თავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსთხოვა კანონმდებელს, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეეტანა ნორმა, რომლის მიხედვითაც, დამნაშავე, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, შეიძლება განთავისუფლებულიყო 10 წლის შემდეგ შესაბამისი პირობების არსებობისას (თუ მას არ აქვს განსაკუთრებით მძიმე ბრალი და ა. შ.). კანონმდებელმა ეს მოთხოვნა შეასრულა (იგივე ნორმა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც).


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ყოველ ადამიანს აქვს ღირსება, რის გამოც დაუშვებელია, იგი იყოს რაიმე საქმიანობის ობიექტი ან ინსტრუმენტი. ადამიანი არასოდეს არ შეიძლება იყოს საშუალება მიზნის მიხედვით, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს.



1.1. დაცულ სფეროში ჩარევა

მოუხედავად ზემოხსენებული იმპერატიული მოთხოვნისა, ადამიანი მაინც, და არცთუ იშვიათად, ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმების, რომლებსაც იგი უნდა დაემორჩილოს, შიშველი ობიექტი. მაგრამ ეს ვერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ღირსების ძირითადი უფლების დარღვევად. *აუცილებელია, ამ ყოველივეს თან ახლდეს გარემოება, რომლის გამოც ადამიანი განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ ხდება, რაც პრინციპულად აკმაკემ აყენებს მისი, როგორც ინდივიდის, სუბიექტის ზარისხს.* სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა, მისი უზუნაესი ღირებულება არ უფასურდება დაცულ სფეროში მსუბუქი ჩარევით. *ადამიანის ღირსების დარღვევა ხდება ამ უფლებით დაცულ სფეროში მხოლოდ მძიმე ჩარევის დროს.* ნაკლები ინტენსივობის ღონისძიებები კი, რომლებიც მხოლოდ დროებით გაეღენას ახდენს და რომელთა მიზანი სულაც არაა ადამიანის დამცირება, არ არღვევს ადამიანის ღირსებას.

მაგალითი 2: ესპანეთში წარმოებდა გამოძიება ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციის წევრის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენა. დაკავებისას მას პქონდა ულვაშები და ქერად შეღებილი თმა, ასევე რამდენიმე ყალბი პასპორტი, რომლებშიც იგი სულ სხვა სახით (განსხვავებული წევრითა და ულვაშებით, ვარცხნილობითა და თმის ფერით) იყო წარმოდგენილი. მოწმებთან დაპირისპირების მიზნით გამოძიებელმა ბრძანა, ეჭვმიტანილის სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით შეეღებათ მისთვის თმა, საერთოდ, გრიზიორების დახმარებით ეჭვმიტანილს უნდა მიეღო ისეთი იერი, როგორითაც იგი მოწმებმა ნახეს. მოუხედავად დაკავებულის წინააღმდეგობისა, მას რამდენჯერმე (დაპირისპირების რაოდენობის შესაბამისად) შეუცვალეს იერი, სპეციალური საშუალებებით მიაკრეს ულვაშები, წვერები, შეუღებეს თმა და შეუცვალეს ვარცხნილობა. დაკავებულის საჩივრის განხილვის შემდეგ კომპეტენტურმა სასამართლომ განმარტა, რომ აქ არ მომხდარა ადამიანის ღირსების შელახვა, რადგან: გამოძიებლის მიერ მიღებული ზომები იყო (1) ნაკლები ინტენსიურობის და (2) დროებითი ხასიათის, (3) არ წარმოადგენდა ბრალდებულს შიშველობიქტად და (4) მიზნად ისახავდა არა მის დამცირებას, არამედ მძიმე დანაშაულთა გახსნას.



დროთა განმავლობაში, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მდიდარი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამოიკვეთა შემთხვევათა ჯგუფები, რომელთა დროსაც ირღვევა ადამიანის ღირსება. ესენია:

- (რასიოტუული) დისკრიმინაცია, რომელიც დისკრიმინირებული პირის ადამიანობას უარყოფს;
- მონობა, ადამიანებით ვაჭრობა;
- წამება, არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, ფიზიკური სასჯელი;
- ე.წ. ტყინის გამორეცხვა, ფსიქიკური წამება ან პიქნოზი;
- სისტემატური დამცირება და შეურაცხყოფა;
- ფიზიკური და სულიერი სიმშვიდისა და ერთიანობის მასობრივი შელახვა და დარღვევა;
- საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლა (მაგალითად: ძალიან მაღალი, არასამართლიანი გადასახადებით);
- გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩაყენება;
- ინდივიდის მიმართ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მასობრივი უარყოფა;
- ადამიანის გენებზე კანონსაწინააღმდეგო კვლევების ჩატარება;
- ბავშვის მიჩნევა ზიანად;
- ღირსების შემლახველი მოწოდებებისა და შეხედულებების გავრცელება.

დასკვნა:

ყოველ ადამიანს აქვს ღირსება; ეს ღირსება გამომდინარეობს ადამიანად ყოფნისაგან. ღირსება ადამიანს არ მიენიჭება სახელმწიფოსაგან (პრეზიდენტის, პარლამენტის ან სასამართლოს მიერ). იგი იმანენტურია ადამიანად ყოფნისათვის.

ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება თურიდიულ პირებზე.

2. მ. 16 – პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

I. შესავალი


საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი კონსტიტუციის დებულებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოკლე და ლაკონურია. ამ მუხლის მიხედვით, *„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.“* მიუხედავად ასეთი ლაკონურობისა, აღნიშნული დებულება, ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი და შინაარსობრივად კონსტიტუციის ყველა სხვა ნორმაზე დიდი მოცულობის მქონე ნორმაა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნული ნორმის შინაარსის დაწვრილებით განხილვა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა.

ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებებია. მათი განვითარება – ადამიანის თვითგანვითარება – თითოეული ძირითადი უფლების უმთავრესი მიზანია. ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებები უზრუნველყოფენ ადამიანში, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდში არსებული პიროვნული უნარისა და ძალების თავისუფალ განვითარებას. ამდენად, კონსტიტუციის მე-16 მუხლი მჭიდრო კავშირშია მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლითაც აღიარებულია ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან გარკვეული ნიშნებით გამოყოფილ სფეროებს. უპირველეს ყოვლისა, იგი მოიცავს

ყოველი ინდივიდის პირადი ცხოვრების სფეროს, რომელსაც იცავს ზოგადი პიროვნული უფლებით, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით. სწორედ ამ ორი ყოველისმომცველი უფლების ფრთებქვეშ ერთიანდება ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ზემოხსენებული სფერო. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად ყოველი მოქმედება და უმოქმედობა ადამიანისა ხდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ქვეშ. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ყველა მოქმედება, რომლითაც იზღვევა ადამიანის თავისუფლება, წარმოადგენს ჩარევას აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში; შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს ამ მოქმედებებს ჰქონდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის აბსოლუტურ, სრულ დაცვას. სწორედ ამ მუხლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რაც აკრძალული არ არის, დაშვებულია, და არა პირიქით.



პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მფლობელია ყველა ფიზიკური პირი. ეს ეხება არასრულწლოვანებს, ქმედუნაროებს და სულით ავადმყოფებსაც. აღნიშნული ძირითადი უფლება შეიძლება განსოცენონ აგრეთვე იურიდიულმა პირებმაც, თუმცა საჯარო სამართლის იურიდიული პირები ძირითადად (რამდენიმე გამონაკლისის გარდა)

არ არიან დაცული ამ უფლებით. აღსანიშნავია, რომ, განსხვავებით ზოგადი პიროვნული უფლებისაგან, გარდაცვლილ ადამიანზე არ ვრცელდება საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება, რადგან მისი გამოყენების აუცილებელი წინაპირობა პოტენციური ან მომავალი პიროვნების არსებობაა.



II. კავშირი სხვა ძირითად უფლებებთან

როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს იცავს არა მხოლოდ მე-16 მუხლით, არამედ სპეციალური ძირითადი უფლებებითაც, როგორებიცაა, *მაგალითად*, რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები (მ. 19), ხელოვნების თავისუფლება (მ. 23), აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები (მ. 24), შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება (მ. 25) და ა.შ. მოქალაქეთა თავისუფლების შემზღვევით მოქმედების განზორციელებისას, სახელმწიფო ძალიან ხშირად ერევა როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით, ისე რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. ამ დროს არ შეიძლება ორივე მათგანის ერთდროულად გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავენ სპეციალური ძირითადი უფლების განსაკუთრებული დებულებები. ამასთან, რადგან პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ზოგადი ნორმაა, მისი დამოკიდებულება სპეციალურ ძირითად უფლებებთან ეფუძნება სამართლის ცნობილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, *ზოგადი ნორმა უკან იხევის, როცა შეიძლება სპეციალური ნორმის გამოყენება (lex specialis derogat legi generali)*. აქედან გამომდინარე, როცა ხდება როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, ისე ერთ-ერთ სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევა, ამ დროს დაცულ სფეროში განზორციელებული ჩარევის საწინააღმდეგოდ გამოიყენება მხოლოდ სპეციალური ძირითადი უფლება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, როცა განზორციელებული ანალიზის შედეგად არ დადგინდება სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევა.

მოუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა ვერ ხერხდება ჩარევის საწინააღმდეგოდ რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლების გამოყენება.

ამ დღის შესასრულებლად დავეყრდნობთ კონსტიტუციის მე-16 მუხლს და ჩარევისაგან დასაცავად გამოვიყენოთ პიროვნების თავისუფალი განვიითარების ზოგადი უფლება. *მაგალითად*, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ვერ იყენებენ ზოგიერთ ძირითად უფლებას (რომლებსაც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ფლობენ (ე.წ. „სახელმწიფო უფლებები“)), მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავი დაიცვან სწორედ პიროვნების თავისუფალი განვითარების ზოგადი, ყველასათვის უზრუნველყოფილი უფლებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტიტუციის მე-16 მუხლის შინაარსი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: იგი მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სახესა და ცხოვრების ყველა სფეროს, რომელიც არ ხვდება რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ამით უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ დაცვას.

III. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-16 მუხლის ლაკონურობის მიუხედავად, ეს ნორმა შინაარსობრივად კონსტიტუციის ყველა სხვა ნორმაზე უფრო დიდი მოცულობისაა. სწორედ ამის გამო, აუცილებელია აღინიშნული ნორმის დაწერილობით განხილვა და მისი შემადგენელი ცალკეული უფლებების გაანალიზება. აღსანიშნავია, რომ 1995 წლის კონსტიტუციით შექმნილ საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოში საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ გადაწყვეტილება, რომლითაც განმარტებული იქნებოდა კონსტიტუციის მე-16 მუხლის შინაარსი. ამის გამო, აღნიშნული ნორმის ანალიზისათვის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ დასაყვლეთ ევროპის იმ სახელმწიფოთა მდიდარი სასამართლო პრაქტიკა, რომელთა კონსტიტუციებიც ასევე აღიარებენ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

თავდაპირველად კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ადამიანის ორ უმნიშვნელოვანეს უფლებას: *ზოგად პიროვნულ უფლებას* და *საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას*. თავის მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლება ასევე რამდენიმე კონკრეტული უფლებისაგან შედგება. ესენია:

(1) თვითგამორკვევის, (2) პირადი ცხოვრებისა და (3) თვითგამოსახვის უფლებები. თვითგამორკვევის უფლება მოიცავს ყოველი ადამიანის უფლებას (ა) საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე, (ბ) საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე და (გ) ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას; პირადი ცხოვრების უფლება ე.წ. „სფეროთა თეორიის“ საფუძველზე იცავს ყოველ ადამიანს პირად ცხოვრებაში არასასურველი ჩარევებისაგან; თვითგამოსახვის უფლება კი მოიცავს ადამიანის უფლებას (ა) საკუთარ სიტყვაზე, (ბ) საკუთარ სურათზე და (გ) საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე, აგრეთვე (დ) უფლებას საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე.

**ზოგადი პიროვნული უფლება
(მ. 16)**

<p>1. თვითგამორკვევის უფლება:</p> <p>ა) უფლება საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე;</p> <p>ბ) უფლება საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე;</p> <p>გ) ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება</p>	<p>2. პირადი ცხოვრების უფლება (სფეროთა თეორია)</p>	<p>3. თვითგამოსახვის უფლება:</p> <p>ა) უფლება საკუთარ სიტყვაზე;</p> <p>ბ) უფლება საკუთარ სურათზე;</p> <p>გ) უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე;</p> <p>დ) უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე</p>
---	---	---

როგორც ეხედავთ, კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამოძინარე ზოგადი პიროვნული უფლება მართლაც ძალიან მოცულობითია. იგი წარმოადგენს კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების საფუძველს (მაგალითად: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (მ. 20, პ. 1) და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლე-

ბა (მ. 41)). ბუნებრივია, რომ აუცილებელია ზოგადი პიროვნული უფლების დაწერილებითი ანალიზი. მაგრამ თავდაპირველად უმჯობესია განვიხილოთ კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამომდინარე ასევე მიტად მნიშვნელოვანი ძირითადი უფლება: საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება.

IV. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება

ა) დაცული სფერო

ადამიანის ნებისმიერი მოქმედება და საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების სფეროს და არ ხდება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით. ამ თავისუფლების ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება მისი შინაარსი მოკლედ ასე გადმოვცეთ: „*ყველას შეუძლია გააკეთოს (ან არ გააკეთოს) ის, რაც მას სურს.*“⁴ ამ შინაარსის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება და უმოქმედობა არის პრინციპულად მნიშვნელოვანი და, შესაბამისად, ასევე პრინციპულად დაცული. აქედან გამომდინარე, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის აბსოლუტურ დაცვას.

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება ერთნაირად იცავს აქტიურ და პასიურ მოქალაქეებს. იგი არის ყოველი ადამიანის კერძო ინიციატივისა და საქმიანობის წამოწყების საფუძველი, იმავედროულად კი (კონკრეტული საქმიანობისაგან დამოუკიდებლად) უზრუნველყოფს ინდივიდის დაცვას ყოველგვარი სახის სახელმწიფოებრივი ჩარევისაგან.

გამომდინარე იქედან, რომ *საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება* „ყოველისმომცველი“ ძირითადი უფლებაა, იგი იცავს *ყველა იმ ფორმას, რაშიც შეიძლება გამოიხატებოდეს ადამიანის საქმიანობა*. საქმიანობის ამ ფორმების სრული ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მათი დახასიათება მაგალითების მეშვეობით.

⁴ საანტერესოა, რომ 1949 წელს, გერმანიის ძირითადი კანონის პროექტში სწორედ ეს ფორმულირება იყო დაფიქსირებული. იგი ამოიღეს მხოლოდ გარკვეული გრამატიკული (და არა შინაარსობრივი) მოსაზრებების გამო და შეცვალეს „პიროვნების თავისუფალი განითარების უფლებით“.

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას განსაკუთრებული პნიმ-ენელობა აქვს ეკონომიკურ სფეროში. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სასელომწიფო ვალდებულა ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“ (მ. 30, პ. 2). თავისუფალი მეწარმეობისა და, საერთოდ, ეკონომიკის თავისუფლების საფუძველი კი სწორედ საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაა. იგი იცავს ეკონომიკურ ურთიერთობათა თავისუფლებას და სახელშეკრულებო ავტონომიას. თავის მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლება და ავტონომიურობა უზრუნველყოფს ფასების თავისუფალი განსაზღვრის რეჟიმს. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება აღამიანებს იცავს აგრეთვე იმ გადასახადებისა თუ მოსაკრებლებით დაბეგერისაგან, რომლებიც შემოღებულია კონსტიტუციური ნორმების დარღვევით. დაცულია აგრეთვე ფულადი და მატერიალური შესაწირის შეგროვება, როცა მას არ აქვს რელიგიური საფუძველი და, ამდენად, არ ხდება რელიგიის თავისუფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ქვეშ. ქუჩებსა და ტროტუარებზე მტრედების გამოკვება კი, რაც წარმოადგენს ფრინველებისადმი სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით.

მაგალითი 1: საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით აიკრძალა ქუჩებში, ტროტუარებზე, მოედნებსა და სკვერებში მტრედების გამოკვება. ფლორისა და ფაუნის დამცველთა საზოგადოების მიერ წარდგენილი სარჩელის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ ქუჩებში, მოედნებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მტრედების გამოკვება დაცული იყო საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით. მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად გამართლებული იყო, რადგან, ერთი მხრივ, ეს იყო შეზღუდული, ნაკლებად მძიმე ჩარევა ფრინველებისადმი სიყვარულის გამოხატვის თავისუფლებაში, მეორე მხრივ კი იგი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ არ მოხდარიყო მტრედებისაგან ქუჩების, მოედნების, სკვერებისა და ტროტუარების სერიოზული დაზიანებება.

საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლება კონსტიტუციის 26-ე მუხლით არის აღიარებული. ნეგატიური მხრივ იგი უზრუნველყოფს ყოველი აღამიანის თავისუფლებას არ გახდეს რომელიმე ასეთი გაერთიანების წევ-

რი. ასევე დაუმკვებელია ასეთი გაერთიანების წევრობის იძულება. მაგრამ 26-ე მუხლი არ მოიცავს საჯარო-საოსტატოებრივ გაერთიანებებს. ასეთი კი შეიძლება იყოს პროფესიული ნიშნით შექმნილი ორგანიზაციები, როგორცაა საეაქრო, ექიმთა და ადვოკატთა პალატები. იძულებითი წყობით ამ ორგანიზაციებში ნიშნავს ჩარევას საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში. ეს ჩარევა მხოლოდ მაშინ არის კონსტიტუციურ-საოსტატოებრივად გამართლებული, როცა მოცემული გაერთიანება სახელმწიფოს მიერ დაარსებულია ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად. აქ იგულისხმება ისეთი ამოცანები, რომელთა შესრულებაზეც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, მაგრამ მათი შესრულება შეუძლებელია მხოლოდ ინდივიდთა კერძო ინიციატივით ან მხოლოდ სახელმწიფოს მიერ.

ბ) დაცულ სფეროში ჩარევა

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით დაცული სფეროს „ყოველის-მომცველი“ ხასიათის გამო, დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი შემოქმედება და ისეთი ნორმების დადგენა, რომლებითაც წესრიგდება ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სახეები. აქ პრობლემა წარმოიშობა იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფაქტობრივი მოქმედებების მიმართ კონსტიტუციური სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. შესაძლებელია მხოლოდ ნორმატიული აქტის გასაჩივრება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ინდივიდის თავისუფლების შემზღუდავი მოქმედება. მაგალითად, საცხოვრებელი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე აეროპორტის მშენებლობა არის ფაქტობრივი ღონისძიება და იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ დაცულ სფეროში ჩარევად. მაგრამ ის ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მშენებლობა და რომლის მიხედვითაც თვითმფრინავებს ღამის განმავლობაშიც შეუძლიათ დაშვება ან სტარტის აღება, უკვე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიების შედეგია, თვითმფრინავების ხმაურით მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება კი არღვევს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას.

მახედავად ამისა, შესაძლებელია გამოიყოს მნიშვნელოვანი სიძლიერის ჩარევები. ასეთია, *მაგალითად*, პირდაპირი ჩარევები თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის სფეროში, როცა სახელმწიფო გასცემს განსაკუთრებულ ნებართვებს, ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებებსა და გასცემს სუბვენციებს კონკურენტებზე. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებასთან ერთად აღნიშნული ჩარევების წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ კონსტიტუციის 30-ე მუხლით უზრუნველყოფილი მეწარმეობისა და კონკურენციის თავისუფლება, უშუალოდ საწარმოთა საქმიანობაში ჩარევების წინააღმდეგ კი – საკუთრების ძირითადი უფლება (მ. 21).

ვ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

კონსტიტუციის მე-16 მუხლი არ შეიცავს დებულებას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის საფუძვლების შესახებ. ამდენად, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება (ზოგად პიროვნულ უფლებასთან ერთად) აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. მაგრამ აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ კონსტიტუცია სხვა სამართლებრივ სიკეთებსაც იცავს, ანუ სხვა (სპეციალური) ძირითადი უფლებებით დაცულია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროები და საქმიანობის ფორმები. გარდა ამისა, კონსტიტუციით შექმნილია ე.წ. „*კონსტიტუციური წესრიგი*“. ეს წესრიგი მოიცავს *სახელმწიფოს მთელ სამართლებრივ სისტემას, ანუ ყველა ნორმას, რომელიც ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას*. სხვათა უფლებები და კონსტიტუციური წესრიგი ერთად ქნიან პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ე.წ. *შიდაკონსტიტუციურ ზღვარს*. ამდენად, არ შეიძლება ერთი სამართლებრივი სიკეთის დაცვით დაირღვეს სხვა სამართლებრივი სიკეთე, ანუ სხვა ადამიანის ძირითადი უფლება ან კონსტიტუციური წესრიგი. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში *ზომიერების პრინციპის* საფუძველზე კონსტიტუციური წესრიგის ნორმათა შემოწმების დროს უნდა მოხდეს მათი შედარება საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებასთან (*შედარების, ანუ აწონ-დაწონების მეთოდი*). რამდენადაც მძიმეა დაცულ სფეროში ჩარევა, იმდენად დაწერილობით არგუმენტირებული უნდა იყოს შესაბამისი ნორმის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.

მაგალითი 2⁵: გერმანიის ერთ-ერთი მხარის (გერმანულად: *Ulas Lund* - ულსლანდის) შესდგენელი წერი-სახელწიფო) წარმომადგენლობითა ორგანოა მაალი კანონი ვარევის დაცვის შესახებ, რომელიც ფორმალურად შესაძება კონსტიტუციას. სხვა დებულებებთან ერთად, კანონი ადევნს, რომ ტყეში ცხენით ჯირითი დასაშება მხოლოდ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ და აღნიშნულ გზებზე. კანონის მიზანია ფეხით მოსარულეთა დაცვა ცხენებთან უკუარი შეხვედრისაგან, რამაც შეიძლება ამ პირთა ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. ამ მხარეში მცხოვრები ერთ-ერთი ფერმერი ფიქრობს, რომ ამით იზღუდება მისი საქმიანობა. იგი რამდენიმე ათეული ცხენის მფლობელია. დაკეუბლია საცხენისნო სპორტით და ფლობს კარგ ცხენსაშენს. აგი ასევე აქირავებს ცხენებს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც საცხენისნო სპორტს მისდევენ ან რომლებსაც უბრალოდ საამოვნებო რეგულარულად ცხენთა ჯირითი და სეირნობა. ამის გამო, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ძლიან მკირე მონაკეთებია გამოყოფილი საცხენისნო სპორტისა და ცხენთა სეირნობის მოყვარულთათვის, ფერმერი სთხოვს თავის ადვოკატს მოაშხალოს შესაძების სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად. იგი დარწმუნებულია, რომ კანონით ირღვევა მისი ძირითადი უფლებები. ადვოკატი ამზადებს სარჩელს და წარუდგენს სასამართლოს. არის თუ არა სარჩელი დასაბუთებული? (გარაულობით, რომ სარჩელი დასაშება).

საკონსტიტუციო სარჩელი დასაბუთებული იქნება, თუკი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. ასევე გასარკვევია, ხდება თუ არა ტყეში ცხენით ჯირითი რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. ამ მხრივ, თითქოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების ძირითადი უფლება შეიძლება გამოვიყენოთ. მაგრამ ეს მუხლი იცავს უკვე არსებულ საკუთრებას, გარკვეული საქმიანობის საფუძველზე მიღებულ შედეგს და არა თვით საკუთრების მოპოვების პროცესს, ანუ შესაძების საქმიანობას. სპეციალურად გამოყოფილი გზების გარეშე ტყეში ცხენით ჯირითის აკრძალვა არ წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევას, რადგან ამით ფერმერი მხოლოდ გარკვეულ „შანსს“ კარგავს, ანუ თავისი სამეწარმეო საქმიანობისათვის არახელსაყრელ სამართლებრივ მდგო-

⁵ ამ მაგალითის განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები ძირითადი უფლებების შესახებ, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების მნიშვნელობა.

მარობას იღებს. ამდენად, აქ არ ვგაქვს კონსტიტუციის 21-ე მუხლის გამოყენების საფუძველი. ტყეში ცხენით ჯირითი არც ერთი საპეციალური ძირითადი უფლებით არ არის დაცული და, შესაბამისად, აქ უნდა გამოვიყენოთ კონსტიტუციის მე-16 მუხლით (კონკრეტულად: საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით) უზრუნველყოფილი დაცვა, რადგან კანონით ვარკვეულწილად იზღუდება მოსარჩელის საქმიანობა.

I. დაცული სფერო

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ქვეშ ხვდება ადამიანის ნებისმიერი მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელიც არ არის დაცული რომელიმე საპეციალური ძირითადი უფლებით. როგორც ზემოთ გაირკვა, ტყეში ცხენით ჯირითი, როგორც ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, არ არის დაცული არც ერთი საპეციალური ძირითადი უფლებით და აქედან გამომდინარე, იგი ხვდება საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებისა უზრუნველყოფილი დაცვის ქვეშ.

II. დაცულ სფეროში ჩარევა

აუცილებელია დადგენა იმისა, ვასაჩივრებული კანონით მოხდა თუ არა დაცულ სფეროში ჩარევა. ჩარევა შეიძლება იყოს სახელმწიფოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც ინდივიდს ხელს უშლის ან უკრძალავს ვარკვეული საქმიანობის განხორციელებას, რომელიც საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით დაცულ სფეროში ხვდება. ვასაჩივრებული კანონით აშკარად იზღუდება მოსარჩელის, აგრეთვე ცხენით სეირნობის მოყვარულთა და საცხენოსნო სპორტის მიმდევართა თავისუფლება, რადგან მათ მხოლოდ საპეციალურად აღნიშნულ გზებზე შეუძლიათ ცხენით ჯირითი.

III. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა გაირკვეს, არის თუ არა ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. იგი გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს კონსტიტუციური წესრიგის შეზღუდვას ნაწილს, ანუ თუ ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას. მოცემული საქმის შინაარსის მიხედვით, კანონი ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია.

ვასარკვევია მოცემული კანონის კონსტიტუციასთან მატერიალური შესაბამისობის საკითხი. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს *კონსტიტუციური წესრიგის* საფუძველზე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ფედერალურ, არამედ მზარეთა კანონებსაც. ამასთან, ლანდის კა-

წინააღმდეგობა, აქედან გამომდინარე, უნდა შეესაბამებოდეს *ზომიერების პრინციპს* (ეს ხელისუფლების ხელისუფალი). ამისათვის მას უნდა ჰქონდეს *ლევტიმური საჯარო მიზანი*, უნდა იყოს *გამოსაღწევი, საჭირო (აუცილებელი) და შესაბამისი (ზომიერი ვიწრო გაგებით)*.

საქმის მიზანრიგად გამომდინარე, კანონის მიზანია ფეხით მოსიარულეთა დაცვა მხედრებთან მოულოდნელი შეხვედრისაგან, რასაც შეიძლება მათი (ან მხედრების) ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვეს. ეს ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს *ლევტიმურ საჯარო მიზნად*.

მხედრებისათვის სპეციალური გზების გამოყოფა მართლაც წარმოადგენს საჯარო მიზნის მისაღწევად *გამოსაღწევ* საშუალებას. მაგრამ ეს ღონისძიება მხედრობად საჭიროც (აუცილებელი) უნდა იყოს. კანონი საჭიროა იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს რაიმე უფრო ნაკლებად რადიკალური საშუალება, რომლისადაც ასევე შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. განხილვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მოცემულ საქმეში არ ჩანს რაიმე ალტერნატივა, რომელიც საჯარო მიზანს უფრო ნაკლებად მძიმე ჩარევის გზით მიადგენდა. ამდენად, კანონი ნამდვილად *საჭირო და აუცილებელია*.

და ბოლოს, კანონი აუცილებლად *შესაბამისი* (ანუ *ზომიერი*) უნდა იყოს. კანონი შესაბამისია მაშინ, როცა მის მიზანს მოცემულ ძირითად უფლებასთან (იმ შემთხვევაში – საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებასთან) შედარებით არანაკლები ღირებულება და მნიშვნელობა აქვს და ამით გამართლებულია ჩარევის ინტენსიურობა. განსახილველ საქმეში ხდება კოლიზია საქმიანობის თავისუფლებაზე მხედრების ძირითადი უფლებასა კანონმდებლის ინტერესთან, რომლის მიზანია ფეხით მოსიარულეთა დაცვა. ამდენად, აუცილებელია დაპირისპირებულ ინტერესთა გაანალიზება *შეადრების (აწონ-დაწონვის)* მეთოდის საფუძველზე.

თავიდანვე ცხადია, რომ კანონმდებლის ინტერესი ტყეში ფეხით სეირნობისა და დასვენების მსურველ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვაა. ამისათვის მან სამართლიანად უნდა მოაწესრიგოს მოძრაობა მოსახლეობისა და მხედრებისათვის დასასვენებლად და სასეირნოდ გამოყოფილ ტყე-პარკებსა და მინდვრებზე არსებულ გზებზე. ზემოაღნიშნული საჯარო მიზნის მისაღწევად ნამდვილად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხედრებისთვის მოცემულ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების აკრძალვა და მათთვის მხოლოდ იმ გზებზე მოძრაობის მიფიქრება, რომლებიც ამისათვის სპეციალურად იქნება გამოყოფილი და აღნიშნული. აქ ვერაფერს ცვლის ის არგუმენტი, რომ მხედრები ფეხით მოსეირნებზე გაცილებით ცოტანი არიან და ამის გამო სწორედ მათთვის (ქვეითებისთვის) უნდა გამოიყოს სპეციალური

გზები, რადგან, თავის მხრივ, უფრო მოსიყრდნელებული არიან საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით და მათ ჯანმრთელობას გაცილებით მეტი საფრთხე ემუქრება (ცხენებთან მოვლოდნელი შეხვედრისაგან), ვიდრე მხედრებისას.

ამდენად, გასაჩივრებული კანონი *შესაბამისია* (ანუ ზომიერია). მოსარჩელის საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში ამ კანონით განხორციელებული ჩარევა (კანონისმიერი ჩარევა) კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია. აქედან გამომდინარე, *საკონსტიტუციო სარჩელი დაუსაბუთებელია*.

V. ზოგადი პიროვნული უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე მეორე უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა ადამიანის *ზოგადი პიროვნული უფლება*. მისი უმთავრესი ამოცანაა კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებითი პრინციპის – ადამიანის ღირსების დაცვა. ამისათვის აგი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბოს პირადი ცხოვრების სფერო და შეინარჩუნოს მისი ძირითადი პირობები. *ზოგადი პიროვნული უფლება ინდივიდს იცავს იმ ჩარევებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ მისი პიროვნულობის შელახვა*.

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი პიროვნული უფლება შინაარსობრივად მეტად მოცულობითია და რამდენიმე კონკრეტული უფლების საფუძველს წარმოადგენს. ფაქტობრივად, „ზოგადი პიროვნული უფლების“ ცნება მოიცავს მთელ რიგ უფლებებს, რომლებიც აკონკრეტებენ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროების მიხედვით. იგი იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ სფეროებს, რომლებიც არ არის დაცული საკვალური ძირითადი უფლებებით. ზოგად პიროვნულ უფლებას ხშირად *„უზილავე, დაუწერელ ძირითად უფლებას“* უწოდებენ.

ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს ადამიანის სამ ძირითად უფლებას: თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს. თითოეული ეს უფლება, თავის მხრივ, ასევე რამდენიმე კონკრეტულ უფლებას მოიცავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაწკრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. თვითგამორკვევის უფლება

თვითგამორკვევის უფლება მოიცავს ყოველი ინდივიდის უფლებას საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე, საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლებას, აგრეთვე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას.

ა) საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება ნიშნავს, რომ კვლავს აქვს უფლება მოიძიოს მონაცემები საკუთარი მშობლების, ბაბუების, ბებების და, საერთოდ, წინაპრების შესახებ. ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია ამისათვის გამოიყენოს ყველა საშუალება, მათ შორის საარქივო მასალები. დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმების დადგენა, რომლებიც ხელს შეუშლიან ადამიანს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლების განხორციელებაში. ასევე დაუშვებელია სასამართლოს მიერ სრულწლოვან ახალგაზრდას უარი ეთქვას თავისი წარმოშობის გარკვევაზე რაიმე მიზეზით, *მაგალითად*, იმის გამო, რომ მისი მშობლები დიდი ხანია ერთად აღარ ცხოვრობენ ან ოფიციალურად უკვე რამდენიმე წელია განქორწინებულები არიან. თუმცა სასამართლომ ზოგჯერ უნდა გაითვალისწინოს დედისა და სრულწლოვანი შვილის კოლიდირებული ძირითადი უფლებები, რათა გაარკვიოს, თუ რა შემთხვევაშია დედა ვალდებული მიაწოდოს საკუთარ შვილს სრული ინფორმაცია მისი ბიოლოგიური მამის შესახებ.

ბ) საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლება ნიშნავს იითონ-ეული ინდივიდის თავისუფლებას, თავად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევისაგან დამოუკიდებლად შეიგრძნოს და განსაზღვროს საკუთარი პიროვნება ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, აგრეთვე განსაზღვროს საკუთარი სახელი, სქესი, შეიღების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. არავის აქვს უფლება ჩაერიოს თვითგამორკვევის ამ კონკრეტულ სფეროში. ასევე დაუშვებელია აღნიშნული უფლების შემზღუდავი ნორმების დადგენა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მამრობითი ან მდედრობითი სქესის, მეცნიერული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სრულიად შესაძლებელია არსებობდეს სომატური ინტერსექსუალიზმის სხვადასხვა ფორმები. ასეთი დისოციაციები ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას შორის ამართლებენ სამედიცინო ჩარევას, რის შედეგადაც ასევე აუცილებელი და

გამართლებულია შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში ინდივიდის სქესისა და სახელის შესახებ არსებული ინფორმაციის შეცვლის მოთხოვნა.

მაგალითი 3: 1976 წელს, ანუ 1981 წლის 1 იანვრამდე კარგა ხნით ადრე, როცა გერმანიაში ძალაში შევიდა ტრანსსექსუალიზმის კანონი, ერთმა პიროვნებამ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში შეიტანა განცხადება, რომლითაც მოითხოვდა დაბადების მოწმობასა და მისი პიროვნების დამადასტურებელ ყველა სხვა დოკუმენტში მისი სქესისა და სახელის შეცვლა. განმცხადებელი დაბადებული იყო მამაკაცად, მაგრამ იგი თავს გრძნობდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლად და ღრთა მანძილზე სულ უფრო მეტ ინტენტივობას ახდენდა ამ სქესთან. 32 წლის ასაკში მან გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია, შეიცვალა სახელი და ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა ერთ-ერთ კლინიკაში ექნად.

სახელმწიფო ორგანომ უარი განაცხადა განცხადების დაკმაყოფილებაზე. განცხადების ავტორმა სასამართლოს მიმართა. საქმის შესწავლის შემდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ განცხადების უარყოფა, ანუ დაბადების მოწმობასა და სხვა დოკუმენტებში სქესისა და სახელის შეცვლის იურიდიულ გაფორმებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგებოდა მოსარჩელის ზოგად პიროვნულ უფლებას, უფრო კონკრეტულად კი მის უფლებას საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე. ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ შეიგრძნობს იგი საკუთარ ინდივიდუალიზმს და, საერთოდ, საკუთარ პიროვნებას. ადამიანს აქვს უფლება თვითონ განკარგოს საკუთარი თავი და თვითონ, საკუთარი პასუხისმგებლობით, წარმართოს თავისი ცხოვრება.

გ) ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება არის ინდივიდის თვითგამორკვევის გრძნობიდან გამოძინარე უფლებამოსილება, ძირითადად თვითონ გადაწყვიტოს, როდის და რა ფარგლებში უნდა გახდეს ცნობილი საზოგადოებისათვის მისი პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების შინაარსი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს ადამიანთა დამცავ უფლებას სახელმწიფოს მხრიდან გადაჭარბებული ინფორმაციული მოთხოვნების წინააღმდეგ. სახელმწიფო ეალდებულია შექმნას ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც სრულად შეესაბამება ამ უფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ როცა ადამიანს არ შეუძლია განსაზღვროს მის შესახებ არსებული ინფორმაციის რა ნაწილია ცნობილი საზოგადოებისათვის თუ მისი კოლეგებისათვის, შეზღუდულია ინდივიდის თავისუფლება საკუთარი პასუხისმგებლობით დაგეგმოს თავისი

აკისახობა და გადაწყვეტილის ცხოვრებისეული პრობლემები. როცა ადამიანს აქვს ეჭვი, რომ მისი ყოველი განსხვავებული, სხვებისაგან გადირჩეული მოქმედება თუ საქციელი სხვადასხვა საშუალებებით თქვალურად ფიქსირდება, იწერება და ინფორმაციის სახით ინახება შესაძლოა გავრცელებისა თუ სხვაგვარად გამოყენებისათვის, იგი შეეცდება ისეთი მოქმედებებისაგან თავი შეიკავოს. **მაგალითად**, იგი შეეცდება, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, არ მიიღოს მონაწილეობა შეკრებასა თუ მანიფესტაციაში, არ დაუჭიროს მხარი მოქალაქეთა კონკრეტულ ინიციატივას და ამით, ფაქტობრივად, უარი თქვას ძირითადი უფლებების განხორციელებაზე. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების საწინააღმდეგო იქნება ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რომელმაც მოქალაქეებს არ შეუძლიათ იცოდნენ ეინ, რა, როლის და რა შემთხვევაში იცის მისი პიროვნების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პიროვნების თავისუფალი განვითარება ინდივიდთა მონაცემების დამუშავებისას სახელმწიფოსაგან მოთხოვს თითოეული პიროვნების დაცვას მათი პერსონალური მონაცემების შეუზღუდავი ამოღების, შენახვის, გამოყენებისა და გადაცემისაგან. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება არ არის აბსოლუტურად გარანტირებული, მაგრამ მისი *შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომლის არსებობა და ძირითადი შინაარსი კონსტიტუციით იქნება განსაზღვრული*. ამასთან, კანონი უნდა შეესაბამებოდეს *ზომიერების პრინციპს*. **მაგალითად**, მოსახლეობის აღწერის დროს უპირველესად გათვალისწინებული უნდა იყოს, აუცილებელია თუ არა ყველა მოთხოვნილი მონაცემი მოსახლეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად და შეიძლება ან საკმარისია თუ არა მათი ზილება ანონიმიზირებული ფორმით (რაც დაცულ სფეროში ნაკლები სიმძიმის ჩარევას). ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებია აგრეთვე ამოღებული მონაცემების შეძლებისდაგვარად სწრაფი ანონიმიზირება და მათი საიდუმლოდ შენახვა.

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით ინდივიდთა პერსონალური მონაცემები დაცულია არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ჩარევებისაგან, არამედ აგრეთვე სხვა პირთა, **მაგალითად** ჟურნალისტთა ინტერესისაგან. ეს უფლება ფაქტობრივად წარმოადგენს მედიის მიერ ინფორმაციათა გავრცელების შემზღუდავ ნორმას, რადგან ადამიანის

პერსონალური მონაცემები არავისთვის არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება, უფრო კონკრეტულად კი ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ყოველთვის უსაფუძვლოდ ირღევეა ინდივიდის პერსონალური მონაცემების გავრცელებით ან ვინმესათვის გადაცემით, თუკი ასეთი გავრცელების ან გადაცემის შემთხვევები კანონით არ არის დადგენილი. ამ საერთო წესიდან შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი მხოლოდ საჯარო პირების მიმართ, რომელთა პერსონალური მონაცემები შეიძლება გავრცელდეს მათი ნებართვის გარეშე მედიის მიერ. ასეთ შემთხვევებში, ანუ საჯარო პირის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების კოლიზიისას, დავა უნდა გადაწყდეს დაპირისპირებულ ძირითად უფლებათა და ინტერესთა შედარების (აწონ-დაწონვის) საფუძველზე. იმაედროულად, ე.წ. ვარაუდის წესიდან⁶ გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში წინასწარ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების სასარგებლოდ.

ვ.ა) კონსტიტუციის 41-ე მუხლი

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა. გარდა იმისა, რომ ეს უფლება კონკრეტიზირებულია თავად კონსტიტუციაში, საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სრულად აწესრიგებს ადამიანის ამ ძირითად უფლებასთან და, საერთოდ, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

დავიწყით კონსტიტუციით, რომლის 41-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებში არსებულ ინფორმაციაზე საქართველოს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის საკითხს. ამ მუხლის მიხედვით:

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით ვაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ

⁶ „ვარაუდის წესის“ შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ: „11. მ. 24 - აზრის თავისუფლება“.

ინფორმაცია, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოებში კონკრეტულ მოქალაქეზე არსებული ინფორმაციის და მასთან დაკავშირებული სხვა ოფიციალური დოკუმენტების ღიაობას თვით ამ მოქალაქისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით უცხო პირთა ხელმისაწვდომობისაგან დაცულია ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ყოველი ადამიანის პირად საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციები. ამასთან, ორივე პუნქტი ითვალისწინებს ადამიანის აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვის საფუძვლებს – გარკვეულ შემთხვევებში მოქალაქეს შესაძლოა უარი ეთქვას სახელმწიფო დაწესებულებებში მის შესახებ არსებული ინფორმაციისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაცნობაზე, ასევე შესაძლებელია სახელმწიფომ გამოიყენოს კონკრეტული პირის შესახებ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. თუმცა ორივე პუნქტი მიუთითებს, რომ ადამიანის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვის ყველა ასეთი შემთხვევა აუცილებლად კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. ამასთან, 41-ე მუხლი თავად ადგენს კანონით განსაზღვრული შეზღუდვის საფუძველს: პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მოქალაქეს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ არსებულ მხოლოდ ისეთ ოფიციალურ ინფორმაციას და დოკუმენტებს, რომლებიც არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას; მე-2 პუნქტის მიხედვით კი შეზღუდვის საფუძველი უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე: სახელმწიფო

უშიშროება ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ადამიანთა ჯანმრთელობა, აგრეთვე სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს კანონმდებლობა დაწერილობით განსაზღვრავს სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებათა შინაარსს. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება „ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას“ (მ. 1, პ. 1).

პროფესიული და კომერციული საიდუმლოებების შინაარსი განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კომერციული საიდუმლოება არის „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისძიური სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საჭიროების საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სახლებს ან ტექნიკური შემოქმედების ინიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.“ პროფესიულ საიდუმლოებას კი მიეკუთვნება ინფორმაცია, „რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი ვახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას“ (მ. 27³). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსიდან გამომდინარე, პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, როგორც წესი, არ ინახება საჯარო დაწესებულებებში.

რაც შეეხება პირად საიდუმლოებას, კოდექსის 27¹ მუხლის მიხედვით, „პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, ვარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის

მესახეობავე არსებობს ეს ინფორმაცია.“ კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, პირად საიდუმლოებად ჩაითვლება „თავიჯიბილურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან“. ამდენად, ექვსა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია განსახიებთან ან ჯანმრთელობასთან, ინდივიდის პირად საიდუმლოებას ძიეკუთვნება. „სხვა კერძო საკითხები“ კი ისეთი ინფორმაციაა, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ასეთი ინფორმაციის განსაიდუმლოება კი შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ადამიანთა ჯანმრთელობის, აგრეთვე სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და სხვა საშუალებით ასეთი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის შესაძლებლობა არ არსებობს.

2. პირადი ცხოვრების უფლება (სფეროთა თეორია)

ზოგადი პიროვნული უფლებიდან გამომდინარე პირადი ცხოვრების უფლება ეწ. „სფეროთა თეორიის“ საფუძველზე იცავს ყოველ ადამიანს პირად ცხოვრებაში არასასურველი ჩარევებისაგან.

გაბატონებული სამართლებრივი შეხედულების შესაბამისად, რომელიც დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მუდმივი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განვითარდა, პირადი ცხოვრების უფლება ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების გარესამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები, მოწყდეს საზოგადოებას და დარჩეს საკუთარ თავთან მარტო. ეს უფლება არ უნდა გავიგოთ მხოლოდ მატერიალური მნიშვნელობით, ანუ გარკვეულ საცხოვრებელში, ოთხ კედელში ინდივიდის ჩაკეცილი. ჩარევებისაგან ოთხი კედლის შემყობით პირადი ცხოვრების დაცვა უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-20 მუხლით, რომლის საფუძველიც, ისევე და ასევე, ზოგადი პიროვნული უფლებაა (მე-20 მუხლი ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული). პირადი ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე თვითშეზღუდვა კი (რასაც ხშირად თვითშენახვის, პირადულობის უფლებას (ინგლისურად – „Right of Privacy“) უწოდებენ) ნიშნავს ინდივიდის განმარტობას (ინგლისურად – „The right to be left alone“).

თვითშეზღუდვას სოციალური მნიშვნელობით. ამ დროს თავად ინდივიდი იღებს გადაწყვეტილებას, რომ მას სწორედ ასე, განმარტოებით, შეზღუდვითა და სოციალური აქტიურობისაგან თავის შეკავებით, და არა სხვაგვარად, შეუძლია საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარება.

პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით განვითარდა ე.წ. სფეროთა თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანის პირადი ცხოვრება იყოფა სამ ძირითად სფეროდ:

ა) ინტიმური სფერო

პირადი ცხოვრების ინტიმური სფერო არის ადამიანის პიროვნულობის არსებითი და ცენტრალური ნაწილი. იგი ხელშეუწყალია და აბსოლუტურად დაცულია ჩარევებისაგან. ინტიმური სფერო წარმოადგენს ზოგადი პიროვნული უფლების არსს. მისი განკარგვა შეუძლია მხოლოდ ინდივიდს და არავის სხვას. ყოველ ადამიანს აქვს აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება, ამ სფეროში თავის თავს ეკუთვნოდეს და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს ყველაფერი. ინტიმური სფერო ყველაზე ეფექტიანად არის დაცული სახელმწიფოს ან სხვა პირთა ჩარევისაგან და მედიის მიერ რაიმე ფაქტების გაერცელებისაგან (ეს ეხება როგორც ტექსტს, ისე ფოტოსურათებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს და ა.შ.). ინტიმური სფერო მთლიანად მოიცავს ადამიანის სექსუალურ ცხოვრებას, აგრეთვე პირად საიდულოებას მიკუთვნებულ ინფორმაციებს; სამედიცინო გამოკვლევების შედეგებს, აღსარებისას გამოთქმულ მოსაზრებებს, ადვოკატისათვის მიწოდებულ ცნობებს და ა.შ. ინტიმურ სფეროში სახელმწიფოს თუ სხვა პირთა ჩარევა სრულიად დაუშვებელია, თუმცა არსებობს ორი გამონაკლისი: (1) საკუთარი ინტიმური სფეროდან გარკვეული ინფორმაციის გაცემაზე თავად ინდივიდის თანხმობა, ანუ როცა ადამიანი მშვიდად ხვდება პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს მისი ინტიმური სფეროს შესახებ ან როცა დაწვრილებით მოუთხრობს ჟურნალისტს თავისი სექსუალური ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ, და (2) საჯარო პირებთან დაკავშირებული შემთხვევები, როცა ფაქტები რომელიმე პოლიტიკოსის ინტიმური სფეროდან გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ გამოძახილს კპოვებენ. ასეთი შეიძლება იყოს საჯარო პირთან დაკავშირებული მამობის დადგენის

კაცისა და ინელინოსკია ამ პირის სექსუალური გატაცებების შესახებ. სტანისკერ სხვა შემთხვევაში ინტიმურ სფეროში ჩარევა უკანონოა და თვით საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესიც კი. მაგალითად, სასამართლოსამართლებრივი დევნის აუცილებლობა, არ ამართლებს დონისძებებს, რომლებიც ამ სფეროს არღვევენ.

მაგალითი 4: გერმანიაში ერთ-ერთი სკოლა-ვიმნაზიის მასწავლებელს ბრალი ედებოდა მოსწავლე გოგონასთან სექსუალური კავშირისათვის. სასამართლო პროცესზე გოგონამ ფიცის ქვეშ უარყო ყოველგვარი სექსუალური კავშირი ბრალდებულთან, რომელიც სასამართლომ გაათავისუფლა. მცირე ხანში გამოძიებამ ბრალი წაუყენა ამ გოგონას ფიცის ქვეშ ტყუილის გამო, დაეყრდნო რა მის პირად დღიურში არსებულ ჩანაწერებს. ეს დღიური, გოგონას სურვილის საწინააღმდეგოდ, გამოყენებულ იქნა გამოძიების მიერ და იგი სასამართლოსათვის განაჩენის გამოტანისას გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან ბრალდებულს მასში დეტალურად ქონდა აღწერილი თავისი ინტიმური ურთიერთობები მასწავლებელთან. ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი, რადგან მიიჩნია, რომ პირად დღიურში გაკეთებული ჩანაწერები მიეკუთვნებოდა გოგონას ინტიმურ სფეროს. ამდენად, განაჩენით ხდებოდა სახელმწიფოს ჩარევა ბრალდებულის ინტიმურ სფეროში, ანუ მისი პირადი ცხოვრების ხელშეუვალი, აბსოლუტურად დაცულ სფეროში.

ბ) კერძო სფერო

კერძო სფერო მოიცავს ინტიმური სფეროს ფარგლებს გარეთ ადამიანის პირად ცხოვრებას, განსაკუთრებით შიდა ოჯახურ ცხოვრებას. ინტიმური სფეროსაგან განსხვავებით კერძო სფერო არ არის აბსოლუტურად დაცული, თუმცა ჩარევა ადამიანის კერძო სფეროში დასაშვებია მკაცრი წინაპირობების დაცვის შემთხვევაში. ამასთან, ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს ზომიერების პრინციპს. კერძო სფეროს მიეკუთვნება პირის ოჯახური ცხოვრება, ოჯახის წევრებთან და უახლოეს ნათესაებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, საცხოვრებელი ადგილი, კავშირები უცხოეთთან, შემოსავლებისა და ქონების საკითხები, ალკოჰოლთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემები, რელიგიასთან თუ სხვა მსოფლმხედველობრივ ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხები და ა.შ.

როგორც აღინიშნა, კერძო სფერო არ არის ხელშეუვალი და აბსოლუტურად დაცული. ადამიანის (არა მხოლოდ საჯარო პირის) კერძო

სფეროდან ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება გამართლებულია ყველა იმ შემთხვევაში, როცა იგი სორციულდება თვით ამ პირის თანხმობის საფუძველზე. კიდევ ერთი გამონაკლისი კი ისევ საჯარო პირებია, რომელთა კერძო სფერო ზოგადი პიროვნული უფლებით სუსტად არის დაცული, რადგან ეურნალისტებს ან სხვა პირებს, პრესისა და აზრის თავისუფლებაზე დაყრდნობით, შეუძლიათ მოიპოვონ და გაავრცელონ ცნობები საჯარო პირთა კერძო სფეროდან. ასეთი შემთხვევები, ანუ პრესის ან სხვა პირების მიერ კერძო სფეროდან ცნობების მოპოვებითა და გავრცელებით წარმოქმნილი დავები, როცა ერთმანეთს უპირისპირდება საჯარო პირის ზოგადი პიროვნული უფლება და პრესის (ან აზრის) თავისუფლება, უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების ასალიზისა და დაპირისპირებულ ძირითად უფლებათა (ინტერესთა) შედარების (აწონ-დაწონვის) მეთოდის, აგრეთვე ზომიერების პრინციპის საფუძველზე.

მაგალითი 5: 1965 წელს ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელის მიმართ აღიძრა საქმე დისციპლინური სამართალწარმოების წესით, რადგან მას უკვე 8 წლის მანძილზე აქონდა თავის მდივანთან ყველასათვის ცნობილი, სახელმწიფო მოხელისათვის შეუფერებელი და ქორწინების საწინააღმდეგო ურთიერთობა. რამდენიმე წლის წინათ ეს პიროვნება ცდილობდა განქორწინებას, მაგრამ უშედეგოდ. დოკუმენტები განქორწინების შესახებ გადაეგზავნა დისციპლინური საქმის გამოძიებელს გასაცნობად, რათა მას გაადვილებოდა საქმეში არსებული ფაქტების დასაბუთება. სახელმწიფო მოხელის ადოკატმა გაასაჩივრა დოკუმენტების გადაგზავნის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ განქორწინებელი მხარეების ნებართვის გარეშე დოკუმენტების გადაგზავნა დაუშვებელი იყო. გადაგზავნა წარმოადგენდა შეუღლეთა კერძო სფეროში გაუმართლებელ ჩარევას, რადგან, ვერ ერთი, არ იყო დადგენილი, რომ ეს დოკუმენტები შეიცავდნენ მიზღინარე დისციპლინური საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, და მეორეც, არავის უცდია დადგენა იმისა, ზომ არ შეიძლებოდა საკამათო საკითხების სხვა გზით გარკვევა, რაც არ-ღვევდა ზომიერების პრინციპს.

გ) **სოციალური და საჯარო სფეროები**
სოციალური და საჯარო სფეროები არის ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ისეთი სფეროები, რომლებშიც მოქმედება მიზღინარეობს ინტიმურ და კერძო სფეროთა ფარგლების გარეთ,

ნაწილობრივ შეზღუდული ან შეუზღუდავი საჯაროობის პირობებში. თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის აღნიშნულ სფეროებში ადამიანები არ არიან აბსოლუტურად დაუცველნი, მაგრამ აქ საზოგადოების ლეგიტიმურ საინფორმაციო ინტერესს გაცდილებით უფრო დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლების სისართ.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება *საჯარო სფეროს*, რომელშიც, როგორც წესი, საერთოდ არ არსებობს ინფორმაციის გავრცელების რაიმე შეზღუდვა. ეს განსაკუთრებით ეხება იმ პირებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ დგანან საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევებში ნებაყოფლობით იხსნიან ანონიმურობას და პოპულარულნი ხდებიან. როცა ენაზე ნებაყოფლობით, აქტიურად მონაწილეობს რადიოდისკუსიებში ან სატელევიზიო გადაცემებში, ან რაიმე აქტუალური მიზეზით თავის ბინაში უშვებს სატელევიზიო ჩაწერას საკუთარი პიროვნების შესახებ და ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტს, მან უნდა იცოდეს, რომ ამ გადაღებების შედეგად წარმოშობილ ფირს ერთხელ ან რამდენჯერმე ნახავს მრავალმილიონიანი პუბლიკა, თუნდაც მას შემდეგ არ მოეწონოს საკუთარი თავი ამ ფირზე. იგივე შეიძლება ითქვას საჯარო პირებზე, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა ყოველთვის საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ამდენად, საჯარო სფეროსთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება თითქმის ყოველთვის უკან იხევს აზრისა და პრესის თავისუფლებისა და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის წინაშე.

შედარებით ძლიერია ზოგადი პიროვნული უფლება ე.წ. *სოციალურ სფეროში*, ე.ი. ინდივიდის სოციალურ და არა უშუალოდ საჯარო სფეროს მიკუთვნებულ პროფესიულ გარემოში. ინდივიდმა ამ სფეროში მხოლოდ მაშინ უნდა მოითმინოს საჯარო ინფორმაციები და კომენტარები მისი პიროვნების შესახებ, თუ ამაზე არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული, ლეგიტიმური და აქტუალური საინფორმაციო ინტერესი. სხვა შემთხვევებში დავა უნდა გადაწყდეს ისე და ისე დაპირისპირებულ ძირითად უფლებათა შედარების (აწონ-დაწონვის) მეთოდის საფუძველზე. ასეთი დავების დროს ზოგად პიროვნულ უფლებას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქე (არასაჯარო პირი) ნათლად, არაორაზროვნად აფიქსირებს კონკრეტული ინფორმაციის სა-

იდუძლოდ შენახვის სურვილს. *მაგალითად*, როდესაც კორესპონდენციის შინაარსზე, რომელსაც ცნობილი მწერალი აწარმოებს რედაქციასთან, არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი, მაგრამ მწერალი აცხადებს, რომ არ სურს ამ კორესპონდენციის გამოქვეყნება, დავის შემთხვევაში უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს მწერლის ზოგად პიროვნულ უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმოწერა ვითარდება მწერლის სოციალურ სფეროში. ასე რომ, ხშირად გამოთქმული შეხედულება, თითქოს ზოგადი პიროვნული უფლება სოციალურ სფეროში ნაკლებად არის დაცული, მთლად ზუსტი არ არის.

3. თვითგამოსახვის უფლება

ზოგადი პიროვნული უფლებიდან გამომდინარე *თვითგამოსახვის უფლების მიზეზით*, ყოველი ადამიანი უფლებამოსილია თავად აირჩიოს და გადაწყვიტოს, თუ რა ვითარებაში და რა ფარგლებში სურს მას საკუთარი სახის, საკუთარი პიროვნებისა და ზანათის ვახსნა საზოგადოებისათვის. სწორედ ამ უფლებაზე დაყრდნობით ადამიანს შეუძლია წინ აღუდგეს მისი პიროვნების დამამცირებელ, ყაღბ და არასასურველ საჯარო გამოსახვას. მან თავად უნდა გადაწყვიტოს როგორ წარსდგეს სხვა პირის ან საზოგადოების წინაშე და საერთოდ შეიძლება თუ არა (ან რა ფარგლებში შეიძლება) მისი პიროვნების საჯარო განხილვის საგნად ქცევა.

თვითგამოსახვის უფლება მოიცავს სამ კონკრეტულ უფლებას, რომლებითაც უზრუნველყოფილია საკუთარი პიროვნების საზოგადოებისათვის წარდგენის შესახებ ინდივიდის თავისუფალი გადაწყვეტილება. ესენია ადამიანის უფლებები *საკუთარ სიტყვაზე*, *საკუთარ სურათზე* და *საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე*. თვითგამოსახვის უფლებიდან გამომდინარეობს აგრეთვე ადამიანის უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე. განვიხილოთ ისინი თანამიმდევრობით.

ა) უფლება საკუთარ სიტყვაზე

ადამიანის უფლება საკუთარ სიტყვაზე განეკუთვნება ინდივიდის კერძო სფეროს მაშინ, როცა ეს სიტყვა არ წარმოითქმის ადამიანის ხელშეუხებელ და აბსოლუტურად დაცულ ინტიმურ სფეროში. ამ უფლების მიზეზით დაუშვებელია პირის უნებართვოდ ან

მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მის მიერ არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვის ფორზე ჩაწერა. სხვაგვარად რომ ეთქვათ, ყოველსა ინდივიდმა თავად, სხვა პირთა ჩაურევლად უნდა გადაწყვიტოს თუ ვინ შეიძლება ჩაიწეროს და გაავრცელოს (ან საერთოდ ვინმემ უნდა ჩაიწეროს და გაავრცელოს თუ არა) მის მიერ არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვა. ადამიანთა ურთიერთობის ბუნებრიობა და უშუალობა დაირღვევა, თუკი ყოველი ადამიანი იძულებული იქნება იცხოვროს იმ შეგნებით, რომ მის მიერ დაუფიქრებლად, სპონტანურად, სხვადასხვა სიტუაციაში წარმოთქმული სიტყვა შეიძლება ჩაწერილ და გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს საიდუმლო ჩაწერა, მაგრამ (1) იგი არ უნდა ეხებოდეს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალ სფეროს – ინტიმურ სფეროს, (2) ეს შემთხვევები კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, (3) უნდა ხდებოდეს მხოლოდ მოსამართლის თანხმობით და (4) საიდუმლო ჩაწერის მიზანი უნდა იყოს სასოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა, მაგალითად, მძიმე დანაშაულთა გახსნა. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები აზორციელებენ კონკრეტულ პირთა საუბრების საიდუმლო ჩაწერას, რათა დაადგინონ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი. ამასთან, ზემოაღნიშნულ წინაპირობებთან ერთად აუცილებლად დაცული უნდა იქნეს ზომიერების პრინციპი, რომლის საფუძველზეც შეიძლება გაირკვეს შესაძლებელი იყო თუ არა ამ ინფორმაციის მოპოვება საიდუმლო ჩაწერის გარეშე, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის ნაკლებად მძიმე ფორმით.

მაგალითი ნ: ავსტრიის ერთ-ერთ ქალაქში სახლის ყოფა-გაყიდვის დროს მოხდა დაპირისპირება მყიდველსა და გამყიდველს შორის. გამყიდველი ამტკიცებდა, რომ ზეპირად შეთანხმებული ფასი იყო 70.000 შილინგი, ნოტარიალურად დამოწმებულ საბუთებში კი გაცილებით ნაკლები ჩაწერეს, რათა თავი აერიდებინათ გადასახადების გადახდისაგან. ამ საკითხზე მყიდველთან ერთ-ერთი საუბრისას, გამყიდველმა საიდუმლოდ ჩაიწერა საუბარი აუდიოფორზე, მოგვიანებით კი გადასცა იგი პოლიციას, რის საფუძველზეც მყიდველის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საბუთების ცაყალბებისა და გადასახადების დამალვის გამო. საუბრის აუდიოჩანაწერი პროკურატურამ დაუშვა მტკიცებულებად.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, აუდიოჩანაწერის გამოყენება მტკიცებულებად დაუშვებელი იყო, რადგან იგი წარმოადგენდა ჩარევას მყიდველის

ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, კონკრეტულად კი არღვევდა მის უფლებას წარმოთქმულ სიტყვაზე. მოცემულ შემთხვევაში ჩარევა არ იყო აუცილებელი და გამართლებული საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესით, რადგან, ჯერ ერთი, ეს არ იყო მძიმე დანაშაულის შემთხვევა, და მეორეც, არ იყო საბოლოოდ დადგენილი, რომ აუდიონაწერის გამოქენება ერთადერთი საშუალება იყო საქმის გახსნისათვის. სასამართლოს აზრით, გამოძიების მიერ არ იქნა დაცული ზომიერების პრინციპი, რადგან მტკიცებულებათა მოპოვება შეიძლებოდა სხვა საშუალებებითაც, რომლებიც მყოფელის დაცულ სფეროში ნაკლები ინტენსიურობის ჩარევას წარმოადგენდნენ.

უფლება საკუთარ სიტყვაზე ადამიანს იცავს აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა მას სხვა პირთა ან მედიის მიერ მიეწერება კონკრეტული გამოთქმები და შეხედულებები, რომლებიც მას სინამდვილეში არ გამოუთქვამს, რაც ზეგავლენას ახდენს ინდივიდის მიერ პირადად განსაზღვრულ სოციალურ მოთხოვნებზე. ასეთი შემთხვევებიდან წარმოშობილ დაეებში ინდივიდის ზოგად პიროვნულ უფლებას (კონკრეტულად: უფლებას საკუთარ სიტყვაზე) ხშირად შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს პრესისა და აზრის თავისუფლებების მიმართ.

ბ) უფლება საკუთარ სურათზე

წარმოთქმული სიტყვის უფლების მსგავსია ადამიანის უფლება საკუთარ სურათზე, რომლის მიხედვითაც ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს რამდენად მისაწვდომი შეიძლება იყოს ფოტოსურათები ან ვიდეონაწერები მისი გამოსახულებით სხვებისთვის ან საზოგადოებისათვის. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში პაპარაცებმა გადაიღეს გარდაცვლილი ოტო ფონ ბისმარკის ფოტოსურათი. გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ აკრძალა ამ ფოტოების გავრცელება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა არა ზოგადი პიროვნული უფლებით, არამედ ჟურნალისტების მიერ სხვის საკუთრებაში საიდუმლო შეღწევის დაუშვებლობით. დღეს კი, ასეთი შემთხვევებისაგან თავის დასაცავად, შესაძლებელია ყოველმა ინდივიდმა ზოგადი პიროვნული უფლება, უფრო კონკრეტულად კი საკუთარ სურათზე უფლება გამოიყენოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად დაუშვებელია ადამიანის ინტიმური სფეროდან სურათების გამოქვეყნება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა

ადამიანის პირადი ცხოვრების სხვა სფეროებიდან გამოქვეყნებული ფოტოსურათები ან ვიდეონაწარები საკუთარ სიტყვაზე უფლებით დაცულ სფეროში გამართლებულ ჩარევას წარმოადგენენ. ასეთია, **შეჯღუჯვა**, მედიის ან ნებისმიერი სხვა საშუალებით იმ პირის ფოტოსურათის გაქრცელება, რომელიც იძებნება მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. კარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სრული უფლება აქვთ გამოაქვეყნონ საჯარო პირთა ფოტოსურათები ან ვიდეონაწარები ისეთი გამოსახულებით. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებში წარმოსმობილი თითქმის ყოველი დაუვა გადაწყვეტა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების სასარგებლოდ, რადგან საჯარო პირები ვალდებული არიან მოითმინონ და შეეგუონ საზოგადოების მხრიდან მათი საქმიანობისა და პიროვნების მიმართ არსებულ განსაკუთრებულ ინტერესს. შესაბამისად მათი ფოტოსურათების თითქმის ყოველდღიურ გამოქვეყნებას პრესითა თუ ტელევიზიით.

მაგალითი 7: რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა საჯაროდ განაცხადა, რომ ყოველდღიურ მეტად პოპულარულ გაზეთს აუკრძალა საკუთარი ფოტოსურათების გამოქვეყნება. გაზეთმა არ გაასაჩივრა პოლიტიკოსის ეს მოთხოვნა, მაგრამ თითქმის ყოველ მომდევნო გამოშვებაში, როცა საკითხი ეხებოდა ამ პოლიტიკოსს, იქვე აქვეყნებდა შავ ჩარჩოს მოკლე წარწერით: „აქ უნდა ყოფილიყო ბატონ (სახელი და გვარი) ფოტო“. მალე პოლიტიკოსი თავად მიხვდა, რომ საკუთარი სახის დამალვას იგი კერ შეძლებდა და მედიის წინააღმდეგ ამ მეთოდით ბრძოლაში ყოველთვის დამარცხდებოდა. მას არც სასამართლოსათვის მიუშართავს, რადგან ამჟამად იყო, რომ საჯარო პირის უფლება საკუთარ სურათზე აუცილებლად უკან დაიხვედა უფრო მნიშვნელოვანო სამართლებრივი სიკეთის – პრესის თავისუფლების წინაშე.

გ) უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე

საკუთარი სურათის უფლებასთან მჭიდრო კავშირშია, მაგრამ მისი იდენტური არ არის ადამიანის უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება და სახელმწიფო საჯარო დისკუსიების, გამჭვირვალობის და თავისუფალი მედიის უშუალო თანამონაწილეობით ყალიბდება და ვითარდება, აღნიშნული უფლება ზოგადი პიროვნული უფლების

შემაღგენელ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე ნიშნავს, რომ *ყოველი ადამიანი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს, როგორ წარსდგეს სხვა პირთა წინაშე, ანუ როგორ წარმოაჩინოს საკუთარი პიროვნული პორტრეტი საზოგადოებისათვის*. აღნიშნული უფლების ეს მინარსი ითვალისწინებს იმ რეალობას, რომ მართალია ადამიანი დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდია, მაგრამ მისი პიროვნების რეალიზება ხდება სოციალურ გარემოში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობით. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ ინდივიდის უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე დაუპირისპირდეს სხვათა ძირითად უფლებებს, მაგალითად ზელოვნების ან აზრის თავისუფლებებს, განსაკუთრებით კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას. ამ დაპირისპირების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დაპირისპირებულ ძირითად უფლებათა შედარებით (შედარების (აწონ-დაწონვის) მეთოდი). იმავედროულად უნდა მოხდეს ადამიანის ზოგად პიროვნულ უფლებაში (კონკრეტულად: საკუთარი პიროვნების წარმოსახვის უფლებაში) განხორციელებული ჩარევის შემოწმება ზომიერების პრინციპის საფუძველზე.

საკუთარი პიროვნების წარმოსახვის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართალში. მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ პრესითა და ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია დამნაშავეის სახელის მითითებით, სურათის ჩვენებით და პიროვნების აღწერით წარმოადგენს ინტენსიურ, მძიმე ჩარევას ამ პირის ზოგად პიროვნულ უფლებაში (კონკრეტულად: საკუთარი პიროვნების წარმოსახვის უფლებაში). მაგრამ იმავედროულად არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული საინფორმაციო ინტერესი მძიმე დანაშაულთა, მის ჩამდენ პირთა და ამის გამომწვევ მიზეზთა მიმართ. ასეთ შემთხვევებში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა საქმე ეხება *აქტუალურ* ინფორმაციას *მძიმე* დანაშაულთა შესახებ, საზოგადოების საინფორმაციო ინტერესი ყოველთვის მაღლა დგას დამნაშავეის ზოგად პიროვნულ უფლებასთან შედარებით. მაგრამ ამ უფლების დაუშვებელ, გაუძარტლებელ დარღვევას წარმოადგენს პრესის ან ტელევიზიის მიერ *აქტუალური ინფორმაციის* ფარგლების გადაჭარბებით, დროში შეუზღუდავად დამნაშავეის პიროვნების დახასიათება. ასევე დაუშვებელია

დანამაულის ჩადენიდან წლების გასვლის შემდეგ ტელევიზიით დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც კიდევ ერთხელ იხსენებს დიდი ხნის წინათ მომხდარ ფაქტებს, რომლებიც აღარ არის აქტუალური და ამით მძიმედ არღვევს მსჯავრდებულის ზოგად პიროვნულ უფლებას. ეს ჩარევა განსაკუთრებით მაშინ არის დაუშვებელი, როცა სატელევიზიო ჩვენება დროით კავშირშია დამნაშავეის განთავისუფლებასთან და ამით მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მის რესოციალიზაციას.

მაგალითი 8: 1969 წელს გერმანიაში მოხდა შემთხვევა, რომელიც ცნობილი გახდა „ლებახში ჯარისკაცების მკვლელობის“ სახელით. სოფელ ლებახში სამმა ახალგაზრდამ მოკლა ოთხი მიწარე ჯარისკაცი. დანაშაულებმა თან წაიღეს ჯარისკაცების იარაღი და ტყვია-წამალი. სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ დამნაშავენი ახლო მეგობრები იყვნენ, ჰქონდათ აგრეთვე კომოსექსუალური ურთიერთობა, იარაღის მოპოვებით მათ უნდაოდათ შეექმნათ საფუძველი შემდგომი თავდასხმებისათვის, რათა მოეპოვებინათ საკმარისი ფული სამხრეთის ზღვების სანაპიროებზე საცხოვრებლად. სასამართლომ ორ მთავარ დამნაშავეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, მესამეს კი (თანამონაწილეს) ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1973 წელს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება თანამონაწილის პირობით გათავისუფლების შესახებ. მსჯავრდებულის ადვოკატმა და ოჯახის წევრებმა შეიტყვეს, რომ მსჯავრდებულის განთავისუფლების დღეს გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი ტელეკომპანია „ZDF“ აძირებდა ორსაათნახევრიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენებას სათაურით „ჯარისკაცების მკვლელობა ლებახში“. ფილმი მაყურებელს უამბობდა დანამაულის წინაისტორიას, ჩადენის დეტალებს, გამოძიების მოქმედებას, დამნაშავეთა დაკავებისა და გასამართლების ფაქტებს. ფილმში მოცემული იყო სამივე დამნაშავეის ფოტოსურათი მათი ნამდვილი სახელების მითითებით.

მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ეს გადაცემა იქნებოდა მძიმე ჩარევა დამნაშავეის ზოგად პიროვნულ უფლებაში, იგი საფრთხეს შეუქმნიდა დამნაშავეის რესოციალიზებას, მის ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი ჩარევა უკვე აღარ იყო გამართლებული მძიმე დანამაულის შესახებ აქტუალურ ინფორმაციაზე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესით. სასამართლოს გადაწყვეტილებით დოკუმენტური ფილმის ჩვენება აკრძალულ იქნა.

დ) უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის გავრცელებაზე

თვითგამოსახვის უფლებიდან გამომდინარეობს ადამიანის უფლება საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციის (ანუ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფელი ცნობების) გავრცელებაზე. ამ უფლების მიხედვით, ყოველი ინდივიდი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების შემლახველი ინფორმაციის უარყოფელი და საპასუხო ცნობების გავრცელება მედიის იმავე საშუალებით, რომლითაც გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია. თუმცა ასეთ შემთხვევებში უნდა გავითვალისწინოთ პრესისა და აზრის თავისუფლებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელზე დაყრდნობითაც მედიას უფლება აქვს დეტალური გამოკვლევის შემდეგ მკითხველს მოუთხროს იმ მოსალოდნელ მოვლენებზე ან საჯარაუდო გარემოებებზე, რომელთა მიმართ არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი და რომელთა ნამდვილობა ინფორმაციის გამოქვეყნების მომენტში ჯერ კიდევ არ ირკვევა. მაგრამ პრესისა და აზრის თავისუფლებების შეზღუდვა გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა გამოქვეყნებული ინფორმაციის შეუსაბამობა სინამდვილესთან საბოლოოდ გარკვეულია და ამით გრძელდება ინდივიდის ზოგადი პიროვნული უფლების შელახვა. უნდა აღინიშნოს, რომ ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების შემლახველი ინფორმაციის უარყოფელი ცნობების გავრცელების უფლება სამოქალაქო-სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილად არის ასახული საქართველოს 1997 წლის 26 ივნისის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში.

4. დასკვნა

ზემოთ მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგად პიროვნულ უფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული ინდივიდის პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. იგი იცავს ადამიანს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითად სფეროებში სახელმწიფოს ან სხვა პირთა ჩარევებისაგან. ჩვეულებრივ მოქალაქეებთან დაკავშირებით ზოგადი პიროვნული უფლება მათი პირადი ცხოვრების თითქმის აბსოლუტურ დაცვას უზრუნველყოფს. ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყოველი ჩარევა

გამართლებული უნდა იყოს კონსტიტუციურ-სამართლებრივად, ანუ მას უნდა აქონდეს კანონიერი საფუძველი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთის დაცვის მიზანი, იმავდროულად, უნდა შეესაბამებოდეს ზომიერების პრინციპს.

რაც შეეხება საჯარო პირებს, მათი ზოგადი პიროვნული უფლებით უჩრუნველყოფილი დაცვა სუსტია და ხშირად უკან იხევს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის, პრესისა თუ აზრის თავისუფლებათა წინაშე. მიუხედავად ამისა, საჯარო პირებთან დაკავშირებული ყველა დაკა უნდა გადაწყდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით დაპირისპირებულ ძირითად უფლებათა შეღარების (აწონ-დაწონვის) საფუძველზე. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჯარო პირებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების შემთხვევაში წინასწარ გამოითქმება ვარაუდი პრესის, აზრისა თუ ხელოვნების თავისუფლებათა სასარგებლოდ, რადგან ამ პირთა ცხოვრებისა და საქმიანობის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის განსაკუთრებულია. აქვე შევნიშნავ, რომ ცნება „*საჯარო პირი*“ არ მოიცავს მხოლოდ პოლიტიკოსებს და სხვა საჯარო თანამდებობის პირებს. სასამართლოს მიერ საჯარო პირად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველასათვის ცნობილი პიროვნება, საზოგადო მოღვაწე, სახელგანთქმული მეცნიერი, გამოჩენილი მსახიობი თუ მომღერალი, ხელოვნების სხვა მოღვაწეები, აგრეთვე სახელოვანი სპორტსმენები. ეს ადამიანები გამოირჩევიან მოსახლეობისა ფართო მასებისაგან, მათი ცხოვრება, მოღვაწეობა და მიღწევები მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და მათ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უამრავი ადამიანისათვის.

3. მ. 15 – სიცოცხლის უფლება

I. შესავალი

სიცოცხლის ძირითადი უფლება, ისევე როგორც ფიზიკური ხელშეუხებლობისა (მ. 17, პ. 2) და ადამიანის თავისუფლების (მ. 18) უფლებები, *იცავს ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს, რომელიც აუცილებელია ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიანის სულიერი, იდეური,*

კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს. მოუხდავად იმისა, რომ, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება ადამიანის ღირსებაა, იგი წარმოდგენილია სიცოცხლის უფლების გარეშე, რომელიც ადამიანის ღირსების არსებითი ელემენტი და ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების „სასიცოცხლო“ წინაპირობაა. ამიტომ სახელმწიფოს მოვალეობა ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე გამოდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის არა მარტო მე-15, არამედ აგრეთვე მე-17 მუხლის დებულებიდან.

კონსტიტუცია მე-15 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებს სიცოცხლის ძირითად უფლებას: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“.

საგურადღებოა, რომ მე-2 პუნქტში აღნიშნული ჩანაწერი 2006 წლის 27 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებით დაფიქსირდა. თუ ამ პუნქტის ძველ რედაქციას გაითვალისწინებთ, ეს ლოგიკური და საფუძვლიანი ცვლილება იყო. ძველი რედაქციით მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ასე გამოიყურებოდა: „სახელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სახელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“ ეს დებულება კონსტიტუციის მიღების დროს ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამოძახილი იყო: 1995 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი ჯერ კიდევ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის. მაგრამ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა უკვე აღარ მოქმედებდა 1997 წლიდან, რადგან განხორციელდა მასში მითითებული მოქმედება – საქართველოს 1997 წლის 11 ნოემბრის კანონით „სახელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“ სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოცხადდა და მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები.

II. დაცული სფერო .

სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება. იგი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას. ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილ ნაყოფს უკვე აქვს სიცოცხლის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ადამიანის უფლებადუნარიანობა წარმოიშობა არა ჩასახვისთანავე, არამედ დაბადების მომენტიდან (მ. II, ნაწ. 1), ხოლო თანამედროვე მედიცინის მიხედვით, დაბადების მომენტად ითვლება ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნიდან. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასევე ჩასახვისთანავე წარმოიშობა მემკვიდრედ ყოფნის უფლება, თუმცა „ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე“. სიცოცხლის უფლება წყდება ადამიანის გარდაცვალებით. ადამიანის გარდაცვალების მომენტად კი ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (მ. II, ნაწ. 3).

სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ იმავდროულად ავალდებულებს მას, აქტიურად დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა. ეს განსაკუთრებით ეხება სიცოცხლისათვის საშიშ ტერორისტულ აქტს – ადამიანის გატაცებას და მძევლად აყვანას. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს (პოლიციას და უშიშროების სამსახურებს) აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლება, გამოიყენოს ისეთივე ძალისმიერი საშუალებები (ცეცხლსასროლი იარაღი), როგორცაც იყენებს დამნაშავე. შეუძლებელია საკანონმდებლო აქტებით ზოგადად განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ასეთი შემთხვევების დროს. თუ გატაცებული პირების და მძევლების სიცოცხლის გადასარჩენად სახელმწიფო იძულებულია გაათავისუფლოს მძიმე დანაშაულის ჩამდენი ტერორისტები, მან უნდა გაითვალისწინოს განთავისუფლებული ტერორისტების მომავალი პოტენციური მსხვერპლი, და გარდა ამისა, ყველაფერი უნდა იღონოს ამ პირთა ხელშეწყობის დასაყვედურად.

მაგალითი: 1977 წლის სექტემბერში ტერორისტებმა მოიტაცეს გერმანიის დამსაქმებელთა გაერთიანების ფედერალური ასოციაციისა და სამტრეწველო საწარმოების ფედერალური გაერთიანების პრეზიდენტი ლოქტორი შლეიერი. ტერორისტები მისი მოკვლით იმუქრებოდნენ

(მოგვიანებით მათ მართლაც მოკლეს მძევალი) და სახელმწიფოსაგან მოითხოვდნენ თერთმეტი დაკავებული ტერორისტის განთავისუფლებას. ფედერალური მთავრობა არ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას და ცდილობდა გამტაცებლებთან მოლაპარაკებებით დროის გაწვლვას, იმავდროულად კი მათი ადგილსამყოფლის დადგენას. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ვატაცებულის ვაჟმა საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც მოითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით სახელმწიფო ორგანოების დავალდებულებას, რომ მათ გამოეშვათ დაპატიმრებული ტერორისტები, რათა ამით გადაერჩინათ შლეიერის სიცოცხლე. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო შლეიერი-უმცროსის სარჩელი. რა თქმა უნდა, არსებობდა სახელმწიფოს მოვალეობა, დაეცვა მოქალაქის სიცოცხლე, მაგრამ ეს მოვალეობა სახელმწიფოს ქონდა არა მარტო შლეიერის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრებოდა ტერორისტების განთავისუფლების შემთხვევაში. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სახელმწიფო ორგანოები მსგავსი კონფლიქტის შემთხვევაში, არ იყო განსაზღვრული კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციით *ახლოვტურად უზრუნველყოფილი* ძირითადი უფლებაა. დაუშვებელია ამ უფლების რაიმე სახით შეზღუდვა. თუმცა არის შემთხვევები, როცა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ამისათვის კი შეიძლება აუცილებელი იყოს სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ასეთ შემთხვევებში, ანუ როცა სიცოცხლის წინააღმდეგ ასევე სიცოცხლე დგას, სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გადაწყვიტოს კიდევ, რომელი სიცოცხლისათვის იბრძვის იგი თავისი ძალაუფლებრივი საშუალებებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს უფლება აქვს მოკლას დამნაშავე დანაშაულის ჩადენის მომენტში, როცა მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად არის შესაძლებელი მსხვერპლის სიცოცხლის გადარჩენა (მაგალითად: მძევლების აყვანის დროს). ასეთი შემთხვევების გარდა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სიცოცხლის ძირითადი უფლება კანონმდებელს არ აძლევს კანონის საფუძველზე მასში ჩარევის არაეთიარ სხვა საშუალებას. კანონი, რომელიც სახელ-

მწიფი ორგანიზებს ადამიანის მოკვლის ნებას ღართავდა იმ შემთხვევებში, როცა ეს არ არის აუცილებელი სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. აქტივობა კონსტიტუციის საწინააღმდეგო, რადგან იგი დაარღვევდა ადამიანის ღირსებას, სიცოცხლის უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას და ზომიერების პრინციპს. უფრო მეტიც, სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე ადამიანს არ აქვს საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება და სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისად ასახოს ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა კანონმდებლობაში. საქართველოს კანონმდებლობით თეთომკვლელობის მცდელობა დასჯადი არ არის, მაგრამ ასევე არ არის დაშვებული პაციენტის სურვილის საფუძველზე ექიმის ან სხვა პირის მიერ პაციენტის სიკვდილის დაჩქარება (*ვეთანაზია*). ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა განმტკიცებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონით, რომლის 151-ე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო ჰერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, კერძოდვე ვეთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება.“

სიცოცხლის ძირითად უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აქ ნაყოფის სიცოცხლის ძირითადი უფლება ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ასევე ძირითად უფლებას უპირობირდება. აღსანიშნავია, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულყოფილად და მსოფლიოში მიღებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აწესრიგებს ამ ურთიერთობებს.

აღნიშნული კანონის 136-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და დაბადების დრო. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით (მ. 139, პ. 1). ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;
- ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის

მოსაფიქრებელი ვადა.“ ამასთან, გასაუბრების დროს ექიმი ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას და ყველანაირად შეეცადოს დაარწმუნოს დედა ნაყოფის შენარჩუნების აუცილებლობაში. არჩევანი ყველა შემთხვევაში ქალის პრეროგატივაა (მ. 139, პ. 2).

აბორტი ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ნაყოფის სიცოცხლის ძირითად უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივი საფუძველი: *სამედიცინო ან სოციალური ჩვენებები* (მ. 140). *სამედიცინო ჩვენება* ნიშნავს მდგომარეობას, როცა აუცილებელია ორსულობის შეწყვეტა ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; *სოციალური ჩვენების* მიხედვით კი ნაყოფის მშობღები ისეთ მიზეზ ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან. რომელიც შეუძლებელს ხდის შვილის ნორმალურ გაზრდას და მისი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ორსულობის შეწყვეტის დამატებით სამართლებრივ საფუძველებად მიჩნეულია აგრეთვე ე.წ. *ეთიკური და ეკონომური ჩვენებები*. *ეთიკური ჩვენება* ნიშნავს, რომ ორსულობა წარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატუროების) შედეგად, *ეკონომური ჩვენების* დროს კი არსებობს აკადემიური, ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილის დაბადების საშიშროება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველმა კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ორსულობის შეწყვეტის ეს ორი საფუძველი და მსგავსი შემთხვევების დროს უპირატესობა მიანიჭა ნაყოფის სიცოცხლეს, რაც სრულად შეესაბამება სიცოცხლის ძირითადი უფლების უდიდეს მნიშვნელობას. იმავდროულად კანონმდებელმა უკანონო აბორტისათვის დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის *სისხლის სამართლის კოდექსის* 133-ე მუხლით. საყურადღებოა, რომ „*პაციენტის უფლებების შესახებ*“ საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონის 36-ე მუხლით სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი გააკეთოს ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად. ამ მუხლის მიხედვით, მშობიარე ქალს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია გაუწიოს სამედიცინო მომსახურება მშობიარეს მისი ნების საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მომსახურება უზრუნველყოფს

ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და იმავდროულად მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალურ რისკს შეიცავს.

4. მ. 17, პ. 2 – ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სიცოცხლის ძირითადი უფლება საფუძვლად უდევს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. კონკრეტულად ამ უფლების შესახებ კონსტიტუცია არაფერს ამბობს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი გამოძღინარეობს სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან; გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-17 პუხლოს მე-2 პუნქტში მოცემულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საფუძველი, რომლის მიხედვითაც *„დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შეძლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“*. მიუხედავად ამ დებულებისა, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება შინაარსობრივად გაცილებით ფართო და მრავლისმომცველია, არ შემოიფარგლება მხოლოდ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვით და იმდენად მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა, რომ აუცილებელია მისი ცალკე განხილვა.

II. დაცული სფერო

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება არის *ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე*, იგი, სიცოცხლის უფლების მსგავსად, დამცავი უფლებაა და, უპირველეს ყოვლისა, *იცავს ადამიანის სხეულს ფიზიკური დაზიანებისაგან*. გარდა ამისა, იგი იცავს ადამიანს *ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან, რომელიც ტკივილს იწვევს და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას*. ასეთი შეიძლება იყოს, *შეგალითად*, თვითმფრინავების ხმაური, რომელიც იწვევს მშვიდი ძილის დარღვევას, აგრეთვე ფსიქიკური ზემოქმედება ადამიანზე. საინტერესოა, რომ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული (სასამართლოში წარსადგენი შესაბამისი სარჩელის არარსებობის გამო) საკითხი, შეესაბამება თუ არა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება ჯანმრთელობის მსოფლიო

ორგანიზაციის მიერ დადგენილ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც, ჯანმრთელობა არის „ადამიანის სრულყოფილი ფიზიკური, სულიერი და სოციალური არსებობა“ და არა მხოლოდ ავადმყოფობისა და დაზიანებებისაგან თავისუფალი ყოფნა.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძველი

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებაში, ანუ ადამიანის ფიზიკურ მთლიანობაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ ზომიერების პრინციპის დაცვით. ასეთ ჩარევებს ადგილი აქვს, *მაგალითად*, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, როცა აუცილებელია ჩადენილი დანაშაულის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა. ზომიერების პრინციპი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოითხოვს, რომ ჩარევა იყოს აუცილებელი, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი და არსებული ეჭვის სიძლიერით გამართლებული. სისხლის აღება, როგორც წესი, დასაშვებია, თუ ეს ეკუთვნის (საკმარისი ეჭვის დროს) ექიმის მიერ და მიმართულია იმ ფაქტების დადგენისაკენ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის. ამის საპირისპიროდ ძვლის ტვინისა და ზურგის სითხის ამოღება წარმოადგენს მძიმე ფიზიკურ ჩარევას, რომელიც დასაშვებია მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლებრივი ბრალდების დროს პირის ქმედუნარიანობის დასადგენად და არა უმნიშვნელო დელიქტების გახსნის მიზნით. ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი საშუალებები, რომლებიც უკეთეს (ან ისეთივე) შედეგს იძლევა და იმავდროულად ნაკლებად არღვევს პირის ფიზიკურ მთლიანობას. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დღეისათვის საუკეთესო ტექნიკური საშუალების – კომპიუტერული ტომოგრაფიის და არა ძველი სამედიცინო საშუალებების გამოყენება, რომლებიც მძიმედ არღვევს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას. კომპიუტერული ტომოგრაფია ასევე არ არის დაკავშირებული პირის ჯანმრთელობის რისკთან.

დაუშვებელია ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროზე *ირიბი შემოქმედება*. ასეთია, *მაგალითად*, მდგომარეობა, როცა არსებობს აშკარა და კონკრეტული საფრთხე, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობას შეიძლება მძიმე ზიანი მოადგეს ან იგი შეიძლება

კარდაიკვალოს სასამართლო პროცესებზე სიარულითა და ფიზიკური ვადატყვართვის გამო. თუმცა ჯანმრთელობის დარღვევის ყოველგვარი საფრთხე არ იწვევს პროცესის შეჩერებას. საკითხი – გაგრძელდეს თუ არა პროცესი – უნდა გადაწყდეს ყველა გარემოების შეფასებით და ვათვალისწინებით, განსაკუთრებით დანაშაულის სიმძიმის, პროცესის გაგრძელების სავარაუდო ვადისა და პირის ჯანმრთელობის დარღვევის კანკრძობითი თუ ღროებითი ხასიათის მიხედვით.

ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა დგას სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების დროებითი ან ხანგრძლივი შეჩერების საკითხი. **მგალობაჯ**, საცხოვრებელი ფართის დაცლის შესახებ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება მოქირაუნის მიმართ, რომელიც მძიმედ არის ავად და რომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გამოსახლების შემთხვევაში აშკარა საფრთხე დაემუქრება, დაუშვებელია.

მგალითი: 60 წლის მოხუცმა მოქირაუნემ წაავო სასამართლო დავა მესაკუთრესთან. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას დაევა საცხოვრებელი ფართის დაცლა, სადაც 3 წელი ცხოვრობდა. მოგვიანებით მოხუცმა მიიღო შეტყობინება, რომ ფართის დაცლა მოხდებოდა იძულებით. მან მოითხოვა ფართის იძულებითი დაცლის მოთხოვნის გაუქმება, ცინაიდან დიდი ხანია დაავადებული იყო მძიმე ენდოგენური დეპრესიით, რისგან განკურნებისთვისაც მხოლოდ თერაპიული ჩარევა არ იყო საკმარისი, თანაც დაავადებას თან ახლდა გულის ფუნქციონირებისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევები. ამასთან, ამ წლების განმავლობაში მოხუცს ჰქონდა თვითმკვლელობის საში მცდელობა და მისი გადარჩენა სტაციონარული მკურნალობით მოხერხდა. საცხოვრებლის (ოთახის) დაკარგვის შემთხვევაში მოსალოადნელი იყო მძიმე ფსიქიკური დარღვევები და თვითმკვლელობის მუდმივი საფრთხე. აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე მოქირაუნეს გადაუვადეს საცხოვრებლის დაცლის ვადა 7 თვით. თუმცა ამ ვადის შემდგომი გაგრძელება რაიონულმა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უარყვეს. მოუხდავად მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობისა. სასამართლოთა გადაწყვეტილებებით დაირღვა მოხუცის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება, რადგან თუ მოქირაუნის მიერ მითითებული საფრთხე მართლაც არსებობდა და მისი აცილება მხოლოდ ფართის დაცლის გადავადებით იყო შესაძლებელი (როგორც ჩანს, ეს მართლაც ასე იყო, რადგან მოხუცს ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთები საავადმყოფოდან), მაშინ მისი აღსრულება კიდევ დიდი ხნით უნდა გადადებულიყო.

1. შესავალი

ადამიანის თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით, რომელიც აცხადებს, რომ „ადამიანის თავისუფლება ზღუდვადია“. ამავე მუხლის სხვა პუნქტებში მოცემულია ადამიანის თავისუფლების გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია თავისუფლების საპროცესო მხარე:

„2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მოძღვრო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იბულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.“

ამავე მუხლის მე-7 პუნქტით კონსტიტუცია კანონით დასჯადად აცხადებს წინა პუნქტების მოთხოვნათა დარღვევას, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კი ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას. თავისუფლებაშეზღუდული პირის საპროცესო ძირითად უფლებებს უზრუნველყოფს კონსტიტუციის 42-ე მუხლიც. ამდენად, კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლები შინაარსობრივად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან – ორივე მუხლი იცავს და აღიარებს ადამიანის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.

II. დაცული სფერო

ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობის საფუძველზე ადამიანს აქვს **საკუთარი სურვილისამებრ ფიზიკური გადაადგილების უფლება**. ყველას შეუძლია დაუბრკოლებლად იმოძრაოს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს უფლება არ უნდა ავიწროთ მიმოსვლის თავისუფლებას, რომლითაც უზრუნველყოფილია ადამიანის თავისუფალი გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს გადაადგილება დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევასთან ან შეცვლასთან. ადამიანის თავისუფლება კი პირის დაუბრკოლებელ ფიზიკურ გადაადგილებას ნიშნავს.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

კონსტიტუციის მე-18 მუხლის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. მისი შეზღუდვა და დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრული წესით. ნებისმიერ სხვა საფუძველზე ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა დაცული სფეროს დაუშვებელი და გაუძარტლებელი დარღვევა იქნება. ამასთან, კანონმდებელს არ შეუძლია საკუთარი შეზღუდვებისამებრ განსაზღვროს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის საფუძველები. პიროვნული თავისუფლება იმდენად ძალიან რანგის სამართლებრივი სიკეთეა, რომ იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირობების არსებობისას. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა. ამ სფეროში ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის მიზანია მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეების დაცვა. იგივე შეიძლება ითქვას, **შეგალითად**, საზოგადოებისათვის საშიში სულით ავადმყოფების სპეციალურ დაწესებულებებში მოთავსებაზე. დასაშვებია ასევე უზრუნველობითი ხასიათის ჩარევებიც, თუ ისინი მიმართულია სულით ავადმყოფი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის დასაცავად და ამ მიზნით პირს ათავსებენ სპეციალურ საავადმყოფოში, სადაც მას

არა აქვს საშუალება ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს. ცხადია, რომ გულდასმით უნდა შემოწმდეს, აქვს თუ არა ამ ფსიქიკურ მოშლილობას ავადმყოფობის ის ხარისხი, რომელიც ამართლებს თავისუფლების ასეთ ინტენსიურ შეზღუდვას. ასეთ პირობა მხოლოდ გამოსწორება სრულიადაც არ არის საკმარისი საფუძველი თავისუფლების აღსაკვეთად, რადგან მოქალაქეთა „გამოსწორება“ და „გაკეთილმობილება“ არ არის სახელმწიფოს მიზანი და ამოცანა.

თავისუფლების შეზღუდვისგან უნდა განვასხვაოთ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს პირის იძულებით მოთავსებას წინასწარი დაკავების სპეციალურ ან სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია შესაბამისი კანონის არსებობა, რომლის საფუძველზედაც განხორციელდება თავისუფლების აღკვეთა, კონსტიტუციის მე-18 მუხლით თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. იმავე მუხლით კონსტიტუცია ადგენს ექვმიტანილის დაკავებისა და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ედებს, შესაბამისად 72 საათს და 9 თვეს.

საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზედაც ხორციელდება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა და აღკვეთა, უნდა შეესაბამებოდეს თანა ზომიერების პრინციპს. ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსამართლის მიერ წინასწარი პატიმრობის შესახებ ბრძანების გაცემის დროს. წინასწარი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას ერთ მხარეზე დგას ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება – თავისუფლება, მეორე მხარეს კი – კონკრეტული დანაშაულის განხილვისათვის აუცილებელი, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამ ორი მნიშვნელოვანი სიკეთის კონფლიქტში პიროვნულ თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, არსებობს კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ეჭვი დაკავებული პირის უდანაშაულობაზე და, მეორე მხრივ, დანაშაულის სრულყოფილი გამოძიება და განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ექვმიტანილის წინასწარი პატიმრობაში ყოფნით. წინასწარი პატიმრობა არ უნდა ემსახურებოდეს სხვა მიზნებს.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ამოქმედებიდან 2003 წლის იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

მსოფლიო რადიკალიზმზე ანტიკონსტიტუციურ დებულებას, რაც, ბუნებრივია, წარმოადგენდა ადამიანის თავისუფლების მიმე დარღვევას. ყველაზე უკიდურესი ანტიკონსტიტუციური ნორმა იყო კოდექსის 72-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი პირი დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში სრულიად უფულებოდ რჩებოდა. პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში მას ფაქტობრივად არ ჰქონდა კონსტიტუციითა და კოდექსით განსაზღვრული არანაირი სტატუსი. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის სტატუსს პირი იღებდა დაკავებიდან 12 საათის ვასვლისას და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ესარგებლა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. ამგვარაა, რომ ეს დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებს, რომელთა მიხედვითაც, ჯერ ერთი, დასაშვებია მხოლოდ ეჭვმიტანილის დაკავება, ანუ დაკავებისას პირი უკვე ეჭვმიტანილად უნდა იყოს ცნობილი და ეს არ უნდა მოხდეს დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, და მეორე, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შესაბამისად დაკავების ან დაპატიმრებისთანავე (და არა დაკავებიდან 12 საათის შემდეგ) უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავებისთანავე ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამ ნორმით სახელმწიფო ვალდებულია, დაკავებული ეჭვმიტანილის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იგი დამცველით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს ნორმა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით.

უვადო თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებაში უმძიმეს ჩარევას. იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ზემოთ უკვე განხილულ იქნა კონკრეტული სასამართლო საქმე, რომელშიც მოსარჩელეს ეს სასჯელი ანტიკონსტიტუციურად მიაჩნდა და მის გაუქმებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა ადამიანის თავისუფლებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლების უმძიმეს დარღვევას წარმოადგენს, იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან კანონმდებლობა ასეთ დამნაშავეებსაც უტოვებს

განთავისუფლებისა და საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრებად დაბრუნების შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოზღვისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიაჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა“.

ნ. მ. 19 – რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები. კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას“, იმავდროულად კი აღიარებს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.⁷ კონსტიტუციის მე-19 მუხლი დაწვრილებით ასახავს ადამიანის ამ უმნიშვნელოვანეს უფლებებს:


„1. ყოველ ადამიანს აქვს ... სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა ... აღმსარებლობის ან რწმენის გამო. აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

⁷ კონსტიტუციის მე-9 მუხლს 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონით დამატა მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ხერათაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხეობაში.“ კონსტიტუციური შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ, 2002 წლის 22 ოქტომბერს კი დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ბ. დავუწყებელია ამ ... თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი კანონდისება არ ლაზავს სხვათა უფლებებს.“

კონსტიტუციის აღნიშნული დებულებები ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჩამოაყალიბოს და ქჰონდეს საკუთარი რწმენა, მსოფლმხედველობა და სინდისი, იცხოვროს მათ მიხედვით და მათ საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე-19 მუხლი იცავს ადამიანის რელიგიურ და მორალურ გრძნობებს და შინაგან რწმენას (Forum internum; აზროვნების სფერო), რელიგიური და მსოფლმხედველობრივი აღმსარებლობის თავისუფლებას (Forum externum; მოქმედების სფერო), აგრეთვე საკუთარი შინაგანი რწმენისა და სინდისის კარნახით (და მათ საფუძველზე) გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას.



როგორც ეხედავთ, რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციაში ერთად არის მოცემული. ამის საფუძველი მათი შინაარსობრივი მსგავსებაა. თუმცა თითოეულ ამ ცნებას თავისი სპეციფიკური, სხვებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რის გამოც უმჯობესია მათი გამოიყენება ერთმანეთისაგან და თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა.

II. რწმენის (რელიგიის) თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი რწმენის თავისუფლება, რომელსაც ხშირად *რელიგიის თავისუფლებას* უწოდებენ, სახელმწიფოს მიმართ საკუთარი ინტერესების დასაცავად შეიძლება გამოიყენოს ყველა ფიზიკურმა პირმა. ეს ნიშნავს, რომ რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებასა და არა მოქალაქისა (ანუ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა), რადგან კონსტიტუციის მე-19 მუხლი პირდაპირ მოუთხოვს „ადამიანზე“ და არა „საქართველოს მოქალაქეზე“. მაგრამ ეს ძირითადი უფლება დამცავი უფლებათა არა მხოლოდ ადამიანებისათვის, არამედ აგრეთვე რელიგიური თუ სხვა მსოფლმხედველობრივი გაერთიანებებისათვის. ამ ნიშნებით განასხვავებენ ინდივიდუალურ (ფიზიკურ პირებთან მიმართებით) და კოლექტიურ (იურიდიულ პირებთან მიმართებით) რელიგიის თავისუფლებებს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლება

ა) დაცული სფერო

ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლება იცავს რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებას, რწმენას. კონკრეტულად რწმენის თავისუფლება ნიშნავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას თავად ჩამოყალიბოს და განსაზღვროს თავისი რელიგიური თუ არარელიგიური (ათეისტური) რწმენა სამყაროში ადამიანების არსებობის, უზენაეს ძალებთან (ღმერთთან) თავისი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე ადამიანის გარეგან თავისუფლებას, ადასრულოს, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს თავისი რწმენა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებანი (აღმსარებლობის თავისუფლება).

შენიშვნა: აქ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ აღმსარებლობის თავისუფლება საერთოა რწმენისა და სინდისის თავისუფლებებისათვის, რადგან აღმსარებლობა არის ადამიანის ძირ საკუთარი რწმენისა და სინდისის, აგრეთვე მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით განხორციელებული მოქმედების საჯაროდ გაცხადება.

რელიგიის თავისუფლება იცავს ინდივიდის უფლებას, იცხოვროს, იმოქმედოს და მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს თავისი რელიგიის

წესწვევლებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ დაცულია ინდივიდის არა მხოლოდ ის რწმენა, რომელიც მისი რელიგიის სავალდებულოდ შესასრულებელ მოთხოვნებს ეყარება, არამედ ის რწმენაც, რომელიც ინდივიდისაგან კონკრეტულ სიტუაციაში ან მისიათვის აუცილებლად რელიგიურ მოქმედებას, მაგრამ ინდივიდი დარწმუნებულია, რომ რელიგიური მოქმედება მოცემულ სიტუაციაში იქნება ყველაზე სწორი და ადეკვატური.

რელიგიის თავისუფლებათ დაცულია აგრეთვე „რელიგიის განხორციელების“ ისეთი საშუალებები, როგორებიცაა წირვა, ლოცვა, პროცესიები, ეკლესიური შეკრებები, რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი დღესასწაულები და წესჩვეულებები, აგრეთვე სხვადასხვა საკულტო მოქმედებები და თვით არარელიგიური, ანუ ათეისტური ზემოები.

რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფილია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კუთხით. პოზიტიური რელიგიის თავისუფლება ნიშნავს ადამიანის უფლებას, ქონდეს და წარმოადგინოს თავისი რწმენა, მსოფლმხედველობა და იმოქმედოს მათ მიხედვით (*მაგალითი*: წირვაში ან სხვა რელიგიურ მოქმედებაში, რელიგიურ დღესასწაულში მონაწილეობა). ნეგატიური რელიგიის თავისუფლება ნიშნავს ადამიანის უფლებას უარყოს ყოველგვარი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი რწმენა ან არაფერი თქვას მის შესახებ და არაფის გაანდოს თავისი რწმენა (*მაგალითი*: განზე დგომა ყოველგვარი რელიგიური თუ სხვაგვარი ღონისძიებებისაგან). როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუცია ნეგატიური კუთხითაც უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით აცხადებს, რომ „დაუშვებელია ადამიანის ... იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება“ რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ.

რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფილია არა მხოლოდ აღიარებული და ტრადიციული ეკლესიებისა თუ რელიგიური გაერთიანებების წევრთათვის, არამედ აგრეთვე ნებისმიერი სხვა რელიგიური გაერთიანების მომხრეთათვის. აქ მნიშვნელობა არა აქვს ასეთი გაერთიანების წევრთა ირავალირცხოვნობას ან გაერთიანების სოციალურ მდგომარეობასა და გავლენას. ეს ყოველივე გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფოსათვის დადგენილი სავალდებულო მოთხოვნიდან მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ და ეკლესიებისა და აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპიდან. აღსანიშნავია,

რომ რელიგიის თავისუფლებით დაცული არიან არა მხოლოდ ზემოხსენებული ტრადიციული თუ არატრადიციული ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მიმდევრები, არამედ ე.წ. განდევილები, რომლებსაც სრული უფლება აქვთ განავითარონ თავისი პიროვნება საკუთარი სუბიექტური რწმენის შესაბამისად. სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ამ შინაგან, აბსოლუტურად დაცულ სფეროში ჩარევა დაუშვებელია, რადგან სახელმწიფოს არა აქვს უფლება შეაფასოს თავის მოქალაქეთა რწმენა თუ ურწმენობა და მიიღოს გადაწყვეტილება მათი მართებულობისა თუ უმართულობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, რელიგიის თავისუფლება იცავს ინდივიდის უფლებას, აცხოვროს, იმოქმედოს და მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს თავისი რელიგიის წეს-ჩვეულებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, როცა ინდივიდი კონკრეტულ სიტუაციაში, საკუთარი რწმენიდან გამომდინარე, მოქმედებსა თუ უმოქმედობას თავად განსაზღვრავს, იგი შეიძლება კონფლიქტში აღმოჩნდეს საზოგადოებაში გამეფებულ ზნეობრივ შეხედულებებთან და მათზე დაფუძნებულ სამართლებრივ ნორმებთან და ვალდებულებებთან. ამის ნათელი მაგალითია რამდენიმე ცნობილი შემთხვევა, როცა ადამიანებმა უარი განაცხადეს სამედიცინო მომსახურებაზე და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენისათვის უფრო ქმედით მექანიზმად, საკუთარი რწმენის შესაბამისად ლოცვა მიიჩნიეს. აღსანიშნავია, რომ ეს მეტად პრობლემური საკითხი სრულყოფილად არის მოწესრიგებული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს კანონებით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“. ამ კანონების მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერი სახის სამედიცინო ჩარევაზე. გამონაკლისია განსაკუთრებით საშიში გადაძვლები დაავადებების განვითარების მაღალი რისკის მქონე მოქალაქეებისათვის სამკურნალო, საპროფილაქტიკო და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელება („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მ. 75). სხვა შემთხვევებში ავადმყოფმა თავად, საკუთარი შინაგანი (რელიგიური თუ არარელიგიური) რწმენის შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო მომსახურების მიზანშეწონილობის შესახებ. თვით ტერმინალურ (სიკვდილისწინა) სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს

უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩევებელ ან პალეოატორ მკურნალობაზე. უგონო მდგომარეობაში ყოფნის შესისხვეწის, თუ ავადმყოფს წინასწარ, როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული ნაღწევინებლების მიღების უნარი, არ ჰქონია გაცხადებული თანხმობა ან უარი მკურნალობაზე, „მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მომაკვდავი ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით და მისი (პაციენტის) პიროვნული შეხედულებების გათვალისწინებით“ („კანონმდებლობის დაცვის შესახებ“ კანონის მ. 148, პ. 2) თანხმობა ან უარი განაცხადოს მკურნალობაზე. იმავდროულად „პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების ჰატივისცემა“ („პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მ. 15).

ბ) დაცულ სფეროში ჩარევა

ინდივიდუალურ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა გვაქვს მასში, როცა სახელმწიფო ზემოაღნიშნულ დაცულ საქმიანობას რაიმე წესებს დაუდგენს ან მნიშვნელოვნად შეზღუდავს და ხელს შეუშლის მათ განხორციელებას. სახელმწიფოს მხრიდან ეს შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად გამოიხატოს. ერთ-ერთი მაგალითია ისლამური რელიგიის მიმდევარი მოსწავლე გოგონას იძულება, მონაწილეობა მიიღოს ცურვის ან ფიზკულტურის გაკვეთილში. მოსწავლე გოგონას რელიგიის თავისუფლება, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება, საქციელი და მოქმედებები თავისი რწმენის წეს-ჩვეულებებსა და მოთხოვნებს შეუსაბამოს, ირღვევა ცურვისა და ფიზკულტურის გაკვეთილებში მონაწილეობით, რადგან მისი რელიგია გოგონებს უკრძალავს სხვათა თანდასწრებით საკუთარი სხეულის ან სხეულის კონტურების გამოკვეთილად გამოსახვას. კიდევ ერთი მაგალითია მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლება იმის გამო, რომ მან აღნიშნა თავისი რელიგიური დღესასწაული და ამ დღეს არ გამოცხადდა სამსახურში.

გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

რელიგიის თავისუფლება, როგორც კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან ჩანს, არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რელიგიის თავისუფლება შეიძლება

შეიხლეუდოს, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციურად უზრუნველყოფილმა რელიგიის თავისუფლებამ არ უნდა გამოიწვიოს სხვათა ასევე კონსტიტუციურად უზრუნველყოფილ უფლებათა და სიკეთეთა გაუმართლებელი შეზღუდვა. ბუნებრივია, რომ შეზღუდვისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მქონდეს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც შეიძლება იყოს არა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (პრეზიდენტის ბრძანებულება, მინისტრის ბრძანება ან ნებისმიერი სხვა აქტი), არამედ მხოლოდ ფორმალური კანონი, რომელიც თავის მხრივ კონსტიტუციას და *ზომიერების პრინციპს* უნდა შეესაბამებოდეს.

რელიგიის თავისუფლებასა და სხვა უფლებებს შორის კოლიზიისას უნდა მოხდეს ამ კოლიზიის განზილვა კონკრეტული გარემოებების მიხედვით, ანუ გამოყენებული უნდა იქნეს *შეღარების* მეთოდი. სწორედ ამის საფუძველზე გადაწყდება, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ სამართლებრივ სიკეთეს მიეცემა უპირატესობა.

მაგალითი: ავტოსტრადაზე მოძრაობისას ერთ-ერთი რელიგიის მოძღვარმა გააჩნა მანქანა, გადმოვიდა და პირდაპირ ავტოსტრადაზე დაიწყო აუცილებელი რელიგიური რიტუალის – ლოცვის შესრულება. მოძრაობა შეფერხდა, პეერი მანქანა ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მხოლოდა სიცოცხლეს საფრთხე დაეპყრო. ამ შემთხვევაში ქოცველის რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლება უკან დაიხვეს სხვა ადამიანთა უფლების წინაშე, იმუზაერონ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობებში.

2. კოლექტიური რელიგიის თავისუფლება

ა) დაკული სფერო

კოლექტიური რელიგიის თავისუფლებით დაკულია რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების საქმიანობა, კერძოდ, საკუთარი რწმენის სხვადასხვა საშუალებებით გავრცელება, შიდაორგანიზაციული საქმიანობა, მიღა წესების შემუშავება და ორგანიზაციის მართვა.

„რელიგიურ გაერთიანებებში“ იგულისხმება ყველა იურიდიული პირი, რომლის მიზანია თავის წევრთა რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი რწმენის ქადაგება, მხარდაჭერა და გავრცელება. ამ ძირითადი უფლებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურადიულ პირებს.

ა) დაცულ სფეროში ჩარევა

კოლექტიურ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო დაადგენს გარკვეულ წესებს ზემოხსენებული რელიგიური საქმიანობებისათვის ან სხვა სახით მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს მათ განხორციელებას. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების პირდაპირი გაერთხილებით და მათგან მოთხოვნით, რომ მათ უნდა აღკვეთონ რომელიმე სხვა რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობა. რელიგიური გაერთიანებების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებული მიდგომა ასევე წარმოადგენს ჩარევას კოლექტიურ რელიგიის თავისუფლებაში. კიდევ ერთი მაგალითად ეკლესიის ხარების რეკვის ან მინარეთზე მილას ხმაძალალი ქადაგების სრული აკრძალვა (დასაშვებია მხოლოდ იმის დადგენა, რომ ხმამ არ გადააჭარბოს დეკიბალების განსაზღვრულ ოდენობას, რაც ხელს არ შეუშლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს და არ დააზიანებს მათ ჯანმრთელობას).

გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

რელიგიური გაერთიანების შიდაორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან დადგენა ისეთი ნორმებისა, რომელთა საფუძველზედაც ის ჩაერევა და თავად მოაწესრიგებს აღნიშნულ საკითხებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ შიდაორგანიზაციულ საკითხში სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევა გაუმართლებელი იქნება და ამისათვის კანონის ნორმებიც არ არის საკმარისი, რადგან ეს ნორმები შეეწინააღმდეგება კოლექტიურ რელიგიის თავისუფლებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შიდაორგანიზაციულ საკითხთან საქმე გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკითხი არ სცდება რელიგიური გაერთიანების შიდა სფეროს და გაერთიანების წევრებიც ამ სფეროში მოქმედებენ.

აღნიშნული სფეროს გარეთ ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლებისათვის აუცილებელია კანონის არსებობა, თუმცა, ბუნებრივია, ეს კანონი თავის მხრივ კონსტიტუციის შესაბამისი უნდა იყოს. ასეთი კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ კოლექტიურ რელიგიის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევის დროს მოცემული გარემოებების საფუძველზე უნდა მოხდეს კოლექტიური რელიგიის თავისუფ-

ლებისა და მასთან კოლიდირებული სიკეთის, ანუ შეზღუდვის (ჩარევის) მიზნის შედარება.

III. სინდისის თავისუფლება

ა) დაცული სფერო

სინდისის თავისუფლება იცავს ინდივიდის მიერ სინდისის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას (ე.წ. სინდისის გადაწყვეტილება). „სინდისის გადაწყვეტილება“ არის ყოველი მნიშვნელოვანი ზნეობრივი, ანუ „კარგსა“ და „ცუდზე“ ორიენტირებული გადაწყვეტილება, რომელსაც ინდივიდი კონკრეტულ სიტუაციაში შინაგანად მისთვის აუცილებლად საკალღებულოდ თვლის. ამ განმარტების შესაბამისად დაცული საქმიანობა (რელიგიის თავისუფლების მსგავსად) არის, ერთი მხრივ, შინაგანი სინდისი (*forum internum*), მეორე მხრივ კი – ამ სინდისის გარეგანი გამოხატულება (მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები) (*forum externum*).

სინდისის თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლია ყველა ფიზიკურ პირს. სამაგიეროდ, ამ ძირითად უფლებას ვერ გამოიყენებს ვერც ერთი იურიდიული პირი.

ბ) დაცულ სფეროში ჩარევა

სინდისის თავისუფლების დარღვევა გვექნება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ამ ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას გარკვეული სახით „მოაწესრიგებს“, ანუ წესებს დაუდგენს ან მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს მის განხორციელებას.

გ) ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სინდისის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. რელიგიის თავისუფლების მსგავსად, იგი შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. სხვა სამართლებრივ სიკეთესთან კოლიზიისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს სინდისის თავისუფლებისა და ამ კოლიდირებული სამართლებრივი სიკეთის შედარება, საქმის გარემოებების მიხედვით. ბუნებრივია, რომ ყოველ შეზღუდვას უნდა აქონდეს საფუძველი კანონის ნორმათა სახით.

სამხალისო თავისუფლებიდან გამომდინარეობს სამხედრო საკალდუ-
რული სამსახურზე უარის თქმის უფლება. თუმცა საქართველოს
1997 წლის 28 ოქტომბრის კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული
სერვისის სამსახურის შესახებ“ ადგენს, რომ ალტერნატიულ შრომით
სამსახურში გაიწვევა ის მოქალაქე, რომელმაც საქართველოს
კონსტიტუციის შესაბამისად უნდა მოისაღოს სამხედრო ვალდებულება,
მაგრამ *სიწმისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით*
უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე (მ. 4). კანონი განსაზღვრავს
არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შინაარსსა და
მნიშვნელობას, ადგენს ამ სამსახურის სახეებს, მისი გავლის ადგილებს,
ვადებსა და წესს, აგრეთვე სამსახურში მყოფ მოქალაქეთა უფლებებსა
და მოვალეობებს. მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერ-
ნატიულ შრომით სამსახურს, სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით
გათვალისწინებული ყველა უფლებით (მ. 14). ამ სამსახურის გავლის
შემდეგ მოქალაქე ირიცხება რეზერვში 50 წლის ასაკამდე და იგი
შეიძლება გაიწვიონ სტიქიური უბედურებებისა და ავარიების შედეგების
ლიკვიდაციის სამუშაოებზე, ასევე მობილიზაციის ან საგანგებო
მდგომარეობის გამოცხადების გამო (მ. 18).

IV. კონკრეტული სასამართლო საქმეები

ადამიანის ყოველი ძირითადი უფლების შინაარსი და მოქმედების
ძალა ნათლად ჩანს კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვისას.
ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა და სასა-
მართლოთა არგუმენტაცია, რაც ზემოთ მოცემული თეორიული განხილვის
შემდეგ ცხადად წარმოაჩენს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფ-
ლებათა პრაქტიკულ მნიშვნელობას.

საქმე №1: გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა ოჯახი სამი
ბავშვით. ცოლ-ქმარი ღრმად რელიგიური ადამიანები და ერთ-ერთი არა-
ტრადიციული კონფესიის მიმდევრები იყვნენ. მუთხე ბავშვზე მშობიარობისას
(მათი რწმენის შესაბამისად ქალი ყოველთვის სახლში, ეჭმთა დახმარების
გარეშე, მხოლოდ მეუღლის თანდასწრებით მშობიარობდა) ქალს პრობლემები
შეექმნა. ბოლოს ბავშვი დაიბადა, მაგრამ ქალს სისხლდენა დაეწყო, რომლის
შეჩერებაც მეუღლეებმა ვერ შეძლეს. ცხადი იყო, რომ მის სიცოცხლეს
საფრთხე ებუქებოდა. ქმარმა უთხრა მეუღლეს: „შენ იცი, ჩვენი რწმენის

მიხედვით ასეო განსაცდელში რა უნდა გავაკეთოთ – უნდა მოვეუხბოთ ჩვენს ზოხდუარს და მასთან ერთად უნდა ვივლოცოთ. მაგრამ ასევე შეგვიძლია ვამოვიასბოთ სასწრაფო დახმარება, ისინი სისხლს გაღავისხამენ და გადავარჩინენ. გადაწყვეტივ, რა ექნათ.“ ქალმა, თავისი რწმენის შესაბამისად, მოძღვრის მოვენა სითხოვა ქმარს. მოძღვარი მოვიდა, მათ ერთად ივლოცეს, მაგრამ ქალი სისხლდენის გამო დაიღუპა.

ქმრის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მას ბრალი დასდეს აღმობინის განსაცდელში მიტოვებასა და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ყოფნის დროს დახმარების აღმოუჩენლობაში, გაასამართლეს და მოუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მან ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში.

საკონსტიტუციო სარჩელით მოსარჩელე აცხადებს, რომ დარღვეულია მისი ძირითადი უფლებები, გამოძინარე გერმანიის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) პირველი მუხლის პირველი აბზაციდან (ღირსების ზელშეუხებლობა) და მე-4 მუხლის პირველი აბზაციდან (რწმენის თავისუფლება).

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ყველასათვის უზრუნველყოფილია თავისუფლება გადაწყვეტოს, სურს თუ არა საავადმყოფოში ექიმთა მომსახურებით სარგებლობა. ამიტომაც მას არ სქონდა უფლება, თავისი მეუღლე წაეყვანა საავადმყოფოში მისი სურვილისა და რწმენის საწინააღმდეგოდ. დაუშვებელია, კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფილი და გარანტირებული მოქმედების საყოველთაო თავისუფლება შეიზღუდოს რაიმე ზოგადი საფუძვლით, თუ საკითხი არ ეხება საჯარო ინტერესებს, მისი მეუღლის ჯანმრთელობის საკითხი კი მხოლოდ მათი პირადი საქმე იყო და არა საჯარო ინტერესის საგანი.

მოსარჩელის აზრით, ასევე დაუშვებელი იყო მისი იბულება, ემოქმედა საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ. ყოვლად მოუღებელია, რომ „განკურნების ბიბლიური მეთოდი“ საბოლოოდ იქნეს უარყოფილი და ამ მეთოდის გამოყენებაში ხელისუფლების ორგანოებმა დაინახონ დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმა. საბოლოო ჯამში, განკურნების ეს მეთოდი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზნეობის საწინააღმდეგოდ.

I. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს: სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის განმარტებისა და შეფარდების დროს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებებში (რომლებიც გაასაჩივრებულია კონსტი-

ქვეყნური სარჩელით) გათვალისწინებული იქნა თუ არა ამ წორმაზე ძალიანადი უწყლებების ზემოქმედების ძალა.

1. კერძონის ძირითადი კანონის მე-4 მუხლით აღიარებულია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებები, რომლებიც უზრუნველყოფილია არა მხოლოდ აღიარებული და მრავალრიცხოვანი ეკლესიებისა თუ რელიგიური კერძონების წევრთათვის, არამედ აგრეთვე ნებისმიერი სხვა რელიგიური კერძონების მომხრეთათვის. აქ მნიშვნელობა არა აქვს ასეთი გაერთიანების წევრთა მრავალრიცხოვნობას ან გაერთიანების სოციალურ მდგომარეობასა და გავლენას. აღნიშნული გამოძინარეობს ძირითადი კანონით სახელმწიფოსათვის დადგენილი საჯაროებულ მოთხოვნიდან მსოფლმხედველობრიურ რელიგიური ნეიტრალიტეტის შესახებ და ეკლესიებისა და აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპიდან.

2. სახელმწიფოში, რომელშიც უზენაესი ღირებულება ადამიანის ღირსება და რომელშიც აღიარებულია, რომ ინდივიდის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმავდროულად საზოგადოების შემკერელი, ჩამომყალიბებელი თვისებით ხასიათდება, რწმენის თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის საქმიანობის ისეთ თავისუფალ სფეროს, სადაც ინდივიდს შეუძლია თავის ცხოვრებას ის ფორმა შესძინოს, რომელიც მის რწმენას შესაბამება. ამდენად, რწმენის თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე რელიგიური ტოლერანტობა, ანუ მხოლოდ მოთმენა რელიგიური რწმენისა თუ არარელიგიური აღმსარებლობებისა და მსოფლმხედველობებისა. აქედან გამომდინარე, რწმენის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ შინაგან თავისუფლებას, გწამდეს ან არ გწამდეს, გჯეროდეს ან არ გჯეროდეს რაიმესი, არამედ აგრეთვე გარეგან თავისუფლებას, მთავდინო შენი რწმენის მანიფესტირება და გაავრცელო იგი. რწმენის თავისუფლების შესაბამისად, ინდივიდს ასევე აქვს უფლება თავისი საქციელი მთლიანად დაუქვემდებაროს თავისი რწმენის ქადაგებებსა თუ მოთხოვნებს და საკრთოდ იმოქმედოს საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. ამასთან, რწმენის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის მოქმედებები, რომლებიც ამ რწმენის იმპერატიულ პრინციპებს ეყრდნობა; რწმენის თავისუფლება მოიცავს აგრეთვე ისეთ რელიგიურ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც, პირმა იცის, რომ ცხოვრებაში წარმოქმნილ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში არ არის აუცილებელი მხოლოდ რელიგიური, მისი რწმენის შესაბამისი რეაგირება, მაგრამ ასეთ რეაგირებას თვლის ცველაზე საუკეთესო და ადვილესტურ რეაქციად, რათა ცხოვრების მოცემული მდგომარეობა დაძლეულ

იქნეს რწმენის საშუალებით, სხვაგვარად რწმენის თავისუფლების ძირითად უფლებას არ ექნებოდა განვითარების საშუალება.

3. რწმენის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად გარანტირებული და უზრუნველყოფილი.

ა) ძირითადი კანონის მე-4 მუხლით აღიარებულია რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების ხელშეუხებლობა. ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების მიმართ ეს არის **lex specialis**. რწმენის თავისუფლება არ არის შეზღუდული ძირითადი კანონით უზრუნველყოფილი აზრის თავისუფლების შემზღუდავი ფარგლებით, რადგან აზრის გამოთქმა არის სასურველი სუბიექტური გამონათქვამებისა თუ შეხედულებების ნებისმიერი გაცხადება, ანუ ფაქტების, მოვლენებისა და ურთიერთობების სუბიექტური ხედვა, რწმენის თავისუფლების საგანი კი არის ყოველი ადამიანის ინდივიდუალური წარმოდგენა გარკვეული ჭეშმარიტებების არსებობისა და შინაარსის შესახებ. სწორედ ამით განსხვავდება აღნიშნული თავისუფლების უფლებები ერთმანეთისაგან, რაც საფუძვლად უდევს მათ მიმართ გამოსაყენებელ „სპეციალიზმის“ პრინციპს, თუკი ამ ორ ძირითად უფლებას შორის საერთოდ შესაძლებელია მოხდეს კოლიზია. რწმენის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, თუ მისი გამოვლინება ღახავს სხვათა უფლებებს;

ბ) რწმენის თავისუფლების დაცვის ობიექტი, ისევე როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლებისა, არის კონსტიტუციის მიერ აღიარებული ადამიანი, როგორც საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, რომელიც სოციალურ და სამოქალაქო საზოგადოებაში თავისუფლად ეითარდება. ინდივიდის საზოგადოებასთან კავშირის ეს პრინციპი საშუალებას იძლევა, რომ ის ძირითადი უფლებებიც კი, რომლებიც აბსოლუტურად, ყოველგვარი პირობის გარეშე არის უზრუნველყოფილი კონსტიტუციით, გარკვეულწილად დაექვემდებაროს უკიდურესი საზღვრების დადგენას. მაგრამ რწმენის თავისუფლების ფარგლები, ისევე როგორც ხელონების თავისუფლებისა, განსაზღვრული უნდა იყოს მხოლოდ უშუალოდ კონსტიტუციით. კონფლიქტი, რომელიც წარმოიშობა რწმენის თავისუფლების გარანტიის ფარგლებთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს კონსტიტუციით შექმნილი ღირებულებათა წესრიგის ფარგლებში, ამ ღირებულებათა სისტემის ერთიანობის გათვალისწინებით.

ეს მიზეზები გამოიწვევს, რომ ადამიანთა თვითდამკვიდრებისა და საქმიანობის ხახვები, რომლებიც მათი რწმენისაგან გამომდინარეობს, დაექვემდებაროს სახელმწიფოს მიერ ასეთი საქმიანობისათვის დაწესებულ

სანქციებს, მიუხედავად ამ საქმიანობის რწმენისაგან გამომდინარე მოტივაციისა. რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლების უშუალო მოქმედების ძალა აქ იმ სახით იჩენს თავს, რომ მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სანქციების სახესა და სიძლიერეზე. სისხლის სამართლის ნორმების მიმართ ეს შემდგენიარად გამოიხატება: *როცა ანდიკალი კონკრეტულ სიტუაციაში საკუთარი რწმენიდან გამომდინარე მოქმედებასა თუ ემოქმედობას თავად განსაზღვრავს, იგი შეიძლება კონფლიქტში აღმოჩნდეს საზოგადოებაში გამეფებულ ზნეობრივ შეხედულებებთან და მათზე დაფუძნებულ სამართლებრივ ნორმებთან და ვალდებულებებთან.*

თუ პირის მოქმედება კვალიფიცირდება სისხლის სამართლის რომელიმე ნორმით, მაშინ ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის რაკურსით უნდა დაისვას კითხვა: საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით სისხლისსამართლებრივი წესით დასჯას ექნება თუ არა რაიმე საფუძველი? ასეთი „დამნაშავე“ სამართლებრივი წესრიგის წინააღმდეგ გამოდის არა იმის გამო, რომ მას არასაკამარისი სამართალმეგნება აქვს. *სისხლისსამართლებრივი ნორმებით დაცული სიკეთის დაცვა მასაც სურს, მაგრამ იმავედროულად იგი საკუთარ თავს ზღაპს უზერხულ და ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულს, როცა საყოველთაო სამართლებრივი წესრიგი ეწინააღმდეგება მის პირად რწმენას და იგი გრძნობს ვალდებულებას, რომ ამ დროს იმოქმედოს საკუთარი რწმენის უმაღლესი მოთხოვნის შესაბამისად.* შეიძლება ეს გადაწყვეტილება ობიექტურადაც გასაკიცხია საზოგადოებაში საყოველთაოდ გამეფებული ღირებულებების სისტემიდან გამომდინარე, მაგრამ დაუშვებელია მისი იმ დონეზე ბრალად წაყენება, რომ გამართლებული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელში არსებული ყველაზე მწვავე იარაღით – სისხლის სამართლით – ამ პირის (საზოგადოების თვალში – “დამნაშაის”) წინააღმდეგ მოქმედება. სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მიუხედავად მისი სიძლიერისა, ასეთი საქმის მიმართ ყველა ასპექტით (პრევენცია, რესოციალიზაცია და ა.შ.) წარმოადგენს არაადეკვატურ სანქციას.

4. აღნიშნული პრინციპების ამ შემთხვევისთვის მისადაგებით ცხადი ხდება, რომ საერთო სასამართლოებმა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის განმარტებისა და შეფარდების დროს რწმენის თავისუფლების ზემოქმედების ძალა ვერ დაინახეს. მოსარჩელეს არ შეიძლება ბრალი წაყენოს იმისათვის, რომ მან (თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ)

არ ვადაარწმუნებ მეუღლე, უარი ეთქვა საკუთარ რწმენაზე, თანაც მეუღლის რწმენა ისეთივე იყო, როგორც მოსარჩელისა. მას სჯეროდა, რომ ის და თავისი მეუღლე ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ საერთო რწმენით, რომ ღმერთის მიმართ ღოცვა და მისთვის თხოვნა უკეთესი გზა იყო ავადმყოფის გადასარჩენად. მოსარჩელისა და მისი მეუღლის საქციელი წარმოადგენდა ამ საერთო რწმენისადმი სრულ მინდობას. ეს რწმენა და ნდობა განპირობებული იყო მეუღლეთა ურთიერთპატივისცემით და ურთიერთნდობით იმ საკითხში, რომელიც ეხებოდა სიკვდილსა და სიცოცხლეს, და წარმოადგენდა მათ სუბიექტურ სიცხადეს იმის შესახებ, რომ ეს დამოკიდებულება „სწორია“. ასეთ და მსგავს შემთხვევებში დაუსწავლელი სისხლის სამართლის წესით მოთხოვნილ იქნეს, რომ საერთო რწმენის მქონე ორმა ადამიანმა ერთმანეთზე მოახდინოს ზეგავლენა, რათა ერთმანეთი დაარწმუნონ მათი რწმენის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების მათი კანონრღობისათვის საშიშროებაში.

მოსარჩელე ასევე არ იყო ვალდებული, თავისი გადაწყვეტილება მეუღლის გადაწყვეტილების ნაცვლად გამოეყენებინა. ეს გასათვალისწინებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მეუღლეს აღარ ექნებოდა შესაძლებლობა (სისხლდენის მიზეზით გონების დაკარგვის გამო), თავად მიეღო გადაწყვეტილება. მეუღლის რწმენა, რომ უარი უნდა ეთქვა საავადმყოფოში ექიმთა მიერ გაწეულ მომსახურებაზე, ეყარებოდა მის საკუთარ, თავისუფალ და კონსტაბლუციით უზრუნველყოფილ შინაგან რწმენას. მას არ დაუკარგავს გონება და ბოლომდე ინარჩუნებდა თავისუფალი ნების გამოხატვის უნარს.

5. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ზემოქმედების ძალა ინარჩუნებს მნიშვნელობას მეუღლეთა შორის და შეილების მიმართ მათი ვალდებულებების მოუხდავად. აქ გასარკვევია, თუ რამდენად არის ვალდებული ქმარი, ჩაერიოს მეუღლის თავისუფალი გადაწყვეტილების სფეროში, რათა დაეხმაროს მას. აღნიშნული საკითხის გარკვევისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ქორწინებამაც ერთმანეთის წინაშე დგას ორი თვითმყოფადი, დამოუკიდებელი ადამიანი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით. ორივე მეუღლის ეს ძირითადი თავისუფლების სფერო, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს თავისუფლებას, თავი მთავრად საკუთარი რწმენის შესაბამის მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობას და ცხოვრება მოიწყონ. და განავითარონ ამ რწმენის შესაბამისად. თუ რამდენად არიან ამ დროს მეუღლეები ვალდებულნი ერთმანეთს დაეხმარონ, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. თუკი მათ აქვთ საერთო რელიგიური რწმენა, მაშინ შეუძლებელია მათ მოეთხოვოთ, რომ

კონსტიტუციის შემთხვევაში თავის პარტნიორს საერთო რწმენის საწინააღმდეგოდ უარი ათქმევინონ ამ რწმენაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებაზე.

შესაძლოა მოსარჩელისაგან სახელმწიფო და საზოგადოება ელოდა იმას, რომ იგი ორივე გზას ერთდროულად გამოიყენებდა. მაგრამ რადგან ეს მოსარჩელისათვის რწმენის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში სრულიად დაუშვებელია მის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება.

II. გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შემოწმების შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს გადაწყვეტილებები დაუშვებელი ფორმით არღვევენ მოსარჩელის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას.

რადგან აღდგინდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებიან ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველ აბზაცს, უკვე აღარ არის საჭირო მათი შემოწმება ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით.

საქმე №2: სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც სასჯელის იხდიდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ანტიკრისტიანული გაერთიანების წევრი იყო. იგი სხვა პატიმრებს მოუწოდებდა ეკლესიისგან განდგომას. ზოგიერთ მათგანს კი ჰპირდებოდა თამბაქოს, თუ დატოვებდნენ ეკლესიას. როდესაც ამ პირმა შესაბამის ორგანოს წარუდგინა განცხადება მისი პირობით ვადაძლე განთავისუფლების საკითხის განხილვის თაობაზე, მას უარი უთხრეს. უარის საფუძველად მოყვანილი იყო მისი მოწოდებები ეკლესიისგან განდგომის შესახებ, რომლებიც შეფასებული იყო „საშინელ ჩანაფიქრად და მორალურ გასრწმინდებად“, რის გამოც კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ მიიჩნია, რომ განთავისუფლების შემთხვევაში ეს პირი არ იცხოვრებდა არსებული სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად და მისგან ამ წესრიგს ისევ საფრთხე შეექმნებოდა. აღნიშნულმა პირმა ეს უარი კომპეტენტურ სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ სასამართლომ სახელმწიფო ორგანოს მიერ ვადაძლე განთავისუფლებაზე უარის თქმა პატიმრის აღმსარებლობის თავისუფლების დარღვევად არ შეაფასა. აღმსარებლობის თავისუფლება იცავს პირის მცდელობას, არგუმენტების საშუალებით დაარწმუნოს სხვა ადამიანები ეკლესიის დატოვებაში, მაგრამ რადგანაც იგი თავისი მიზნის მისაღწევად იყენებდა სასჯელალსრულების დაწესებულების საპეციფიკურ გარემოს (სადაც პატიმრები შეზღუდული არიან ამა თუ იმ საშუალებით და თავისუფლად ვერ იღებენ სასურველ საქონელსა თუ მომსახურებას) და მათ ეკლესიისგან განდგომის შემთხვევაში

სთავაზობდა პატიმრებისათვის ისეთ სასურველ და მნიშვნელოვან საქონელს, როგორც არის თამბაქო, ეს უკვე წარმოადგენდა აღმსარებლობის თავისუფლების არასწორ გამოყენებას. ასეთი ან მსგავსი „ეკონომიკური ან მატერიალური“ ხეწოლის განხორციელება პირთა რწმენაზე დაუშვებელია. შესაბამისად, პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლებაზე უარი არ შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის ძირითადი უფლების დარღვევად.

საქმე №3: გერმანიაში მოქმედმა ახალგაზრდულმა კათოლიკურმა ორგანიზაციამ 1965 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით მოაწყო აქცია მეორადი ტანსაცმლისა და ქაღალდების შეგროვების მიზნით. რამდენიმე თვის განმავლობაში შეგროვილი საქონელი მათ მიჰყიდეს ბითუმად მოვაჭრეებს, ხოლო მიღებული შემოსავალი – მილიონობით მარკა განკუთვნილი იყო განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად. ამ აქციას მხარი დაუჭირეს ეკლესიებმა იმით, რომ ყოველ ეკლესიაში წირვის დროს ცხადდებოდა აქციაში მონაწილეობის შესახებ. ერთ-ერთმა მეწარმემ, რომლის ძირითადი საქმიანობა სწორედ აღნიშნული საქონლის შეგროვება და გაყიდვა იყო, სარჩელი შეიტანა სასამართლოში, მოითხოვა აქციის შეწყვეტა და მისთვის ზარალის ანაზღაურება. რადგან ამ აქციის დროს მისმა საწარმომ დიდი ზარალი ნახა და გაკოტრების პირას მივიდა. იგი ვეღარ იღებდა საქონელს, ვინაიდან მოსახლეობა აქტიურად და მასშტაბურად იყო ჩაბმული აქციაში და ყველაფერს მის ორგანიზატორებს აბარებდა, მეწარმე კი აღნიშნულის გამო ვეღარაფერს ყიდდა და შემოსავალი საერთოდ აღარ ქონდა. სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა იმ მხრივ, რომ აკრძალა ეკლესიების მიერ ამ აქციისათვის რეკლამის გაწევა და ტაძრებში აღნიშნულის შესახებ განცხადებების გაკეთება, რადგან, მოსამართლის არგუმენტაციით, ეს არღვევდა კონკურენციის თავისუფლებას და უსამართლო სამეწარმეო უპირატესობას ანიჭებდა აქციის ორგანიზატორებს.

შემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კონსტიტუციური სარჩელის განხილვის შედეგად ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება არღვევდა რელიგიური გაერთიანების ძირითად უფლებას რელიგიის თავისუფლების განხორციელებაზე. ამ გაერთიანებას კონსტიტუციით გარანტირებული სრული უფლება ჰქონდა იმისა, რომ ხელისშემშლელი პირობებისა და სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დაბრკოლების გარეშე განეხორციელებინა რელიგიური საქმიანობა. თუმცა ყოველ საქველმოქმედო აქციას შეიძლება არ ჰქონდეს რელიგიური ხასიათი და ჩატარდეს კულტურის, მეცნიერების ან სპორტის სფეროში დახმარების

კაცურის მიზნით. მაგრამ კათოლიკური გავრთიანების მიერ განხორციელებული აქცია ეკლესიების რეკლამასთან ერთად ამჟამად წარმოადგენდა რელიგიური საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ სახეს, რომელიც დატყუალა რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლებით. ცხადია, რომ საქონლის ჩაბარება, რომელიც უსასყიდლოდ ხდებოდა, შეესაბამებოდა მოსახლეობის გარკვეულ რელიგიურ გრძნობებს, მოტივირებული იყო მათი შინაგანი რწმენით და რელიგიური გრძნობებით, (ახლობლის სიყვარული, თანადგომა და თანაგრძნობა) და წარმოადგენდა ყოველი ინდივიდის პიროვნულ თანადგომას აქციის ორგანიზატორებისადმი, რომლებიც, მათი რწმენით, სამართლიან და კეთილ საქმეს აკეთებდნენ. ეს თანადგომა მოტივირებული იყო არა მხოლოდ ზოგადი სოციალური საფუძვლით (უქონელთა დახმარების სურვილით), არამედ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მოქალაქეთა შინაგანი რელიგიური რწმენით. / 17.

✓ საქმე №4: 1994 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა საქმე „ოტო პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“. საქმის არხი იყო რელიგიის თავისუფლების კონფლიქტი აზრისა და ხელოვნების თავისუფლებებთან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა მხატვრული ფილმის, ანუ სახელოვნებო საქმიანობის შედეგის დაყადებას, საქმე მაინც რელიგიისა და აზრის თავისუფლებების დაპირისპირებით გახდა ცნობილი, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხელოვნების თავისუფლებას აზრის გამოხატვის თავისუფლებით მოკულ ძირითად უფლებად მიაზრებს.

აღნიშნული საქმის შინაარსის მიხედვით, 1985 წელს ავსტრიის ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა დააყადეს და ოფიციალური გაქორაყებიდან ამოიღეს მხატვრული ფილმი „სიყვარულის ტაძარი“ („Liebeskonzil“). ხელისუფლების ორგანოთა ეს მოქმედება დაადასტურეს ავსტრიის სასამართლოებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ფილმის შინაარსი მძიმე ფორმით შეურაცხყოფდა მრავალი ადამიანის რელიგიურ გრძნობებს. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ფილმის სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ღმერთი ავადმყოფი და დაყარდნილი მოხუცია, იესო ქრისტე შეხლულული ინტელექტის მქონე „დედკოს ბიჭი“, მარიამი კი – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

აღნიშნული საქმე 1993 წელს განხილული ჰქონდა იმ დროისათვის არსებულ ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიას, რომელმაც ავსტრიის ხელისუფლების მოქმედება და სასამართლოთა გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-

10 მუხლის (აზრის გამოხატვის თავისუფლება) დარღვევად შეაფასა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი 1994 წელს სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და მიიჩნია, რომ ფილმის დაყადაღება და გაქირავებიდან ამოღება არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს. სასამართლოს შეფასებით, მართალია, მოხდა სახელმწიფოს მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, მაგრამ ეს ჩარევა განხორციელდა შესაბამისი კანონის საფუძველზე და გამართლებული იყო კონსტიტუციურ-სამართლებრივადაც. სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის თავისუფლების უდიდეს მნიშვნელობას და განაცხადა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციებისა და იდეების გადმოცემას, რომლებიც ყველასათვის მისაღები, სასარგებლო ან სრულიად უმნიშვნელოა, არამედ ისეთ შეხედულებებსაც, რომლებიც მოლიანად სახელმწიფოსათვის ან მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის შოკის მომგვრელი, აღმშფოთებელი, შეურაცხყოფილი და მიუღებელია. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, დემოკრატიულ საზოგადოებაში ძირითად უფლებათა შეზღუდვის ზომიერების პრინციპთან შესაბამისობის საფუძველზე შეიძლება შეზღუდულ და სანქცირებულად კი იქნეს რელიგიური გრძნობების მიხედ შეურაცხყოფილი მოქმედებები. ამასთან, რელიგიური პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოხატვა არღვევს დემოკრატიული საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ატმოსფეროს. განსახილველ შემთხვევაში ფილმის დაყადაღება და გაქირავებიდან ამოღება წარმოადგენს მიზნების (მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რელიგიური გრძნობების შელახვის თავიდან აცილების, ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის) მისაღწევად აუცილებელ და ზომიერ საშუალებას. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში განხორციელებული ჩარევა (ანუ ფილმის დაყადაღება და გაქირავებიდან ამოღება) კანონიერი, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი და კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული იყო.

7. მ. 20 – პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით უზრუნველყოფილია ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებებით ადამიანის პირადი, კერძო სფეროა დაცული, მათი შინაარსიდან გამომდინარე, მაინც შეიძლება მოხდეს ადამიანის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის და ადამიანის საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებების დიფერენცირება. თავდაპირველად გავგნოთ კონსტიტუციის მე-20 მუხლს:

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ძირითადი უფლებების გარკვეულ დიფერენცირებას თავად კონსტიტუცია ახდენს, კერძოდ, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობას ეხება, მე-2 პუნქტი კი – ადამიანის საცხოვრებლის ხელშეუხებლობას. შესაბამისად, ასეთი თანამიმდევრობით განვიხილოთ ამ მუხლის დებულებები.

II. პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობა

1. დაცული სფერო

პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია ადამიანის კერძო სფერო, აგრეთვე ადამიანთა

უფლება, ერთმანეთთან პქონდეთ სხვა ადამიანების კონტროლისა და თვალთვალისაგან თავისუფალი ურთიერთობა. ეს ძირითადი უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას იმით, რომ საშუალებას აძლევს ადამიანს, პირად, კერძო სფეროში, საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციების, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება. აღნიშნული ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენოს *ყველა ადამიანმა*, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა, აგრეთვე *ყველა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა*. საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვერ სარგებლობენ ამ ძირითადი უფლებით, რადგან, როგორც ამ იურიდიულ პირთა ცნების განხილვისას აღინიშნა, დაუშვებელი და შეუძლებელია, სახელმწიფო ერთდროულად იყოს ძირითადი უფლებების მფლობელიც და ადრესატიც.

კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დებულება განხილვის გამარტივების მიზნით შეიძლება დაეყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი მოიცავს (ძირითადად) წერილობით მიმოწერას („პირადი ჩანაწერი და მიმოწერა“), მეორე ნაწილი კი – ტელეფონითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით ურთიერთობას.

ა) პირადი ჩანაწერი და მიმოწერა

მე-20 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული სიტყვები „პირადი ჩანაწერი“ და „მიმოწერა“ ფართოდ უნდა განიმარტოს. ამ სიტყვებში იგულისხმება არა მხოლოდ პირადი წიგნაკები, ჩანაწერები და დღიურები, არამედ გამგზავნისა და მიმღებს შორის მოძრავი ყველა სახის წერილობითი ინფორმაცია და შეტყობინება. გარდა ამისა, დაკულია ამ ინფორმაციისა და შეტყობინების ვაგზავნა როგორც ფოსტის (საფოსტო გზავნილების, პაკეტების, ბანდეროლების და სხვა სახით), ისე ნებისმიერი სხვა საშუალებით. ფოსტის საშუალებათა გამოყენების გარეშე ცნობების ვაგზავნა ხდება წერილობითი გზავნილის შიკრიკის ან კურიერის მეშვეობით მიწოდების შემთხვევაში. დაკულია ამ წერილობითი შეტყობინებების საიდუმლოება, ანუ დაუშვებელია სახელმწიფომ რაიმე საშუალებით გაიგოს მათი შინაარსი. შესაბამისად, დაუშვებელია შეკრული გზავნილების გახსნა, აგრეთვე ცნობების შეკრება იმის შესახებ, თუ ვინ ვისგან როდის და რამდენად ხშირად იღებს წერილებს.

„პირადი მიმოწერა“
პ. 20, პ. 1

გულისხმობს

შეკრული კონვერტით გაგზავნილი წერილები	ღია ბარათები, დეკეშები	საფოსტო გზავნილები, ბანდეროლები, პაკეტები
---	---------------------------	--

პ) საუბარი ტელეფონითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით მე-20 მუხლის პირველი პუნქტი იცავს არა მხოლოდ პირად ჩანაწერსა და მიმოწერას, არამედ ტელეფონითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით საუბარს და ტექნიკური საშუალებებით მიღებულ მეტყობინებებს. *დაცულია ადამიანების როგორც ზეპირი, ისე წერილობითი (მაგალითად, SMS-ის მეტყობინებები) ურთიერთობა ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის (E-Mail), პეიჯერისა და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან დაცულია არა მხოლოდ ამ ურთიერთობის შინაარსი, არამედ იმის გამოკვლევა, თუ ეინ ვის როლის და რამდენჯერ ესაუბრა აღნიშნულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.*

2. დაცულ სფეროში ჩარევა

განსახილველი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიმოწერისა და ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით წარმოებული ურთიერთობის შინაარსისა და სხვა მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. *მაგალითად, სახელმწიფო ორგანოები აფიქსირებენ საფოსტო გზავნილს (დახურული კონვერტით გამოგზავნილ წერილს) ავლანუთიდან. ადგენენ მიძღვების ეინაობას და მასზე მოიძიებენ ინფორმაციას, საილუბლოდ ხსნიან კონვერტს და წერილის შინაარსს ატყობინებენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. ჩარევას წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სპეციალური ტექნიკური საშუალებებით სატე-*

ლევონო საუბრის მოსმენა და კომპიუტერული მიმოწერისთვის თვალ-
ყურის დევნება.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება საქართველოს კონსტიტუციით არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი. იგი შეიძლება შეიზღუდოს სხვადასხვა შემთხვევაში, თუმცა ეს შეზღუდვა (ანუ სახელმწიფოს ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში) უნდა განხორციელდეს მხოლოდ „სამართლის გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს საკუთარი სურვილის შესაბამისად დაადგინოს ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძვლები. სახელმწიფო, კონკრეტულად კი კანონმდებელი ამ კანონის შემუშავებისას თავად არის შეზღუდული ძირითადი უფლებით და უფლება არა აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს შეზღუდვის საფუძვლად მისთვის საჭირო ნებისმიერი შემთხვევა. აქ აუცილებელია შედარება კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლებრივი სიკეთის (ძირითადი უფლების) მნიშვნელობისა და იმ სამართლებრივი სიკეთისა, რომელიც დაცული უნდა იქნეს ძირითადი უფლების შეზღუდვით. შესაბამისად, აღნიშნული ძირითადი უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია გაცილებით დიდი ღირებულების მქონე საზოგადოებრივი სიკეთის დასაცავად.

საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონი „ოპერატიულ-სამშპერო საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრავს განსახილველი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის საფუძვლებს. ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ძირითადი უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელია არსებობდეს ერთ-ერთი შემდეგი მიზეზი:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა ან თავიდან აცილება;

ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს

სახანძროლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას;

დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შესდეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ე) უგზო-უკელოდ დაკარგული პირის ძებნა;

ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მოწინააღმდეგეების მოპოვება;

ზ) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა).

აღნიშნული მიზნების მისაღწევად შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება განახორციელოს ეიზუალური კონტროლი (მ. 7, პ. 1, ქვპ. „ბ“), ანუ ოპერატიული თვალთვალი უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა (მ. 7, პ. 1, ქვპ. „ზ“), აგრეთვე „*მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო ვხავნილების კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა); ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება, თვალყურის დევნება ელექტრონიკური საშუალებებით. რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს*“ (მ. 7, პ. 2, ქვეპუნქტები „თ“, „ი“). ღონისძიებები, რომელთა ჩატარება საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, „*გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან როდესაც შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო*“, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, თუმცა ამ ღონისძიებათა დაწყებიდან არა უგვიანეს 12 საათისა პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს, რომელიც 24 საათის განმავლობაში ამოწმებს ღონისძიების კანონის შესაბამისად ჩატარებას და იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა

და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება (მ. 7, პუნქტები 4-5).

III. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა

1. დაცული სფერო

კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით უზრუნველყოფილია ადამიანის ძირითადი უფლება საცხოვრებლის ხელშეუხებლობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ უფლებით დაცულია ადამიანის პირადი სფერო. *ვეელას აქტს საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მშვიდად, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი გარეგანი შემოჭრისა თუ ჩარევისაგან თავისუფალ, წყნარ პირობებში ცხოვრების უფლება.* სახელმწიფო ჩარევისაგან ინდივიდის საცხოვრებლის დაცვა უზრუნველყოფს მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტარულ საცხოვრებელ გარემოს.

საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების სუბიექტია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად ცხოვრობს საცხოვრებელში. თუ პირი ქირააგების ან ვირაოს საფუძველზე კანონიერად ფლობს და სარგებლობს ბინით, მაშინ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს სწორედ ამ პირმა და არა ბინის მესაკუთრემ.

მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „*საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა*“ ფართოდ უნდა განიმარტოს. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება ადამიანის არა მხოლოდ საცხოვრებელი ბინა, არამედ იმავე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული „*პირადი საქმიანობის ადგილი*“, ანუ პირის სამუშაო ოფისი, მისი სამსახურის ოთახები. ეს სიტყვები მე-20 მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული, მაგრამ შინაარსობრივად ისინი მე-2 პუნქტით უზრუნველყოფილ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას მიეკუთვნება, რადგან „*პირადი საქმიანობის ადგილი*“ „*საცხოვრებელი ბინის და სხვა მფლობელობის*“ ერთ-ერთ კონკრეტულ სახეს წარმოადგენს. ვარდა ამისა, აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია ადამიანის საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, კოტეჯი, ავტომობილით გადასადგობელი საცხოვრებელა ფურგონი, კარავი, დასასვენებელ სახლებში ან სასტუმროში დროებით დაკავებული ოთახები და ა.შ.

საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება არ არის „უფლება საცხოვრებელზე“, ანუ უფლება ბინით უზრუნველყოფაზე. ამასთან, იგი მიმართულია სახელმწიფოს, მაგრამ არა კერძო პირების წინააღმდეგ.

2. დაცულ სფეროში ჩარევა

საცხოვრებლის ხელშეუხებლობა არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და მფლობელთა ნების საწინააღმდეგოდ შეეიძეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ჩხრეკა წარმოადგენს ყველაზე მძიმე ჩარევას დაცულ სფეროში, თუმცა არანაკლებ მძიმეა ისეთი ჩარევა, როგორცაა ადამიანის საცხოვრებლის თვალთვალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, ელექტრული საშუალებებით თვალთვარის დერეკა.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სახელმწიფოს მიერ ადამიანის საცხოვრებელში შესვლა, ჩხრეკის ჩატარება და საცხოვრებლის თვალთვალი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში, რასაც საფუძვლად უნდა ედოს მოსამართლის გადაწყვეტილება. ჩარევა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ეს შემთხვევები დადგენილია საქართველოს კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვისათვის, სახელმწიფომ უნდა განხორციელოს მხოლოდ აღნიშნული კანონით დადგენილი წესით, რაც დაწვრილებით იქნა წარმოდგენილი ზემოთ, მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების განხილვისას. საქართველოს 1997 წლის 25 ნოემბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315-332-ე მუხლებით განსაზღვრულია ჩხრეკისა და ამოღების განხორციელების წესი. ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, სავანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა სავანი და დოკუმენტი, რომლებიც

საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევად (მ. 315). ჩხრეკა და ამოღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე (მ. 319). ამოღება, ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ გადაუდებელ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის დადგენილებით, რის შესახებაც 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს შესაბამის მოსამართლეს. მოსამართლეს მიწოდებული მასალების განხილვის შემდეგ გამოაქვს დადგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ (მ. 290, ნაწ. 2). გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც არსებობს დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება, პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ, საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება) ან შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო (მ. 290, ნაწ. 4).

IV. კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.“ ეს დებულება მეორდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში და უშუალო კავშირი აქვს კონსტიტუციის მე-20 მუხლით უზრუნველყოფილ ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითად უფლებებთან. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის (მ. 157), კერძო საუბრის საიდუმლოების (მ. 158), პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ბერხით შეტყობინების საიდუმლოების (მ. 159), ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის (მ. 160) დარღვევისათვის. ეს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ კერძო პირებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენელ

საკონსტიტუციო პირებსაც, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით კორუფციის ადამიანის პირად ცხოვრებაში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეწყობის ძირითადი უფლებები მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება შეაზღუდოს, ეს შეზღუდვა კი სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, რაც ზემოთ დაწერილებით იქნა აღწერილი. ყოველივე ამის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი კი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს და ავალდებულებს მას, საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არა საკუთარი სურვილისამებრ ჩაერიოს ადამიანთა ცხოვრებაში. იმავედროულად, აღნიშნული დებულება აფრთხილებს სახელმწიფოს, რომ კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ ექნება იურიდიული ძალა და იგი პასუხს აგებს ამ დარღვევისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი კერძო პირი, რომელიც სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩაერევა.

ა) ბრალდებულის გამაძრთლებელი მტკიცებულებები

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თითქოს ყველაფერი ნათელი და გარკვეულია, მაინც უნდა შეეჩერდეთ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულებაზე. ეს ნორმა ყურადღებით უნდა განიმარტოს. თავდაპირველად ისე ჩანს, რომ ამ ნორმით იურიდიული ძალის არმქონედ არის გამოცხადებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც კანონის დარღვევით იქნება მოპოვებული. კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სასამართლოთა სამართალშემოქმედება ცხადყოფს, რომ მოსამართლეები, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასეთ მტკიცებულებებს უარყოფენ და გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებენ მათ. როცა საქმე ეხება სახელმწიფოს (საგამომიებო ორგანოების) მიერ ბრალდების სასარგებლოდ (ანუ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ) კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, ბუნებრივია, ასეთი მიდგომა აუცილებელია და სრულად შეესაბამება კონსტიტუციის მოთხოვნას. მაგრამ თუ გაითვალისწინებთ ჩვენს

ქვეყანაში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით აღიარებულ სამართალწარმოების თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, ეს ნიშნავს, რომ დაცვის მხარესაც აქვს უფლება და შეეცდება მოიპოვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ზოგადი ნორმა, რადგან ამ ნორმის მთავარი მიზანია დაიხაჯოს მხოლოდ დამნაშავე; იგი უკრძალავს სასამართლოს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა. აქედან გამომდინარე, როცა დაცვის მხარე წარადგენს ბრალდებულის ამკარად გამამართლებელ მტკიცებულებებს, რომლებიც ნამდვილად კანონის დარღვევით არის მოპოვებული, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს მტკიცებულებები და გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა მტკიცებულებებთან და გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს მათი მნიშვნელობაც. მგალითისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ სასამართლო პროცესი, რომელშიც განსასჯელს ბრალი ედება მეზობლის მკვლელობაში, რომელთანაც მას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო მეტად რთული და დამძული ურთიერთობა ჰქონდა. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარეს მოაქვს მტკიცებულება – ვიდეოფირი, რომელიც უკანონოდ არის მოპოვებული. ვიდეოფირის უკანონობას თავად დაცვის მხარეც აღიარებს, რადგან აცხადებს, რომ ვიდეოფირი მოიპარეს იმ საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი მობინადრის ბინიდან, რომლის სადარბაზოსთანაც მოხდა მკვლელობა. ამ მობინადრეს კი, თავის მხრივ, ასევე კანონის დარღვევით ჰქონდა დამონტაჟებული სადარბაზოს შესასვლელთან ფარული ვიდეოკამერა, რომელიც აფიქსირებდა ყველა შემსვლელსა და გამოსვლელს, აგრეთვე ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს. ამ ვიდეოფირზე აღბეჭდილი იყო მკვლელობის ფაქტიც და, მიუხედავად გვიანი ღამისა და სიბნელისა, ვარკვევით ჩანდა, რომ მკვლელი სულ სხვა პირი იყო. ბუნებრივია, რომ ასეთი მტკიცებულება, რომელიც ამართლებს ბრალდებულს, აუცილებლად უნდა გამოიყენოს სასამართლომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო, ასეთ შემთხვევებში უარს იტყვის იმ (უკანონოდ მოპოვებული) მტკიცებულების გამოყენებაზე, რომელიც ამკარად აბათილებს ბრალდებას და ამართლებს ბრალდებულს,

მცხოვრებთა სიტუაციას, როცა ნამდვილი დამსაშავე დაუსჯელი დარჩება. სისხილად უდანაშაულო კი უსამართლოდ დაიხვეება.

კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის სავალდებულო მოთხოვნის შესახებ, 2004 წლის 13 თებერვალს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა დამატება, რომლის მიხედვითაც *“სისხლის სამართლის პროცესში პირის ჩვენების სარწმუნოების შესაფასებლად დასაშვებია ფარული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია: ა) ფარულად იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ მიმართული იყო დანაშაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე; ბ) ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას.”* ასეთი ჩანაწერის დასაშვებობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა კი ხდება მოსამართლის გადაწყვეტილებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დასაშვებ მტკიცებულებად ითვლება ნებისმიერი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, *“რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას.”*

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ისინი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულების ზემოთ მოცემულ განმარტებას. ამ სახელმწიფოებში მოსამართლეები ავტომატურად და ფორმალურად არ უარყოფენ უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს. *შვეიცარიულ, შოტლანდიაში* მოქმედებს ბირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა მტკიცებულება დასაშვებია, თუ მას შეხება აქვს საქმესთან. *ინგლისსა და უელსში* ესაა მტკიცებულებათა დასაშვებობის მთავარი კრიტერიუმი. უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იცნობა სასამართლოს შეხედულებისამებრ, მაგრამ არა ავტომატურად. დაუშვებლად ყოველთვის ცნობენ მტკიცებულებას, რომელიც ზიანს აყენებს დაცვის მხარის ინტერესებს. განსხვავებულია *ჰოლანდიის* კანონმდებლობა, სადაც არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავს კერძო პირების მიერ უკანონოდ მოპოვებული და სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემული მტკიცებულების დაუშვებლობას, თუმცა *ჰოლანდიაშიც* სრულად დაუშვებელია პრაქტიკულად პირადი ცხოვრებისა და ინტერესების დამცველი ნორმის

დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება სასამართლოს მიერ. *დანიაში* კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების მოპოვება აუცილებლად არ იწვევს მის დაუშვებლობას. სასამართლო, როგორც წესი, მას მსუბუქობაში იღებს, მაგრამ ეს არ ეხება გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს და, ამასთან, პოლიციის მოხელე, რომელმაც უკანონოდ მოიპოვა მტკიცებულება, პასუხს აგებს ამისათვის. *საფრანგეთში* უმთავრესია მოსამართლის შინაგანი რწმენა. მტკიცებულებათა შეფასებისას მოსამართლე სარგებლობს სრული თავისუფლებით, მაგრამ იგი ვერ დაეყრდნობა სახელმწიფოს მიერ კანონის ან ბრალდებულის უფლებათა დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. *გერმანიაშიც* ასევე გადამწყვეტია მოსამართლის შინაგანი რწმენა, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება კი ავტომატურად დაუშვებლად არ ითვლება. *იტალიაში* მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს კანონში უშუალოდ მოუხსენიებელ მტკიცებულებას, თუ იგი საქმეს უშუალოდ ეხება და არ ხელყოფს ბრალდებულის უფლებებს. ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები კი ყოველთვის დასაშვებია. *ამერიკის შეერთებულ შტატებში* ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დაცვის მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებულ წერილობით და ვიდეოაქუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ✍

ბ) კერძო საუბარი და ფარული ჩანაწერები

განსახილველ საკითხს მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროში და კერძო საუბრისას გამოყენებული ფარული მოსმენებისა და ჩანაწერების მტკიცებულებად აღიარების პრობლემა. ზემოთ უკვე დაწვრილებით აღიწერა სახელმწიფოს მიერ ადამიანების პირადი ცხოვრებისა და კერძო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის კონსტიტუციური და საკანონმდებლო საფუძვლები. კონსტიტუციის მე-20 მუხლი და კანონმდებლობის ზემოთ დასახელებული დებულებები უზრუნველყოფს ადამიანს პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობას. სახელმწიფოს ამ სფეროში შეჭრა შეუძლია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით. კანონის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის პირადი ცხოვრებიდან რაიმე დეტალების დაფიქსირება დაუშვებელია, ამ გზით

მისაკეხებულ მტკიცებულებებს არა აქვს იურიდიული ძალა და სასამართლო არ გაითვალისწინებს მათ გადაწყვეტილების მიღებისას.

სხვა სატყუაცია იქმნება კერძო პირების მხრიდან ინდივიდთა პირად ცხოვრებაში ჩარევისას. ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და იცავს ინდივიდს სახელმწიფოსაგან. მაგრამ იმავედროულად ეს უფლებები (და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები) უზრუნველყოფს ადამიანის პირადი ცხოვრების ყოვლისმომცველ დაცვას, რომელიც მიმართულია კერძო პირების მხრიდან ჩარევის წინააღმდეგაც. თუ არ არსებობს თვით ინდივიდის თანხმობა, დაუშვებელია, რომელიმე ფიზიკური პირი ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, ფარულად თვალყური ადევნოს მას, მოუსმინოს მის საუბარს, მოახდინოს ფარული ჩაწერები და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს ასეთი ყოვლისმომცველი დაცვისა, აქაც არსებობს გამონაკლისი და იგი, უპირველეს ყოვლისა, საჯარო პირებს ეხება.

როგორც ცნობილია, საჯარო პირების პირადი ცხოვრების მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს ასრულებენ და, შესაბამისად, გამუდმებით საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგანან, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით უფრო სუსტად ვრცელდება ძირითადი უფლებებით უზრუნველყოფილი დაცვა. ისინი იძულებულნი არიან შეეგუონ ამ მდგომარეობას, რადგან იგი გამოწვეულია მათივე სურვილით, იმუშაონ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე და შეასრულონ ისეთი ფუნქციები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, საჯარო პირმა უნდა იცოდეს, რომ ყოველი შეცდომა და ამ ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება მკაცრად იქნება შეფასებული და გაკრიტიკებული საზოგადოების მიერ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. სწორედ ამიტომ უნდა განეკისვებოდნენ საჯარო პირის პირადი ცხოვრება ჩვეულებრივ მოქალაქეთა პირადი ცხოვრებისაგან. საჯარო პირის პირადი ცხოვრების სფერო მისი საცხოვრებელი სახლის კარის ზღურბლთან მთავრდება (ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა მრავალწლიანი სამართალმემოქმედება). როგორც კი ამ ზღურბლს გადმოაბიჯებს, იგი ყველასათვის საჯარო პირია და

მისი საუბრებასა თუ საქმიანობის მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი აზრდება. შესაბამისად, კერძო საუბარი და ურთიერთობა მას შეიძლება ჰქონდეს ძირითადად საკუთარ სახლში თავისი ოჯახის წევრებთან და სხვა უაზლოეს ნათესაებთან. მაგრამ როცა საჯარო პირი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ესაუბრება კერძო პირს, არის თუ არა ეს კერძო საუბარი და მისი პირადი ცხოვრების სფერო? რა თქმა უნდა, არა. საჯარო პირი ამ დროს თავის საჯარო ფუნქციას ასრულებს; ამიტომ ეს არ არის კერძო საუბარი და შესაბამისად, იგი არ არის დაცული პირადი ცხოვრების, კერძო საუბრებისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებებით. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო პირის მიერ ნებისმიერი ფორმით მიღებული ან გაცემული ინფორმაცია არის საჯარო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, როცა საჯარო პირი, იქნება ეს მინისტრი, პროკურორი, მოსამართლე თუ ვინმე სხვა, ინდივიდს საუბრისას მოსთხოვს ქრთამს და ამ ყველაფერს ინდივიდი ფარულად ჩაიწერს, ცხადია, რომ ამ ჩანაწერის საფუძველზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ზოლო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას.

8. მ. 21 - საკუთრების უფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილია თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის არსებობის საფუძველი - საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება. საკუთრების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის თავისუფლებასთან, რადგან სწორედ საკუთრება არის ადამიანის არსებობისა და საქმიანობის ქონებრივი საფუძველი, რაც, თავის მხრივ, საკუთარი ცხოვრების თავისუფლად, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. საკუთრება საფუძველს უყრის ადამიანის კერძო ინიციატივებს და ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი პასუხისმგებლობით, მოგების მიღების მიზნით მონაწილეობის სურვილს. საკუთრების უფლება ფაქტობრივად სახელმწიფოს სამართლებრივი და

ეკონომიკური სასტიკების ქვაკუთხედია; მის გარეშე შეუძლებელია სოციალური საბაზრო ეკონომიკისა და სანივთო (ქონებრივი) სამართლის არსებობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი საზღაოწიფოს ქვაკუთხედია. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია.“⁸

კონსტიტუციის 21-ე მუხლი არა მხოლოდ აღიარებს საკუთრების ძირითად უფლებას, არამედ აბსოლუტურად ხელშეუხებლად აცხადებს მას და კრძალავს საკუთრების შექმნის, გასხვისებისა და მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმებას. ამით კონსტიტუცია საფუძველს უყრის საკუთრების უფლების მუდმივ არსებობას. იმედროულად, კონსტიტუცია უმკაცრეს პირობებს აწესებს საკუთრების უფლების შეზღუდვის შე-საძლებლობებისათვის:

„1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ ტუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო აზღაურებით.“

II. დაცული სფერო

საკუთრების უფლებით სარგებლობა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. დაცული სიკეთე არის „საკუთრება“. გარკვეულწილად პრობლემურია ის საკითხი, რომ კონსტიტუცია არ განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება „საკუთრებაში“, რა შინაარსი დევს მასში, რადგან ეს კანონმდებლის კომპეტენციაა. ამ-

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/51, 21 აქტლისი, 1997.

დენად, „საკუთრება“ არის ყოველივე ის, რაც განსაზღვრულია სახელმწიფოს (კანონმდებლის) მიერ მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას განმარტავს როგორც ქონების (ნივთის) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობას (მ. 170). კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, „ქონება“ არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს არა მარტო ნივთებს (ე.წ. „სხეულებრივ ნივთებს“ - res corporales), არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც (ე.წ. „უსხეულო ნივთებს“ - incorporales). შესაბამისად, საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც უძრავ-მობრავი ქონება, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – უფლებები. აქ იგულისხმება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, აქციები და წილი საწარმოში, საავტორო უფლება და ა.შ.

კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ აგრეთვე იურიდიულ პირთა საკუთრება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიულ პირებს, *მაგალითად*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ისევე იცავს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. „ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში, არ ქნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დაბეჭუძებლების ან მასში მონაწილეების.“⁹

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირთა და არა სახელმწიფოს საკუთრება. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/36-7, 29 იანვარი, 1998.

შეუძლია სასამართლოს მიმართოს იმ არგუმენტით, რომ სახელმწიფომ დაარღვია 21-ე მუხლით უზრუნველყოფილი მისი საკუთრების ძირითადი უფლება.

საკუთრების ძირითადი უფლება იცავს მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ მათი ქონების (ნივთების) და უფლებების ჩამორთმევისაგან. ეს არის არა მარტო გარანტია იმ თვალსაზრისით, რომ საკუთრების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ დაცულია საკუთრების, როგორც ასეთის, არსებობა, ანუ ყველას აქვს თავისი ქონების (ნივთების) და უფლებების ფლობისა და შენარჩუნების უფლება. არ არის დაცული საკუთრებიდან (მაგალითად, საწარმოდან) შემოსავლისა და რაიმე მოგების მიღების შანსები. ეს ნიშნავს, რომ საკუთრების ძირითადი უფლება არ იცავს მოქალაქეს გადასახადების გადახდისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადების გადახდის ვალდებულება ჩაითვლებოდა საკუთრების ჩამორთმევად, რომელიც სახელმწიფოს მიერ სათანადო ანაზღაურებით უნდა განხორციელდეს, საბოლოოდ კი მივიღებდით სიტუაციას, როცა შეუძლებელი იქნებოდა გადასახადების ამოღება. სწორედ ასე განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების ძირითადი უფლების მნიშვნელობა, როცა მიუთითა, რომ ადამიანის მოვალეობას, ისაღოს გადასახადები და მოსაკრებლები, თან ახლავს სახელმწიფო ვალდებულება, რომ ეს გადასახადები და მოსაკრებლები სათანადო წესით, ანუ, კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, კანონით დაადგინოს. „წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახადები ყოველთვის საკუთრებას, შესაკუთრის იმ უფლებებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტითაა გარანტირებული.“¹⁰

საკუთრების ძირითადი უფლებით პოზიტიური თვალსაზრისით დაცულია საკუთრებით სარგებლობა, ნეგატიური თვალსაზრისით კი – შესაკუთრის უფლება, არ ისარგებლოს თავისი საკუთრებით.

გარდა აღნიშნულისა, კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია საკუთრების განსაკუთრებული ფორმა – მემკვიდრეობის უფლება,

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3-21, 20 თებერვალი, 1997.

ანუ საკუთრების მემკვიდრეობით მიღებისა და გაცემის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ჩარევისაგან საკუთრების დაცვას ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში. ამით უზრუნველყოფილია, ერთი მხრივ, მამკვიდრებლის უფლება თავისი ქონება საკუთარი („უკანასკნელი“) სურვილის შესაბამისად განკარგოს, მეორე მხრივ კი, – მემკვიდრის უფლება მიიღოს მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონება. მამკვიდრებელი ყოველივე ამას ახორციელებს ანდერძის საფუძველზე, რომლითაც იგი განსაზღვრავს, სიკვდილის შემდეგ ვის დარჩება მისი ქონება. ამით ნათელი ხდება მემკვიდრეობის უფლების მჭიდრო კავშირი საკუთრების უფლებასთან, რადგან ანდერძის თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა უფლება მამკვიდრებელმა უკანასკნელად განკარგოს თავისი საკუთრება. მემკვიდრეებისათვის კი მემკვიდრეობის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ კანონით მემკვიდრეობის მიღების უფლების მქონე პირთა წრე დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის, როცა არ არსებობს მამკვიდრებლის ანდერძი. ამ მოთხოვნებს შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც კანონით მემკვიდრეობა, ანუ გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე, მოკმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი“ (მ. 1306, ნაწ. 2).

III. დაცულ სფეროში ჩარევა

აიუხედავად საკუთრების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ანიჭებს. „საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ზოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.“¹¹ თუ ეს

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/51, 21 ივლისი, 1997.

მოსთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ვარემოებები, მაშინ კონსტიტუცია, 21-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნევა ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა. თუმცა, საყურადღებოა, რომ კონსტიტუციით გაიჯნულია ჩარევის ორი სახე: საკუთრების უფლების შეზღუდვა და საკუთრების ჩამორთმევა.

21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს: (1) მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, (2) მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და (3) მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. როგორც აღინიშნა, კანონმდებელმა კანონით შეიძლება განსაზღვროს, რა არის საკუთრება; შესაბამისად კანონით შეიძლება შეიზღუდოს ან გაფართოვდეს „საკუთრების“ ცნება. საკუთრების ძირითადი უფლების შეზღუდვას წარმოადგენს ყოველი კანონი, რომელიც დააფიქროვებს საკუთრების ცნებას. შესაძლოა, კანონით საკუთრება სხვაგვარადაც შეიზღუდოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეზღუდვას საფუძვლად უნდა ედოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და იგი უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ასეთ ჩარევას ზოგად-აბსტრაქტული ხასიათი აქვს.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევა კონკრეტულ-ინდივიდუალური ხასიათისაა და შეიძლება განხორციელდეს: (1) მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, (2) მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, (3) მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და (4) მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია, (1) მხოლოდ ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში. თუმცა ამ დროსაც ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს (2) მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და (3) მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ნებისმიერი სხვა მიზნით, კანონქვემდებარე აქტით და ანაზღაურების გარეშე ან ზემოაღნიშნულ პირობათაგან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში საკუთრების შეზღუდვა ან ჩა-

მორთმევა წარმოადგენს გაუმართლებელ, უსაფუძვლო ჩარევას საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.¹²

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი
კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად დღეს საქართველოში მოქმედებს კანონები, რომლებიც ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევებს. ეს კანონები სრულად შეესაბამება საკუთრების ჩამორთმევისათვის კონსტიტუციით დადგენილ პირობებს. ეს ნიშნავს, რომ ამ კანონების საფუძველზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედება თუმცა საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს, მაგრამ ეს ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია, რადგან ეყრდნობა კონსტიტუციისა და კონსტიტუციის შესაბამისი კანონის ნორმებს.

გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 11 ნოემბრის ორგანული კანონით „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუღებელი აუცილებლობისას სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“. გადაუღებელ აუცილებლობას განეკუთვნება ვითარება, რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოოტიის გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას (მ. 2). საკუთრების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეაც იმყოფება საკუთრების ობიექტი (მ. 3). ყველა შემთხვევაში აუცილებელია მესაკუთრისათვის საკუთრების ობიექტის საფასურის გადახდა. ობიექტის შეფასება ხდება საბაზრო ფასის მიხედვით, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. საფასური მესაკუთრეს გადაეცემა საკუთრების ჩამორთმევაძღე (მ. 4). ამასთან, კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვითარების შეწყვეტის შემდეგ მესაკუთ-

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/2-14/19, 30 დეკემბერი, 1996.

არეს აქვს უკულება, სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევისა და მცენებელი ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილება გა-
ახიჯიროს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით (მ. 6).

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საქარ-
თველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონი „აუცილებელი საზოგადო-
ებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“
განსაზღვრავს აღნიშნული მიზნით საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევებს
და ადგენს ჩამორთმევის განხორციელების წესს. კანონის მიხედვით,
აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სათანადო კომპენსა-
ციის გადახდით საკუთრების ჩამორთმევის ერთჯერადი უფლება, ანუ
ექსპროპრიაციის უფლება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების
საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს
სახელმწიფო ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ
პირს (მ. 1; მ. 2, პ. 1). ექსპროპრიაცია შეიძლება განხორციელდეს
შხოლოდ კანონში მითითებული კონკრეტული მიზნით, მათ შორის,
გზისა და მაგისტრალის გაყვანა-შშენებლობისათვის, რკინიგზის ხაზების
გაყვანისათვის, ნელლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტე-
ბის მილსადენების გაყვანისათვის, ელექტროენერჯის გადაცემა და
გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის, სატელეფონო ხაზებისა
და სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი
საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობების მშენებლობისა და ეროვნული
თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის (მ. 2, პ. 2). ექსპროპრიაციით
ვალდებულია წინასწარ, ქონების შექმნამდე წარუდგინოს ქონების მე-
საკუთრეს წინადადება საბაზრო ღირებულების შესაბამისად შეფასებული
ქონების საკომპენსაციო თანხის შესახებ (მ. 6). თუ ქონების მესაკუთრე
და ექსპროპრიაციით ვერ შეთანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა
და საკომპენსაციო თანხაზე, მათ უფლება აქვთ დავის გადასაწყვეტად
მიმართონ სასამართლოს (მ. 8). საექსპროპრიაციო ქონების საკომპენ-
საციო თანხის საბოლოო შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტის დას-
კვნისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე
ახორციელებს სასამართლო (მ. 9). სამართალწარმოების ხარჯებსა
და საექსპროპრიაციო ქონების შეფასებასთან და გადაცემასთან დაკავში-
რებულ ყველა ხარჯს გადაიხდის ექსპროპრიაციით (მ. 10). აღსანიშნავია,
რომ სხვა ქონებისაგან განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფა-

სებისას, მასზე არსებული ნათესების საკომპენსაციო თანხა განისაზღვრება იმ შემოსავლის გათვალისწინებით, რომელსაც ქონების მესაკუთრე მისგან მიიღებდა მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში (მ. 11).

გამომდინარე იქედან, რომ ზემოაღნიშნული კანონების საფუძველზე საკუთრების ჩამორთმევა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება, მას **ადმინისტრაციულ ჩამორთმევას** უწოდებენ.

✓. კონკრეტული სასამართლო საქმეები

საკუთრების ძირითად უფლებასთან დაკავშირებით განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული სასამართლო საქმე, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს საკუთრების უფლების ნამდვილი არსი და მოქმედების ძალა. აღსანიშნავია, რომ განვლილ წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სხვა ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, განიხილა რამდენიმე ათეული საქმე საკუთრების ძირითადი უფლების შესახებ. ამიტომ უცხო ქვეყნების სასამართლო საქმეებთან ერთად აქ წარმოდგენილი იქნება ორი საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ მდიდარი პრაქტიკიდან.

საქმე №1: 1997 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა მოქალაქე ლევან ფურცხვანიძემ, რომელიც მოითხოვდა საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამ მუხლის თანახმად, განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მესაკუთრის მოთხოვნით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდებათ თვით სახლის მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს, და თუ მესაკუთრე სამი თვით ადრე გააფრთხილებს დამქირავებელს ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუკემლად. მოსარჩელე თვლის, რომ ეინაიდან საბინაო კოდექსის 154-ე მუხლით მესაკუთრე ვერ განაკარგავს თავის საკუთრებას, თუ არ დამტკიცდა, რომ მას თავისი საკუთრება სჭირდება, ეს მუხლი იურიდიული ნონსენსია და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლითაც საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე მხარემ, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა არ სცნო სასარჩელო მო-

თხოვნა და განაცხადა, რომ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რადგან 21-ე მუხლის პირველ პუნქტში დაპარაკია საკუთრების უფლების გაუქმებაზე („დაუშვებელია საკუთრების, მისი შემენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“) და არა შეზღუდვაზე, ხოლო მოსარჩელე თავის კონსტიტუციურ სარწმუნოში მიუთითებს საკუთრების შეზღუდვაზე და არა გაუქმებაზე. ამასთან, მოპასუხე მხარემ კანონით საკუთრების ძირითადი უფლების შეზღუდვა აღნიშნულ შემთხვევაში მართლზომიერად ჩათვალა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მართალია, კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში არ არის ნახსენები სიტყვა „შეზღუდვა“, მაგრამ ამ პუნქტში აღნიშნული სიტყვები „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“ ნიშნავს, რომ დაუშვებელია ამ უფლების გაუქმება და სახელმწიფოს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ სასურველ შემთხვევაში შეზღუდვა. საკუთრების უფლების შეზღუდვის დასაშვებობის პირობები დადგენილია 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში კი საქმე არ გააქვს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებასთან“, რადგან საქართველოს კონსტიტუცია არ ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს მოქალაქენი საცხოვრებელი ბინით. საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ზღუდავს მესაკუთრის უფლებებს, ეიანიდან მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება; მოცემულ შემთხვევაში იზღუდება მესაკუთრის განკარგვის უფლება, რადგან განკარგვა გულისხმობს მისი ქონების ბედის გადაწყვეტას ყოველგვარი პირობების დათქმის გარეშე (საკუთარი საჭიროებისათვის თუ სხვა მიზნით). ყოველივე ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი.¹³

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს ყურადღებით უნდა განეხილა საკუთრების უფლების მიმართება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან. ამ პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ავალდებულია შეუქმნას მოქალაქეებს

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/31-5, 25 მარტი, 1997.

ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობები. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მინიმალური სოციალური პირობები იმისათვის, რათა მოქალაქეებმა შეძლონ ღირსეული ცხოვრება: აქონდეთ საცხოვრებელი, საკვები. შესაბამისი განათლება, შრომისა და საქმიანობის საშუალება, საკმარისი შემოსავალი და ა.შ. აქ არ იგულისხმება ის, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები საცხოვრებელი ბინით, მაგრამ, როგორც აღინიშნა, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი სოციალური პირობები მოქალაქეებისათვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი კანონიერი შემოსავლით ბინის ან სხვა საცხოვრებლის შექმნა. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ერთ-ერთ წინა გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებსაც ანიჭებს, და დაადგინა: „საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმადროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას“.¹⁴ სწორედ ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო სასამართლოს უცვლელად დაეტოვებინა საბინაო კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრის ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შესახებ სამი თვით ადრე გაეფრთხილებინა დამქირავებელი. შესაძლოა, სასამართლოს კანონმდებლისაგან მოეთხოვა ამ ვადის შემცირება, მაგრამ გარკვეული პერიოდის დადგენა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მესაკუთრის მოულოდნელი მოთხოვნის საფუძველზე დამქირავებელი (მრავალშეიღიანი ოჯახი, მოხუცი ავადმყოფი, ჩვილი ბავშვის პატრონი ქვრივი) ღია ცის ქვეშ არ დარჩენილიყო. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა როგორც მესაკუთრის მიერ საკუთრების შეუზღუდავი მფლობელობისა და განკარგვის კონსტიტუციური უფლება. ისე სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რადგან დამქირავებელს ექნებოდა სხვა საცხოვრებლის მოძებნის საშუალება.

საქმე №2: მეტიად საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული „ქონების კონფისკაცია“.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/51, 21 ივლისი, 1997.

1997 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ იმასთან დაკავშირებით, რომ მის წარმოებაში იყო რამდენიმე პირის სისხლის სამართლის საქმე, რისიღებაც პრაღი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამ მუხლში დამატებით სასჯელად დაწესებულია ქონების კონფისკაცია, რომლის გამოყენებაც ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია, შეაჩერა საქმის განხილვა, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრებად მსჯავრდებულის პირადი საკუთრების – მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლო ჩამორთმევაში“. აქედან გამომდინარე, ქონების კონფისკაციის, როგორც დამატებითი სასჯელის, შეფარდებისას მსჯავრდებულს შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ კანონიერად შეძენილი ქონება („პირადი საკუთრება“), ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ არაკანონიერი, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება არ წარმოადგენს „პირად საკუთრებას“ და, შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს ქონების კონფისკაციის საგნად. დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონებისა და დანაშაულის ჩადენის იარაღის ჩამორთმევა განიხილება ეწ სპეციალურ კონფისკაციად. საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის აქტებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს და სასჯელი დაეღოს მხოლოდ დამნაშავეს და არა უდანაშაულოს. ქონების კონფისკაცია კი, ჩვეულებრივ, უდიდეს მატერიალურ ზიანს აყენებს დამნაშავეს უდანაშაულო ოჯახის წევრებს.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით, კონფისკაცია კი საკუთრების უსასყიდლო ჩამორთმევაა. თუმცა აუცილებელია ქონების კონფისკაციისა და დანაშაულის საგნისა და იარაღის კონფისკაციის განსხვავება ერთმანეთისაგან. დანაშაულის საგნისა და იარაღის ჩამორთმევა არასოდეს ზღბა სასყიდლოთ, მაგრამ, ბუნებრივია, რომ, მაგალითად, იარაღის უკანონო ტარების დროს იარაღის ჩამორთმევა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. კონსტიტუციის 21-ე მუხლით

უზრუნველყოფილ საკუთრების ძირითად უფლებას არ შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ქონების კონფისკაცია, რაც ნიშნავს დამნაშავესა და მისი (უდანაშაულო) ოჯახის წევრების კანონიერად შეძენილი ქონების – პირადი საკუთრების უსასყიდლოდ ჩამორთმევას. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადო ანაზღაურება. საყურადღებოა ისიც, რომ ქონების კონფისკაცია ასევე არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგან იგი მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავეს, არამედ აგრეთვე მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ.

საქმე №3: ამ საქმეში საყურადღებოა საკუთრების ჩამორთმევასა და საკუთრების უფლების შეზღუდვას შორის განსხვავებისა და გასაჩივრებული კანონის ზომიერების პრინციპთან შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია.

გამომცემლობა „ალილუია“ მცირე ტირაჟით გამოცემულ წიგნებს ეკლესიებისათვის, კონკრეტულად საქმე ეხება ბიბლიის მეტად ძვირფას, ხელნაკეთ გამოცემას, რომელიც გარედან შემოსილია სპეციალური ტყავისა და ხის მასალით. თათოუფალი ეგზემპლარი შეფასებულია 800 ევროდ. ეროვნული ბიბლიოთეკა შესაბამის კანონზე დაყრდნობით გამოცემლობისაგან მოითხოვს ბიბლიის აქტუალური გამოცემისა და ნებისმიერი სხვა გამოცემის თითო ეგზემპლარის გადაცემას ბიბლიოთეკისათვის. აღნიშნული კანონის მიხედვით, ყოველი გამოცემლობა ვალდებულია ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ მიაწოდოს ყოველი ახალი გამოცემის ერთი ეგზემპლარი, რათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებულ იქნეს ეს გამოცემები. გამომცემლობა „ალილუია“ თვლის, რომ კანონის აღნიშნული ნორმით ირღვევა მისი საკუთრების ძირითადი უფლება და თავის ადვოკატს სთხოვს წინასწარი სამართლებრივი დასკვნის მომზადებას ამ საკითხზე, რათა შეძლეს შესაბამისი სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

კანონის ნორმა ეწინააღმდეგება საკუთრების ძირითად უფლებას, თუ ხდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ისეთი ჩარევა, რომელიც არ არის გამართლებული კონსტიტუციურ-სამართლებრივად.

1. დაცული სფერო

საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულია ფიზიკური და იურიდიული პირების როგორც სხეულებრივი ნივთები, ანუ უძრავ-მოძრავი ქონება, ისე

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – უფლებები. არ არის დაცული ქონებისაგან რაიმე შემოსავლისა თუ მოგების მიღების შესაძლებლობები. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამოცემლობის ქონებრივ საკუთრებასთან – ბიბლიის მცირეტირაჟიან გამოცემასთან. შესაბამისად, აშკარა ხდება კანონის ნორმის კავშირი საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან.

2. დაცულ სფეროში ჩარევა

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა კანონის ნორმით ხდება საკუთრების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. საქმის არსიდან ირკვევა, რომ კანონის კონკრეტული ნორმა ავალდებულებს გამომცემლობას, ყოველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცეს ეროვნულ ბიბლიოთეკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონის ეს ნორმა ნიშნავს „ალილოუიასთვის“ საკუთრების ჩამორთმევას სათანადო ანაზღაურების გარეშე. შედეგად, გვაქვს ჩარევა საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ა) საკუთრების ჩამორთმევა თუ საკუთრების უფლების შეზღუდვა?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა შემოწმდეს და გაირკვეს ჩარევის ნამდვილი შინაარსი: საქმე გვაქვს მართლაც საკუთრების ჩამორთმევასთან თუ მხოლოდ საკუთრების უფლების შეზღუდვასთან. ამისათვის თავდაპირველად უნდა დადგინდეს: ხომ არ ხდება სხეებისაგან განსხვავებით მხოლოდ გამომცემლობა „ალილოუიას“ უფლებაში ჩარევა და ამის გამო ხომ არ არის იგი იძულებული, რაიმე განსაკუთრებული მსხვერპლი (ერთი კონკრეტული ეგზემპლარის სავალდებულო გადაცემა) გაიღოს. ამ თვალსაზრისით, განსახილველი საქმის არსის მიხედვით კანონის აღნიშნული ნორმა მხოლოდ „ალილოუიას“ არ ეხება; იგი თანაბრად ავალდებულებს ყველა გამომცემლობას თითო ეგზემპლარის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაცემას. შედეგად, კანონი მიმართულია არა მხოლოდ „ალილოუიას“, არამედ ასევე ყველა სხვა გამომცემლობის საკუთრების უფლებისაკენ.

ზემოთქმულის გარდა, ვათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების მიმართ მოქმედებს *მიზანშეამართლად, ინდივიდუალურად და კონკრეტულად*, ეს არის საკუთრების ჩამორთმევა, ხოლო როცა

კანონმდებელი ზოგადად და აბსტრაქტულად ადგენს რაიმე უფლებებსა და ვალდებულებებს – საკუთრების უფლების შეზღუდვა.

განსახილველ საქმეში ზემოხსენებული კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე ირკვევა, რომ კანონმდებელი არ მოითხოვს მხოლოდ გამოცემლობა „ალილუიასგან“ ბიბლიის აქტუალური გამოცემის ბიბლიოთეკისათვის გადაცემას. კანონმდებელმა გარკვევით მიუთითა, რომ არა კონკრეტულად ერთი, არამედ ზოგადად ყველა გამოცემლობა ვალდებულია გადასცეს ეროვნულ ბიბლიოთეკას ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარი. ამდენად, აქ ზდება არა საკუთრების ჩამორთმევა, არამედ საკუთრების უფლების შეზღუდვა.

წ) ზომიერების პრინციპთან შესაბამისობა

საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ნამდვილი მიზანის განსაზღვრის შემდეგ უნდა შემოწმდეს ჩარევის შესაბამისობა ზომიერების პრინციპთან, ანუ რამდენად ზომიერია კანონის მოცემული ნორმა.

1. კანონის მიზანია ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარის მომავალი თაობებისათვის შენახვა. მიზნის მისაღწევი საშუალებაა ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარის სავალდებულო გადაცემა ეროვნული ბიბლიოთეკისათვის.

2. საშუალება გამოსადეგია იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენებით მიიღწევა სასურველი მიზანი. სავალდებულო გადაცემა ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია ყოველი გადაცემის თითო ეგზემპლარის არქივირება. ამდენად, ზემოაღნიშნული საშუალება გამოსადეგია.

3. აღნიშნული საშუალებას გამოყენება აუცილებლად საჭიროა, თუ არ არსებობს იმავე მიზნის მისაღწევი რაიმე სხვა, ნაკლებად რადიკალური, შედარებით „რბილი“ საშუალება. ამ თვალსაზრისით, საფიქრებელია, ხომ არ შეიძლებოდა არა გამოცემის ეგზემპლარის, არამედ მხოლოდ გამოცემის ასლის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის მოთხოვნის დადგენა. თუმცა ბევრი გამომცემლობისათვის ეს, შესაძლოა, უფრო შრომატევადი და ძვირი ყოფილიყო, ვიდრე ეგზემპლარის უბრალოდ გავზავნა. ამდენად, არ არსებობს კანონით დადგენილზე უფრო „რბილი“ საშუალება და მიზნის მისაღწევა კანონით დადგენილი საშუალების გამოყენება აუცილებელია.

4. კანონის ნორმა ზომიერია იმ შემთხვევაში, თუ გაიზნული, საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგი გაცილებით მნიშვნელოვანია ამ შედეგით გამოწვეულ ვისიმე უფლებების შეზღუდვაზე. გამოცემლობისათვის, რაილებიც დიდი ღირებულების მქონე, ძვირფას წიგნებს მცირე ტირაჟით გამოიცემენ, ამ გამოცემათა თუნდაც ერთი ეგზემპლარის უსასყიდლო სა-

ვალდებულო გადაცემა ეროვნული ბიბლიოთეკისათვის შემოსავლის სერიოზულ შემცირებას ნიშნავს. კანონით გამოწვეული სასარგებლო შედეგი, რომ ყოველი გამოცემის თითო ეგზემპლარი შენაშულ იქნეს მოძავალი თაობებისათვის, ვერ ამართლებს საკუთრების უფლების ასეთ მიმღე დარღვევას. ამდენად, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა არ არის ზომიერი. შესაბამისად, საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში კანონრციელებული ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლება შეუძლებელია. კანონის ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 21-ე მუსლით უზრუნველყოფილ საკუთრების ძირითად უფლებას.

საქმე №4: განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო საქმე, რომელიც ასახავს კონფლიქტს საკუთრების ძირითად უფლებასა და ხელოვნების თავისუფლებას შორის და წარმოადგენს სამაგალითო შემთხვევას, როცა ერთ-ერთი ძირითადი უფლების გამოყენება ზღბება სხვათა ძირითადი უფლებების გათვალისწინების გარეშე.

შვეიცარიელი მხატვარი პარულ ნაგელი ცნობილი იყო სახლებისა თუ სხვა ნაგებობების კედლების მოხატვით, რასაც იგი სპეციალური საღებავების მისხურების საშუალებით ახორციელებდა. თუმცა მხატვარს მუდამ ქქონდა პრობლემა სახლების შესაკუთრებთან, რადგან იგი შესაკუთრეთა ნებართვის გარეშე ასხურებდა კედლებზე საღებავებს, რაც შესაკუთრეთა პროტესტს იწვევდა. ერთ-ერთმა შესაკუთრემ სასამართლოში შეიღბანა სარჩელი მისი სახლის დაზიანების გამო ნაგელისათვის გარკვეული თანხის დაკისრებისა და იმავდროულად მხატვრისათვის ამ საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნით. ნაგელი სასამართლო პროცესზე მიუთითებდა ხელოვნების თავისუფლებაზე და აცხადებდა, რომ მას, როგორც ხელოვანს, ქქონდა სახელოვნებო საქმიანობის (ამ შემთხვევაში – კედლებზე ხატვის) შეუზღუდავი განხორციელების უფლება. სასამართლომ უბრატესობა მიანიჭა სახლის შესაკუთრის საკუთრების ძირითად უფლებას და აღნიშნა, რომ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების შეუზღუდავი გამოყენება არ ნიშნავს სახელოვნებო საქმიანობის განხორციელებას სხვათა უფლებების, მათ შორის, საკუთრების ძირითადი უფლების გათვალისწინების გარეშე. საკუთრების ძირითადი უფლება იმავდროულად პიროვნების თავისუფლებას უზრუნველყოფს; გარდა ამისა, კონსტიტუციით დადგენილ ღირებულებათა სისტემაში საკუთრების უფლებას სულაც არა აქვს ხელოვნების თავისუფლებაზე ნაკლები ზემოქმედების ძალა. ამდენად, ორ ძირითად უფლებას შორის კონფლიქტისას აუცილებელია საქმის ყოველი გარემოების შეფასება,

აწონ-დაწონვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესაქუთრის ინტერესს და მის საკუთრების უფლებას, რომელიც დაირღვა მხატვრის მიერ ხელოვნების თავისუფლების გამოყენებით.

საქმე №5: საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო შემთხვევა მოხდა გერმანიაში, სადაც გერმანულმა ნაგაზმა ნადირობისას რამდენიმე მსუბუქი ჭრილობა მიიღო ცოფიანი მელისაგან. შესაბამისი სამსახურის მითხოვნის მოუხდევად, ძაღლის პატრონმა უარი თქვა ნაგაზის სპეციალურ სადგომში დატოვებაზე, სადაც დააკვირდებოდნენ მის ქცევას, ასევე უარყო შესაბამისი დოკუმენტების შევსებისა და ხელმოწერის მითხოვნა. ამის გამო პოლიციამ, რომელსაც ცოფის ეჭვი ჰქონდა, მოკლა ძაღლი. პატრონმა პოლიციისაგან მოითხოვა სათანადო ანაზღაურება. ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან ცხოველთა ვირუსებისაგან მოსახლეობის დაცვის კანონი, რომელსაც ეყრდნობოდა პოლიციის გადაწყვეტილება ძაღლის მოკვლის შესახებ, არ ითვალისწინებდა ასეთ ანაზღაურებას.

კომპეტენტური სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაში მოხდა არა საკუთრების ჩამორთმევა, არამედ დადგა ძაღლის მფლობელობასთან დაკავშირებული სოციალური ვალდებულებიდან გამომდინარე შედეგი. სახელმწიფოს მიზანი იყო არა ძაღლის მოკვლა, არამედ მოსახლეობისათვის ცოფიანი ძაღლისაგან მომდინარე სერიოზული საფრთხის თავიდან აცილება. ცოფი საკმაოდ მძიმე დაავადებაა, რომელიც ხშირად იწვევს ადამიანის სიკვდილს. პოლიციის მიერ ძაღლის მოკვლა იყო მოქმედება, რომელიც თვითონ უნდა განეხორციელებინა ძაღლის პატრონს, თუ იგი გამოიჩინდა ყურადღებას მოსახლეობის ჯანმრთელობის მიმართ, რომელიც ამკარად საფრთხის წინაშე იდგა ცოფიანი ნაგაზის არსებობის გამო.

საქმე №6: და ბოლოს, კიდევ ერთი საქმე, რომელიც ეხება *კონფლიქტს აზრის თავისუფლებასა და საკუთრების ძირითად უფლებას შორის*.

ჰამბურგის ლანდტაგის (პარლამენტი) ერთ-ერთმა წევრმა 1953 წლის ფედერალური არჩევნების წინ საკუთარი, დაქირავებული ბინის ორი ფანჯრის ქვეშ, სახლის გარე კედელზე გააკრა თითო საარჩევნო პლაკატი (86X120 სმ). პლაკატი ჩასმული იყო ხის ჩარჩოში, რომელსაც თან მიჰყვებოდა ლამის ელექტროგანათება. სახლის მესაკუთრემ (ბინის გამქირავებელმა), რომლის ნებართვა დეპუტატს არ ჰქონდა, მოითხოვა პლაკატების ჩამოხსნა, რადგან სახლის სხვა მოქირავნებმა უკმაყოფილება გამოთქვეს; მესაკუთრეს სურდა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი არეულობები და გაუგებრობანი საკუთარ

სახლში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აზრის თავისუფლებასა და საკუთრების ძირითად უფლებას შორის ამ კონფლიქტში უპირატესობა მიენიჭა საკუთრების უფლებას. ამდენად, პლაკატები უნდა ჩამოხსნილიყო, რადგან სახლის კედელზე მათმა გაკერამ დაარღვია მესაკუთრის საკუთრების უფლება, ხოლო დეპუტატს თავისი აზრის გამოთქმა სხვა გზითა და საშუალებითაც კარგად შეუძლო.

9. მ. 22 – მიმოსვლის თავისუფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფიზიკურ პირთა მიმოსვლის თავისუფლება. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„1. ყველას ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გაეიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“


II. დაცული სფერო

მიმოსვლის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, არამედ საქართველოში კანონიერ საფუძველზე მყოფი ნებისმიერი პირის უფლება სახელმწიფო ორგანოების მეთაურობის გარეშე, თავისუფლად იმოძრაოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ასევე თავისუფლად, სახელმწიფოსაგან ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, დაცულია აგრეთვე პირის უფლება, ნებართვის

გარეშე დროებით დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან გადავიდეს სხვა ადგიალზე მუდმივად საცხოვრებლად. 22-ე მუხლში მითითებული ტერმინი „საცხოვრებელი ადგილი“ სწორედ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ნიშნავს, თუმცა პირს შეიძლება ჰქონდეს დროებითი საცხოვრებელი ადგილიც.

მიმოსვლის თავისუფლება ასევე იცავს ფიზიკურ პირთა უფლებას, თავისუფლად გავიდნენ საქართველოდან. საქართველოში თავისუფალი შემოსვლის უფლება კი უზრუნველყოფილია არა ყველსათვის, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის.

მიმოსვლის თავისუფლება **ნეგატიური თვალსაზრისით** იცავს ადამიანის უფლებას, არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი.



უცხოელების უფლებას თავისუფალ მიმოსვლაზე კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად ადასტურებს „*უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ*“ საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონი, რომლის მე-18 მუხლის მიხედვით, უცხოელები (ანუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები) „*საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარეგებლოდენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით.*“ უცხოელთა მიმოსვლა და მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როცა ეს

აუცილებელია სახელმწიფო უმაშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა ჰორათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.”

III. დაცულ სფეროში ჩარევა

მიმოსვლის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა გააქვს იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სხვადასხვა სამართლებრივი ბარიერების შექმნით ხელს უშლის ადამიანს თავისუფალ გადაადგილებასა და საცხოვრებელი ადგილის არჩევაში. *მაგალითად*, როცა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით ფიზიკური პირებისათვის დგინდება სახელმწიფო ორგანოებში ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ წინასწარი განცხადების (შეტყობინების) ვალდებულება ან როდესაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლისათვის დაწესებულია რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უზრუნველყოფს თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამ კანონით საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენის, აგრეთვე მათი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების მიზნით დაწესებულია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაცია (მ. 2). ფიზიკური პირები ვალდებული არიან გაიარონ რეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ რამდენიმე საცხოვრებელი აქტ — ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად აირჩევს (მ. 3). საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციას ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციას კი — საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები ან საკონსულო დაწესებულებები (მ. 7). რეგისტრაციის შემდეგ პირი იღებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს: პირადობის მოწმობას (საქართველოს მოქალაქე) ან ბინადრობის მოწმობას (უცხოელი) (მ. 11). ამის

შემდეგ რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია აცნობოს შესაბამის ორგანოებს (მაგალითად, ორგანოს, სადაც პირი ადრე იყო რეგისტრირებული, ან სამხედრო კომისარიატს) პირის რეგისტრაციაში გატარების ან რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი და სხვა მონაცემები (მ. 9). როგორც ვხედავთ, კანონით დადგენილი რეგისტრაციის წესი სრულად შეესაბამება როგორც მიმოსვლის თავისუფლების ძირითად უფლებას, ისე სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელ პირობას – ჰქონდეს აუცილებელი მონაცემები მოსახლეობის შესახებ. რეგისტრაცია წარმოადგენს არა სანებართვო რეჟიმს, არამედ უზრუნველყოფს პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს საცხოვრებელი და მხოლოდ შეატყობინოს ამის შესახებ სახელმწიფოს. სახელმწიფო ვალდებულია დააფიქსიროს მიღებული ინფორმაცია.

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

მიმოსვლის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს შეზღუდვის საფუძვლებს: *შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის დებულებათა მიხედვით*. შეზღუდვის მიზანი კი უნდა იყოს მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება ან მართლმსაჯულების განხორციელება. შეზღუდვის შეზღუდვა: ეპიდემიების შემთხვევაში – *კარანტინი* (იმ პირთა იძულებითი მოთავსება განსაკუთრებით იზოლირებულ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებსაც აქვთ საშიში გადამდები დაავადება); ეკოლოგიური კატასტროფების, სტიქიური უბედურებების (წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ელქანის ამოფრქვევა, გრივალი, ზვავი და სხვა), და განსაკუთრებით მძიმე უბედური შემთხვევების დროს – *იძულებითი ევაკუაცია*, ტერიტორიის შემოსაზღვრა, რომელზე გადაადგილებაც საერთოდ აკრძალულია ან დაშვებულია მხოლოდ წინასწარი კონტროლით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „საგანგებო ძველმარგობის შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, ეკოლოგიური კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტიების, სტიქიურ

უბედურებათა და დიდი ავარიების დროს, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როცა გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, პარლამენტის მიერ დამტკიცებული პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, შეიძლება შეიზღუდოს მიმოსვლის თავისუფლება (კამ დროს სახელმწიფოს უფლება აქვს დროებით გაასახლოს ადამიანები საცხოვრებლად სამიში რაიონებიდან და მისცენ მათ სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომი, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ადგილებში შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე შეუზღუდონ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს თავისუფალი გადაადგილების უფლება, აუკრძალონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფლის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე (მ. 4). ცხადია, რომ სახელმწიფოს ეს მოქმედება წარმოადგენს მიმოსვლის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, მაგრამ იგი გამართლებულია უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვის აუცილებლობით.

10. მ. 23 – ხელოვნების თავისუფლება

I. შესავალი

ბევრი დემოკრატიული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომელთა კონსტიტუციები ხელოვნების თავისუფლებაზე კონკრეტულ მითითებას არ შეიცავს, საქართველოს კონსტიტუცია ცალკე გამოყოფს ამ ძირითად უფლებას და 23-ე მუხლით აღიარებს მას:

„1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალაა.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადლება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.“

აღნიშნული მუხლის გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, შესამჩნევია ერთი გარემოება: ტექსტში ვერ ვხვდებით სიტყვას „ხელოვნება“. პირველი პუნქტის მიხედვით, უზრუნველყოფილია „ინტელექტუალური შემოქმე-

დების თავისუფლება“. მოუხედავად ამისა, უქვობესი და მოსახერხებელი იქნება (ძირითადად) გამოვიყენოთ ტერმინი „ხელოვნების თავისუფლება“ (ან „ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება“). მით უმეტეს, რომ მე-2 პუნქტში უკვე სხვა ტერმინებია მოცემული – “შემოქმედებითი პროცესი“ და “შემოქმედებითი საქმიანობა“. „ხელოვნების თავისუფლება“ სრულად ასახავს და მოიცავს სამივე ზემოხსენებული ტერმინის და შესაბამისად მთლიანად 23-ე მუხლის შინაარსს.

თუ გაკითხვალისწინებთ, რომ თავისუფლების ძირითადი უფლებები ადამიანისათვის უზრუნველყოფენ საქმიანობის და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო საერთოდ ვერ ერევა ან ერევა მხოლოდ სპეციალური დასაბუთებით (კანონის საფუძველზე), ცხადი განდება, რომ ხელოვნების თავისუფლება, ისევე როგორც უმეტესობა ძირითადი უფლებებისა, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება.

კონსტიტუციის 23-ე მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ ხელოვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, არამედ ყველა ადამიანისათვის და შესაბამისად წარმოადგენს არა „სამოქალაქო“, არამედ „ადამიანის უფლებას“.

II. ცნება

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია – 23-ე მუხლით აღიარებული ეს ძირითადი უფლება შესაძლებელია ასეც გადმოუცეთ – „ხელოვნება თავისუფალია“. დაუშვებელია, თავისუფლების ეს გარანტია შეიზღუდოს ისეთი დეფინიციით, რომელიც განსხვავებულად აფასებს გამოსახვის რამდენიმე ფორმას და მხოლოდ 'ხოგიერთს აღიარებს „ხელოვნებად“. „ხელოვნების“ ცნება არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული, განსაზღვრული დონით ან რაიმე „ძვირფასი“ თუ კლასიკური ხელოვნებით. ხელოვნების (შემოქმედებითი საქმიანობის) მთავარი არსი არის თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ხელოვანის შთაბეჭდილებები, გამოცდილება და წარმოდგენები უშუალო გამოხატულებას პპოებს გამოსახვის კონკრეტული ფორმის საშუალებებით. შემოქმედებითი საქმიანობა ფაქტობრივად წარმოადგენს ნაერთს გაცნობიერებული და გაუცნობიერებული განცდებისა, რომელთა რაციონალური ახსნა შეუძლებელია. შემოქმედებითი პროცესის დროს ერთად

მოქმედებენ ინტუიცია, ფანტაზია და ხელოვნების გაგება. ეს პროცესი და მიღებული შედეგი (ხელოვნების ქმნილება) არის ხელოვანის პიროვნების უშუალო გამოხატულება, კერძოდ – ხელოვნება. ზემოაღნიშნულ დებულებას ხელოვნების მატერიალურ ცნებას უწოდებენ. თუმცა, გაბატონებული სამართლებრივი შეხედულების თანახმად, ხელოვნების ამომწურავად დეფინირება შეუძლებელია. ჯერ კერ მოხერხდა ასეთი დეფინიციის ჩამოყალიბება და, როგორც ჩანს, თანამედროვე ცოდნის დონის მიხედვით კერც მოხერხდება. ზემო-ხსენებული მატერიალური ცნების გარდა დღეს გამოყოფენ ხელოვნების კიდევ ორ ცნებას: ფორმალურს და ღიას.

ხელოვნების ფორმალური ცნება მოიცავს შემოქმედების სხვადასხვა კონკრეტულ ფორმებს: მხატვრობას, პოეზიას, პროზას, მუსიკას, თეატრალურ და კინოხელოვნებას და ა.შ.

ხელოვნების ღია ცნების მიხედვით კი, შემოქმედებითი საქმიანობის საშუალებათა მრავალფეროვნების გამო შესაძლებელია ხელოვნების ყოველი კონკრეტული ქმნილება (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი) ფართო ინტერპრეტაციის გამოყენებით სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით იქნეს გაგებული და ამით მნახველს ამოუწურავი და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდოს.

III. დაცული სფერო

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს და ხელოვანისათვის უზრუნველყოფს თავისუფალ შემოქმედებით პროცესს. ეს განმტკიცებულია კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც *„შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია“*. კონსტიტუცია ამ დებულებით იმპერატიულად და გარკვევით აცხადებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ხელოვანისათვის იმის დადგენა, თუ როგორ უნდა დაინახოს მან სინამდვილე და როგორ უნდა ასახოს ეს ხედეა საკუთარ შემოქმედებაში. მხოლოდ თავად ხელოვანს შეუძლია გადაწყვიტოს და განსაზღვროს სინამდვილესთან თავისი დამოკიდებულების „სისწორე“. გარდა ამისა, *„შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურის დაუშვებლობა“* ნიშნავს, რომ *აკრძალულია შემოქმედებითი საქმიანობის მეთოდებზე, შინაარსსა და ტენდენციებზე ზემოქმედება, განსაკუთრებით –*

შემოქმედებითი საქმიანობის სფეროს შეზღუდვა ან ამ სფეროში შეჭრა, ანდა შემოქმედებითი პროცესისათვის ზოგადად სავალდებულო წესების დადგენა. აქედან გამომდინარე, გამორიცხული და დაუშვებელია ჩარევა ხელოვანის მიერ თემის არჩევის თავისუფლებაში და ამ თემის შემოქმედებით ასახვაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ე.წ. ანგაჟირებული ხელოვნების სფეროს, რომელიც აქტუალურ თემებთან განსაკუთრებულ წინააღმდეგობაშია.

ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, შედის თვით სახელოვნებო (შემოქმედებითი) საქმიანობა. ხელოვნების თავისუფლება უზრუნველყოფს და იცავს აგრეთვე ხელოვნების ქმნილების საზოგადოების, ხალხის წინაშე (მუზეუმში, გალერეაში) წარდგენისა და გავრცელების პროცესსაც, რის გარეშეც ხელოვნებას არავითარი შემოქმედების ძალა არ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლიათ არა მხოლოდ ხელოვნების ქმნილების ავტორებს, ანუ შემოქმედ პირებს, არამედ იმათაც, ვინც მონაწილეობს ხელოვნების ნაწარმის გავრცელებაში, მაგალითად, გამოძეგმელს, მუსიკალური დისკების ან ფილმების პროდიუსერს. ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ ცნობილმა და აღიარებულმა, პროფესიონალმა ხელოვანმა, არამედ ნებისმიერმა თვითნასწავლმა და ნაკლებად ცნობილმა სახელოვნებო საქმიანობით დაკავებულმა პირმაც. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ რამდენად ღირებულა ხელოვანის მოცემული ნაწარმი, ანუ მაღალხარისხოვნად არის იგი შესრულებული თუ საშუალო ან დაბალი დონის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში ხდება აგრეთვე ე.წ. აღმაშფოთებელი ან არაესთეტიური ნაწარმოებები და კონკრეტულ პირთა მიმართ აგრესიული გამოხატვაებიც, მაგალითად, სატირა, კარიკატურა, პოპ-სიმღერები და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას გამოსახვის ისეთ უჩვეულო ფორმებზე, როგორებიცაა პანტომიმა, ნაჭრებით შეფუთული საკანონმდებლო ორგანოს შენობა¹⁵ და სხვ. რომელიმე

¹⁵ ეს ფაქტი მოხდა გერმანიაში, სადაც ორმა მხატვარმა ნაჭრებით მოლიანად შეფუთა გერმანიის რაიხსტაგის (დღეს ბუნდესტაგის ადგილსამყოფელი) ისტორიული შენობა. თითქმის ერთი წლის მანძილზე ამგვარად შეფუთული შენობა

ხელოვნების ქმნილების შესახებ რეკლამა ასევე დაცულია ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით.

კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ხელშეუვალად აცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი ცალსახად და გარკვევით აღიარებს საკუთრების უფლებას, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქის – თავისუფალი პიროვნების – უმნიშვნელოვანეს უფლებას, კანონმდებელი 23-ე მუხლში მაინც გამოყოფს „ინტელექტუალური საკუთრების უფლებას“ და ამით ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნების თავისუფლება იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, ანუ შემოქმედებითი ნაწარმოები მისი ავტორის (ხელოვანის) საკუთრებაა და ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია როგორც კონსტიტუციური, ისე შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა აღნიშნული დებულება: „ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობა ვრცელდება შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის და სხვაგვარი სხვა ცხოვრების სხვა სფეროებში“.¹⁶

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენონ არა მხოლოდ ფიზიკურმა, არამედ იურიდიულმა პირებმაც. ესენია, მკვალთადა, სახელოვნებო, მუსიკალური სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, თეატრები და სხვა გაერთიანებები. აღნიშნული ძირითადი უფლების გამოყენება დასაშვებია არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერაც. ეს გამოიწვეულია შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, საჯარო ხელისუფლება აფუძნებს და იმპედროულად უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გაერთიანებების არსებობას, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ასეთია, მკვალთადა, გალერეები, მუ-

მოსახლეობის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა მთელი გერმანიის მასშტაბით, იზიდავდა უამრავ ტურისტს და ითვლებოდა განსაკუთრებული, გამორჩეული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/77/11, 27 ივლისი, 1999.

ზეუქება, ორგესტრები და თეატრები. მათი საშუალებით საზოგადოება ახლოს ეცნობა ხელოვნების ნიმუშებს; იმავედროულად ეს გაერთიანებები ისეთივე სახიფათო მდგომარეობაში არიან სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის თვალსაზრისით, როგორც ფიზიკური პირები. შესაბამისად, ისინიც ისევე უნდა იყვნენ დაცულნი ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ფიზიკური პირები. ამდენად, სახელოვნებო და მუსიკალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმაც და თეატრებმაც (რომლებიც შესაძლებელია იყვნენ როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირები), საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან თავი სწორედ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენებით დაცვან.

IV. დაცულ სფეროში ჩარევა

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელს უშლის შემოქმედს სახელოვნებო საქმიანობის განხორციელებაში და ამ საქმიანობის შედეგის (ხელოვნების ქმნილების) გავრცელებაში. სახელმწიფომ ამისათვის შესაძლებელია გამოიყენოს აკრძალვები და სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის სანქციები. თუმცა ასეთი ჩარევა შესაძლოა გამართლებული იყოს, რადგან იგი შეიძლება ეყრდნობოდეს კანონიერ საფუძველს. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი გარკვევით მიუთითებს, რომ „შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ღაზავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს“. აღნიშნული დებულების ანალიზის შედეგად ამკარა ხდება, რომ კონსტიტუციით არ არის შეზღუდული თვით სახელოვნებო საქმიანობა ანუ შემოქმედებითი პროცესი. ამ ნაწილში ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება კონსტიტუციის მიერ აბსოლუტურად უზრუნველყოფილია და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი რაიმე სახით (მაგალითად, კანონით) შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან. კონსტიტუცია გარკვეულ შეზღუდვას აწესებს მხოლოდ სახელოვნებო საქმიანობის შედეგის („შემოქმედებითი ნაწარმოების“) გავრცელების მიმართ. ეს შეზღუდვა იწარმოება, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული

დებულების თანახმად, არის „სხვა ადამიანის კანონიერი უფლებები“. აქედნად, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შესაძლებელია შეიზღუდოს ან აიკრძალოს მხოლოდ აღნიშნულ (სხვა ადამიანის კანონიერი უფლებების დარღვევის) და არა რაიმე სხვა საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია შემოქმედებითი ნაწარმოების (მაგალითად, რომანის) სხვადასხვა ნაწილების იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად განხილვა და შემდეგ მასზე მსჯელობა არა როგორც სახელოვნებო საქმიანობის ერთ განსაზღვრულ ფორმაზე, არამედ როგორც კონკრეტული აზრის გამოთქმაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამ შემოქმედებითი ნაწარმოების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით აზრის თავისუფლებისათვის დადგენილი შემზღუდავი ნორმების გამოყენება, რომლებიც გაცილებით მრავალრიცხოვანი და ფართოა, ვიდრე 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

„სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებში“ იგულისხმება ყველა უფლება, რომელიც ადამიანს კონსტიტუციით ან კანონით აქვს უზრუნველყოფილი. ამ უფლებათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ადამიანის ღირსება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის ზოგად პიროვნულ უფლებაზე, თუმცა ეს ყოველივე მაინც არ ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ ან ადამიანის სხვა უფლებებს ე.წ. გენერალური უპირატესობა აქვთ ხელოვნების თავისუფლების მიმართ, რომელიც თავის მხრივ ასევე ძირითად უფლებას წარმოადგენს და საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ძირითად უფლებათა შორის ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში გამოიყენება შედარების ცნობილი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული გარემოებების მიხედვით აწონილ-დაწონილ და შეფასებულ უნდა იქნეს, თუ რომელ უფლებას მიეცეს უპირატესობა. დაუშვებელია იმ მოსაზრების მიღება, რომ ხელოვნების თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას შორის კონფლიქტი კონსტიტუციის დონეზე და თანაც ღირსების დაცვის სასარგებლოდ თავიდანვე გადაწყვეტილია. შედარების მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია იმ შემთხვევებში, როცა ხელოვანი კრიტიკულად წარმოსახავს ცოცხალ პიროვნებას და ამით ერევა მის ზოგად პიროვნულ

უფლებასი. ამ დროს აუცილებლად უნდა გაირკვეს; (ა) არის თუ არა ეს პიროვნება ხელოვანის მიერ იმდენად თავისებურად წარმოსახული (ანუ მნიშვნელოვნად გაუცხოებული), რომ მისი ინდივიდუალურ-კონკრეტული სახე გამოსახვის საყოველთაო-სიმბოლურ ფონთან შედარებით უკანა პლანზე გადადის და არ იგრძნობა, ან (ბ) წარმოსახა თუ არა ხელოვანმა ეს პიროვნება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად სინამდვილესთან მიახლოებულად და ამით განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაერია მის პიროვნულ უფლებასში. პირველ შემთხვევაში უპირატესობა ხელოვნების თავისუფლებას უნდა მიეცეს, ხოლო მეორეში, საერთაოდ, წინა პლანზე პიროვნული უფლების დაცვის ინტერესი გამოვა.

V. კონკრეტული სასამართლო საქმეები

როგორც აღინიშნა, ხელოვნების თავისუფლებით დაცულია სხვადასხვა პირთა კარიკატურები და მათზე დაწერილი პოპ-სიმღერები. აქ წარმოდგენილი იქნება ორი კონკრეტული საქმე, რომლებშიც დაწვრილებით არის განმარტებული კარიკატურისა და პოპ-სიმღერის, როგორც ხელოვნების თავისუფლებით დაცული შემოქმედებითი საქმიანობის კონკრეტული ფორმის, შინაარსი და მნიშვნელობა მათი ადამიანის ღირსებასა და ზოგად პიროვნულ უფლებასთან კოლიზიის დროს.¹⁷

საქმე №1: საქმე ეხება დავას ჟურნალ „პენტჰაუზსა“ (Penthouse) და ერთ-ერთ ცნობილ პოლიტიკოს ქალს შორის. 1985 წელს მოასხუხემ („პენტჰაუზის“ გამოცემულმა) გააერთელა წლის „პენტჰაუზის VIP’s კალენდარი“ (Penthouse VIP’s Kalender), რომლის 12 (თვეების შესაბამის) გვერდზე კარიკატურულად გამოსახული იყვნენ ცნობილი პოლიტიკოსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მარტის თვის გვერდზე გამოსახული იყო პოლიტიკოსი ქალი (მოსარჩელე) შიშველ მღვთმარეობაში, ნათლად ჩანდა მისი უკანა ტანი, წელზე შემორტყმული ჰქონდა რეველაციის ქამარი და საბუდე, ხელში ეჭირა რეველაციური და კეკა მაღალი ჩექმები. ამ გამოსახულების გამო მოსარჩელე, რომელიც თავს შეურაცხყოფილად, დამცირებულად და ღირსებაშეღაცებულად თვლიდა, მოასხუხისაგან მოითხოვდა

¹⁷ ამ საქმეში განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები, რათა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი წინამდებარე მართლმართლებაში გაანალიზებული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობა.

ზემოხსენებულ კალენდარში გამოქვეყნებული კარიკატურით მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას

საქმის შინაარსის გაცნობის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსორციელდეს გასაჩივრებული გამოსახულების შესწავლა და ანალიზი, რის საფუძველზეც დადგინდება, შესაძლებელია თუ არა, მოსარჩელეს კპონდეს მისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის მატერიალური (ფულადი) ანაზღაურების პრეტენზია.

ა) დავიწყოთ იმით, რომ გასაჩივრებული გამოსახულება წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების საფუძველზე. იგი არის თავისუფალი შექოქმედებითი საქმიანობის დასრულებული შედეგი, რომელშიც ავტორმა საკუთარი წარმოდგენები, გამოცდილება და შთაბეჭდილება გამოსახვის კონკრეტული ფორმის საშუალებით – ამ შემთხვევაში ხატვის ფორმით – საჩვენებლად გამოიტანა. ამდენად, უკვე საეჭვოა, ამ გამოსახვით მართლსაწინააღმდეგოდ დაირღვა თუ არა (რასაც ამტკიცებს მოსარჩელე) მოსარჩელის კანონიერი უფლებები. აქ არაფერი იცვლება იმითაც, რომ მოსარჩელე ასაჩივრებს არა მხოლოდ კონკრეტულად გამოსახულებას, არამედ მოპასუხის მიერ მის გავრცელებასაც. საქმე ისაა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 23-ე მუხლით განმტკიცებული ნორმა იცავს არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს), არამედ აგრეთვე ხელოვნების მოქმედების სფეროს ანუ მის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ბ) მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ხელოვნების თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შეიძლება აიკრძალოს, თუ იგი არღვევს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს (კონსტიტუციის მ. 23, პ. 3). ასეთია, მაგალითად, კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამომდინარე ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება. ამ უფლების განსაკუთრებით მძიმე შელახვის დროს შესაძლოა ხელოვნების თავისუფლებამ უკან დაიხიოს პიროვნული უფლების დაცვის ინტერესთან შედარებით. ამიტომ გასაჩივრებულ გამოსახულებასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ავტორის (შემოქმედის) ფანტაზიის ნაყოფთან, კონკრეტულად – ნახატთან, და არა მოსარჩელის ფოტო- ან სხვა მსგავსი სახის სურათთან; იმავედროულად გამოსახულება წარმოადგენს კარიკატურას. კარიკატურა კი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ამ დროს შემოქმედებითი საშუალებით ხდება დამახინჯება და გაუცხოება

რეალურ სინამდვილეში არსებული, მაგრამ არცთუ ნათელი და მკაფიო სიმართლისა, რათა ეს სიმართლე, ავტორის წარმოსახვის შესაბამისად, უკეთესად გასაგები გახდეს. მეორე მხრივ, კარიკატურას მიზნად შეიძლება ქონდეს მხოლოდ იუმორისტული ეფექტისა და შედეგის მიღწევა. შესაბამისად, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ გასაჩივრებული გამოსახულება არის ნახატი (კარიკატურა). ანუ სინამდვილის შემოქმედებითად გაუცხოებული გამოსახატვა, რომელიც თავისი შინაარსით არ შეესაბამება სინამდვილეს და არც არის სავალდებულო, რომ შეესაბამებოდეს მას. გამოსახულება აშკარად წარმოადგენს შემოქმედის გამოგონებას, მისი ფანტაზიის ნაყოფს, რითაც ფაქტობრივად არც არის გადმოცემული ავტორის რაიმე წარმოდგენა თუ აზრი; მისი მიზანი უფრო მეტად ტენდენციური შინაარსის გადმოცემაა. სწორედ ამ არგუმენტთა გამო, მოსარჩელის მტკიცების საწინააღმდეგოდ, აქ არ ხდება ჩარევა მოსარჩელის ინტიმურ სფეროში (ანუ მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა), რადგან გასაჩივრებული გამოსახულებით მოსარჩელე არ არის ნაჩვენები (გამოსახული) ნამდვილად, რეალურად „შიშველი“ ფორმით;

გ) ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში უფრო მეტად მნიშვნელობა ექნება იმ გარემოების განხილვას, მოხდა თუ არა გასაჩივრებული გამოსახულებით მოსარჩელის ღირსების შელახვა დაუშვებელი ფორმისა და ზედმეტად მძიმე შეურაცხყოფის გამო.

საქმის შინაარსიდან ცნობილია, რომ, მოსარჩელის აზრით, გასაჩივრებული ნახატი, უპირველეს ყოვლისა, არღვევს მისი, როგორც ქალის, ღირსებას, რადგან იგი ნახატზე წარმოდგენილია ქალისათვის შეურაცხყოფილი, ღირსებაშემლახველი და სექსუალური ფორმით. ეს არგუმენტი არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. გასაჩივრებული ნახატი, როგორც ცნობილია, მოთავსებულია წლიურ კალენდარში; ამდენად, იგი ერთი დიდი ყურნალის (ნაწარმოების) შემადგენელი ნაწილია და ამიტომ უნდა განვიხილოთ არა ცალკე, არამედ სწორედ ამ კალენდართან და მის შინაარსთან კავშირში. სწორედ ეს (ურთიერთ)კავშირი, ანუ ე.წ. კონტექსტი არის ის, რაც, ერთი მხრივ, ნათელს ხდის მასში ჩადებულ აზრს, მეორე მხრივ კი, აღწევს მკითხველამდე (მაყურებელამდე) და გადამწყვეტ გავლენას ახდენს მის წარმოდგენაზე კალენდრის მიმართ. სწორედ ამის შედეგად, სრულად წარმოჩინდება კალენდრის ობიექტური შინაარსი. მის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კალენდარი, მოსარჩელისა და ბრიტანეთის მამინლელი პრემიერ-მინისტრის გარდა, მხოლოდ მამაკაცი პოლიტიკოსების კარიკატურებს შეიცავს, რომლებიც, წარმოდგენილნი არიან ისეთივე

დასახინჯებელი ფორმით, დაახლოებით იმავე პოზაში და ძირითადად მიშველი სახით, როგორც მოსარჩელე. ეს გარემოება ცხადად მიუთითებს, რომ მოსარჩელის გამოხასხულება ნამდვილად არ არის მიმართული სპეციალურად მის, როგორც ქალის მიმართ და ასევე არ გამოისახავს მას ღირსებაშელახულად, როგორც ქალს.

ასევე ძნელად გასაზიარებელია მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ გამოხასხულება მას წარმოადგენს „გამზადებულ მდგომარეობაში“, ანუ როგორც მეძავს. ნახატზე ნათლად ჩანს, რომ მოქმედი პირი ეყრდნობა ხისაგან გაკეთებულ რაღაც საგანს, რომელსაც უფრო მეტად ცხენის უნაკირის ფორმა აქვს და კარგად არის ცნობილი პოპულარული „ეესტერნული“ ფილმებიდან. ნახატის ეს ნაწილი, აგრეთვე მოქმედი პირის სპეციალური ჩექმები რეეოლეერის ჩასადებ ბუდესა და ქამართან ერთად ამკარად მიუთითებს „ეესტერნულ სცენაზე“. ამ სცენის შინაარსს ვერ ცელის ის პოზა, რომლითაც მოსარჩელე წარმოდგენილია მასზე (მიშველი უკანა ტანით), რადგან ეს პოზა მაინც არ აღძრავს ისეთ წარმოდგენას, თითქოს მოსარჩელე ეწ. გამზადებულ მდგომარეობაშია, როგორც მეძავი. ამ წარმოდგენასთან სრულიად შეუსაბამოა ისიც, რომ ნახატზე მოქმედ პირს (ანუ მოსარჩელეს) მარჯვენა ხელში დიდი „ეესტერნული“ რეეოლეერი უჭირავს. ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ნახატზე მიშველია, ასევე არ გვაძლევს ცალსახა საფუძველს მის მიერ წარმოდგენილი ინტერპრეტაციის გასაზიარებლად, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, კალენდარში მოთავსებული სხვა პოლიტიკოსებიც ძირითადად მიშველ ფორმაში არიან, რაც სრულიადაც არ აღძრავს მსგავს წარმოდგენას;

დ) ზემოხსენებული ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ უკვე შესამდლებელია ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ საკითხზე, რაიმე სხვა მიზეზების გამო ხომ არ იწვევს კარიკატურა მოსარჩელის, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის, ღირსების შელახვას და, შესაბამისად, უნდა აუნაზაურდეს თუ არა მას მიყენებული არამატერიალური ზიანი, ანუ უნდა მიეცეს თუ არა ფულადი ანაზღაურება.

აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე, როგორც ცნობილი პოლიტიკოსი, მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. იგი საჯარო პირია და მისი საქმიანობა ძოლიანად საჯაროობის პირობებში, საზოგადოების წინაშე მიმდინარეობს. ასეთი საქმიანობა კი ყოველთვის განუყოფლად არის დაკავშირებული „შეტყუებთან“, ანუ კრიტიკასთან, საზოგადოებრივ, პუბლიკაციურ თავდასხმებთან, ამ პიროვნებისა და მისი მოღვა-

წვობის ხინამდვილესთან შეუსაბამო წარმოდგენებთან, რომელთაგან ბევრი საკმაოდ მწვავე და გადაჭარბებულია, ზოგიერთი კი მისი უფლებების შემლახველი. ძალიან ხშირად ყოველივე ეს დაკავშირებულია აღნიშნული საჯარო პირის კარიკატურულ გამოსახულებებთან. ეს, რა თქმა უნდა, არაერთარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსის ღირსება და პიროვნული უფლება უფრო ნაკლები წონისაა, კიდრე ნებისმიერი სხვა მოქალაქის, რომელიც არ ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას. მაგრამ რადგან პოლიტიკოსის საქმიანობის მიზანი სწორედ საჯარო ცხოვრების ცენტრში ყოფნა, საკუთარი პიროვნების საზოგადოებაში გამორჩეულად წარმოდგენა და დამკვიდრება, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზემოქმედებაა, მან თავიდანვე უნდა იცოდეს და შეეგუოს იმას, რომ მისი პიროვნება შეიძლება წარმოსახოს ისეთი სახითაც, რომელიც მნიშვნელოვნად გასცდება „წარმოსახვის მისთვის მოსაწონ ფარგლებს“; ანუ იგი შეიძლება წარმოსახულ იქნეს ხინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ფორმით თუ შინაარსით. ეს ეველაფერი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კარიკატურას ეხება. როგორც ზემოთ აღინიშნა, კარიკატურის მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ კარიკატურის შინაარსით რაღაც უნდა წარმოსახოს დამახინჯებული, არასწორი, ხინამდვილესთან შეუსაბამო ფორმით. სწორედ ამგვარად ეცნობა თავდაპირველად მის შინაარსს მნახველი, რომელიც შესაბამისად შეიგრძნობს კარიკატურის არსს და მისით გადმოცემულ გამოსახულებას. ამიტომაც კარიკატურაში ძალიან იშვიათად შეიძლება დავინახოთ გამოსახული პირის ღირსებისა და პიროვნული უფლებების მძიმე შელახვა. გასაჩივრებულ გამოსახულებასთან დაკავშირებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „მძიმე შელახვა“ ნამდვილად არ გვაქვს. ის ფაქტი, რომ გამოსახულებაზე მოსარჩელე შიშველია, სრულიადაც არ ნიშნავს მისი ღირსების მნიშვნელოვან, მძიმე შელახვას, რადგან, ჯერ ერთი, გამოსახულება მნახველის მიერ თავისი არსით თავიდანვე აღიქმება როგორც კარიკატურა და არ აღიქმება რეალური შინაარსით, და მეორეც, მოსარჩელის შიშველი ფორმით გამოსახვას სხვა პოლიტიკოსთა მსგავსი კარიკატურების კრებულში მხოლოდ მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო წონა აქვს.¹⁸

¹⁸ სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და მიუთითა კიდევ ერთ გარემოებაზე: მოსარჩელე ცნობილია თავისი პოლიტიკური გამოსახულებით ძალადობის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ვანდარალების დასაცავად. კარიკატურა კი მას გამოსახავს ხელში რევოლვერით, ანუ იმ იარაღით, რომლით ძალადობის წინააღმდეგაც იგი, როგორც პოლიტიკოსი, ყოველთვის აქტიურად იღაშქრებს. კარიკატურის ეს

საქმე №2: ეს საქმეც ხელოვნების თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას, აგრეთვე ზოგად პიროვნულ უფლებას შორის კოლიზიის ექსისციკეას ასახავს.

საქმის არსი: მოსარჩელე მსოფლიოში ცნობილი ჩოგბურთელი ქალაქ მოსკოვში, „იგი მოსწავლეების“ სახელით ცნობილმა პოპ-ჯგუფმა, 1992 წლის ზაფხულში ჩაწერა და გამოსცა ახალი სიმღერა სათაურით “შე მინდა სიყვარული ვაეკეთო შეტევი გრაფთან“ (I WANNA MAKE LOVE TO STEFFI GRAF). მოსარჩელე ამ სიმღერის გავრცელებაში ზღადავს თავისი პიროვნული უფლების მძიმე დარღვევას და მოპასუხისაგან მოითხოვს მიყენებული არამატერიალური ზიანის შესაბამის მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას.

პირველისაგან განსხვავებით, ამ საქმის განხილვისას სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე მხარემ სიმღერის გავრცელებით განსაკუთრებით მძიმედ დაარღვია კონსტიტუციით დაცული მოსარჩელის პიროვნული უფლება, და მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის მოპასუხეს შესაბამისი მატერიალური (ფულადი) ანაზღაურება დააკისრა.¹⁹ სააპელაციო სასამართლომაც მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეხედულება. მეტად საინტერესოა საქმის შინაარსის დაწვრილებით განხილვა და იმ გარემოებების ანალიზი, რომელთა საფუძველზეც მიიღეს სასამართლოებმა ასეთი (შეიძლება ითქვას, საკამათო) გადაწყვეტილება.

ა) საქმის განხილველი სასამართლოს აზრით, სიმღერის რეფრენი შეიცავს მშინელისათვის ფაქტის არსებობისა და მტკიცების ფორმით მიწოდებულ შინაარსს, რომ მოსარჩელემ (შეტევი გრაფმა) და მამამისმა

ასპექტიც მიუთითებს არა იმაზე, რომ თითქოს მოსარჩელე სინამდვილეში ითხოვს იარაღის ფლობას და მისით სარგებლობას, რათა შემდეგ ეს იარაღი გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, არამედ აქ უფრო მეტად უნდა ვიგულისხმობთ სწორედ ის, რომ ამით კარიკატურა სიმბოლოურად წარმოსახავს ვაკეილებით ტერბოლ გამოხვლებზე თავისი პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და განიარაღების მოთხოვნის მიზნით. კარიკატურაზე ზემოთ აღწერილი ფორმით მიყვანილი „კადატრიალება“ და მოსარჩელის პოლიტიკური საქმიანობის შეფასება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩათვალოს მის კანონიერ უფლებაში (მათ უმეტეს მძიმე) დარღვევად. საქმის შინაარსი და სასამართლოს გადაწყვეტილება იხ.: NJW 1990, 32, S. 1996-1997.

¹⁹ ცნობისათვის: სასამართლომ ეს თანხა 60 000 გერმანული მარკით განსაზღვრა.

ათასჯერ ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. სიმღერის ტექსტში შტეფი გრაფი წარმოდგენილია სექსუალური თავყვანისცემის ობიექტად და ამით შეურაცხყოფილია მისი, როგორც ქალის, ღირსება. ის გამოთქმები, რომლებითაც გამოხატულია ეს „თავყვანისცემა“, შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მძიმე ფორმის შეურაცხყოფად და ცილისწამებად. პირველი ინსტანციის სასამართლოს ასეთ შეფასებას შესაძლოა დაეუპირისპიროთ ის არგუმენტი, რომ დაუშვებელია ხელოვნების ქმნილების (ამ შემთხვევაში – სიმღერის) ნაწილ-ნაწილ განხილვა, სიმღერის ერთიანი სხეულიდან რეფერენის ამოღება და მხოლოდ მისი შეფასება. აუცილებელია სიმღერის მთლიანად (მელოდიისა და სასიმღერო ტექსტის ჩათვლით) მოსმენა და მისი საერთო ზემოქმედების შეფასება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა სულ სხვა სურათი დაიხატოს და მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა სულაც არ ჩაითვალოს მძიმედ. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ აქ მთავარი მაინც რეფერენი იყო (თუმცა აქვე ისმის კითხვა: რატომ?), რომელშიც მოსარჩელეს ბრალდება ათასჯერადი სექსუალური კავშირი მამასთან, რაც მაშინვე გასაგები ხდება ყველა მსმენელისათვის, ვინც თუნდაც მინიმალურ დონეზე იცის ინგლისური ენა. ამ სიტყვების მელოდიასთან ერთად წარმოთქმას არ მივგავართ აღნიშნული ფაქტის გაუცხოებასთან სიტყვათა თამაშითა თუ ადეგორიებით, რაც ასევე საკამათო შეფასებაა, მაგრამ სასამართლო მაინც მიიჩნევს, რომ მსმენელს სწორედ პირდაპირ და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მიეწოდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პოპ-ჯგუფ „გაიფი მოსწავლეების“ წევრებს სურთ „შტეფი გრაფთან სიყვარულის გაკეთება“, „ისევე, როგორც ეს მანამდე ათასჯერ გაუკეთებია მამამისს“. სასამართლოს აზრით, „ამ სიტყვების მელოდიური გაზმოვანება არაფერს ცვლის მის შინაარსში“;

ბ) როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს შეფასება საკამათოა და ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად: ზომ არ შეიძლებოდა, სასამართლოს უფრო დაწვრილებით განეხილა პოპ-ჯგუფის პოზიციების დასაცავად ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების ეფექტიანად გამოყენების საკითხი? აქ აუცილებლად უნდა გაირკვეს, წარბოადგენს თუ არა ეს სიმღერა ხელოვნების ერთ-ერთ სახეს – სატირას და იმოქმედა თუ არა ამ ფორმით, რომელსაც ახასიათებს გადაჭარბება, დამახინჯება და გაუცხოება, და ამ საფუძველით ზომ არ შეიძლება სიმღერის დაქვემდებარება ისედაც რთულად განსასაზღვრი ხელოვნების სფეროსადმი. მართალია, ხელოვნების

თავისუფლებაც არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება და მასაც აქვს დადგენილი საზღვრები (საქართველოს კონსტიტუციის მ. 1.1. პ. 3), პირველ რიგში, სწორედ ადამიანის ღირსებისა და პიროვნული უფლების დაცვიდან გამომდინარე, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღირსებისა და პიროვნული უფლების დაცვას არა აქვს თავიდანვე განსაზღვრული, „აქცენტრალური უპირატესობა“ ხელოვნების თავისუფლების მიმართ. ხელოვნების თავისუფლების ძირითად უფლებასა და ადამიანის პიროვნულ უფლებას შორის ხშირი კოლიზიის გამო აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს აწონ-დაწონება და შედარება ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო, მაგრამ ძირითადი უფლებებით დაცული ინტერესებისა. მოცემულ საქმეში ასეთი აწონ-დაწონების შედეგად შეიძლება მივიღოთ დასკვნამდე, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს მოპასუხის ინტერესს. ასეთი გადაწყვეტილების საფუძვლად შესაძლებელია მოვიხმოთ ის პრინციპი (რომელსაც მიჰყვება გერმანიის მუდმივი სასამართლო პრაქტიკა), რომ კარიკატურებისა და სატირისათვის სწორედ არსებითად დამახასიათებელია და ტიპურია გადაჭარბება, სინამდვილის დამახინჯება და გაუცხოება და რომ პიროვნებები, რომლებიც საჯარო ცხოვრების ცენტრში დგანან (როგორც ამ საქმეში – შტეფი გრაფი), განსაკუთრებით ხშირად წარმოადგენენ სატირული გამოხატვის საგანს. უფრო მეტიც, მოსარჩელე თავისი სპორტული მოღვაწეობის შედეგებითა და ავტორიტეტით გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილ ე.წ. აბსოლუტურ ისტორიულ პიროვნებას წარმოადგენს (ამიტომაც დგას იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში), ამდენად, იგი იძულებულია შეეგუოს და მოითმინოს, როცა მასზე და მამისზე მედიის მიერ და, საერთოდ, საზოგადოებაში, ერცელდება ჭორები თუ სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციები. მიუხედავად ასეთი მძლავრი არგუმენტებისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის სიმღერის შინაარსი ამკარად აჭარბებდა მოსათმუნ (დასაშვებ) ფარგლებს. სასამართლოს აზრით, კონსტიტუციით დაცული თავისუფალი ადამიანის ღირსების ფუნდამენტში ჩარევის დროს (ამ ფუნდამენტს კი ადამიანის პიროვნული უფლება წარმოადგენს) ყოველთვის ხდება აღნიშნული ძირითადი უფლების მძიმე დარღვევა. სასამართლომ იქვე მოუთითა, რომ ასეთი დარღვევები, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უკვე აღარ არის დაცული ხელოვნების თავისუფლებით. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოცემულ დავაშიც მოსარჩელის პიროვნული უფლების დარღვევა მოპასუხის მიერ არ შეიძლება

გამართლებულ იქნეს ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების დაცვის საფუძვლით.¹⁹

საქმე №3: კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ეხება ცნობილი მწერლის შემოქმედებით ნაწარმოებს (რომანს) და გერმანიაში მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საინტერესო (სამართლებრივ) ისტორიას. თავდაპირველად აუცილებელია დაწვრილებით გავეცნოთ საქმის შინაარსს, რათა ნათელი წარმოვადგინა შეგვექმნას ამ მეტად რთული საქმის ყველა დეტალზე.

საქმის არსი: *თომას მანის შვილმა, გერმანიაში საკმაოდ ცნობილმა მწერალმა კლაუს მანმა 1936 წელს პოლანდიაში გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები „მეფისტო – ერთი კარიერის რომანი“. ეს თხზულება 1956 წელს გამოიცა აღმოსავლეთ ბერლინში და 1963 წლისათვის მზადდებოდა მისი გამოცემა ვფრ-ში. რომანში ასახული იყო უნიჭიერესი მსახიობის ჰენდრიკ ჰოფგენის (Hendrik Hofgen) აღმასვლა, რომელიც უარყოფს (გაყალობებს) თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, გაწვევებს და ჩამოიშორებს ყოველგვარ ადამიანურ კავშირებსა და ეთიკურ თვისებებს, რათა ნაციონალ-სოციალისტურ ხელისუფლებას შეეკრას და გაიკეთოს ზელოვანის ბრწყინვალე კარიერა. კლაუს მანი თავისი რომანის მთავარ გმირს ახასიათებდა სიტყვებით: მას არ აქვს არავითარი ზასიათი და ნებისყოფა, მას ახასიათებს მხოლოდ პატივმოყვარეობა, განდიდების მანია და ნარცისიზმი; ის „არ არის ადამიანი, იგი მხოლოდ კომუდიანტია“.*

¹⁹ ცნობისათვის: სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას შესაძლოა დამატებითი სტიმული მისცა თავად მოპასუხეთა მოქმედებამ სიმღერის ვაერცელების შემდეგ. მათ არავითარი დანაშაულებაც არ გამოთქვას მოსარჩელის მიმართ ამ სიმღერის დაწერისა თუ ვაერცელების გამო და, პირიქით, ცდილობდნენ საკმარისად დამტკიცებინათ, რომ აქ სრულიადაც არ არღვეოდა „ესოდენ მძიმედ“ მოსარჩელის პიროვნული უფლება. მათ იმედგეროულად ძალიან სერიოზულად იმუშავეს პრესასთან და ტელევიზიასთან, რათა ეს თემა საზოგადოებისათვის ცნობილი გაეზდარსყო. მათ შექლეს ძალიან მალე „აკვორუბინათ“ ეს თემა, ასევე პრესით ვაერცელებს ინფორმაცია მოსარჩელის შერ სასამართლო საქმის წარმოების დაწყების შესახებ და გამოიყენეს ძალიან ცნობილი სატელევიზიო ვადაცემა იმისათვის, რომ მათი პოპ-გვეულისა და სიმღერის მიმართ საზოგადოებისა და წართო მოსახლეობის ყვრადღება (მოსახლეობის სწვადასწვა ფენებში, მგელითად, „თინკიერებში“) დამტკიცებით ვაზრდილიყო. საქმის შინაარსი და სასამართლოს დასაბუთება იხ.: NJW 1994, H. 30, S. 1963-64.

კლაუს მანს ამ პერსონაჟის პროტოტიპად გამოყენებული ჰყავდა გუსტავ გრუნდგენსი (Gustaf Grundgens). ეს იყო სახელგანთქმული მსახიობი, 1934-45 წლებში ბერლინის მსახიობთა სახლის და 1945 წლიდან სიკედილამდე (1963) დასავლეთ გერმანიის მსახიობთა სახლების ინტენდანტი. 20-იან წლებში გრუნდგენსი მეგობრობდა კლაუს მანთან, ცოლად ჰყავდა მისი და, რომელსაც მოკლე ხანში გაშორდა. რომანის მთავარი გმირის, კენდრიკ ჰოფგენის მრავალი ნიშანი — მისი გარეგნული შესახედაობა, პიესები, რომლებშიც ის მთავარ როლებს განასახიერებდა. და მათი თანამიმდევრობა დროში, პრუსიის სახელმწიფო საბჭოს წევრობა და გენერალ-ინტენდანტის თანამდებობაზე დანიშვნა — შეესაბამებოდა გრუნდგენსის გარეგნობას და მის მიერ განვილი ცხოვრებისეულ გზას. რომანში ასევე მოქმედებდნენ პირები გრუნდგენსის მამინდელი ახლო წრიდან. გრუნდგენსისა და რომანის მთავარი გმირის ურთიერთობის თაობაზე კლაუს მანმა 1942 წელს განმარტა, რომ მას თავისი ყოფილი სიძე მაჩნდა „იდეალურ მოღალატედ“, ცინიზმისა და კორუფციის განსახიერებად. მისი სასირცხვილო დიდება იმდენად მომზიბლავი იყო, რომ მან, კლაუს მანმა. გადაწყვიტა „მეფისტო-გრუნდგენსის“ პორტრეტი თავის სატირულ რომანში გამოესახა. თუმცა მოგვიანებით მან რომანს დაურთო განმარტება, რომ ყველა პერსონაჟი წარმოადგენდა ზოგად ტიპს და არა პორტრეტს.

გრუნდგენსის სარჩელის საფუძველზე, რომელიც მისი სიკედილის შემდეგ შეიღმა გააგრძელა, სასამართლომ აკრძალა ნაწარმოების გამოქვეყნება ვერ-ში, რადგან, სასამართლოს აზრით, გრუნდგენსის პიროვნება, რომელიც აშკარად პროტოტიპად იყო გამოყენებული, იმავდროულად კლაუს მანის მიერ თავისუფლად, თვითნებურად გამოგონილი ნიშან-თვისებებითა და დეტალებით ძირითადად ნეგატიურად იყო წარმოდგენილი. აქ სასამართლომ იჩელმძღვანელა ზემოთ აღწერილი პრინციპით, რომლის მიხედვითაც, თუ ხელოვანმა მოცემული პიროვნება სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულად წარმოსახა და იმავდროულად მის სახეს დაამატა უარყოფითი თვისებები და ხასიათის ნიშნები, ამ დროს ხელოვანი განსაკუთრებით ინტენსიურად ერევა მის ზოგად პიროვნულ უფლებებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ რომანი წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას, მაგრამ იმავდროულად იგი არის „პასკილი რომანის ფორმაში“ და შეიცავს ზეპირ მურაცხყოფას და ცილისწამებებს. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება (ხმათა თანაბრად გაყოფის გამო: 4 — 4) და აღიარა საერთო სასამართლოს ზემოხსენებული

შეფასებები, რასაც ავტობიოგრაფიულ მიმართებაში ხელოვნების თავისუფლების მიმართ პიროვნების დაცვისა და გრუნდგენის ხსოვნის პატივისცემის უპირატესობასთან. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საფუძვლით უარყო რომანის გამოქვეყნების აკრძალვის წინააღმდეგ მიმართული გამოძევების კონსტიტუციური სარჩელი.

აღწერილ საქმესთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: ერთი მხრივ, ამჟამად, რომ საქმე მეტად რთული იყო, როგორც შინაარსიდან ჩანს, იმდენად ძნელი გახდა საერთო აზრად მისვლა, რომ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა შორის ხმები თანაბრად გაიყო. შედეგად, სასამართლომ ვერ დაადგინა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება რომანის გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ გერმანიის ძირითად კანონს. მხოლოდ ხმების თანაბრად გაყოფის გამო დარჩა ძალაში საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება. მეორე მხრივ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ადვილი შესაძლებელია საქმე სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, ანუ მოსამართლეთა უმრავლესობას ჩუქთვალა, რომ მიუხედავად გრუნდგენის პიროვნების თავისებურად (თუნდაც უარყოფითად) წარმოსახვისა, უპირატესობა მაინც ხელოვნების თავისუფლების დაცვისათვის უნდა მიეცათ, რადგან გრუნდგენის, საქვეყნოდ ცნობილი და დიდი გავლენის მქონე პიროვნება, როგორც საჯარო პირი (ანუ „აბსოლუტური ისტორიული პიროვნება“) იძულებული იყო მოეთმინა და შეეუებოდა მასზე გარკვეულწილად დამახინჯებული და გაზვიადებული ამბის გავრცელებას. სავარაუდოა, რომ რომანის ავტორის გრუნდგენსთან ურთიერთობის დეტალებმა (ისინი ერთმანეთს იცნობდნენ და მცირე ხანს ერთსავეობდნენ კიდევ) და მისმა კომენტარებმა (სადაც ის ამჟამად მოუთხოვდა გრუნდგენსზე, როგორც პროტოტიპზე, და სრულიად უარყოფითად ახასიათებდა მას, როგორც ადამიანს) სასამართლოს წევრებს შორის ზემოხსენებული აზრთა უთანხმოება გამოიწვია, რის შედეგადაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დონეზე ვერ გაიჩვენა, ასეთ შემთხვევაში რომელ კოლიზირებულ სამართლებრივ სიკეთეს უნდა მისცემოდა უპირატესობა.

საქმე №4: და ბოლოს, ძალიან მოკლედ კიდევ ერთი საქმის შესახებ, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთმა სასამართლომ განიხილა. საქმე ეხება აფიშას, როგორც კონკრეტული კინოფილმის რეკლამას, რომელიც, როგორც აღინიშნა, ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით არის დაცული.

საერანგეთში კათოლიკეთა ერთ-ერთი ჯგუფი იახოყდა ბერძნული წარმომადგენის ფრანგი რეჯისორის კონსტანტინ კოსტა გაერასის ახალი ფილმის („ახან“) სარეკლამო აფიშის აკრძალვას. აფიშაზე გამოსახული იყო სევასტიკისა და ჯერის კომბინაცია, ფილმი კი მოგვითხრობს ნაციისტების მმართველობის პერიოდში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის საიდუმლოებით მოცულ ეპიზოდებზე. მოსარჩელე კათოლიკეთა აზრით, აფიშა მათ რელიგიურ გრძობებს შეურაცხყოფდა, რადგან „მასზე ერთად არის მოცემული აბსოლუტური სიბრძნისა და აბსოლუტური სიყვარულის სიმბოლოები“. ბუნებრივია, რომ ასეთი არგუმენტით ხელოვნების თავისუფლების წინააღმდეგ გაღამქრებას ნამდვილად არა აქვს პრესპექტივა. სასამართლომ სრულიად სამართლიანად გადაწყვიტა, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს კანონი, ანუ სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა აფიშების გაერცელების აკრძალვა; რაც შეეხება აფიშის შინაარსს, ასევე დაუშვებელია დაწესებულ იქნეს კონკრეტული ნორმები, თუ რა უნდა გამოისახოს აფიშაზე და რა არა. უფრო ზუსტად, დაუშვებელია დადგენა იმისა, ჯეარი რომელ საგნებთან თუ სიმბოლოებთან ერთად და რა მდგომარეობაში უნდა გამოისახოს. ყოველი აფიშა გამოხატავს მისი ავტორის, ანუ ხელოვანის წარმოდგენას კონკრეტული ფილმის (თუ სპექტაკლის) შესახებ და არის მისი ფანტაზიის ნაყოფი. ამდენად, აფიშის გაერცელების აკრძალვა ან მისი შინაარსის შეცვლის მოთხოვნა ხელოვანთა შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს, რაც დაუშვებელი და ანტიკონსტიტუციურია. საქმის განმხილველმა სასამართლომ სწორედ ასეთი დასაბუთებით არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი.

II. მ. 24 – აზრის თავისუფლება

I. შესავალი

ძირითად უფლებათა შორის თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აზრის თავისუფლებას აქვს. აზრის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით მე-19 მუხლით არის გარანტირებული. ამ ძირითადი უფლებისა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის უკეთ გასაგებად თავდაპირველად გავიცნოთ აღნიშნული მუხლის ტექსტს:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ღაზავს სხვათა უფლებებს.“

როგორც ვხედავთ, აზრის თავისუფლებასთან ერთად მე-19 მუხლით სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებებიც არის უზრუნველყოფილი, რომელთა მნიშვნელობა უკვე განვიხილეთ. გარდა ამისა, აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ კონსტიტუციის 24-ე მუხლს, რომელიც ძირითადად მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას ეძღვნება (მე-2 და მე-3 პუნქტები), მაგრამ ამ მუხლის პირველი პუნქტით ფაქტობრივად აზრის თავისუფლების შინაარსია გადმოცემული:

„1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“

ამ დებულების პირველი წინადადებით კიდევ ერთი ძირითადი უფლება – ინფორმაციის თავისუფლება არის უზრუნველყოფილი, ხოლო მეორე წინადადებით მოცემულია აზრის თავისუფლების შინაარსი. ასეთი დაჯგუფება საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ინფორმაციის თავისუფლება აზრის თავისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ იმავედროულად მასთან უწყვეტი კავშირი აქვს. მიუხედავად ამისა, ამ ძირითად უფლებათა მნიშვნელობის წარმოსაჩენად მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე განხილვა. ტექსტის გამარტივების თვალსაზრისით, მიუხედავად კონსტიტუციის მე-19 მუხლში მითითებული „სიტყვისა“ და „აზრის“ თავისუფლებისა, აქ მხოლოდ „აზრის თავისუფლება“ (ან „აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება“) იქნება გამოყენებული, რადგან ისინი („სიტყვა“ და „აზრი“) კონსტიტუციაში სინონიმებს წარმოადგენს და სრულიად იდენტური მნიშვნელობა აქვს. ანალიზის დროს „აზრის თავისუფლებას“ აღვნიშნავთ აგრეთვე „აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებით“, „შეფასებითი გამოხატუქამის“ ნაცვლად ხშირად შესაძლოა „მოსაზრება“, „შეხედულება“ ან „შეფასებითი შეხედულება“

ვაისოყიყენით, „ფაქტების“ ნაცვლად – „ფაქტების მტკიცება“ ან „ნაბიძგიანი ფაქტები“, ხოლო „ცრუ ფაქტების“ ნაცვლად – „მცდარი ფაქტები“ ან „ყალბი ფაქტები“.

II. ზოგადი მნიშვნელობა

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში დაწერილებით იქნა ახსნილი ადამიანის ძირითადი უფლებების მნიშვნელობა და მოქმედების ძალა. მიუხედავად ამისა, აზრის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რამდენიმე ძირითადი დებულება.

დავიწყოთ იმით, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები არა მხოლოდ იცავს ადამიანს მისი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან, არამედ იმავედროულად წარმოადგენს ობიექტურ პრინციპებს, რომლებიც, როგორც კონსტიტუციური-სამართლებრივი ძირითადი გადაწყვეტილება, მოქმედებს სამართლის ყველა სფეროს მიმართ, მათ შორის, ბუნებრივია, კერძო სამართლის მიმართაც. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართლის ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად უფლებებს; გარდა ამისა, კერძო სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ძირითადი უფლებების არსისა და სულისკვეთების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართლის ზეგავლენა სამართლის ნორმათა დადგენით არ მთავრდება; იგი მოქმედებს აგრეთვე სამართლის ნორმათა გამოყენებაზე. როცა იკვეთება, რომ სამართლებრივი დავის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს ნორმებს, რომლებიც ძირითადი უფლებებით გარანტირებულ თავისუფლებას ზღუდავს ან კონკრეტულ შემთხვევაში ახდენს ძირითადი უფლებების შემზღუდავ ზემოქმედებას, ამ ნორმათა ინტერპრეტაციისათვის მოხმობილ უნდა იქნეს ისევ ძირითადი უფლებები.

ძირითადი უფლებების ობიექტურ-სამართლებრივი შინაარსი, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საერთო სასამართლოებმა, მნიშვნელობას იძენს სუბიექტურ-სამართლებრივადაც. თუ მოსამართლე არ მიაქცევს ყურადღებას ძირითად უფლებებთან შეხების მქონე კანონებზე ძირითადი უფლებების ზეგავლენას, ამით იგი დაარღვევს არა მხოლოდ ობიექტურ სამართალს; როგორც საჯარო ხელისუფლების მფლობელი, ასეთ

შემთხვევაში მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით არღვევს ძირითად უფლებას, რომლის მნიშვნელობაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, ხოლო ინდივიდს აქვს აღნიშნულის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება.

განსახილველ თემასთან – აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით მოქმედებს სწორედ ის პრინციპი, რომელიც ზემოთ ზოგადად ფორმულირებულ იქნა ძირითადი უფლებების შესახებ: ორგანული და ჩვეულებრივი კანონები, ძირითადი უფლებების შემზღუდავი მოქმედების დროს, დანახული უნდა იქნეს ამ ძირითადი უფლების მნიშვნელობის ფარგლებში და ინტერპრეტირებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ამ უფლების ღირებულებითი შინაარსი, რომელიც თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აზრის თავისუფლებას აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა, ყველა შემთხვევაში ხელშეუხებელი და დაცული იქნება. აქედან უკვე ნათლად ჩანს აზრის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და საფუძველია. **აზრის თავისუფლება არა მარტო მოქალაქეთა, არამედ ყველა ადამიანის ძირითადი უფლებაა.** საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ადამიანის თვითგანვითარება. უპირველეს ყოვლისა, სწორედ დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს ფორმა, აძლევს ყველა მოქალაქეს გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება უზრუნველყოფს აზრთა მუდმივი ჭიდილის, ინტელექტუალური დაპირისპირების შესაძლებლობას, რაც დემოკრატიის სასიცოცხლო ელემენტი.

ამდენად, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით უზრუნველყოფილი აზრის თავისუფლება, აგრეთვე ინფორმაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები *ხასიათდება ორი ნიშნით*: პირველი არის *კავშირი კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან ანუ დემოკრატიის პრინციპთან*; დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია თავისუფალი და კარგად ინფორმირებული აზრის გარეშე. მეორე ნიშანი კი მდგომარეობს იმაში, რომ *აზრის თავისუფლება შეიცავს ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების*

(*პეხლეტი 16 და 17*) პატვიცემიდან გამოძინარე კომპონენტებს, რადგან ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებას წარმოადგენს თავისი აზრის გამოთქმა, საკუთარი ცოდნის გაფართოება იმისათვის, რომ ამით განვითარდეს, როგორც პიროვნება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებებს დემოკრატიული წყობილებისათვის „უბრალოდ ჩამომყალიბებელი, სასიცოცხლო“ მნიშვნელობა აქვს.

III. ცნება და დაცული სფერო

შესავალში უკვე აღინიშნა იმ, ერთი შეხედვით უჩვეულო გარემოების შესახებ, რომ კონსტიტუცია მე-19 მუხლით უზრუნველყოფს აზრის თავისუფლებას, 24-ე მუხლის პირველი პუნქტით კი თავადვე დაწერილებით განმარტავს მის შინაარსს: ამ დებულების მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად „...გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“ (პოზიტიური აზრის თავისუფლება). უნდა ვევიარაუდოთ, რომ ასეთი მიდგომა აზრის თავისუფლების განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განაპირობა, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. რაც შეეხება კონკრეტულად 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას, უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცული სიკეთე არის არა უბრალოდ გამოთქმა, არამედ აზრის გამოთქმა. აქედან გამოძინარე, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება „აზრში“ და რომელ გამონათქვამებს გამორიცხავს ეს ცნება.

I. აზრის გამოთქმა (შეხედულებები)

კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულების მიხედვით, ძირითადი უფლებით დაცულია აზრის არა მხოლოდ ზეპირად ან წერილობით, არამედ ნებისმიერი „სხვაგვარი საშუალებით“ გამოთქმა და გაავრცელება. გამოთქმის ამ სახეობათა შორის არავითარი რანგირება არ არსებობს, ისინი თანაბრადაა უზრუნველყოფილი და გარანტირებული. „სხვაგვარი საშუალებები“ მოიცავს აუდიოკასეტებს, ლაზერულ დისკებს, ჩაშწერ მოწყობილობებს, ასევე გამოსახულებით აზრის გამოთქმას, გამონათქვამებს ფესტების, სიმბოლოების, ქლაკატებისა და უნიფორმის ტა-

რების საშუალებით. ასევე დაცულია, *მაგალითად*, გამონათქვამები *ყრუ-მუნჯთა სალაპარაკო ენის საშუალებით ან დუმილით.* დუმილთან დაკავშირებით, აქვე შევნიშნავთ, რომ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულება უზრუნველყოფს ნეგატიურ აზრის თავისუფლებასაც. ეს არის უფლება, არ გამოთქვა აზრები და არ გაავრცელო ისინი. ნეგატიური აზრის თავისუფლება პირებს იცავს აგრეთვე იძულებისაგან გამოთქვან და გაავრცელონ სხვების შეხედულებები, როგორც საკუთარი აზრი.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მფლობელი და გამოცენებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ზემოაღნიშნულ დაცულ საქმიანობას. აქ, ფიზიკური პირების გარდა, იგულისხმება აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირები. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ და თავის უფლებათა დასაცავად დაეკრდონ აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას.

რაც შეეხება კონკრეტულად „აზრის“ ცნებას. იგი ფართოდ უნდა განიმარტოს. „აზრში“ იგულისხმება ნებისმიერი *შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განხჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის სისწორე თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოადგენებზეა დამოკიდებული.* სხვაგვარად, აქ ლაპარაკია პირად შეხედულებაზე, რომელიც უყალიბდება ინდივიდს ურთიერთობების, მოვლენების, იდეებისა და პიროვნებების მიმართ. ამდენად, აზრის თავისუფლების ცენტრალურ სფეროს *შეფასებითი შეხედულებების* გამოთქმის თავისუფლება წარმოადგენს. ე.ი აზრს უმთავრესად ახასიათებს სუბიექტური დამოკიდებულება ინდივიდსა და მისი გამონათქვამის საგანს შორის. საერთო შეთანხმებამდე მისვლა გამონათქვამის ღირებულების თუ უღირსობის შესახებ უმრავლეს შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელია. ამით განსხვავდება შეხედულებები *ფაქტებისაგან, რომელთა დროს წინა პლანზე გამოდის არა სუბიექტსა და მისი გამონათქვამის შინაარსს შორის დამოკიდებულება, არამედ ურთიერთობა გამონათქვამსა და რეალობას* შორის, გამოთქმელი სუბიექტი კი ამ დროს უკანა პლანზე დგას. ასეთ შემთხვევებში ინდივიდის სუბიექტური შეხედულებისაგან დამოუკიდებლად რაიმე ობიექტურად უნდა არსებობდეს. აღნიშნულისაგან

კანსტიტუციით. შეხედულება ყოველთვის სუბიექტურა და მოკიდებული. ასეთისავე შეხედულებები შეიძლება იყოს არა სწორი ან მცდარი, არამედ სუბიექტურად მართალი ან არასწორი, ნაფიქრი ან დაუფიქრებელი, რაციონალური ან ემოციური, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი და ა.შ.

მაუხედავად ამისა, შეხედულებების დაცვა არ არის დამოკიდებული აღნიშნულ დაყოფაზე. იგი დაცულია ძირითადი უფლებით იმ შეფასებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მხრიდან. ამდენად, კონსტიტუცია არ შეზღუდავს მხოლოდ „ღირებულებას“ აზრის დაცვით და არ ასხვავებს დასაბუთებულ და უსაფუძვლო, სწორ და მცდარ, რაციონალურ და ემოციურ, გონივრულ და პრიმიტიულ აზრებს. სახელმწიფოს აღჭურვა იმ უფლებით, რომ თავისი მოქალაქეების აზრები დაეყოს „სწორ“ და „არასწორ“ აზრებად და მხოლოდ „სწორი“ აზრები დაიცვას, „არასწორი“ კი შეძლებისდაგვარად აკრძალოს, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პლურალისტური დემოკრატიის პრინციპს. ამიტომ ყველაფერი, რაც წარმოადგენს შეხედულებას (მათ შორის, რა თქმა უნდა, გაბატონებული აზრისაგან განსხვავებული აზრი), ყოველთვის ხედება კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში. შეხედულების დაცვა განსაკუთრებით არ არის დამოკიდებული იმაზე, არღვევს თუ არა მოცემული გამონათქვამი სხვის უფლებებს, საფრთხეს უქმნის თუ არა საზოგადოებრივ სიკეთეს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თუ არა სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური წესრიგის ძირითად პრინციპებს. გამონათქვამის ამ კრიტერიუმებმა შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს მხოლოდ ძირითადი უფლების *შეზღუდვის დროს* და არა მისი დაცვის სფეროს განსაზღვრისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა აზრებთან ერთად ზემოაღნიშნული შინაარსის გამონათქვამებიც ხედება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. მაგრამ ძირითადი უფლების შეზღუდვისას, ანუ დაცულ სფეროში მათ წინააღმდეგ განხორციელებული ჩარევისას, ისინი თითქმის ყოველთვის უკან იხევენ დაპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთეთა (სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების) წინაშე, ანუ ასეთ შემთხვევაში დაცულ სფეროში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად თითქმის ყოველთვის გამართლებულია.

შეხედულება ძირითადი უფლებით დაკუთვლია აზრის გამოსათქმელად არჩეული შინაარსობრივი ფორმის მიუხედავად. ე.ი. იგი მოიცავს არა მხოლოდ შინაარსს, არამედ აგრეთვე ფორმას, რომლითაც ჩვენს წინაშე წარსდგება ეს შეხედულება. საყურადღებოა, რომ აქ არ იგულისხმება აზრის გამოთქმის წერილობითი, ზეპირი, გამოსახულებითი ან სხვაგვარი ფორმები. ლაპარაკია მხოლოდ შინაარსობრივ ფორმაზე, რომელიც ნიშნავს იმას, რომ აზრის თავისუფლებით დაკუთვლია არა მხოლოდ წინასწარ კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი, არამედ აგრეთვე პოლემიკური, მწვავე, დაუფიქრებელი, სპონტანური, უბამსი გამოხატულებები. ამას განსაკუთრებით უნდა გაეცვას ხაზი, რათა არ შეიქმნას ისეთი (მცდარი) შთაბეჭდილება, რომ თითქოს შესაძლებელია შეხედულებას ჩამოშორდეს ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა მისი მწვავე შინაარსობრივი ფორმის გამო. თავისუფალი საუბრისა და კამათის სპონტანურობა წინაპირობაა საჯარო დისკუსიის მრავალფეროვნებისა, რაც თავის მხრივ დემოკრატიის არსებობის ძირითად პირობას წარმოადგენს. ამ პლურალიზმის შესანარჩუნებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ საჯარო დისკუსიისა და აზრთა წიდილის დროს შესაძლებელია გამოითქვას მწვავე, ირონიული, ცინიკური ან სხვაგვარი, ზემოთ დასახელებული შინაარსის შეხედულებები. ამასთან, როგორც აღინიშნა, დაცვის სფეროს განსაზღვრისას არ არსებობს აზრთა არავითარი დიფერენციაცია. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ სახელმწიფოს მიეცემოდა სასურველი და არასასურველი აზრებისა და გამოთქმის ფორმების დეფინიციის კომპეტენცია, რაც სრულიად შეუსაბამო იქნებოდა კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან, კონკრეტულად კი აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასთან.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაკუთვლილი გამოთქმული აზრის **ზემოქმედების განზრახვა**. აზრის გამოთქმის, ანუ გარკვეული შეხედულების მთავარი შინაარსი და მიზანი სწორედ ის არის, რომ ზეგავლენა მოახდინოს სხვათა აზრის ჩამოყალიბების პროცესზე და დაარწმუნოს ისინი საკუთარი შეხედულების უპირატესობასა და სისწორეში. ზემოქმედება, რომელსაც ინდივიდის აზრი თუ წარმოთქმული სიტყვა ახდენს მსმენელზე, არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ იგი მოეწყვიტოს დაკუთვლულ სფეროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აზრის თავისუფლება გარანტირებულია არა მხოლოდ ყოველი კონკრეტული

აზრის შინაარსის, არამედ აკრედიტე ამ აზრის გამოთქმის მოტივის მსუბუქდავად. პოლიტიკური მიზეზით აზრის გამოთქმა ისევე დაცულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ეკონომიკური საფუძვლით აზრის გამოთქმა. შეიძლება აზრის გამოთქმა მიმართული იყოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესის სასარგებლოდ, მაგრამ ასევე შესაძლებელია კონკრეტული აზრის გამოთქმა სპეციალურად იყოს კომერციალიზებული, *მაგალითად*, წერილობითი მოსაზრების ან ნაშრომის გაყიდვა ანდა მოხსენების განხილვაზე დასასწრებად შესასვლელი ბილეთის გაყიდვა. პრესის წარმოება არის აზრის კომერციალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი უფლება იცავს მხოლოდ აზრის გამოთქმას, ანუ განცხადებას. იგი ვერცელდება მხოლოდ *არგუმენტებზე*, *ახსნა-განმარტებებზე* და არა *ზეგაყენების სხვა საშუალებებზე*, რომლებითაც აზრის გამოთქმელს სურს სხვა პირებზე ზემოქმედება. შესაბამისად, პოიკოტისაკენ მოწოდება, რომელიც ემყარება არა მხოლოდ არგუმენტებით, ახსნა-განმარტებებით და წინადადებებით დარწმუნების ძალას, არამედ იმავედროულად იყენებს ისეთ საშუალებებს, რომლებიც სხვა პირებს ართმევს შესაძლებლობას, გადაწყვეტილება მიიღონ შინაგანი თავისუფლების ფარგლებში და ყოველგვარი ეკონომიკური ზეწოლის გარეშე, აღარ არის დაცული აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

2. ფაქტები

შეხვედულების საწინააღმდეგო პოლუსზე დგას ფაქტის გადმოცემა — ცნობა, ინფორმაცია. „*ფაქტში*“ *ივლისზემება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას*. ფაქტების შემთხვევაში ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა სრულიადაც არ მოქმედებს ასე ფართოდ და ყოვლისმომცველად. ისინი არ არიან დაცულნი თავისი არსებობის გამო, არამედ მხოლოდ *შეხვედულებებთან* დამაკავშირებელი ხიდის საშუალებით ხედებიან კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აზრები არ გამოითქმება ფაქტებთან ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე. ჩვეულებრივ, ისინი ეყრდნობა ან ეხება ფაქტებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ შეფასების საგანს ან

საფუძვლად. ობიექტური ფაქტის გადმოცემა და სუბიექტური შეხედულება ფაქტობრივად ერთ შორდება ერთმანეთს. თეორიულად, მხოლოდ ფაქტების გადმოცემა შეიძლება არ იყოს დაცული აზრის თავისუფლებით, რადგან ფაქტი აზრი სულაც არ არის, მაგრამ ის, რომ მოცემული გამონათქვამი შეიცავს არა მხოლოდ შეფასებით, არამედ აგრეთვე ფაქტობრივ ელემენტს, სულაც არ გამორიცხავს შეხედულების არსებობას. ასეთ შემთხვევაში **აზრის დაყოფა „შეხედულებად“ და „ფაქტის გადმოცემად“ დაუშვებელია, მთლიანი გამონათქვამი ექცევა აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.** ამდენად, ფაქტებზე ვრცელდება ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა, რადგან ისინი მოცულნი არიან აზრით და ამით, თავის მხრივ, ხელს უწყობენ აზრის ჩამოყალიბებას.

ფაქტებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: შეხედულებისაგან განსხვავებით, ფაქტები შეიძლება იყოს მართალი ან მცდარი. ანუ ფაქტს არ ახასიათებს პირადი წარმოდგენების, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტები. ეს განსხვავება შეხედულებასა და ფაქტს შორის მნიშვნელობას იძენს დაცვის ფარგლების განსაზღვრის დროს. **აზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით არასწორი (მცდარი) ინფორმაცია არ წარმოადგენს დაცვის ღირს სიკეთეს.** მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს წინადადება შეიცავს ვარკვეულ ტენდენციას, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითადი უფლებით დაცვის შინაარსს. ამ წინადადებაზე დაყრდნობით 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროს შეიძლება მოწყვიტო ყოველი არასწორი ფაქტი და „დანაგრო“ იგი ძირითადი უფლებების მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე, ანუ მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ამ არასწორი ფაქტის გადმოცემა შეგნებულად თუ მისი მცდარობის ცოდნის გარეშე, საფუძვლიანი თუ ზედაპირული კვლევის საფუძველზე, სპონტანურად თუ კარგად დაფიქრების შემდეგ, რაიმე კონკრეტული მიზეზით თუ უამისოდ. ასეთ შემთხვევაში ხდება კომუნიკაციის პროცესის, ანუ საჯარო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის ხასიათის უგულებელყოფა, რაც ეწინააღმდეგება 24-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ ძირითად უფლებას.

აქ კვლავ დასაწყისში აღნიშნულს უნდა გაეყვას ხაზი: დემოკრატიული სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოთქმულ

საკუთარს, შეხედულებას, მასზე შეპასუვნებას და ამით წარმოშობილ საკარო დისკუსიას, რომლის საფუძველზედაც ყოველ კონკრეტულ საკითხზე ვალიდობა საზოგადოებრივი აზრი. შესაბამისად, დაუშვებელია კაცონათქვამის შეფასება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესთან, ანუ კომუნიკაციასთან დაუკავშირებლად. იზოლირებულად და ამის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. იგივე მოთხოვნა მოქმედებს ფაქტების მიმართაც. ფაქტების ანალიზის დროს აუცილებელია გაივალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ მათი სიმართლე ან მცდარობა ყოველთვის თავიდანვე კი არ არის ცნობილი, არამედ ზმირად სწორედ კომუნიკაციის პროცესში იკვეთება და ზუსტდება. შეცდომები და სიცრუე ამ დროს გარდაუვალია. კომუნიკაციის პროცესი ძალიან შეიზღუდებოდა და აღარ იქნებოდა ისე თავისუფალი, თუ მხოლოდ უეჭველად სწორი ფაქტები მოექცეოდა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, მცდარი ფაქტები კი ამ დაცვას თავიდანვე, ავტომატურად მოკლებული იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დიდი საფრთხე იქმნება იმისა, რომ სანქციების შიშით მართალი ინფორმაცია და საფუძვლიანი, გამართლებული ეჭვიც აღარ გამოითქვას.

ამდენად, აზრის თავისუფლებით *ამჟამად ცრუ ფაქტების* დაცვა გამოირიცხულია, მაგრამ არ გამოირიცხება *ჭორის ან ფაქტების გადმოცემა და დაცვა იმ შემთხვევაში, როცა ამჟამად არ ჩანს სწორია ისინი თუ მცდარი*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა ვერცელდება იმ გამოჩნატქვაებზე, რომელთა მცდარობა წარმოადგენს შემდგომი კვლევის შედეგს, ხოლო დაცული სფეროს ფარგლებში არ ხდება ისეთი ფაქტები, რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამოთქმელმა სუბიექტმა (ანუ შეგნებული სიცრუე) ან რომელთა მცდარობა ცხადია უკვე მათი გამოთქმის მომენტში; ეს ეხება აგრეთვე არასწორ ციტატას, ანუ ცრუ მტკიცებას, თითქოს ვიღაცამ რაიმე აზრი გამოთქვა. ასეთი ფაქტების დაუცველობით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესს ზიანი არ მიადგება, რადგან ისინი არაფერს მატებს პასუხისმგებლობით ხავსე აზრის ფორმირებას. ხოლო თუ ფაქტის მცდარობა მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამით ეს მტკიცება უკუქმევით არ მოწყდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. რას ნიშნავს ასეთი გამოჩნატქვაების დასაშვებობისათვის მათი მცდარობის აღმოჩენა, ეს

არის არა დაცული სფეროს ფარგლების, არამედ ძირითადი უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხი.

3. შეხედულებებისა და ფაქტების გამოიყენება

შეხედულებებისა და ფაქტების ერთმანეთისაგან გამოიყენება საკმაოდ რთულია და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია უკვე აღნიშნულ გარემოებასთან: *გამოთქმის ორივე ეს ფორმა ძალიან იშვიათად გვხვდება სუფთა სახით*. უმთავრესად საქმე გვაქვს სწორედ ისეთ გამონათქვამთან, რომელშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ისე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი თავის მხრივ წარმოადგენს აზრის საფუძველს და ადასტურებს ან უარყოფს მას. ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია მოვანდინოთ გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება. მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუ ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, და, შესაბამისად, მთლიანად შეყვანილ უნდა იქნეს ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ეს გამომდინარეობს აზრის თავისუფლებით დაცული სფეროს ფუნქციიდან. გამონათქვამის მოქცევა 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ჯერ კიდევ არაფერს ამბობს მისი დასაშვებობის შესახებ. მაგრამ სამაგიეროდ იგი აამოქმედებს ძირითადი უფლების დაცვის მექანიზმებს მაშინ, როცა გადავდივართ ამ ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძვლების განხილვაზე. ამ დროს აუცილებელია შეზღუდვები გამართლებული იყოს, ანუ მათ კანონიერი საფუძველი ჰქონდეს. დაცული სფეროდან გამონათქვამის თავიდანვე ამოღება მიგვიყვანს იქამდე, რომ აზრის თავისუფლების შეზღუდვებს არავითარი გამამართლებელი კანონიერი საფუძველი აღარ დასჭირდება. გარდა ამისა, როცა გამონათქვამში ფაქტები და შეხედულებები ერთმანეთთან განუყოფლად არის დაკავშირებული, ზემოაღნიშნული საშუალებით დაცულ

სეკროში ვერ მოხდება არა მხოლოდ ფაქტობრივი, არამედ აგრეთვე მკუთხებითი ელემენტები. ამიტომაც აღინიშნა დასაწყისში, რომ ცნება „აზრი“ ფართოდ უნდა გავიგოთ და განვმარტოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფაქტებსა და შეზღუდულებებს შორის განსხვავება სულ წაიშლება. გამონათქვამის დასაშვებობა ძირითადად სწორედ ფაქტობრივი ელემენტების სისწორეზე იქნება დამოკიდებული.

4. გამოთქმის სხვა ფორმები

შეუძლებელია გამოთქმის ყველა ფორმა მოქცეულ იქნეს შეზღუდულებებად და ფაქტებად აზრის ზემოხსენებულ დანაწილებაში. ეს კარგად ჩანს *კითხვების* სამართლებრივი შეფასების დროს. კითხვები ძირითადად გამოიყენება ფაქტების დადგენის მიზნით. მათი საშუალებით უნდა გაირკვეს (დადასტურდეს ან უარყოფილ იქნეს) ის ფაქტები, რომელთა არსებობის თუ არარსებობის შესახებ საჭიროა ინფორმაციის ბოლოვება. თავად კითხვები არ წარმოადგენს ფაქტებს, თუმცა უშუალოდ არის მათთან დაკავშირებული. კითხვა არ შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი – კითხვები მიმართულია იმის გამოსარკვევად, თუ რა არის სწორი და რა მცდარი. აქედან გამომდინარე, კითხვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ პოლიტიკურ დისკუსიაშია კითხვები აუცილებელი საშუალება, რომლითაც ხალხს შეუძლია მიმართოს პასუხისმგებელ პირებს, რათა მოიპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც არ იქნება გაცემული საკუთარი ნებით. ამიტომ კითხვები ყოველთვის ხდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, რაც თავის მხრივ, აზრის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, არ ნიშნავს იმას, რომ ღირსების შემლახავი კითხვები შეუზღუდავად უნდა იქნეს მიღებული.

IV. დაცულ სფეროში ჩარევა

კონსტიტუციის 24-ე პუნქლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ფარგლების განსაზღვრასთან დაკავშირებით საკამათო შესაძლოა ბევრი იყოს, მაგრამ რაც შეეხება აზრის თავისუფლების შელახვის, მისით დაცულ სფეროში ჩარევის საკითხს, აქ თითქმის არ წარმოიშობა პრობლემები. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული *აკრძალვა, გამოთქვა ან ვაიმპორო რომელიმე კონკრეტული აზრი, აგრეთვე ამ აზრის უარყოფის*

მოთხოვნა, წარმოადგენს ჩარევის ნათელ მკვალით. გამომდინარე იქედან, რომ ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა მოიცავს არა მხოლოდ მისი შინაარსის, არამედ აგრეთვე მისი გამოსახულების, ფორმის დაცვას, ჩარევა ხდება მაშინაც, როცა აკრძალვა ეხება მხოლოდ ფორმას ან ვრცელდება მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებზე, დროში და გარემოებებზე. ჩარევას წარმოადგენს აგრეთვე ისეთი სანქციები, რომლებითაც გამყარებულია გამოთქმის აკრძალვა, როგორებიცაა სასჯელი, ზიანის ანაზღაურება და სხვ. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ძირითადი უფლებით დაცული მოქმედება უშუალოდ იქნეს შეზღუდული ან აკრძალული. საკმარისია ისიც, რომ დაძვგარმა სამართლებრივმა შედეგებმა პრაქტიკულად ხელი შეუშალოს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების განხორციელებას.

V. შეზღუდვები

კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები: „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოეწინება არ ღახავს სხვათა უფლებებს“. სრულიად განსხვავებული და ძალიან ფართოა კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის შესაძლებლობები. ეს დებულება მოიცავს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ „სხვათა უფლებებს“ და მათგან კონკრეტულად ღირსებას გამოყოფს, მაგრამ იმედროულად იგი ადგენს სხვა უამრავ პირობას, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია შეზღუდვით აღიარებული უფლებები (ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებები): აღნიშნული დებულების მიხედვით მოცემული ძირითადი უფლებები „შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის ვაჰკლავების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“ ამ შემთხვევაში ციტირებულ დებულებას უნდა დავეყრდნობ, რადგან, როგორც ვნახეთ,

იგი მოიცავს მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ შეზღუდვის საფუძველს – „სხვათა უფლებებს“. ამასთან, *შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს (1) მხოლოდ კანონის საფუძველზე, იგი (2) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისათვის და (3) მიზნად უნდა ისახავდეს ციტირებულ დებულებაში მითითებული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთეების დაცვას.*

საერთო სასამართლოში შესაბამისი საქმის განხილვის დროს აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებების მნიშვნელობა მოსამართლის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს სამ დონეზე: პირველ ყოვლისა, გამონათქვამის შინაარსის გაგების დროს (*ნორმის შინაარსის დონე*), შემდეგ – შესაბამისი დებულებების განმარტების დროს (*ნორმის განმარტების დონე*), ბოლოს კი – კოლიდირებული სამართლებრივი პოზიციების შედარების დროს (*ნორმის შეფარდების დონე*).

1. გამონათქვამის გაგება

კონსტიტუცია უზრუნველყოფს აზრის გამოთქმის თავისუფლებას. გამონათქვამები მისი დაცვის უშუალო ობიექტებია. ისინი ძირითადად თავისუფალი უნდა იყოს და შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კონკრეტული პირობების არსებობისას, როცა, მაგალითად, ისინი შეუსაბამოდ ლახავს „სხვათა უფლებებს“, ანუ მესამე პირთა კანონიერად დაცულ ინტერესებს. გვაქვს თუ არა ასეთი ზემოქმედება, ეს დამოკიდებულია სწორედ გამონათქვამის შინაარსზე, მის ნამდვილ აზრზე. მაგრამ გამონათქვამის შინაარსი არ არის საბოლოოდ დეფინირებული მხოლოდ მისი ტექსტის მიხედვით. გამონათქვამის ნამდვილი შინაარსის დეფინირება შესაძლებელია კონტექსტის მეშვეობით. ერთსა და იმავე გამონათქვამს სრულიად განსხვავებული შინაარსი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა თანამდევე გარემოებების მიხედვით. განსაკუთრებულ, ერთეულ შემთხვევებში ისიც კია შესაძლებელი, რომ გამონათქვამი იქნის საწინააღმდეგოს ნიშნავდეს, რასაც ამბობს. ამდენად, გამონათქვამის მთავარი აზრი ყოველთვის არის მისი ნამდვილი შინაარსის გამოკვეთისა და დადგენის შედეგი. *არა თვით გამონათქვამი, როგორც ასეთი, არამედ სწორედ მისთვის მიცემული შინაარსობრივი მნიშე-*

ნელობა უდევს საფუძვლად მის სამართლებრივ შეფასებას.

გამონათქვამის ნამდვილი აზრის დადგენისას დაშვებულ შეცდომებს შესაძლოა ძირითადი უფლების სრულიად მიუღებელი შეზღუდვები მოჰყვეს. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ფიზიკური პირის დასჯის თუ დაჯარიმების მიზნით გამოტანილი იქნება სასამართლო გადაწყვეტილება იმ გამონათქვამის გამო, რომლის ნამდვილი აზრი სულ სხვაა და არ ემთხვევა გადაწყვეტილების საფუძვლად დადებულ შინაარსს. გარდა ამისა, შინაარსის გამოკვეთის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამონათქვამი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული სხვადასხვა ურთიერთობებში. ასე ხდება, *მაგალითად*, როცა რომელიმე ცნებას ყოველდღიურ საუბარში ერთი მნიშვნელობა აქვს, სპეციალისტთა შორის დისკუსიისას კი სხვა. შინაარსი ამ შემთხვევაში უნდა გამოიკვეთოს და დაზუსტდეს კომუნიკაციის ყოველი საზის მიხედვით.

2. ნორმის განმარტება

სახელმძღვანელოს დასაწყისში ხაზგასმით აღინიშნა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ძირითადი უფლების შემზღუდავი ნებისმიერი კანონი დამოკიდებულია შეზღუდულ, მაგრამ იმავდროულად მასზე მაღლა მდგომ ძირითად უფლებაზე. ეს დამოკიდებულება თავის მხრივ მოითხოვს, რომ კანონის ნორმათა განმარტებისა და შეფარდების დონეებზე კიდევ ერთხელ მოხდეს ძირითადი უფლებისა და მისი შემზღუდავი კანონით დაცული ინტერესის შედარება (შედარების (აწონ-დაწონვის) მეთოდი). ეს არის სწორედ მოედანი, რომელზედაც თამაშში ერთვებიან დაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეები. შედარების მიზანი კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის კოლიზირებულ სიკეთეთა შესაბამისი დაქვემდებარება და ძირითადი უფლების გადაჭარბებულად შეზღუდვის თავიდან აცილება. ამასთან, ნორმის განმარტება და ნორმის შეფარდება განსხვავდება ერთმანეთისაგან იმით, რომ პირველთან შედარება ხორციელდება ზოგადი, დადგენილი წესების მიხედვით, ხოლო მეორესთან შედარება – საქმის გარემოებების მიხედვით.

შედარების დროს, ბუნებრივია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის პრინციპი, რომელიც საფუძვლეს უყრის პიროვნების განვითარებისა და დემოკრატიისათვის აზრის თავისუფლების უდიდეს მნიშვნელობას

- ახრთა ქვიდლის დროს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებში აზრის თავისუფლების უპირატესობა. აქედან გამომდინარე, კანონის ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც საჯარო კრიტიკის დასაშვებობის ან ინფორმაციის გავრცელებისას გასათვალისწინებელი ვალდებულებების მიმართ გადაჭარბებულ და ძალიან მკაცრ მოთხოვნებს აყენებს, არ იქნება კონსტიტუციის დებულებების შესაბამისი. თუმცა აქ აუცილებლად უნდა შეენიშნოთ, რომ აზრის თავისუფლებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის მიზანი არ არის შეურაცხყოფელი გამოთქმებისა და ამკარად ცრუ ფაქტების გავრცელებაზე ნებართვის მიცემა ან მათი გამართლება. მისი მიზანია თავიდან აიცილოს ის პოტენციური საფრთხე, რომ საჯარო დისკუსია საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემებსა და საკითხებზე შებოჭილი და გაუმღლედი არ დარჩეს სანქციების შიშით.

3. ნორმის შეფარდება

განსაკუთრებული ყურადღება მაინც ნორმათა შეფარდებას უნდა მიექცეს. ამ დროს წარმოიშობა არა მხოლოდ კოლიზიები აზრის თავისუფლებასა და ღირსების დაცვას შორის. ასეთი კოლიზიები შეიძლება წარმოიშვას დაცვის ღირს სხვა სიკეთეებთან დაკავშირებითაც. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ღირსების დაცვასთან დაკავშირებული შემთხვევებია, რადგან "სხვათა უფლებებში", უპირველეს ყოვლისა, სხვა პირთა ღირსების ძირითადი უფლება უნდა ვიგულისხმოთ. აზრის თავისუფლებასა და ღირსებას შორის კონფლიქტში ყოველთვის აზრის თავისუფლებას (ან პირიქით, ღირსების დაცვას) რომ ეძლეოდეს უპირატესობა, ცხადია, შედეგი ყოველთვის წინასწარ ცნობილი და სასამართლო პროცესის რისკიც ძალიან მცირე იქნებოდა. ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ მიზანშეწონილია თავდაპირველად მოკლედ მიმოვიხილოთ აზრის თავისუფლების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში არსებული სასამართლო პრაქტიკა.

ჩანართი 1. აშშ-ისა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკა

ა) ამერიკული გზა: უპირატესობა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ აზრის თავისუფლებისათვის ცალმხრივად და მუდმივად

უპირატესობის მინიჭების გამო ხშირად გამოითქმის საყვედური ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიმართ. უზენაესი სასამართლო აზრის გამოთქმებს, რომლებიც მესამე პირის ღირსებას ლახავს, პირად და საზოგადოებრივ კამათში სხვადასხვაგვარად აფასებს. საზოგადოებრივ კამათთან დაკავშირებულ დაევებში, რომელიც იმით ხასიათდება, რომ მასში *public figures, official conduct* ან *matters of public concern* მონაწილეობენ, დროთა განმავლობაში უპირატესობა სულ უფრო და უფრო გადაიხარა აზრის თავისუფლების სასარგებლოდ. დღეს მოქმედი წესები უზენაესმა სასამართლომ დაადგინა 1964 წელს საქმეზე „*New York Times v. Sullivan*“. ამ წესების მიხედვით, საზოგადოებრივი კამათის დროს შეფასებითი გამონათქვამები ყოველთვის დასაშვებია, მიუხედავად იმისა, როგორი შეურაცხყოფელი თუ უფლებათა შემლახველი შეიძლება იყოს ისინი. ასევე დასაშვებია ფაქტები, მიუხედავად მათი სისწორისა თუ მცდარობისა. გამონაკლისია შემთხვევები, როცა ფაქტები გადმოცემულია შეგნებულად, მათი მცდარობის ცოდნის მიუხედავად ან სიძარბოლესთან აშკარად დაუდევარი მოპყრობის შედეგად (*actual malice*).

შინაარსობრივი შემზღულადეი ფარგლების დადგენა უზენაესი სასამართლოს მიერ დღემდე უარყოფილია. ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა გადაწყვეტილებაში „*Hustler Magazine v. Falwell*“, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიაში ცნობილი „შტრაუსის კარიკატურის“ გადაწყვეტილების გამო.²¹ ჟურნალმა „*Hustler Magazine*“ ფიქტიური სარეკლამო განცხადების სახით გამოაქვეყნა სატირა ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწის ფალკელის შესახებ, რომელიც თითქოს თავად აღიარებდა ინცესტურ ურთიერთობას საკუთარ დედასთან. ჟურნალს სურდა დაეკინებინა მისი მორალური ავტორიტეტი და გამოეხატა იგი, როგორც მწვალებელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ფალკელის სახით საქმე ეხებოდა საჯარო პირს (*public figure*), მიიჩნია დასაშვები გამოთქმის ფარგლების გადაჭარბებად, რადგან, მისი აზრით, გამო-

²¹ გადაწყვეტილებები შევიძლიათ იხილოთ: *Hustler Magazine v. Falwell* in: EuGRZ 1988, 249; “შტრაუსის კარიკატურა”: NJW 1987, 2661; აგრეთვე მათი შედარება: ნოლთე, EuGRZ 1988, 253.

ნათქვამები იყო „outrageous“ (დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი). უზენაესმა სასამართლომ კი ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და მისი სახელით მოსამართლე რენკვისტმა (*Chief Justice Rehnquist*) განაცხადა, რომ „outrageous“ არ არის მისაღები და გამოსაყენებელი მასშტაბი გამონათქვამების დასაშვებობის თუ დაუშვებლობის განსასაზღვრად, და პირიქით, იგი შესაძლოა გადაიქცეს სუბიექტური მიკერძოებისა და მიმზრობის საფუძველად. საზოგადოებრივი კამათის დროს დაშვებულ უნდა იქნეს თვით თავხედური და ეულგარული გამონათქვამები კომუნიკაციის, საჯარო დისკუსიის თავისუფლების ინტერესების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული გადაწყვეტილებისა და საერთოდ ამერიკაში გაბატონებული ამ შეხედულების საფუძველი არის ღრმა რწმენა იმისა, რომ სწორედ აბსოლუტურად შეუზღუდავი აზრთა კვილილი იმოქმედებს ჭეშმარიტების დადგენისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ამდენად, აზრის თავისუფლების საფრთხის გასანიტრალეული წამალი არის „more speech, not enforced silence“ („*ბევრი ლაპარაკი და არა დუმბილი*“). ინდივიდუალურმა ინტერესებმა უკან უნდა დაიხიოს ზინდივიდუალური კეთილდღეობისა და საჭიროებების წინაშე. ინდივიდმა ეს ყველაფერი უნდა აიტანოს, რადგან საბოლოო ჯამში სწორედ იგია ამ თავისუფლების ერთ-ერთი მომხმარებელი; ეს რომ არა, იგი გაცილებით უფრო ცუდად, შეზღუდულად იგრძნობდა თავს სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ საკომუნიკაციო სისტემაში. სწორედ საზოგადოებაში თავისი სეროზული ფუნქციის საფუძველზე იძენს აზრის თავისუფლება ასეთ განსაკუთრებულ უპირატესობას და მნიშვნელობას. სხვა სიკეთეებთან შედარება ნდება არა საქმის შინაარსის, არამედ ზოგადი ნორმების მიხედვით და პიროვნების უფლებებთან კონფლიქტის დროს აზრის თავისუფლებას აქვს გენერალური უპირატესობა.

ბ) *გერმანული ვზა: შედარება.* ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არასოდეს მიუღია. იგი ყოველთვის მოითხოვს საქმის გარემოებების მიხედვით კოლიდირებულ სამართლებრივ სიკეთეთა შედარებას, რაც უნდა განზორციელდეს გამოსაყენებელი კანონების ფარგლებში. ამასთან, არც ერთ კოლიდირებულ

სამართლებრივ პოზიციას არა აქვს უპირატესობა. ამდენად, აზრის თავისუფლება²² არ სარგებლობს რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობით ძირითად უფლებებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას პიროვნების ღირსების შესახებ.²³ ადამიანის ღირსება გერმანიის კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში დიდი მნიშვნელობით სარგებლობს, მაგრამ მას არა აქვს განსაკუთრებული მდგომარეობა. ამიტომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არც იმ შეხედულებას ავითარებს, რომ აზრის თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას შორის კონფლიქტი კონსტიტუციის დონეზე და თანაც ღირსების დაცვის სასარგებლოდ თავიდანვე გადაწყვეტილია.²⁴

გერმანიაში ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების კონსტიტუციური დაცვა განმტკიცებულია (თუმცა არა უშუალო და კონკრეტული მითითებით „ზოგად პიროვნულ უფლებაზე“) ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით.²⁵ იგი უკვე ცხადად ჩანს ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 აბზაცში, სადაც დაფიქსირებულია, როგორც აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მაგრამ მე-5 მუხლის მე-2 აბზაცი არ არღვევს ძირითადი უფლებების სისტემას და უშუალოდ არ ქმნის კონსტიტუციურ შეზღუდვებს. იგი ძირითადი უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურვავენ კანონმდებელს, მაგრამ თავად არ წარმოადგენს შეზღუდვას. ამისათვის იგი ყოველთვის მოითხოვს კანონის არსებობას. ხოლო ეს კანონი, ისევე როგორც ყველა სხვა ძირითადი უფლების შემზღუდავი კანონი, შესაზღუდი ძირითადი უფლების კრილში უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს, რათა ძირითადი უფლების ღირებულებითი მნიშვნელობა ნორმის შეფარდების დონეზედაც დაცული და განმტკიცებული იყოს.

ბ.ა) ფაქტები: ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალშემოქმედებით დადგენილია, რომ მხოლოდ ნამდვილი ფაქტების

²² ახ. გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 5, აბზ. 1, წინ. 1.

²³ ახ. გერმანიის ძირითადი კანონის მუხ. 1, აბზ. 1.

²⁴ NJW 1977, 799.

²⁵ ძირითადი კანონის მუხ. 2, აბზ. 1: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თუ ამით არ იღაბება სხვათა უფლებები და არ ირღვევა კონსტიტუციური წესრიგი ან ზნეობის ნორმები.“

ქსოსხევევაში აზრის თავისუფლებას თითქმის ყოველთვის უპირატესობა აქვს კოლიდირებული სიკეთების წინაშე. მაგრამ ეს წესიც არ არსებობს გამონაკლისის გარეშე. კერძოდ, მესამე პართა ინტიმური სფეროდან გამომდინარე ინფორმაციებზე არ არსებობს არავითარი ლეგიტიმური ინტერესი, მაშინაც კი, როცა ისინი სიმართლეს შეესაბამება. გარკვეული გამონაკლისების ჩათვლელად, ასევე არ არსებობს ლეგიტიმური ინტერესი ამ ინფორმაციების მიმართ, რომლებიც წლობის დარღვევის შედეგად იქნება მოპოვებული.²⁶ მაგრამ სასამართლო პრაქტიკიდან იკვეთება, რომ აზრის თავისუფლება ზოგჯერ უკან იხევს თვით საზოგადოებისათვის საინტერესო სფეროებშიც. ასე მგალითად, გერმანიის ერთ-ერთ სატელევიზიო კომპანიას – „ZDF“-ს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, აკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება. მოუხედავად იმისა, რომ იგი შეეხებოდა საზოგადოებისათვის ძალიან საინტერესო საქმეს და დამნაშავეს, რომლის განთავისუფლების დრო ახლოვდებოდა. აკრძალვა დასაბუთდა იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ პირის რესოციალიზაცია საზოგადოებაში.²⁷ რესოციალიზაცია აქ მიჩნეულ იქნა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიკეთედ, ხოლო ფილმის ჩვენება დამნაშავეს განთავისუფლების დღეს შეფასდა განსაკუთრებით ძლიერ საფრთხედ რესოციალიზაციის პროცესის მიმართ. ფილმის ჩვენება რომ მომხდარიყო ჩადენილი დანაშაულიდან მცირე ხნის შემდეგ, ანუ მასთან დროით კავშირში, მაშინ სიკეთეთა ეს შეღარება სულ სხვაგვარად გადაწყდებოდა. გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არასწორი, მაგრამ აზრის თავისუფლებით დაცული ფაქტები, რომლებიც მესამე პარტის ღირსებას ლახავს ან მას სხვაგვარ ზიანს აყენებს, ძირითადად არ უნდა იქნეს უპრეტენზიოდ მიღებული. კოლიდირებული სიკეთე, კონკრეტულად კი პიროვნებისა და მისი ღირსების დაცვა, აქ, როგორც წესი, უპირატესობას იძენს. თუმცა ამ შემთხვევებში გადაჭარბებულად არ უნდა იქნეს მოთხოვნილი სიზუსტისა და „მზრუნველობის“ ვალდებულებების შესრულება, როცა გამონათქვამი მთლიანობაში სიმართლეს

²⁶ NJW 1984, 1741 - „ჯორჯი-ბილი“.

²⁷ NJW 1973, 1226 - „ლებაში“.

შეესაბამება. მაშინ მკერე უზუსტობებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.²³ *სტეფანოვად*, როცა საზოგადოებაში ცნობილ საჯარო პირზე იბეჭდება საგანგებო წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ამ პირის ოფიციალური შემოსავლების ოდენობიდან გამომდინარე დიდ ეჭვს აწვევს, თუ რა თანხებით ამენდა მისი ძვირადღირებული ოთხსართულიანი სახლი და სამი ავარაკი, ამ დროს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმას, თუკი აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში სახლი სამსართულიანია, ხოლო ავარაკი მხოლოდ ერთი არსებობს. ამასთან, შეიძლება განსხვავებული იყოს შედეგი, როცა საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, არასწორი ფაქტების სანქციონირებასთან და, მეორე მხრივ, მათ შემდგომ გავრცელებასთან. მაშინ, როცა უკვე გამოთქმულია ფაქტი და დადასტურებულია, რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, ასეთი ფაქტის შემდგომ გავრცელებაზე არ არსებობს არავითარი ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი. ამდენად, სარჩელი ამ ფაქტის შემდგომი გავრცელების წინააღმდეგ ყოველთვის წარმატებას პოუვებს.

ბ.ბ) შეხვედრები (შეფასებითი გამოხატვები): გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეხვედრეების მიმართაც დაადგინა სამაგალითო წესები, რომლებითაც ჩამოყალიბებულია შედარების პრინციპი.

აზრის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, როცა გამონათქვამით შელახულია ადამიანის ღირსება. ადამიანის ღირსების, როგორც ყველა ძირითადი უფლების საფუძვლის, შედარება სხვა სიკეთებთან დაუშვებელია. ეს დადასტურა კიდევ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ „შტრაუსის კარიკატურის“ საქმეში, რომელიც ძალიან ჰგავს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს „*Hustler Magazine v. Falwell*“. ერთ-ერთ სატირულ უკრნალში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე შტრაუსი²⁴

* NJW 1982, 2655 - Kredithaie.

²³ *ფრანკ-იოზეფ შტრაუსი* მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ვარდაცვალებამდე (1988) გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსი იყო. წლების მანძილზე თავისუფლობაზედა მმართველ კოალიციაში შემაჯალ ქრისტიანულ-სოციალურ კემპის, იყო ბავარიის პრეზიდენტი-მინისტრი და ეჭირა გერმანიის სხვადასხვა დარგის ფედერალური მინისტრის პოსტები.

გამონათქვამი იყო ღირის სახით, რომელიც სხვა, მოსამართლის სამოსელში ჩაცმულ ღირებთან ატარებს სექსუალურ აქტს. ჟურნალი ამით მოუთხოვდა კონკრეტულ სასამართლო პროცესზე, რომელიც შტრაუსმა მოიგო. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ამაში დაინახა მწვავე პოლიტიკური კამათის ფარგლების გადაჭარბებით განხორციელებული შეღავა შტრაუსის ღირსებისა და დადასტურა საერთო სასამართლოს მიერ ჟურნალისათვის გარკვეული ანაზღაურების დაკისრება.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეხედულებების დროს პიროვნების დაცვის ინტერესი უპირატესობას ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც, როცა გამონათქვამი დადასტურებული იქნება, როგორც ფორმალური შეურაცხყოფა ან უხამსი კრიტიკა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა ძალიან ვიწრო დეფინირება საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული ცნებისა **„უხამსი კრიტიკა“**, რადგან იგი იწვევდა აზრის თავისუფლების შეზღუდვას. გამონათქვამის ღირსების შემლახველი შინაარსი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი უხამსი კრიტიკაა. მითუმეტეს არც გადაჭარბებული და მწვავე კრიტიკა ამისათვის საკმარისი. უხამსი კრიტიკა სახეზე გვაქვს მაშინ, როცა გამონათქვამის შინაარსის მიხედვით წინა პლანზე დგას არა კონკრეტულ საკითხზე არსებითი კამათი, არამედ პიროვნების დიფამირება.¹¹ სწორედ ასეთი იყო კრიტიკოს **ქენშეიდის მიერ ჰაინრიხ ბოლის** ნაწარმოებების შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიის საქმე, რომელშიც იგი ბოლს უწოდებდა **„ველაზე ნაძირალი, კორუმპირებულ“** ავტორს და მის ნაწარმოებებს **„აყროლებულ განავალად“** მოიხსენიებდა. ამ რეცენზიაში არ იყო არც ერთი პუნქტი, რომელიც როგორცაა საუკუქელად დაედებოდა ამ გამონათქვამებს ბოლის ან მისი ნაწარმოებების შინაარსობრივი და არსებითი კრიტიკის თვალსაზრისით.¹²

ღანარჩენ შემთხვევებში შედარება უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით და აზრის თავისუფლებაში ჩარევის სიძლიერე შესაბამისად დაკავშირებული უნდა იქნეს კოლიდირებულ, კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაცულ სიკეთებში ჩარევის სიძლი-

¹¹ NJW 1983, 1415 - „NPD“-კერძა.

¹² NJW 1993, 1462 - „ბილი“.

მესიან. ამ დროს ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს კომუნიკაციის ხასიათი, ანუ გამონათქვამის სკეშირი სიტუაციასთან, რომელშიც იგი გამოითქვა. მიზეზი და რეაქცია აუცილებლად დაკავშირებული უნდა იქნეს ერთმანეთთან.¹² ამის საფუძველზე „საპასუხო დარტყმა“ სხვაგვარად იქნება შეფასებული, ვიდრე „პირველი დარტყმა“, და იმ პირმა, ვინც საკუთარი გადაწყვეტილებით ჩააყენა თავი საზოგადოებრივ აზრთა ჭიდილში, უფრო მეტი უნდა აიტანოს, ვიდრე მან, ვინც ამ ბრძოლაში თავისი ნებით არ ჩაბმულა, ანუ ჩათრეული აღმოჩნდა.¹³

VI. ვარაუდის წესი

როგორც ვნახეთ, ამერიკული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებისა და დავების გადაწყვეტის საკითხებში. ამ სახელმწიფოებში წლების მანძილზე წარმოებული სასამართლო პრაქტიკით დადგინდა გარკვეული წესები, რომლებიც ამკამდ სტაბილურად გამოიყენება აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ამ ქვეყნების სამართალმემოქმედებათა მსგავსება ისაა, რომ ორივეგან ხაზგასმულია აზრის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. თუმცა ამჟამად მათ შორის განსხვავება: ამერიკის შეერთებულ შტატებში პიროვნების უფლებებთან კონფლიქტის დროს აზრის თავისუფლებას აქვს აბსოლუტური უპირატესობა, გერმანიაში კი პირიქით, აზრის თავისუფლებამ უკან უნდა დაიხაოს, როცა შეხედულებით (შეფასებითი გამონათქვამით) შელახულია პიროვნების ღირსება (ვარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხაქმე ეხება საჯარო პირის საქმიანობას ან საზოგადოების გამსაკუთრებული ინტერესის საგანს).

დემოკრატიულ სახელმწიფოში ზემოაღნიშნულ ძირითად უფლებათა შორის კონფლიქტის სიხშირიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში სასამართლოთა სამართალმემოქმედებით გარკვეული სტანდარტების დადგენა. აქ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით,

¹² NJW 1969, 227.

¹³ NJW 1980, 2069 — „ხელაუნების კრიტიკა“.

წყველად სხვა ძირითადი უფლებებისა (გამონაკლისი მხოლოდ საკუთრებას უფლება), ქართული სასამართლო პრაქტიკა, სამშუხარზოდ, საკაოდ მწირია. ამის ძირითადი მიზეზი ალბათ ის არის, რომ საქართველოში მხოლოდ 1995 წლის კონსტიტუციით შეიქმნა ადამიანის ძირითადი უფლებებით განმტკიცებული ღირებულებათა სისტემა და ახალგაზრდა სახელმწიფოს სასამართლოებს ძირითადი უფლებების გამოყენებისა და მათი მნიშვნელობის განმარტების გაცილებით მცირე გამოცდილება აქვთ. ამდენად, აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კოლიზიის გადაწყვეტის საკითხს, ძალიან ფრთხილად უნდა მიუყვდეთ.

დავიწყოთ იმით, რომ გერმანიაში ადამიანის ღირსება ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლად არის მიჩნეული და თუნდაც ამის გამო გამოირჩევა განსაკუთრებული მნიშვნელობით. შესაბამისად, სრულიად ნათელი ხდება გერმანიის სასამართლოთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. სწორედ აღნიშნულის გამო ენიჭება ადამიანის ღირსებას აბსოლუტური უპირატესობა აზრის თავისუფლების (შეფასებითი გამოწვევების შემთხვევაში) მიმართ. მაგრამ საქართველოს კონსტიტუცია მსგავსი დისკენების ვაკეობის საფუძველს არ იძლევა. ღირსების ძირითადი უფლების დიდი მნიშვნელობა აღიარებულია, მაგრამ ასევე დიდია აზრის თავისუფლების მნიშვნელობა. ანუ ღირსების უფლება არ სარგებლობს განსაკუთრებული მდგომარეობით ძირითად უფლებებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას აზრის თავისუფლებაზე. შესაბამისად, სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება უნდა დაედოს საფუძვლად მათ შორის კოლიზიის შემთხვევების გადაწყვეტას. კერძოდ, *ამ ორი ძირითადი უფლების კოლიზიისას შედარების (აწონ-დაწონვის) მეთოდის გამოყენებით უნდა მოხდეს მათი (კოლიდირებული სიკეთეების) შედარება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით*. ნამდვილი ფაქტების შემთხვევაში აზრის თავისუფლებას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, *შვეალითად, პიროვნების ინტიმური სფერო*). შედარება და არა თავიდანვე ღირსების დაცვისათვის უპირატესობის მინიჭება უნდა მოხდეს მაშინაც, როცა საქმე ეხება ფორმალურ შეურაცხყოფას ან უხამს კრიტიკას. მოცემული საქმის ყოველი დეტალი ზედმიწევნით უნდა შემოწმდეს, რათა აზრის თავისუფლება უსაფუძვლოდ არ შეაზღუდოს. ამ დროს ასევე გათვალის-

წინახული უნდა აქნეს ის, რაც ზემოთ ვეკვ აღინაშნა: დისკუსიის, კომუნიკაციის ხასიათი. ანუ გამონათქვამის კაცშირი სიტუაციასთან, რომელშიც აგი გამოითქვა.

ზემოაღნიშნული კოლიზიების გადაწყვეტისას მიზანშეწონილია მოსამართლეებმა გამოიყენონ ე.წ. კარაულის წესი, რომლის მიხედვითაც, ამ შემთხვევებში, როცა საქმე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს ან საჯარო პირსა და მის საქმიანობას ეხება, წინასწარ უპირატესობა ენიჭება აზრის თავისუფლებას.

კარაულის წესის საფუძველი ისაა, რომ საჯარო კამათისა და დისკუსიის დროს საქმე გვაქვს არა მხოლოდ ორ დაპირისპირებულ ინდივიდუალურ ინტერესთან, რომელთა შედარებაც უნდა მოხდეს, არამედ ამ კამათში (კომუნიკაციაში) შემოდის აგრეთვე ზეინდივიდუალური ინტერესი, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული პროცესის არსებობა და განვითარება. თუმცა დემოკრატიის პრინციპთან უშუალო კავშირშია არა მხოლოდ კომუნიკაციის ძირითადი უფლებები. ფაქტობრივად ყველა ძირითადი უფლება უზრუნველყოფს დემოკრატიის პროცესს იმით, რომ ისინი ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, საზღვრავს ინდივიდის პირად სფეროს, რომელშიც მას შეუძლია საკუთარი პიროვნება თავისი შეხედულებისამებრ განავითაროს, აგრეთვე ხელს უშლის იმას, რომ პოლიტიკურმა აქტიურობამ ეკონომიკური ან პროფესიული პრობლემები შეუქმნას მოქალაქეებს. მაგრამ სხვა ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, კომუნიკაციის ძირითადი უფლებები უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიასთან: თავისუფალი აზრი და სიტყვა, თავისუფალი კომუნიკაცია და ამით შექმნილი საჯაროობა წარმოადგენს დემოკრატიის არსებობის მთავარ წინაპირობას და დემოკრატიის პრინციპის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს. მათთვის ხელის შეშლა მაშინვე პირდაპირ დარტყმას აყენებს დემოკრატიის განხორციელების შესაძლებლობას. ამდენად, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების დებულებათა გამოყენების დროს მუდმივად ყურადღება უნდა ექცეოდეს იმ უკურეაქციას, რომელსაც გამოიწვევს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვა დემოკრატიის პრინციპისათვის.

მიუხედავად ამისა, ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა აქვს. სწორედ დემოკრატიის

პრინციპი არ მიიხსნევს დასაშვებად იმ გამონათქვამებს, რომლებიც ლახავს მესამე პირობა ძირითადი უფლებებით დაცულ სიკეთებს. თვით სიტყვა „კარაუდიც“ არ ნიშნავს „აბსოლუტურ უპირატესობას“. შესაბამისად, კარაუდის წესი არ მოქმედებს, როგორც აბსოლუტური უპირატესობის წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: თუ დადგინდება, რომ გამონათქვამით შეცნობულად გავრცელდა ცრუ ფაქტები და უზამში კრიტიკით დაირღვა სხვა პირის კანონიერი უფლებები, მაშინ შედარების შედეგად ღირსების დაცვას შეიძლება ძიენიჭოს უპირატესობა, ხოლო როცა გამონათქვამი ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს (ე.წ. შინაარსობრივი მასშტაბი) ან საჯარო პირს, მის ფუნქციებსა და საქმიანობას (ე.წ. პიროვნული მასშტაბი) და ხელს უწყობს საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესს, აქ შედარება მაინც საჭიროა, მაგრამ იმავედროულად ეარაუდი წინასწარ აზრის თავისუფლების სახარგებლოდ უნდა გამოითქვას. ასეთი საკითხი შეიძლება იყოს, მაგალითად, პარლამენტის კულუარებში რამდენიმე ფრაქციის მიერ გამართული საიდუმლო მოლაპარაკებები ან რომელიმე კონკრეტულ თანამდებობის პირზე გავრცელებული ინფორმაცია და შემდეგ მასზე განვითარებული საჯარო დისკუსია. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის დროს უამრავი მწვავე, პოლემიკური, დაუფიქრებელი და ირონიულ-სარკასტული აზრი შეიძლება გამოითქვას, საიდუმლო მოლაპარაკების მონაწილეებსა და კონკრეტულმა თანამდებობის პირმა, რომელიც საჯარო პირია, უნდა ითმინონ და აიტანონ ეს დისკუსია და გამოთქმული კრიტიკა. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ამ ადამიანის პიროვნება და საქმიანობა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და მის შესახებ ყოველგვარ ინფორმაციაზე არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი. იგი ხომ იძულებით არ დაუნდმნავთ თანამდებობაზე, თავისი სურვილით დაიკავა საპასუხისმგებლო პოსტი, შესაბამისად, თავიდანვე უნდა შეეგუოს, რომ მის პიროვნებასა და საქმიანობას ყოველთვის ყურადღება მიექცევა საზოგადოების, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან. ეს ზოგჯერ შექტად მწვავე, ზღამექტად კრიტიკული, მისი შეხედულებით „უსამართლო შეფასებები“, რომლებიც ძლიერ განსხვავდება საკუთარი შეფასებებისაგან.

მან, როგორც საჯარო პირმა, უნდა მოითმინოს და აიტანოს. იგივე შეიძლება ათქვას კულუარებში მიმდინარე პოლაპარაკების მონაწილეებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ ისინი ჩათვლიან, რომ საჯარო დისკუსიას დაარღვევს მათი უფლებები, გვექნება სწორედ ზემოხსენებული სახის კოლიზია. სადაც იმოქმედებს ვარაუდის წესი, ანუ წინასწარ უპირატესობა მიენიჭება აზრის თავისუფლებას, რადგან საქმე ეხება საჯარო პირის საქმიანობას და საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს (პოლიტიკურ პარტიათა კულუარულ პოლაპარაკებას) და არა მოქალაქეთა ჩვეულებრივ დავას. თავისუფალ აზრსა და სიტყვას კი, განსაკუთრებით საზოგადოებისათვის ხინტიერესო საკითხებთან დაკავშირებით, მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სასამართლოთა პრაქტიკითაც დამკვიდრდეს ეს პრინციპი, თუნდაც იმიტომ, რომ აზრის თავისუფლებით შექმნილი საჯაროობა საქართველოს კონსტიტუციაზე დაფუძნებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

VII. კონკრეტული სასამართლო საქმეები

ქვემოთ მოტანილ საქმეთა უმრავლესობა უცხო სახელმწიფოთა სასამართლოებში განხილულ დავებს წარმოადგენს. მათ საფუძველზე უფრო ნათელი გახდება აზრის თავისუფლების შინაარსი, მნიშვნელობა და მოქმედების ძალა.¹⁴ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქმეთა განხილვას დაეიწყებთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებით, რომელიც აზრის თავისუფლებასა და პიროვნების ღირსებას შორის კონფლიქტის შესახებ მიღებულ სამაგალითო გადაწყვეტილებას წარმოადგენს. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო აზრის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

¹⁴ ამ საქმეთა განხილვისას გამოყენებული იქნება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები. რათა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი აზრის თავისუფლების მნიშვნელობა.

საქმე №1: საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის 2001 წლის დასაწყისში წარდგენილ საქმეში უზენაესი სასამართლოს აზრის თავისუფლება კოლიზირებული იყო პარლამენტის წევრის ღირსებასთან. უზენაესმა სასამართლომ ამ დავასთან დაკავშირებით მიიღო ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქმის არხი: 1999 წელს ვაზთ „ლანჩხუთი პლუსში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ეპ, რომან, რომან“. ლანჩხუთის რაიონიდან არჩეულმა პარლამენტის წევრმა რომან კვაჭაძემ საკუთარი პატივისა და ღირსების შელახვად მიიხსნა სტატიაში მის შესახებ გამოთქმული ფრაზები: „ეინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ ვაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია?“, „მატყლის საჩუქად ვაგიშუა ლანჩხუთმა პარლამენტში?“, „ვაზეთის წაკითხვა არ ვცოდნია“, „კანონის წაკითხვაც ვერ ვისწავლია ერთი რიგითი მოქალაქის დონეზე“, „დავიჯერო სამივე მოსმენის დროს კვიძანა?“, „იმეორი გამოხტომებასათვის თავში წაუთაქებენ ხოლმე, ჩემო რომან, მაგრამ ვაი, რომ მარტო ეს არ უშეუღბის შენს ვაგირვებას“, „ჩვენში ყოველ ნამსჯევარს აზნაურობა სწალია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლიობა“. რომის კვაჭაძემ სარჩულით მიმართა სასარალოს (მოპასუხეები იყვნენ – ზაზა და ქეთევან ნაკაშიძეები) და მოითხოვა გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი ფორმით, 25 000 ლარის ოდენობით.

რ. კვაჭაძემ თავდაპირველად წარმატებას მიიღწია, მაგრამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ვაზეთში გამოქვეყნებული სტატია არის პარლამენტის წევრის საქმიანობის კრიტიკული შეფასება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად.

რ. კვაჭაძემ საკასაციო წესით ვაასაჩივრა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო.

საქმის მსალების გაცნობისა და მხარეთა პოზიციების შეფასების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა რ. კვაჭაძის საკასაციო საჩივარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული აზრის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნდამენტი, მისი პროგრესის აუცილებელი პირობა. აზრის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქმნის პრესისათვის.

დაცული ტერიტორიების შესახებ“. ეს კანონი ღაბაშვილი დასაბუთების რაიონის მკვიდრებთან სასიციველო ინსტრუქციებს. სტატიის ავტორები მოუთხოვნიდნენ, რომ ღაბაშვილის რაიონის დეპუტატი რ. კვაჭავაძე წინ არ აღუდგა კანონის ისეთი ნორმების მიღებას, რომლებიც თავისი შედეგებით ზიანის მომტანი იყო რაიონისათვის. იგი ვაიკტორულა მხოლოდ 1999 წელს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების პერიოდში.

უხანჯესმა სასამართლომ მიანიჭა, რომ სტატიამ გამოთქმული, ზემოთ დასახელებული ფრაზები არის შეფასებითი მხედველობები დეპუტატის საქმიანობის შესახებ, რომელთა გამოქვეყნება საქმეში თავსდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ აზრის გამოთქმისა და გავრცელების თავისუფლების ფარგლებში.

საქმე №2: ეს საქმე გერმანიის სასამართლოებში იქნა განხილული და ეხება პრესით გავრცელებულ საპირისპირო მოსაზრებას (შეპასუხებას), რომელიც წარმოადგენს პასუხს პრესის შემოტყუაზე და შესაბამის ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე.

საქმის არხი: 1954 წელს ჟურნალი „მსიველი“ ამტკიცებდა, რომ მტკუტგარტის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, პროფ. ესორ მშადის პოლიტიკური მდგვაწუბით ამჟარად „შეიძნეოდა ე.წ. წითელი ხაზი“. მან დასაშუებად გამოაცხადა არსებული სამართლებრივი წესრიგის რეველეციურა ცვლილებები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ შეხვედრაზე პარტიისა და პროფკავშირების ფუნქციონერთა წინაშე ოქტომბრის რეველეციას უწოდა „ლევიტიმური პოლიტიკური ვაფიციის მგალითი“. გარდა ამისა, იგი ერთ-ერთი ღანღტავის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი დეპუტატისათვის იმუნიტეტის ჩაპრობების წინააღმდეგ გამოვიდა. მშადმა ეს მოსაზრებები ძალიან ენერგიულად გაპროტესტა და რამდენიმე ვაზეთში ერთდროულად გამოაქვეყნა თავისი პოზიცია, რომელშიც მან მწევედ უპასუხა „მსიველში“ გამოქვეყნებულ წერილს. პროფესორი აცხადებდა: „კინ მოიფიქრა ტყელი, მე არ ვიცი, მგრამ „მსიველი“ მს აერცელებს და აწედის საზოგადოებას, სტატიაში უამრავია მგნებელი დაძხინჯება ფაქტებისა. სტატია წარმოადგენს პუბლიცისტისთვის ისეთ სახეს, რომელიც პოლიტიკის სფეროში ზუსტად იგვეყა, რაც პორნოგრაფია მორალის სფეროში. ეს არის ე.წ. მდის აღმსურელი დიტერატურა, რისთვის არსებობაჟი, როგორც ჩანს, საჭიროა ციველიზაციას ბრევეტში.“

„მსიველის“ პასუხისსტეებელმა რედაქტორმა და გამოძეველმა შეურა-

ცხელივად ეკრძებოდა თავი ზემოაღნიშნული ტექსტის გამო და სასამართლოში შეაკეტეს შესაბამისი სარჩელი. სასამართლოს 1956 წლის განაჩენით პროფესორ შშიდს შეურაცხყოფისათვის მიესაჯა 150 მარკის ვადასა და ერთკვირიანი პატიმრობა. სარჩელის ავტორებს მიეცათ ვადაწყვეტილებას გამოქვეყნების უფლება. პროფესორმა შშიდმა ზემდგომ სასამართლოებში გაასაჩივრა ვადაწყვეტილება. მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ძილის მან თავის უფლებათა დასაცავად მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

სასამართლო, რომელიც შეურაცხყოფის საქმეს იხილავს, ღირსების დაცვის შესახებ დებულებებთან ერთად იყენებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებს, ანუ ჩვეულებრივი კანონის ნორმებს. ეს ვადაწყვეტილებები მხოლოდ იმ თვალსაზრისით შეიძლება გადაიხედოს, მოხდა თუ არა ღირსების დაცვის დებულებების გამოყენებისას კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებათა სისტემის გვერდის ავლა, რითაც დაირღვეოდა სასამართლებულის ძირითადი უფლებები. მოცემულ საქმეში სწორედ აღნიშნული გადახვევა გვაქვს. საერთო სასამართლოთა განაჩენები არღვევს მოსარჩელის ძირითად უფლებას, რომელიც გამოძინარეობს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, რადგან მათში არ არის დანახული და გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების განსაკუთრებული მნიშვნელობა. შესაბამისად, აზრის თავისუფლად გამოთქმის ძირითადი უფლების ზეგავლენა ღირსების დაცვის დებულებების განმარტებასა და შეფარდებაზე შეცდომით და არასაკმარისად არის შეფასებული.

1. ზემოთ მოცემულ ანალიზში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებისა და მისი შემზღუდავი კანონის ნორმების ურთიერთობა არ უნდა გავიგოთ. როგორც ძირითადი უფლების ცალმხრივი შეზღუდვა ამ კანონების მხრიდან. აქ ხდება „ურთიერთზე-მოქმედება“ იმ თვალსაზრისით, რომ კანონის ნორმები, კონსტიტუციის ტექსტის სიტყვასიტყვითი გაგებით, ძირითად უფლებას ზღუდავს, და შესაბამის ფარგლებს უდგენს მას, მაგრამ თავის მხრივ, თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში იმ ძირითადი უფლების ღირებულებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ნორმები შესაბამისად უნდა იქნეს განმარტებული და ძირითადი უფლების შემზღუდავი ზემოქმედებაში ისევ თავად უნდა იქნენ შეზღუდული. კონსტიტუციამ ძალიან დიდი მნიშვნელობა მანიჭა აზრის თავისუფლებას. აზრის თავისუფლება, როგორც საზოგადო-

ბრის პიროვნების უშუალო გამოხატულება, არის ერთ-ერთი უპირველესი ძირითადი უფლებათაგანი, ექვე ეს ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ვარდა ამისა, ეს ძირითადი უფლება თავისუფალი დემოკრატიული წესობილებისათვის „უბრალოდ ჩამოყალიბებელია“, რადგან უზრუნველყოფს ადამიანთა შორის სულიერ, ინტელექტუალურ ჭიდილს, იდეებისა და ინტერესების თავისუფალ ურთიერთდაპირისპირებასა და კამათს, რაც დემოკრატიული სახელმწიფო წესობილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

2. საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე თემებსა და საგნებზე თავისუფალი საჯარო დისკუსია უზრუნველყოფს საჯარო აზრის თავისუფალ ჩამოყალიბებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საჭირო „პლურალისტურ“ ვარიანტში განსხვავებული მოტივების საფუძველზე გამოთქმული, მაგრამ ყველა შემთხვევაში თავისუფლად გამოხატული შეხედულებებით, უპირველეს ყოვლისა, სიტყვიერი გამოსვლითა და მასზე შეპასუხებით ხორციელდება. ყოველ ინდივიდს, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიხედვით, უზრუნველყოფილი აქვს ამ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის უფლება. პრესა, რადიოსთან და ტელევიზიასთან ერთად, არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. სწორედ ამიტომ კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს პრესის თავისუფლების ძირითად უფლებას.

გამომდინარე აქედან, აზრის თავისუფლების მნიშვნელობამ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში მოცემულ სიკეთთა (ღირსებისა და აზრის თავისუფლების) შედარებაზე სერიოზული გაელენა უნდა მოახდინოს.

3. მოცემულ საქმეში საერთო სსსამართლოებმა საქმის მინაარსი სრულიად არასამართლიანად, მხოლოდ პიროვნული ღირსების დაცვისა და ღირსების შეღავთვიდან გამომდინარე ინტერესის დაცვის თვალსაზრისით დაინახეს, იმავდროულად კი არ შეაფასეს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციის განსაკუთრებულობა და მისთვის დამახასიათებელი იმპენტური ელემენტის – საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მნიშვნელობა.

გასათვალისწინებელია მოსარჩელის პოზიციაც, რომელსაც სრული უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს, თუ რა სახეს მისცემს სადისკუსიოდ გამოტანილ თემაში საკუთარ შენატანს (შეხედულებას). მისი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი ძირითადად იქნება „შვიდელის“ მსგავსი ინფორმაციები და ის საჭიროება, რომ შესაბამისი შეპასუხებით შექმნა ადამიანთა გავრცელებული ცნობების ზეგავლენას საჯარო აზრის ჩამოყალიბებაზე.

თუ „შპსველმა“ მოსარჩელეზე გავრცელებული ცნობებით მართლაც დასაბუთებულ კვებს აღძრავს, რომ მან („შპსველმა“) სამართლის ფარდის ქვეშ არაზუსტი ინფორმაცია (ნაწილობრივი სიმართლე) მიაწოდა მკითხველს, მაშინ საჯარო დისკუსიაში მოსარჩელის შენატანი შეიძლება იყოს სავაჭუთო სტატია, რომელშიც „შპსველი“, როგორც არაზუსტი ცნობების გამავრცელებელი, შესაბამისად იქნება გაკრიტიკებული. ამდენად, „შპსველმა“ თავად მისცა საფუძველი დამამცირებელ შეფასებას, რომელიც მის მიმართ გამოითქვა; ამიტომ იგი იძულებული და ვალდებული იყო ძირითადად მიეღო და მოეთმინა მსგავსი შეფასება, რომელიც მის ავტორიტეტს ამცირებდა და ლახავდა. ერთ-ერთი საერთო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მიცემული უფლება, მხოლოდ „მინარსობრივად უარყო“ მის მიმართ წაყენებული პრეტენზიები და ბრალდებები, სრულიად არ იყო საკმარისი „შპსველის“ სტატიის მიერ საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესზე მოხდენილი ზეგავლენის შესამცირებლად ან უარსაყოფად. გამოიძინარე იქედან, რომ ეს სტატია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე განხორციელებულ ზემოქმედებას ნაკლებად უმაღლის გავრცელებულ სიცრუეს (უფრო მეტად კი ეს ზემოქმედება ზოგიერთი ფაქტის დამალვამ და აქცენტების სრულიად სხვაგვარად დასმამ გამოიწვია), მხოლოდ „მინარსობრივი შეპასუხება“ სრულიად არასაკმარისი იყო და მისი საშუალებით შეუძლებელი იქნებოდა იმ უარყოფითი მოთხვედრის გაქარწყლება და გადალახვა, რომლებიც შეექმნებოდა ამ ყოველკვირეული და მკტად პოპულარული ჟურნალის უამრავ მკითხველს.

4. აღნიშნული დასაბუთების შეჯამების შედეგად მიედივართ შემდეგ დასკვნამდე: სასამართლოები აღიარებენ, რომ მოსარჩელეს მხოლოდ პირადი ღირსების დასაცავად აქვს ლეგიტიმური ინტერესი და შეუძლია მხოლოდ „მინარსობრივად უარყოს“ გასაჩივრებული სტატია. მაგრამ კოდექსის შესაბამის ნორმაზე კონსტიტუციის 24-ე მუხლის ზემოქმედება, რაც, როგორც დაეასაბუთეთა, ნამდვილად ხდება, მოითხოვს, რომ აღიარებულ იქნეს მოსარჩელის კიდევ ერთი ლეგიტიმური ინტერესი: ზემოქმედება მოახდინოს საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესზე, რომელიც ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს, და მისი გამოთქვაში შეფასებულ იქნეს, როგორც საზოგადოებისათვის მიწოდებული არასწორი ინფორმაციის საპრიმიპარო შეპასუხება. იმის გამო, რომ მსგავსი რამ გასაჩივრებულ განაჩენებში არ მომხდარა, ამით დაირღვა მოსარჩელის ძირითადი უფლება, რომელიც უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით – აზრის თავისუფლება.

საქმე №3: ამ საქმეში გაანალიზებულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობა ერთ-ერთ კერძო დაცვის ფირმაზე გამოქვეყნებული არონიულ-კრიტიკული მოსაზრებების შეფასებისას.

საქმის არსი: მოსარჩელები ელაობენ გამოძევებობას, სადაც ვაიხიკებს საფოსტო ბარათების სერია, რომელიც ირონიულ-კრიტიკულად აფასებს მიუნქენის ტრადიციულ ურთიერთობებს. შავ-თეთრი ფოტოების სახაი გამოცემული ბარათები ასახავს სხვადასხვა მოტვეებს, რომლებიც ბარათის უკანა გვერდზე შესაბამისად, მოკლეაა კომენტარებული. ერთ-ერთი ბარათის წინა მხარეს ასახულია მოძღობარი პირი, რომელსაც აცეია შავი ტყავის ქურთუკი და ახურავს შავი ქუდი, ქურთუკსა და ქუდზე კი მიკრული აქვს პატარა სამსახურის მედალი. მისი თვალები დაფარულია გამოქვეყნებული ბეჭდური ლაიხა. ასეა წარმოადგენილი პირველი პროცესის მოსარჩელის, მიუნქენში არსებული უსაფრთხოების კერძო სამსახურის ყოფილი დანაცვა. ბარათის უკანა გვერდზე წარწერაა: „სამართალი და წესრიგი – მიუნქენი, 1980“. წინა მხარეს მოცემული სურათი მასზე ასახული პირის ნებართვით არის გადაღებული და გამოცემული.

თავდაპირველ პროცესზე მაშინდელი მოსარჩელე (უსაფრთხოების სამსახური) ახლანდელი მოსარჩელისაგან (გამოძევებობისაგან) ითხოვდა გამოცემის შეწყვეტას და ხრულ ინფორმაციას ამ ბარათის წარმოებისა და გაყიდვის მიმდინარეობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს მოთხოვნები უარყო, მაგრამ შემდგომში სასამართლომ ახლანდელ მოსარჩელეს აუკრძალა იმ საფოსტო ბარათების წარმოება, რომლებზედაც გამოსახული იყო უსაფრთხოების კერძო სამსახურის თანამშრომელი; ინკვარითულიად მოსარჩელეს მოსთხოვა ფირმისათვის მიუწოდებინა სრული ინფორმაცია სადავო საგნის (ბარათის) რაოდენობის, წარმოების, გაყიდვისა და ამ პროცესით მიღებული სუფთა მოგების შესახებ.

მოსარჩელემ (გამოძევებობამ) საკონსტიტუციო სასამართლოს მმართა და წარმტებას მოაქწა.

1. მიცემულ საქმეში საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუკრძალა იმ „საფოსტო ბარათების გავრცელება, რომლებზედაც გამოსახულია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი“. მიუხედავად კონკრეტული მითითებისა მხოლოდ ბარათის წინა გვერდზე გამოსახული სურათის აკრძალვაზე, ამით ფაქტობრივად იკრძალება აგრეთვე სადავო საგნის (საფოსტო ბარათის) უკანა გვერდზე მოცემული წარწერის გავრცელება. ამის შედეგად მოსარჩელეს იკრძალება სურათითა (წინა გვერდზე)

და წერილობით (უკანა გვერდზე) გამოხატული აზრის გამოთქმა. გასაჩივრებელი გადაწყვეტილება ითვალისწინებს, რომ აქ საქმე ეხება არა ე.წ. შავი შერიფის გამოსახულებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა აღნიშნული კერძო დაწესებულებისა და მისი პასუხისმგებელი პირების კრიტიკას. შინაარსობრივად ღარიბი ტექსტის მოკლე, მაგრამ ძლიერი მოქმედება არაფერს ცვლის ისაში, რომ საქმე გვაქვს აზრის გამოთქმასთან. ასეთ მოკლე და დანაწევრებულ აზრსაც, მთ უმეტეს სურათთან კავშირში, თავისუფლად შეუძლია ვადმოსცეს უსაფრთხოების სამსახურის კრიტიკა; თავად სურათი, მასზე მოცემული განაიება, გამოსახული პირის მდგომარეობა და სახის გამომეტყველება გამოხატავს ძველობისა და საშიშროების განსაკუთრებულ შერწყმას. ამ პირის ოჯახებზე გადაკრულ გამუქებულ ლაქებს შეუძლია გამოიწვიოს ასოციაცია პოლიციელთან, რომელიც პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფოტოებში ხშირად სწორედ ასეთი სახითაა წარმოდგენილი. ტექსტი „სამართალი და წესრიგი“ გარკვეულ პარალელს ავლებს არცთუ უნიშნელო იდიომასთან “law and order“ და არაორაზროვნად მიუთითებს, თუ რას ფიქრობენ მოსარჩელები: ასე გამოიყურებიან „წესრიგის დამცველები“, რომლებიც პოლიციის ფუნქციებს ასრულებენ; ისინი ზრუნავენ წესრიგზე ან იმაზე, რაც მათ ესმით ამ სიტყვაში; მათი ნიღბა არ შეიძლება; პასუხისმგებლობაში მივირაც არ ხერხდება, რადგან ისინი საკუთარ სახეს არ აჩვენებენ.

2. აზრის თავისუფლება შეზღუდულია კანონის გარკვეული ნორმებით, რომლებსაც განეკუთვნება კიდევ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიითიებული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. მაგრამ, თავის მხრივ, ეს ნორმები უნდა განიმარტოს თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ძირითადი უფლების შეზღუდავი მოქმედების დროს ისევ აზრის თავისუფლების მნიშვნელობით თავადვე უნდა შეიზღუდოს.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლით დაცულ სფეროში, საერთო სასამართლოების მიერ დასაბუთებული და კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუსაჩივრებელი განმარტების თანახმად, ექცევა აგრეთვე ზოგადი პიროვნული უფლება. ამიტომ თავიდანვე საკითხავია, დარღვეულია თუ არა საფოსტო ბარათით უსაფრთხოების სამსახურის ზოგადი პიროვნული უფლება, რადგან ბარათი გვინეებს არა პირადად მოსარჩელეს (უსაფრთხოების სამსახურს), არამედ მის მხოლოდ ერთ მოსამსახურეს; თუმცა აქ მოსარჩელესთან კავშირი სურათზე გამოსახული პირის უნიკლობის მსგავსი შავი ტანსაცმლით შეიძლება დადგინდეს.

სიუხვიდავად ამისა, თუ მანც დადასტურდება, რომ ვასამიერებუდი სა-
ჯისტო ბარათი ეხება მოსარჩელის ზოგად პიროვნულ უფლებას, ამას
მსგავს შემთხვევებში მანც არ შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა აზრის
თავისუფლების მიმართ. როცა საქმე ეხება საზოგადოებრივ აზრთა ზედღეს
და ამ დისკუსიაში კონხეს გარკვეულ შენატანს (ანუ მოსაზრებას), ამ დროს
უკვე ვარაუდი ვაითითქმება თავისუფალი დისკუსიისა და აზრის თავისუფ-
ლების სასარგებლოდ; აზრის თავისუფლების შემზღუდავი კანონის სორმა-
თა განმარტება, რომელიც კადამეტებულ მოთხოვნებს უყენებს საჯარო
კრიტიკის დასამუებათას, უკვე აღარ შეესაბამება კონსტიტუციის მე-19 და
24-ე მუხლებით გათვალისწინებულ აზრის თავისუფლების ძირითად უფ-
ლებას.

3. სწორედ ეს პრინციპი გამორჩა მხედველობიდან საერთო სასამართლოს
უსაფრთხოების სამსახური, რასაც წარმოადგენს მიუნხენში არსებული
ფონმა, და მისი საქმიანობა არის საჯარო ინტერესისა და მწევე დისკუსიის
საგანი, რომელიც განსაკუთრებით მამინ განვითარდა, როცა წარმოიშვა
გარკვეული ექვი: ზომ არ ჩადინეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომ-
ლებსა დაუშვებელი ვადაცლომები ან სულაც დანამაული თავიანთი პროფე-
სიული საქმიანობის ფარგლებში. ამ პირებისადმი მიმართულია აგრეთვე ის
პრეტენზია, რომ ისინი, როგორც კერძო („პარაპოლიციური“) „წესრიგის
დამცველები“, ისეი უფლებამოსილებებს ითხოვენ და ახორციელებდნენ,
რომლებიც სამართლებრივ სახელმწიფოში მხოლოდ სახელმწიფო საპო-
ლიციო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ.

ის, რომ აღნიშნული დისკუსია თავად უსაფრთხოების სამსახურმა და
მისმა არეთო გამჭვარვადე საქმიანობამ გამოიწვია, არ შეიძლება ეჭვს
იწვევდეს. თუნდაც მხოლოდ მისი თანამშრომლების უნიფორმის მსგავსა
ტანსაცმელი – კოკარდიანი ქედი, შავი ქურთუკი ფირმის ემბლემის კაბო-
ხატკელი სამკრდე ნიშნით – ამკვიდრებს საზოგადოებაში ამ ფირმის სა-
ხელს; ამთ წარმოიშვა მოსახლეობის სურვილი, რომ გაეცნო, თუ საერთოდ
როგორ გამოიყურებოდა ეს სამსახური. აქ უკვე საქმე არ ეხება იმ ვა-
რჯობას, თუ რამდენად სამართლიანია „შავი შერიფის“ მიმართ გამოთქმული
კრიტიკა. ყველა შემთხვევაში დაუშვებელია, მოსარჩელეს (ვაბომცემლობას)
აეკრძალოს განაღებულ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა შესაბამისა
საფოსტო ბარათის კამოცემითა და წარმოებით.

მოსარჩელის მიერ გამოთქმული კრიტიკა დაუშვებელი არ არის იმ
ვარემოების მიუხედავადაც, რომ საფოსტო ბარათების წარმოებით მას
გარკვეული კომერციული ინტერესიც აქვს. ეს ინტერესი მეორეხარისხიანია

და უკანა პლანზე დგას მთავარ მიზანთან და ინტერესთან შედარებით – კარკეტული პოლიტიკლება მრახინონის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

4. ხემაღლიწუნული ანადლიზიდან ცხადი ზდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არღვევს მოსარჩელის კონსტიტუციის 24-ე მუხლით უზრუნველყოფალ ძირითად უფლებას – აზრის თავისუფლებას.

საქმე №4: ეს საქმე განსაკუთრებით საინტერესო და იმავდროულად მტკაღ როულ სამართლებრივ საკითხს – ფაქტებისა და შეხედულებებს გამოიჯენას – ეხება.

საქმის არსა: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ვახეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი პებლიკაციით შეიღაჩა მისი ზოგადი პიროვნული უფლება. აღნაწუნულ სტატიაში მოსარჩელეს, რომელიც სამშენებლო ინსპექტორია, „უსაქმურობა“ უსაყვედურეს. კომპეტენტურმა სასამართლომ უარყო წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნა; მოსარჩელის მიერ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელიც არ იქნა დაკმაყოფილებული.

1. სასამართლოს აზრით, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლია. მოსარჩელეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს გასაჩივრებულ საგაზეთო წერილში დაფიქსირებული გამონათქვამის უარყოფა. გასაჩივრებული გამონათქვამი (შეხედულება) მართლსაწინააღმდეგოდ არ ხელყოფს მოსარჩელის ზოგად პიროვნულ უფლებას. დაპირისპირებულ სამართლებრივ სიკეთთა და ინტერესთა – მოსარჩელის ზოგადი პიროვნული უფლებისა და მოპასუნის აზრის თავისუფლების შედარებისას მოპასუნის გამონათქვამი დაკულია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

2. საქმე ეხება მოსარჩელის, როგორც სამშენებლო ინსპექტორის, პროფესიულ საქმიანობას. ასეთი საჯარო, საზოგადოებრივი ცხურებისა და საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროში მოქმედებს ვარაული თავისუფალი სიტყვის სასარგებლოდ, თუ არ დასტურდება ამკარად ცრუ ფაქტების გამოთქმა და არ გვაქვს უხამსი კრიტიკა.

3. კომპეტენტურმა საერთო სასამართლომ სამართლიანად შეაფასა გასაჩივრებული ციტატა არა როგორც ფაქტის მტკიცება, არამედ როგორც აზრის, შეფასებითი შეხედულების გამოთქმა, რომელიც მოცემულია „ფაქტების ნიღაბქვეშ“. დადასტურება იმისა, გამონათქვამი ფაქტების მტკიცებას წარმოადგენს თუ არა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, შესაძლებელია თუ არა ამ გამონათქვამის სისწორის გადაამწუნება

ლა შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება. ფაქტებისაგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღნიშნა, შეფასებითი გამონათქვამი ანუ შეხედულება სასაბაძო პირადი დამოკიდებულების, წარმოდგენებისა და სკეპსის ელემენტებით. თუცა ის გამონათქვამებიც, რომლებიც შეხედულებებს ეწინააღმდეგება, შესაძლოა ფაქტების მტკიცება იყოს, თუ ისინი იმედგეროულად ადრესატის ცნობიერებაში იწვევს კონკრეტული, შეფასების ფორმით გამოხატული ფაქტების წარმოდგენას. და პირიქით, მოცემული გამონათქვამის ფაქტობრივი შინაარსი უკანა პლანზე გადადის, თუკი იგი კონტექსტურად განუყოფელია შეფასებისაგან და მთლიანობაში წარმოდგენს დაუკონკრეტებელ, ზოგად და საერთო ჯამში შინაარსობრივად ღარიბ გამონათქვამს.

ამ კრიტერიუმების მიხედვით მოპასუხის გამონათქვამი უნდა ჩაეთვალით არის გამოთქმად. ერთი შეხედვით, სიტყვები „სამშენებლო ინსპექტორის უსაქურობა“ ფაქტის მტკიცებად და გადმოცემად გამოიყურება, მაგრამ იქ არ არის გამყარებული უფრო დაწვრილებითი ფაქტობრივი მასალების მოტანით, რომლებიც შეიძლება შემოწმებულიყო და ამით სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები მოეპოვებინა. მკითხველისათვის ციტატადან და კონტექსტიდანაც მანაც გაუგებარი რჩება, რას ეუბნობა აღნიშნული კრიტიკა.

საერთო ჯამში, ტექსტის მთლიანი შინაარსიდან ირკვევა, რომ საგაზეთო წერილით ვაკრიტიკებულია მოსარჩელის ხელმძღვანელობა, რადგან ავტორი წარმოგვიდგენს მოსახრებებს ფირმა „ს“-ის ფინანსური პრობლემების შესახებ. ეს მოსახრებებიც ასევე მოკლებულია მტკიცებულებათა შესაძლო მსაჯების ფაქტობრივ საფუძველს. ეს ეხება შემდეგ წინადადებებს: „*გამრავი თაბბირები ვადაწყვეტილებების გარეშე*“ ან „*არ ხორციელდება კონსტრუქციული თანამშრომლობა სამშენებლო ინსპექტორის მხრიდან.*“ მხოლოდ გამონათქვამი *„დღეს ირკვევა, რომ სამშენებლო ფირმას, რომელაც აურ კიდევ საბი წლის წინ ქალაქის სურვილით იმ რაიონში საქონლობდა, სადაც ნაკვეთებია განლაგებული, არ გააჩნია მშენებლობის ნებართვა“* შეიცავს შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, მაგრამ მისი მნიშვნელობა მანაც არ არის გადამწყვეტი. რადგან აღნიშნული მონაცემები შესაძლებელია მოსცილდეს დანარჩენ ტექსტს; ისინი არ არიან უშუალოდ დაკავშირებული ამ პროცესის საგნად ქცეულ გამოთქვასთან – „*უსაქურობა*“; შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი და მისი მონაცემები ცალკე უნდა შეფასდეს.

4. მოპასუხის ძველ გამოთქმული აზრი მოქცეულია დასაშვები კრიტიკის ფარგლებში და არ წარმოადგენს უხამს კრიტიკას. გამოთქმული აზრი მხოლოდ იმის გამო, რომ მან დამამტყრებლად იმოქმედა მესამე პირზე, არ შეიძლება ჩაითვალოს უხამსობად. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თვით პოლიტიკური. მწკვე და ზღვარგადასული კრიტიკაც კი გამოთქმულ აზრს არ აქცევს უხამს კრიტიკად. ასეთი შეხედულება უშეტესად მაშინ იქცევა უხამს კრიტიკად, როცა მის შინაარსში წინა პლანზე დგას არა საქმიანი, არგუმენტირებული კრიტიკა და დაპირისპირება, არამედ პიროვნების დიფამირება.

კარდა ამისა, მოპასუხის გამონათქვამი ეხება მისარჩელის პროფესიულ საქმიანობას. იგი მტკერი და კრიტიკულია. ეს მტკერი კრიტიკა მოსარჩელემ, როგორც საჯარო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელმა პირმა, რომელიც სხვებთან ერთად განსაზღვრავს ადგილობრივი სამშენებლო ფირმების განვითარებას და მათ შესაძლებლობებს, უნდა ითმინოს მიუხედავად იმისა, კრიტიკა საპარტიოა თუ უსამართლო.

საქმე №5: 1961 წლის ბოლოს, ბერლინის კედლის აგებიდან მცირე ხნის შემდეგ, „აქსელ-შპრინგერის“ გამოცემლობამ გაზეთებითა და ჟურნალებით ყველა მოვაჭრეს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავდა მოწოდებას, დაეყოფნებლივ შეეჭვებინათ იმ ჟურნალ-გაზეთების გაყიდვა, რომლებშიც დაბეჭდილი იყო აღმოსავლეთ გერმანიის რადიო- და სატელევიზიო პროგრამები; მხოლოდ ასე თუ შეიძლებოდა აღმოსავლეთ-გერმანული პროპაგანდისადმი დაპირისპირება. ეს მოწოდება დაკავშირებული იყო იხნიშნებასთან, რომ „აქსელ-შპრინგერის“ გამოცემლობა აღარ მიაწვდიდა თავისიან დაბეჭდილ გაზეთებსა და ჟურნალებს იმ მოვაჭრეებს, რომლებიც გააცრმელებდნენ აღმოსავლეთგერმანული რადიო- და სატელევიზიო პროგრამების შეშტევილი ჟურნალ-გაზეთების გაყიდვას. ამკარაა, რომ ამით მოვაჭრეები ძალიან მძიმე ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ. ბიუკოტისაკენ ეს მოწოდება უკვე აღარ იყო დაშვებული, რადგან იგი ეკონომიკური ზემოქმედებით ცდილობდა საკუთარი მოსაზრების განხორციელებასა და ვანმტკიცებას; იგი არ ეყრდნობოდა მხოლოდ არგუმენტებით დარწმუნების ძალას, შესაბამისად, აღარ წარმოადგენდა საჯარო აზრთა ცოდლის შემადგენელ ნაწილს და უკვე ეკონომიკური დაპირისპირების ნაწილი იყო. ამდენად, აღნიშნული მოწოდება უკვე აღარ იყო დაცული აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით.¹⁵

¹⁵ BVerfGE 25, 256 - „Blinkfuer“.

საქმე №6: წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ერთი პატიმარი მკვლელისადმი მიწერილ წერილში თავისი სასამართლო პროცესის მიმდინარეობას აღწერდა შემდეგი სიტყვებით: „მე არ შემიძლია სხვაგვარად დაეხმასთათო ეს პროცესი, თუ არა როგორც *ბინძური, ვიდეოგვარი სამართლის უარმყოფელი და დაშინავი სპექტაკლი*“. განაჩენი „*უფთა ინტერესებისა და შურისძიების განაჩენია*“. ეს არის „*ურცხვი უზრდელისა*“, როცა სასამართლო „*ფიქნამორთქველ პოლიციელს ყოველ დაწვევლილ ბინძურ ტყვილს უჯერებს*“. სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილი „ამჟამად მძიმე შეურაცხყოფებს“ შეიცავდა, მაგრამ აუცილებლად გასაღვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ იგი დაიწერა განაჩენზე პირველი შობეუქდილეუების ქვეშ ყოფნის დროს და შესაბამისი აზრი გამოთქმული იყო მეუღლეითა განსაკუთრებით დაცულ კერძო, პირადი ცხოვრების სფეროში. შესაბამისად, აღმინისტრაციის მიერ წერდლის შეჩერება პატიმრის აზრის თავისუფლებაში დაუშვებელ ჩარევას წარმოადგენდა.“

საქმე №7: მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იძულებულა მოსახლეობის პროტესტმა ვიეტნამში წარმოებულ სისხლისმღერელი ომის წინააღმდეგ. ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც ამ ომის შეჩერების მოთხოვნით გამოდიოდა, მიიღო სამხედრო სამსახურში გაწვევის ოფიციალური დოკუმენტი. მან პროტესტის ნიშნად ჩაიცვა სპეციალური მისური წარწერით „*Fuck the draft*“ და ხსამალა განაცხადა პროტესტი ომისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წინააღმდეგ ლის-ანჯელესის ერთ-ერთი სასამართლოს შენობის წინ. იგი დააკავეს და გაასამართლეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, მაგრამ აშშ-ის უჩენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (უჩენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შორის მწკავე დისკუსიების შემდეგ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთი ხმის უმარა-ტესობით: 5 მომხრე – 4 წინააღმდეგი) და განაცხადა, რომ ქვემდგომმა სასამართლომ დაარღვია აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება. უჩენაესი სასამართლოს არგუმენტაციით, მოქალაქის მისურზე გაკეთებული პროვოკაციული და შეურაცხყოფელი წარწერა არ იყო მიმართული კონკრეტული პირისაკენ. ვარდა ამისა, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, „მოუროს“ და „სუყთა მდგომარეობაში“ შეინარჩუნოს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხზე მიმდინარე საჯარო დისკუსია. ეველაფუერთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ გემოთქება, სტილი და ფორმა

¹⁰ BVerfGE 35, 35ff.

თათოველი ანდივიდის პირადი საქმეა. ამდენად, ამ პიროვნების დაკავება და გასამართლება მისი აზრის თავისუფლებაში დაუშვებელი და გაუმართლებელი ჩარევა იყო.

12. მ. 24, პ. 1 – ინფორმაციის თავისუფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება. ეს არის ყველა ადამიანის უფლება, თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია. უფრო კონკრეტულად – *ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან*. ეს ძირითადი უფლება შედგება იმ პერიოდისა, როცა კომუნისტური რეჟიმის დროს აკრძალული იყო ინფორმაციის მიღება უცხო ქვეყნების პრესიდან, რადიო- და სატელევიზიო სადგურებიდან. ყოველი მოქალაქის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების განვითარებისა და დემოკრატიული წესწყობილების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ინფორმაციის თავისუფლება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები. ეს ცხადი ხდება თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ ინფორმაციის თავისუფლება, ფაქტობრივად, აზრის თავისუფლების წინაპირობაა, რადგან აზრის თავისუფლების გონიერული და პასუხისმგებლობით სავსე გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანთა მიერ, რომლებსაც შეუძლიათ წინასწარ შეუფერხებლად მოიპოვონ ინფორმაცია. ვარდა ამისა, ინფორმაციის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა პროცესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

II. დაცული სფერო

ძირითადად, ინფორმაციის თავისუფლება აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებებთან მჭიდრო კავშირშია, მაგრამ მანაც მათგან დამოუკიდებელი ძირითადი უფლებაა, თუმცა მინაარსობრივად შედარებით ეიწრო სფეროს მოიცავს: *ინფორმაციის*

თავისუფლებით დაცულია პირის მიერ ინფორმაციის მოპოვება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

წყაროდ შეიძლება მივიჩნათ ინფორმაციის მქონდელი ყველა წარმონაქმნი, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაციები შეიცავენ აზრებსა და ფაქტებს თუ ეხებიან მხოლოდ საჯარო ან მხოლოდ კერძო საკითხებს.

წყარო საყოველთაოდ ხელმისაწვდომია იმ შემთხვევაში, თუ იგი ტექნიკურად გამოსადეგია და განკუთვნილია იმისათვის, რომ საზოგადოებას, ანუ პირთა განუსაზღვრელ წრეს მოუპოვოს და მიაწოდოს ინფორმაციები. საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს განეკუთვნება, მაგალითად, საჯარო კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, პლაკატები, საინფორმაციო ფურცელი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ. უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო- თუ სატელევიზიო სადგურებისაგან ინფორმაციის მიღება ასევე დაცულია ინფორმაციის თავისუფლებით.

საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, პოლიციის რადიოტალღის მოსმენა და მისგან ინფორმაციის მოპოვება, ასევე სასამართლო ან სახელმწიფო უწყებათა შიდასაუწყებო აქტები (თუ ისინი არ არის მითითებული საჯარო არქივებში) და ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც ზემდგომი ადმინისტრაციული უწყებების მიერ არის მიღებული და განკუთვნილია ქვემდგომი დაწესებულებებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ წყაროს საყოველთაოდ ხელმისაწვდომად მისჩვევისათვის აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ ტექნიკური, ანუ ფაქტობრივი აღჭურვილობა და მისი გამოსადეგობა ინფორმაციის მიწოდებისათვის, სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა, სამართლებრივი ნორმებით გადაწყვიტოს და დაადგინოს, წყარო საყოველთაოდ ხელმისაწვდომია თუ არა. მაგალითად: გაზეთი, რომელიც ფისტიდან აბონენტთან მიაქვთ, წარმოადგენს ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროს, რადგან გაზეთის ამ ნომრის მთლიანი გამოცემა ევლასათვის ხელმისაწვდომია. ის ფაქტი, რომ გაზეთის კონკრეტული აბონენტისათვის განკუთვნილი ეგ ზემპლარი მხოლოდ აბონენტს ეკუთვნის და არაის აქვს მისი მითვისების უფლება, არაფერს ცუდის სწორედ ამიტომ პრესა, ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი, როგორც

მასობრივი, საჯარო კომუნიკაციის საშუალებები, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს წარმოადგენენ იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი უცხო ქვეყნებში ფუნქციონირებენ და საქართველოს მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციებს.

ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც ინფორმაციის პასუხის მიღება, ისე ინფორმაციის აქტიური მოპოვება, მიუხედავად ამისთვის გამოყენებული საშუალებებისა. აქედან გამომდინარე, ვოლტგრაფირებაც ინფორმაციის მოპოვების გარკვეულ სახეობას წარმოადგენს. დაცულია აგრეთვე ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და ამისთვის საჭირო დამხმარე ტექნიკური საშუალებების მოპოვება და გამოყენება. ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება არ წარმოშობს მოთხოვნას სახელმწიფოს მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა მოიპოვოს ინფორმაციები.

ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებას ფლობს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც სურს ინფორმაციის მიღება. ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ ფიზიკურ პირებზე (მკვალთაძე, სასაჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პატიმრები და მსჯავრდებულები).

III. დაცულ სფეროში ჩარევა

ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება ირღვევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ისეთი ღონისძიებით, რომელიც კრძალავს ინფორმაციის მიღებას ან ამისთვის ნებართვას აწესებს. ერთადერთი საინფორმაციო წყაროს შეწყვეტა და ამ წყაროსთან დაშვების შეფერხებაც ინფორმაციის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს. ფსიქოლოგიური ზეგავლენაც, მკვალთაძე, ინფორმაციის მიღების რეგისტრირება, მოქმედებს და არღვევს ამ ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილ ინფორმაციის შეუფერხებლად, დაუბრკოლებლად მოპოვების გარანტიას. ყველა აღნიშნული ჩარევა არღვევს აგრეთვე პრესის თავისუფლებას მაშინვე, როგორც კი ისინი თუნდაც ერთი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროს მიმართ მოქმედებენ. აქ სულაც არ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევამ მოიცვას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ყველა წყარო. მკვალთაძე, ღია სასამარ-

თავის პროცესები წარმოადგენს საფიქვლოდ ჩელმისაწვდომ საინფორმაციო წყაროს და ამ პროცესებიდან საზოგადოების მუდმივად ან ციკლით გამოთიშვა და პროცესებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არღმეება ინფორმაციის თავისუფლების დარღვევაა. ასევე არღვევა საგამომიხო იხოლატორში მყოფი პატიმრის უფლება ინფორმაციის თავისუფლებაზე, როცა მას უკრძალავენ რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით ინფორმაციის მიღებას იმ საფუტელით, რომ მას შეუძლია იგივე ინფორმაცია გაზეტებით მიიღოს. მძიმე დარღვევას წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფოს მიერ რომელიმე ინტერნეტ-გვერდის აკრძალვა და დახურვა.

IV. კონკრეტული სასამართლო საქმეები

ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვა ძირითად უფლებებთან კოლიზიის შემთხვევაში. უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ასეთი შემთხვევების შესახებ. *მკვალთაად*, ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, სახლის გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლისაგან ამ უკანასკნელის მიერ დაეცეზებული სატელიტური ანტენის მოშორება საკუთარი სახლის სახურავიდან, რადგან თავად სახლში უკვე შემოყვანილია საკაბელო ხაზი. ასეთ შემთხვევაში არ ირღვევა ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება, რადგან, ჯერ ერთი, სახლის შესაკუთრის საკუთრების უფლება დამქირავებლის ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, და მეორე, საკაბელო ხაზით დამქირავებელს შეუჭერხებლად შეუძლია სასურველი ინფორმაციის მიღება. სხვა სიტუაცია იქმნება, როცა, *მკვალთაად*, საქმე გვაქვს უცხოელთან, რომელსაც არ შეუძლია საკაბელო ხაზის საშუალებით მიიღოს მშობლიურ ენაზე მაუწყებელი რადიო-თუ სატელევიზიო გადაცემები. აქ სატელიტური ანტენის საშუალებით ინფორმაციის მოპოვების ინტერესი ვაცილებით მაღლა დგას დამქირავებლის საკუთრების ინტერესზე და სასამართლოც შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს.

— 13. მ. 24, პ. 2 — მასობრივი ინფორმაციის
საშუალებათა თავისუფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი შინაარსობრივად ყველა სხვა მუხლზე მდიდარია. იგი აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებებთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებასაც მოიცავს. ამდენად, 24-ე მუხლით კონსტიტუციამ აღიარა ე.წ. კომუნიკაციის ძირითადი უფლებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების გამართულად ფუნქციონირებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება აღიარებულია 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით:

„2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი ვერცხელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.“

ისავე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია ძირითად უფლებათა შეხლეუდის საფუძვლები, რომლებიც საერთოა ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებებისათვის:

„4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის ვამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასაპარტილოს დამოუკიდებლობისა და მოუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

„მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“ მოიცავს როგორც პრესას, ისე ელექტრონულ მედიას ინფორმაციის აღნიშნული საშუალებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ისეთი ცალკეულ ქვე განხილვა.

II. პრესის თავისუფლება

1. შესავალი

აზრის თავისუფლების მსკაცსად, პრესის თავისუფლება დემოკრატიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ძირითადი უწყვეტია. დამოუკიდებელი, სახელმწიფო ზეგავლენისა და ცენზურისაგან თავისუფალი პრესა დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე დემოკრატიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფალი, რეველარულად მოქმედი პოლიტიკური პრესა, რადგან, თუ მოქალაქეს სურს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, იგი არა მხოლოდ სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული, არამედ ასევე უნდა იცნობდეს სხვების მოსაზრებებს, რათა შეძლოს მათი შეფასება, აწონ-დაწონვა და საჯარო დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა. თავისუფალი პრესა უზრუნველყოფს და ინარჩუნებს ამ დისკუსიის მექანიზმს მიმდინარეობას იმით, რომ მოაპოვებს ინფორმაციებს, აწვდის მათ მოქალაქეებს და საკუთარ აზრებსაც გამოთქვამს. იგი გამოხატავს საზოგადოებასა და მის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში გაჩენილ ახალ-ახალ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს; მასში გამოხატულებას ასევე საჯარო, საზოგადოებრივი აზრიც. დემოკრატიულ სახელმწიფოში ამ ფუნქციის მქონე თავისუფალი პრესა ფაქტობრივად წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, ერთი მხრივ, ხალხსა და, მეორე მხრივ, პარლამენტსა თუ მთავრობაში მის (ხალხის) წარმომადგენლებს შორის. ხალხი შეტყობილად სწორედ პრესის საშუალებით ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებაზე. პარლამენტისა და მთავრობის წევრებს პრესის საშუალებით მათზე განხორციელებული კონტროლი და საზოგადოებრივი ზეწოლა აძლეებს, კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ მოსახლეობის უძრაველესობის შეხედულებების შესაბამისად.

2. ცნება და დაცული სფერო

„პრესის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი მოიცავს ექველ ცნობას, ინფორმაციას და აზრს, რომლებიც იბეჭდება ან სხვაგვარად ვრცელდება. „პრესაში“ იგულისხმება არა მხოლოდ ბეჭდვითი ზაზის გამოცემები, არამედ ინფორმაციის საჯარო გაერცელებისათვის განკუთვნილი ნებისმიერი ზაზის გამოცემა, მათ შორის,

კანტონის, ეკონომიკის, მიკრობუნების, საინფორმაციო ფურცლები, ზოგჯერ, ფოტოსაფილები, მკაობხელთა წერილები, აგრეთვე აუდიოჩანაწერები (მაგრამ არის უაღრესად მცირე რაოდენობა).

პრესის თავისუფლება მოიცავს ორ – სუბიექტურ (ინდივიდუალურ) და ობიექტურ (ინსტიტუციურ) ასპექტს. პრესის სფეროში დასაქმებულ პირებსა და საწარმოებს გარანტირებული აქვთ სუბიექტურად ძირითადი უფლება, რომელიც მათთვის უზრუნველყოფს სახელმწიფო იბულებისა და ზეგავლენისაგან თავისუფალ სამოქმედო სფეროს და ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, განსაკუთრებული უფლება, უარი თქვას ინფორმაციის მიმწოდებლის დასახელებაზე) მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას. ობიექტური მხრივ პრესის თავისუფლებით უზრუნველყოფილია აგრეთვე „თავისუფალი პრესის“ ინსტიტუტი. აქ იგულისხმება პრესის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა. დაწყებული ინფორმაციის მოპოვებით დამთავრებული ცნობებისა და მოსაზრებების გავრცელებით. ამდენად, პრესის თავისუფლებით დაცულია გამომცემლობების, საინფორმაციო სააგენტოებისა და სხვა მსგავსი დაწესებულებების დაფუძნებისა და საქმიანობის პროცესი, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ ინფორმაციას. გარდა ამისა, პრესის თანამშრომელთა და დაწესებულებათა უფლება მოიპოვონ ინფორმაცია, აგრეთვე საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება მიაწოდონ პრესას ინფორმაციები, გამომდინარეობს და ეყრდნობა სწორედ ამ ინსტიტუციურ გარანტიას.

როგორც აღინიშნა, პრესის თავისუფლებით დაცულია ყველა სახის გამოცემა; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ე.წ. „სერიოზული“, „პოლიტიკური“ პრესით და მოქმედებს გასართობი, სენსაციური თუ ე.წ. „ყვეთელი“ პრესის მიმართაც. თუმცა ამ „განსხვავებას“ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა აქონდეს იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გაირკვეს, დასაშვებია თუ არა პრესის თავისუფლების შეზღუდვა. დაცული სფერო მოიცავს აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებების (სამინისტროს, უნივერსიტეტის, ქარხნის და ა.შ.) მიდარაუწყებო საინფორმაციო გამოცემებს, რომლებიც უპირველესად მიმართულია ამ დაწესებულებათა თანამშრომლებისაკენ, მაგრამ იმავე დროულად განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის. ასევე დაცულია არასრულწლოვანთა საქმიანობა, ანუ სკოლებში გა-

ბიუჯეტული სასკოლო გახეთქები თუ ნებისმიერი სხვა სახის საინფორმაციო ფურცლები.

**პრესის თავისუფლებით
დაცული სფერო
მ. 24, პ. 2 (მაგალითები)**

<p>„ალიას“, „რეზონანსის“, „ეკორის პალიტრის“ გამომცემლები</p>	<p>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზეთის რედაქტორი</p>	<p>ქ. ტყეშელის მხ. სამუშალო სკოლის გაზეთ „ერკვანის“ თანამშრომელი</p>
--	--	--

პრესის თავისუფლება მოიცავს აგრეთვე **განცხადებების ნაწილს და მკითხველთა გამოხატულებებს**. განცხადებები და მკითხველთა წერილები დაცულია თუნდაც იმის გამო, რომ ყოველი განცხადებისა და წერილის გამოქვეყნება ფაქტობრივად ცნობის, ინფორმაციის გავრცელებაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განცხადებათა გასოქმეპნებიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი გაზეთის, ჟურნალისა და სხვა ნებისმიერი გამოცემის ეკონომიკური საფუძვლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რაც პრესის დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

პრესის თავისუფლებით დაცულია გამოცემის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ტენდენციის, მიმართულების დადგენის უფლებაც. შესაბამისად, პრესის თავისუფლება გამოცემლის ძირითადი უფლებაა. ეს გარანტია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან დაუშვებელია სახელმწიფომ რაიმე ზეგავლენა მოახდინოს პრესაზე (**პრესის „გარეგანი თავისუფლება“**). იმავედროულად გამოცემელი არ არის უფლებამოსილი. შეუზღუდავად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს გაზეთის შინაარსი, რადგან არა მხოლოდ ის, არამედ რედაქტორებიც და ჟურნალისტებიც პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების ძეგლობენნი არიან და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ

კამოიყენონ კიდევ ეს უფლება. პრობლემა შეიძლება წარმოიშვას ამ შესხვევაში, როცა გამოძევებული რედაქტორს, ეს უკანასკნელი კი ჟურნალისტს მიუთითებს, რომ რაიმე მოვლენის შესახებ კონკრეტული მინაარსის წერილი მოამზადოს. აქ საქმე გვაქვს ძირითადი უფლების სფეროებელი სამი სუბიექტის ინტერესების კოლიზიასთან. ასეთი „კოლიზირებული“ მდგომარეობიდან გამომდინარე პრობლემები (*პრესის „შინაგანი თავისუფლება“*) ყოველ დაწესებულებაში შიდაორგანიზაციული წესებით უნდა მოწესრიგდეს, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ძირითადი უფლებით ყველა სუბიექტისათვის უზრუნველყოფილ დაცვას.

პრესის თავისუფლებით გარანტირებულ უფლებათა შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია *სარედაქციო საიდუმლოების დაცვა*. თავისუფალი პრესის გამართულად ფუნქციონირების აუცილებელი პირობა სარედაქციო საქმიანობაში ჩაურევლობა და საიდუმლოების აბსოლუტური დაცვაა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, რაიმე საშუალებით ჩაერიოს გამოცემის სარედაქციო საქმიანობაში და შეიქმნას წარმოდგენა იმ მექანიზმებზე, რომელთა შედეგადაც წარმოიშობა თავისუფალი გაზეთისა თუ ჟურნალის მომდევნო ნომერი. სარედაქციო საიდუმლოების დაცვა ნიშნავს არა მხოლოდ გამოცემის თანამშრომელთა შორის წარმოებული საუბრებისა და კონტაქტების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ ურთიერთობის სანდობასა და გაუთქმელობას, რომელიც არსებობს ჟურნალისტებსა და ინფორმაციის მოძწოდებლებს (*„ინფორმაციის წყაროებს“*, *„ინფორმანტებს“*) შორის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ინფორმაციის საშუალებებმა შეძლონ თავიანთი ძირითადი ფუნქციის – ინფორმაციის მოპოვებისა და მიწოდების – სრულყოფილად შესრულება. როგორც ცნობილია, ისინი ხშირად სარგებლობენ კერძო შეტყობინებებითა და ცნობებით, რომელთა მოპოვება მათ ზოგჯერ მხოლოდ იმ შესხვევაში შეუძლიათ, თუ ინფორმანტი დარწმუნებულია, რომ მისი ანონიმურობა, აუცილ მას ეს სურს. შენარჩუნებული იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით აქვე განვიხილოთ კონკრეტული სასამართლო საქმე, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ მას საქართველოში პქონდა ადგილი:

2003 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ვაზიუა „P.S.“-სა და ქუთაისის ჯეცე-შერის ონისე უვრუხელიძეს შორის

საინფორმაციო და ეკონომიკური შესახებ. საქმის მასალების მიხედვით, ვახუთის რედაქციასა და ქალაქის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს შორის დაეკავშირა ვახუთის რედაქციის უფროსი სტატიის გამო, რომელშიც ურნალიისტი გამოთქვამდა მისი ხრებას უგრეხელის ნათობის მიზნებში მონაწილეობის შესახებ, ამასთან, სტატიაში მოცემული ინფორმაციის ზოგიერთი წყარო არ იყო დასაბუთებული. სასამართლოს გადაწყვეტილებით მოცემულ შემთხვევაში ურნალიისტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და არ დაურღვევია ურნალიისტიკის ნორმები. მან ვადაამოწმა ინფორმაცია სხვა წყაროებთან და კომენტარისათვის თავად ვიცე-მერსაც მიმართა. ვიცე-მერმა თავი არადა კომენტარს, თუმცა, ვახუთის შემდეგ ნომრებში ორჯერ დაბეჭდა მისი კომენტარი, ხოლო იგი უარყოფდა ნათობის მიზნებში მონაწილეობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ურნალიისტმა თავის წერილში მხოლოდ მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ არსად ატყუებდა უგრეხელის მხრიდან კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ურნალიისტი მოვალეა დააკმაყოფილოს ინფორმაციის მომწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის შესახებ, ამიტომ, რესპონდენტის თხოვნით, ურნალიისტმა არ დაასახელა მისი ვინაობა. აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ვიცე-მერის ხარისხი.

სარედაქციო საიდუმლოების განსაკუთრებული მნიშვნელობა უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ გაითვალისწინებთ, რომ პრესის თავისუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული ინფორმაციების გავრცელებასაც იცავს. ეს არ ნიშნავს, რომ პრესას უფლება აქვს ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო საშუალებით მოიპოვოს ინფორმაცია, მაგრამ თუ ურნალიისტი მიიღებს სხვის მიერ კანონის (შეგალითად, სამსახურებრივი საიდუმლოების ნორმათა) დარღვევით მოპოვებულ ინფორმაციებს, მათი გავრცელება უკვე პრესის თავისუფლების ნაწილია და დაცულია ამ ძირითადი უფლებით. პრესას რომ ასეთი ინფორმაციების გამოქვეყნების უფლება არ აქონდეს, იგი ხშირ შემთხვევაში ვერ შეძლებდა თავისი ძირითადი ფუნქციის – საჯარო დისკუსიისა და დებატების საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ხელისუფლებასზე საზოგადოებრივი კონტროლის უწყვეტი განხორციელებას.

პრესის თავისუფლებიდან გამომდინარეობს პრესის, როგორც ინსტიტუტის, ძირითადი ფუნქცია და ურნალიისტიების, როგორც ინფორმაციის

სამუალებათა თანამშრომლების, ცეკლაზე მნიშვნელოვანი უფლება – მოადონ, მიიღონ და გააკრცელონ ინფორმაცია. ამ უფლების განხორციელების მიზნით ჟურნალისტს შეუძლია შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხედეს თანამშრომლების პირებს, მოთხოვოს საჭირო დოკუმენტები, ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი სამუალებით, გაამუქოს მასობრივი ღონისძიებები: შეკრებები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, თავყრილობები და ა.შ. ჟურნალისტს უფლება აქვს, არ გაამხილოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის წყაროს შესახებ მონაცემები, აგრეთვე უარი თქვას რედაქციის კონკრეტული დაკალების შესრულებაზე, თუ თვლის, რომ ეს დაკლება არღვევს კანონს, და თავისი პოზიციის დასაცავად გამოიყენოს პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება.

აღსანიშნავია, რომ პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული არა მხოლოდ უფლებები, არამედ გარკვეული ვალდებულებებიც. *პრესა ვალდებულია არ გაავრცელოს ამჟამად მტდარი ცნობები და მონაცემები.* ეს ვალდებულება ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, დაუშვებელია სინაქლელის დაფარვა და ვაყაღება, მეორე მხრივ კი, აუცილებელია სინაქლელის შესაბამისი ინფორმაციების გავრცელება. ეს ვალდებულება გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაში მოხსენიებულ პირთა ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის აუცილებლობიდან, არამედ ამ მოთხოვნიდან, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურად და გონივრულად განვითარდეს, როცა იგი ნამდვილ ფაქტებსა და ინფორმაციებს ეყარება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტები და რედაქცია ვალდებულნი არიან გაავრცელონ მხოლოდ უტყუარი, ნამდვილი ფაქტები, ანუ მხოლოდ „სიმართლეს“. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ „სიმართლის“ დასადგენად, ანუ ყველა სამუალებით ეცადონ, გადაამოწმონ და სხვა წყაროების დახმარებით დაადასტურონ მოპოვებული ინფორმაცია. თუ ამ მცდელობების მიუხედავად, ჟურნალისტები ვერ დაადგენენ „სიმართლეს“, მათ უფლება აქვთ გამოაქვეყნონ ის ინფორმაცია და შესაბამისი კომენტარები, რომლებიც მათ ხელთ აქვთ და იქვე მიუთითონ ამ ინფორმაციის გადაამოწმების მცდელობების შესახებ. *ამდენად, როცა პრესას აქვს კონკრეტული ინფორმაცია,*

ცდილობს, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ახერხებს მის გადამოწმებას, თუმცა აქვს საფუძვლიანი ეჭვი ამ ინფორმაციის ნამდვილობაზე, მას უფლება აქვს გამოაქვეყნოს აღნიშნული ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნების მომენტში მათი ნამდვილობა ვერ კიდევ არ არის დადგენილი. იმავდროულად, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია მოპოვებული ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ფაქტების დამალვა რაიმე მიზნით და შეგნებულად მხოლოდ „ნახვარი სიმართლის“ გაკრცვლება. ასევე დაუშვებელია, მაკალითად, საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან ან საჯარო პირთან პირადი ცხოვრების შესახებ გამოგონილი, ჭორების საფუძველზე საკუთარი ფანტაზიით შეთხზული ინტერვიუს გამოქვეყნება და გაკრცვლება. ასეთი შემთხვევები არ არის დაცული პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება ირღვევა სახელმწიფოს ყველა ისეთი ღონისძიებით, რომელიც პრესის საშუალების საქმიანობის შერჩევას ან შეწყვეტას იწვევს. ასეთი შეიძლება იყოს, მაკალითად: გაზეთების ან სარედაქციო დოკუმენტების ჩამორთმევა; სარედაქციო ოთახების ჩხრეკა ან სარედაქციო საიდუმლოების სხვაგვარი დარღვევა. პრესის საქმიანობის შესახებ ჩვენების გამოძალვა; სასამართლო პროცესებზე დაშვების შეზღუდვა და ა.შ. ამასთან, პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფოებრივი ჩარევა შესაძლოა გამართლებული იყოს იმ შემთხვევებში, როცა ის ხორციელდება კანონის საფუძველზე და მიზნად ისახავს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ უზნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეთა დაცვას.

პრესის თავისუფლება შეიძლება დაირღვეს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული გახეთისა თუ ეურნალის დაფინანსებით. სახელმწიფოს მიერ პრესის ცალკეული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დაფინანსება და მათთვის ხელის შეწყობა, ანუ ე.წ. სელექციური დახმარება აუარესებს კონკურენციას ამ სფეროში მოქმედ

საწარმოთა შორის. ეს კი არღვევს იმ საწარმოთა პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროს, რომლებსაც სახელმწიფო არ ეხმარება. ამდენად, ასეთი მოქმედების განსახორციელებლად სახელმწიფოს აუცილებლად უნდა აქონდეს შესაბამისი კანონიერი საფუძველი. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება დაცვით ფუნქციასთან ერთად შეიცავს ე.წ. *კარანტის ფუნქციას* სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის შესახებ (*ინსტიტუციური გარანტია*). როცა სახელმწიფო სელექციური დახმარებით ერევა პრესის თავისუფლებაში, იქმნება იმის საფრთხე, რომ საწარმოები, რომლებსაც სახელმწიფო ეხმარება, უარს იტყვიან სახელმწიფოს მიმართ თავიანთ ნეიტრალიტეტზე. რათა შეინარჩუნონ ასეთი დახმარების მომავალში მიღების შანსი. ამის გამოც აუცილებელია სათანადო კანონიერი საფუძვლის არსებობა. თუმცა ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია, სახელმწიფოს დახმარებით განხორციელდეს გარკვეული მოსაზრებების გავრცელებისა და ტენდენციების განვითარების ხელშეწყობა ან დაბრკოლება. *პრესის თავისუფლება ფინანსურ დახმარებებთან დაკავშირებით სახელმწიფოსაგან მოითხოვს ნეიტრალიტეტის დაცვას, რაც ნიშნავს მოსაზრებათა და შეხედულებათა შინაარსის მიხედვით დიფერენცირების დაუშვებლობას.* ამასთან, პრესის საწარმოს დამფუძნებლებს (პრესის თავისუფლებიდან და კონკურენციის განვითარების სახელმწიფოებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე) აქვთ სუბიექტური დაცვის უფლება, რომელიც მიმართულია კონკურენტთა დაფინანსების დაბრკოლებისა და თავიდან აცილებისაკენ (ე.წ. *კონკურენტებისაკენ მიმართული დაცვითი სარჩელი*). გამომცემლებს კი (თანასწორობის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე) აქვთ თანასწორუფლებიანობისა და თანაზომიერად მოპერობის მოთხოვნის უფლება (ე.წ. *მონაწილეთა კონკურენტული სარჩელი*).

პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია პრესისა და აზრის თავისუფლებებით დაცული სფეროების მკვეთრი გამოჯენა. როგორც ცნობილია, პრესისა და აზრის თავისუფლებები მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. მოქალაქეთა და პოლიტიკოსთა მოსაზრებები ხწორედ პრესის საშუალებით მიეწოდება საზოგადოებას; პრესა უზრუნ-

ველეოფს საჯარო დისკუსიის წარმოებას და საზოგადოებრივი აზრის სამოქალაქოებებას. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა 'ხუსტად განსაზღვრონ, რა შემთხვევაში უნდა შეამოწმონ განსაზღვრული დავების შინაარსი და ვარემოებები პრესის თავისუფლების საფუძველზე და რა შემთხვევაში – აზრის თავისუფლების საფუძველზე. **აქ ვურადღება უნდა მიექცეს უმთავრეს ვარემოებას – დაცულ სფეროს:** პრესის თავისუფლებით დაცული სფერო ირლევია ამ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება პრესის სფეროში დასაქმებულ პირთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას, თავად გამოცემის (ვა-ხეთისა თუ ვურნალის კონკრეტულ ნომერს), პრესის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული საქმიანობის პირობებსა და ძირითად წესებს ან ზოგადად თავისუფალ პრესას, როგორც ინსტიტუტს. მაგრამ როცა დგება საკითხი, დასაშვები იყო თუ არა რომელიმე კონკრეტული მოსაზრება თუ შეხედულება, ან უნდა მოითმინოს და აიტანოს თუ არა კონკრეტულმა პირმა მასზე გამოთქმული და პრესის საშუალებით ვავრცელებული, მისთვის არასასიამოვნო შეფასებები და კრიტიკა, ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად ამ გამოცემის ვავრცელების რაოდენობისა და არეალისა, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება წარმოადგენს შემოწმების საფუძველს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სასამართლოებმა იმ მოსაზრებათა და შეხედულებათა დასაშვებობის საკითხი, რომლებიც ვადმოცემულია წიგნებით, ვურნალებით, ვაჩეთებით, საინფორმაციო ვურცლებითა და პლაკატებით, ანუ იმ საშუალებებით, რომლებსაც „პრესის“ ცნება მოიცავს, უნდა განიხილონ მხოლოდ აზრის და არა პრესის თავისუფლების ძირითად უფლებასთან მიმართებით საქმის ვარემოებების შემოწმების საფუძველზე.

III. ელექტრონული მედიის თავისუფლება

1. შესავალი

ელექტრონული მედიის თავისუფლება (შემდგომში „ელ. მედიის თავისუფლება“) *ვულისხმობს რადიო და სატელევიზიო კომუნიკაციის თავისუფლებას*. ელ. მედიის თავისუფლებაზე ვრცელდება ელ. მედიის კონვენციის, რაც ზემოთ უკვე ითქვა პრესის თავისუფლების შესახებ. მნიშვნელობისა და შინაარსის მიხედვით ელ. მედიის თავისუფლება

არ განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან. ისევე, როგორც თავისუფალი პრესა, დამოუკიდებელი, სახელმწიფო ზეგავლენისა და ცენზურისაგან თავისუფალი ელ. მედია დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შეხადგენელი ნაწილი და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ელემენტია. პრესის თავისუფლების მსგავსად, ელ. მედიის თავისუფლებაც მოიცავს ინსტიტუციურ გარანტიას და მედიის ცალკეულ თანამშრომელთა ძირითადი უფლების გარანტიას. საერთო ჯამში, პრესისა და ელ. მედიის თავისუფლებათა სამეალებით გარანტირებულია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი ატრიბუტი: ცნობების, ინფორმაციის, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პოლიტიკური გაერთიანებების მოსაზრებათა შეუფერხებელი მოძიება და გავრცელება, ამის საფუძველზე კი საჯარო დისკუსიის მუდმივი მიმდინარეობა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

მთუხდავად ზემოთქმულისა, ელ. მედიის თავისუფლებას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რითაც იგი საგრძნობლად განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან. ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული სწორედ ეს თავისებურებები.

2. ცნება და დაცული სფერო

ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია ელ. მედიის შექმნასთან დაკავშირებული მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმიანობა, დაწყებული გადაცემისათვის პროდუქციისა და ინფორმაციის მოპოვებით და დამთავრებული მათი გავრცელებით. თავად ელ. მედია ნიშნავს ყოველგვარი სახის ე.წ. გამოსახვითი ნაშრომების (გამოსახულებათა) და აუდიოინფორმაციის შექმნასა და გავრცელებას ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით. უფრო კონკრეტულად, ეს არის აუდიო და ეიდეოკავშირის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ გამოსახულებათა და აუდიოსიგნალების გავრცელება ხორციელდება კაბელების საშუალებით თუ ყოველგვარი კაბელისა და ქსელის გარეშე. ამდენად, პრესის თავისუფლებისაგან ელ. მედიის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ტექნიკური საშუალებებით განსხვავდება.

ასევე არა აქვს მნიშვნელობა გავრცელებული ვაქოსასულებებისა და უკლიოსიგნალების შინაარსს. ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია ინფორმაციისა და აზრების ნებისმიერი ფორმისათვის გავრცელება: იგი იცავს ყველა გადაცემას, მიუხედავად მათი შინაარსისა და „ხერითზულობისა“. თანაბრად არის დაცული აუდიო და ვიდეო ინფორმაცია, ცნობები, კომენტარები, რადიო- და სატელევიზიო თამაშები, პოლიტიკური, შემეცნებითი, მუსიკალური, გახართობი, სპორტული და სხვა სახის გადაცემები. ასევე დაცულია ხარველადო გადაცემები. ეს დაცვა მოქმედებს მაშინაც, როცა რეკლამის პროგრამის დაფინანსებას ემსახურება.

საჭიროების შემთხვევაში ამ ძირითადი უფლებით სარგებლობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქ, უპირველეს ყოვლისა, კერძო სამართლის იურიდიული პირები იგულისხმება, თუმცა იგივე შეიძლება ითქვას საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე – ტელერადიოკომპანიებზეც. როგორც ვიცით, ზოგადად საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვერ იყენებენ ძირითად უფლებებს; არსებობს მხოლოდ ოთხი გამონაკლისი, რომელთაგან ერთი სწორედ ელ. მედიის თავისუფლების ძირითად უფლებას უკავშირდება. ამ გამონაკლისის საფუძველია ის გარემოება, რომ სხვაგვარად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ასეთ მნიშვნელოვან სფეროში მოქმედი კომპანიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

**ელექტრონული მედიის
თავისუფლებით დაცული სფერო
მ. 24, პ. 1 (მაგალითები)**

<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი („საქართველოს ტელევიზია და რადიომუწყებლობა“-პირველი არხი)</p>	<p>სატელევიზიო ან რადიოკომპანიის თანამშრომელი – ჟურნალისტი</p>	<p>კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი (ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი)</p>
--	--	--

მაკეველ სვეროში გარკვეული სირთულე წარმოიშობა ელ. მედიის თავისებურებიდან, რაც ამ სვეროში პრესის სვეროსაგან განსხვავებული სიტუაციას არსებობით გამოიხატება. ეს განსაკუთრებული სიტუაცია იმით ხასიათდება, რომ ვადამცემი ტალღების სიმცირისა და რადიოთუ სატელევიზიო საქმიანობასთან დაკავშირებული დიდი ფინანსური დანახარჯების გამო ამ საქმიანობის განხორციელების მსურველთა რიცხვი შედარებით მცირეა. ასეთ მდგომარეობაში ელ. მედიის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი ჩამოყალიბების პროცესი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით კატეგორიულად მოითხოვს რადიოდა სატელევიზიო კომპანიების თავისუფლებას და სახელმწიფო ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობას. მაგრამ ამით ელ. მედიის თავისუფლება ვერ კიდევ არ არის სრულად უზრუნველყოფილი. სახელმწიფომ არა მხოლოდ *(ნეგატიურად და პასიურად)* არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ელ. მედიაზე, არამედ იმავდროულად *(პოზიტიურად და აქტიურად)* უნდა შექმნას ამ სვეროში ისეთი საძირკვლებრივი წესრიგი, რომლითაც გარანტირებული იქნება საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი შეხედულებების რადიოსა და ტელევიზიაში შეძლებისდაგვარად პროპორციულად ასახვა და საზოგადოებისათვის სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, დაუმშვიდებელია, რადიო და სატელევიზიო კომპანიები განიცდიდნენ რაიმე გავლენას სახელმწიფოს ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან. განსაკუთრებით საჯარო სამართლის იურიდიული პირები სტრუქტურულად იმგვარად უნდა იყვნენ ორგანიზებული, რომ არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ყველას შეეძლოს თავისი აზრის გამოთქმა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები (სატელევიზიური კამერა, საკაბელო ტელევიზია და ა.შ.) ამცირებენ იმ ზღვარს, რომელიც ადრე წარმოქმნილი იყო ვადამცემი ტალღების სიმცირისა და დიდი ფინანსური დანახარჯების გამო. მაგრამ ასეთ სიტუაციაშიც სახელმწიფო გავლენა უნდა იქნას და უზრუნველყოს აზრებისა და შეხედულებების მრავალფეროვნების გადმოცემა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირების – რადიო და სატელევიზიო კომპანიების მეშვეობით; იმავდროულად იგი ყველა საშუალებით უნდა შეეცადოს აღკვეთოს მოსაზრებათა გადმოცემის მონოპოლიზაცია და ბიროტად გამოყენება. სწორედ ამას მოითხოვს სახელმწიფოსაგან

კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც გრძელავს მასობრივი ინფორმაციისა და მისი გავრცელების სამუდამო მონაბრუნავიან. ამასთან, ელ. მედიის თავისუფლება მოითხოვს, რომ კანონმდებელმა თავად, კანონის საშუალებით განსაზღვროს კერძო რადიო და სატელევიზიო სადგურებისათვის უარის თქმის ან ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის წინაპირობები. ამ დროს კანონმდებელმა დამატებითი მოთხოვნებისა და წესების დადგენის უფლება არ უნდა გადაულოცოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ კანონქვემდებარე საქტებს.

ელ. მედიის თავისუფლება მოიცავს აგრეთვე რადიო და სატელევიზიო სადგურების უფლებას, *სახელმწიფო სეგვალენისაგან დამოუკიდებლად და თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება იმ თანამშრომელთა არჩევის, დანაშენისა და დასაქმების შესახებ, რომლებიც გადაცემთა მინარსზე მუშაობენ*. იმისათვის, რომ რადიო და სატელევიზიო სადგურები სისტემატურად მასუხოზდნენ მსიენელთა და მყოურებელთა მუდმივად ცვალებად საინფორმაციო მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, შესაძლოა აუცილებელი იყოს, რომ ეს თანამშრომლები ხელმძღვანელობამ არა უკადოდ, არამედ განსაზღვრული ვადით დაასაქმოს. ელ. მედიის თავისუფლება საფუძველს უყრის იმ მიდგომას, რომ ვადიანი შრომითი ხელმეკრულებები ამ სფეროში უფრო მიზანშეწონილი და კონიკრულია, ვიდრე სხვა სფეროებში.

3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ელ. მედიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით თავდაპირველად შეიძლება ითქვას ეოველიე ის, რაც ეკვე აღინიშნა პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევის განხილვისას. ეს ნიშნავს, რომ დაცულ სფეროში *ჩარევა ხდება ყველა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სხვადასხვა სახის ღონისძიებით ტელერადიო კომპანიებს ხელს უშლის ამ ძირითადი უფლებით დაცული საქმიანობის განხორციელებაში*. განსაკუთრებით სერიოზულ და მძიე ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფოს გავლენა პროგრამების მერჩევაზე, შინარსსა და ფორმირებაზე, აგრეთვე გადაცემის ეთერში გამეებაზე სახელმწიფო თანსიობის აუცილებლობა. თუმცა, პრესის თავისუფლების მსყავსად, ელ. მედიის თავისუფლებაც შეიძლება შეი-

ზღუდის განონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული პირობების საფუძველზე.

IV. საქართველოს კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

განსახილველი ძირითადი უფლების შესახებ საქართველოში 1991 წლის 10 აგვისტოდან 2004 წლის 24 ივნისამდე მოქმედებდა კანონი *“პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ”*. კონსტიტუციის ძილების შემდეგ, 1997 წელს, ამ კანონში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რის გამოც იგი განვილილი 13 წლის განსაკუთრებაში წარმოადგენდა მოცემულ სფეროში მოქმედ ძირითად საკანონმდებლო აქტს. მაგრამ, მიუხედავად 1997 წელს განხორციელებული ცვლილებებისა, კანონი მაინც შეიცვალა რამდენიმე ნორმას, რაიმელთა კონსტიტუციურობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ერთ-ერთი მათგანი იყო მე-6 მუხლის დებულება, რომელიც მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს აძლევდა გაზეთისა და ჟურნალის დაარსების უფლებას. ეს დებულება არ შეესაბამება პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების მოთხოვნებს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრესის თავისუფლებით დაცულია არასრულწლოვანთა (18 წლის ასაკს მიუღწეველ პირთა) საქმიანობაც, ანუ სკოლებში გამოცემული სასკოლო გაზეთები თუ ნებისმიერი სხვა სახის საინფორმაციო ფურცლები. კიდევ უფრო აშკარა იყო კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში *“ხდება ამ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მოშავადებისა და გაერცვლებისათვის”*. ეს დებულება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს: იგი არღვევდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საკუთრების ძირითად უფლებას; ამასთან, დარღვეული იყო პრესისა და ელ. მედიის თავისუფლებებიც, რადგან ამ სფეროში მოქმედი იურიდიული პირების ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია ფაქტობრივად წარმოადგენს მას-მედიის საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალური საფუძვლის მოსპობას, რაც სრულიად დაუშვებელია.

„ბრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა „ზიტვეისა და კამოზაჭვის თაყისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონით, რომელიც სრულად შეესაბამება კონსტიტუციას და კიდევ უფრო განამტკიცებს ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კანონის მიზნად ეყვება აქვს გამოხატვის თაყისუფლება, რაც, სხვასთან ერთად, გულისხმობს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და ვაერცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, განსახილველ სფეროში აშკარად მოქმედებს 1999 წლის 23 ივლისის კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“. რომელიც ადგენს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძვლებს, აგრეთვე განსაზღვრავს ამ სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის მიზნად, კავშირგაბმულობის სფეროს ერთ-ერთი მიმართულებაა ელექტროკავშირი (ტელეკომუნიკაცია), რომელიც მოიცავს სადენიან, რადიო, რადიოსარელეო (სატელეფონო, მონიტინგისა ვადაცემის, სპეციალური დანიშნულების) და ტელერადიომაუწყებლობის ქსელებსა და საშუალებებს (მ. 1. ქკ. „ნ“). აღნიშნულ სფეროში საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (მ. 7. პ. 2), რომელიც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცემს ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიას (მ. 45¹), რომელიც ხორციელდება ტელერადიოსაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, საკაბელო ქსელის ან სხვა მიწის სპექტრის გამოყენებით (მ. 45²). კომისია ადგენს მაუწყებლობის სისმირეთა განაწილების გეგმას, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება თავისუფალი სიხშირული სპექტრი (მ. 45³).

კანონის 48-ე მუხლის მიხედვით გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოსათვის გამოყოფილი რადიოსიხშირული სპექტრი და პოზიცია სახელმწიფოს საკუთრებაა და მათი დანაწილებისა და

მასწავლებლის რეკლამირება მისი განსაკუთრებული უფლებაა. ისინი არ ექვემდებარება საკუთრებასა და მუდმივ სარგებლობაში გადაცემას და პრივატიზებას. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რადიოსიხშირეებს ანიჭებს კომისია თავის მიერ შემუშავებული რადიოსიხშირული სპექტრის დანაწილების წესის შესაბამისად. ვარდა ამისა, რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების ელექტრომაგნიტური შეთავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით კომისია ადგენს სიხშირეთა დიაპაზონის დანაწილების წესს, რომლის საფუძველზედაც მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის უფლებაზე გასცემს ლიცენზიას და აკონტროლებს მათ მუშაობას (მ. 49).

კანონის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნით სახელმწიფომ ფაქტობრივად შეასრულა ის ვალდებულება, რომელსაც მას პირდაპირ აკისრებს ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლება. კომისიას მინიჭებული აქვს საკმარის დიდი უფლებამოსილებები იმისათვის, რომ შეასრულოს სახელმწიფოს ვალდებულება – დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში უზრუნველყოს მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა თანასწორუფლებიანობა, შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო და ხელი შეუწყოს ტელერადიოსამაუწყებლო კომპანიების მიერ მოსახლეობისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციების დაუბრკოლებელ მიწოდებას.

ჩანართი 1. კრიტიკა და მისი სამართლებრივი მხარე

როგორც აღინიშნა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ამ საშუალებებით არა მხოლოდ ფაქტებისა და ცნობების, არამედ მოსაზრებათა და შეფასებათა გაერცვლებასაც მოიცავს. მოსაზრება და შეფასება კი ხშირად შეიძლება კრიტიკულიც იყოს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება და შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, მაგრამ დემოკრატიული საზოგადოებისათვის ყოველთვის უმჯობესია, ადამიანებმა ღიად გამოთქვან თავიანთი აზრები და პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გააკრიტიკონ ყველაფერი, რასაც ისინი გასაკრიტიკებლად მიიჩნევენ, ვიდრე ღუბილით შეხედნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა

პროფესიონალ კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული შეხედულებების სამართლებრივი მხარე. კრიტიკოსები ხომ სწორედ პრესითა და ტელევიზიით გავრცელებული შემოთქმვებითი საქმიანობის შედეგების; გამოქვეყნებულ ნაწარმოების, შესრულებული მუსიკის ან წარმოდგენილი ფილმისა იუ საექტაკლის შეფასებით არიან დაკავებულნი და ხშირია შემთხვევები, როცა მათ მწვავე კრიტიკულ შეფასებას ზოგიერთი ავტორი ღირსების შელახვად და ხოვადი პიროვნული უფლების დარღვევად მიიჩნევს. ცნობილია აღმუთლებული ავტორების მიერ კრიტიკოსთა შესახებ გამოთქმული რამდენიმე ურახა. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტიკოსის მიმართ გოეთეს აღმუთლებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი ხამაძლა გაჰყვიროდა: „მოკალით ეგ ძალი...“; ერთ-ერთი ავტორი სარკასტულ პასუხს სწერდა კრიტიკოსს: „მე ეზივარ ჩემი სახლის ყველაზე პატარა ოთახში და თქვენი კრიტიკა წინ მიქვს, ცოტა ხანში კი უკარ მიქნება“; კიდევ ერთი ცნობილი ავტორი კი ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას და აღნიშნავდა: „ის მე მიკრიტიკებს, ე.ი. ვარსებობ“ (პერიფრაზი დეკარტეს ცნობილი გამოთქმისა „*cogito, ergo sum*“).

კრიტიკის სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, სამაგალითოა ერთი სამოქალაქო-სამართლებრივი დავა, რომელიც განიხილებოდა გერმანიაში, ბერლინის სასამართლოებში:

საქმეში მოხარბეულე იყო ღირიყორი ქალი, ხოლო მოპასუხე – ვახუთ „ხალაძოს“ რედაქტორი. დავის საგანი ვახუთ აღნიშნულ ვახუთში 1955 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებული კრიტიკული შეფასება წინა დღეს გამართული კონცერტისა. ღირიყორი უკვე სტატის სათაყროთ იყო უკმაყოფილო: „ევა პატარა ვოხით“; ტექსტი კიდევ უფრო არასასაბოუხო იყო: „წლების წინ ქერამბინი. ტემპერამენტით სავსე ქალიშვილი იღვა პეღლტან და მოხსაეღეთა კონცერტზე ღირიყორობდა პერლიოხის უკერტურას. კუმნ კი ოსავე აფვილზე, მაგრამ უკვე ახალ დარბაზში იღვა ივივე მარტა ღინცი და ღირიყორობდა ბერლინის სიმფონიურ ორკესტრს“. კრიტიკოსის რეზიუმე ასეთი იყო: „ამ ხნის განმავლობაში მარტა ღინცი კერ ვახუთა ღირიყორი“. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ღირიყორის სარჩელი. ეს გადაწყვეტილება ბეღღოში ინსტანციის სასამართლომაც დაადასტურა. სასამართლოთა არგუმენტაციის მიხედვით აღნიშნულ სტატიაში გამოთქმული კრიტიკა არ სცილდებოდა პროფესიული და მონარხოზობრივი კრიტიკის ფარგლებს. ის ვარეუობა, რომ მოხარბეულის,

როგორც დირიჟორის მიერ განხორციელებული საქმიანობის დამკვირვებელი ამკვირებულად დირიჟორის მიერ აღიქმებოდა მისი, როგორც ადამიანის პაროქენული უფლების შელახვად, მაინც ვერ უგულებელყოფდა კრიტიკოსის მიერ თავის შეხედულებათა გამოხატვის უფლებას. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ წინადადება - „ამ ხნის განმავლობაში მარტა ლინცი ვერ ეახდა დირიჟორი“ - სრული სიკრუე იყო, რადგან ამ პერიოდში იგი ხუთ სხვადასხვა ორკესტრს დირიჟორობდა. სასამართლომ ეს არკუმენტაციაც უარყო და ვააქარსწელა იმ დასაბუთებით, რომ სტატიის ამკვირვებელი სარკაზმი არ სცილდებოდა დასაშვებ ზღვარს, რომლის ფარგლებშიც კრიტიკას უფლება ჰქონდა. ემოქმედა თავისუფალ ეულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნული წინადადება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა დირიჟორის შემოქმედებითი საქმიანობის კრიტიკულ შეფასებას და არაფერი ჰქონდა საერთო მოსარჩელის მუსიკალურ წარსულთან, რის გამოც ვაუგებარი იყო მოსარჩელის მტკიცება, რომ ამით იგი „სიბინძურით იქნა მოხერილი“.

და ბოლოს, კრიტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება ვაკისხნოთ საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამი კრიტიკოსთა საქმიანობის შესახებ: „რაც უნდა წერონ კრიტიკოსებმა, მათი კრიტიკა არასოდეს იქნება მათ დუმილზე უარესი“.

V. ცენზურის აკრძალვა

საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამის მიხედვით „მსოფლიოში არსებობს ორი საშინელი და, რომელთაგან უმცროსს ცენზურა ჰქვია, უფროსს კი ინკვიზიცია“; როგორც ვიცით, „ინკვიზიცია“ რამდენიმე საუკუნის წინათ „გარდაიცვალა“, „ცენზურა“ კი ზოგიერთ სახელმწიფოში დღესაც ცოცხალია.

აქართველოში ცენზურა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე არსებობდა, 1995 წლის კონსტიტუციით კი ოფიციალურად გაუქმდა. კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებით ცენზურა აკრძალულია („ცენზურა დაუშვებელია“). აკრძალვა მოქმედებს როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ისე აზრის თავისუფლების მიმართ. „ცენზურის“ ცნებაში იგულისხმება მხოლოდ ე.წ. წინასწარი ცენზურა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ შემზღუდავ ღონისძიებას ინტელექტუალური ნაწარმოების (მოსაზრების, სავაჭეთო წერალების, წიგნის, ფილმის, მუსიკის, რადიო- თუ ტელევიზიო გადაცემის)

მქეჩნისა და ვაერცვლების პროცესში, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოს მიერ ნაწარმოების შინაარსის წინასწარ შემოწმებას და მის ვაერცვლებასზე ნებადართვის ეკვეცხს. ასეთი პრევენციული კონტროლის მექანიზმის არსებობაც კი, მოუხედავად იმისა, იგი ფორმალურად მოქმედებს თუ არა, დემოკრატიული წესწეობილებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ახრთა ჭიდილს, საზოგადოებრივ დისკუსიას და ადამიანთა ინტელექტუალურ ცხოვრებას სერიოზულად შეაფერხებს და უდიდეს ნეგატიურ ვაგულენას მოახდენს მასზე. სწორედ ამიტომ ცენზურის აკრძალვის პრინციპიდან არ არის დაშეებული არაერთარი გამონაკლისი, იგი აბსოლუტურად შეუზღუდავია.

რაც შეეხება მოსაზრებების გამოქვეყნებისა და შემოქმედებითი ნაწარმოების ვაერცვლების შემდეგ დაშეებულ ვარკვეულ შემზღუდავ ნორმებს, ეს არ არის ცენზურა. კონსტიტუცია 24-ე და კიდევ რამდენიმე მეხლით ადგენს ასეთი შემზღუდვის საფუძეველს, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფომ შეიძლება შემზღუდოს კონკრეტული ძირითადი უფლება. ასეთი საფუძეველი შეიძლება იყოს *სხვათა ძირითადი უფლებები* (მაგალითად, 24-ე მეხლის მე-4 და 23-ე მეხლის მე-3 პუნქტები), რომელთა დარღვევას იწვევს ვაერცვლებული ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ ცენზურის აკრძალვა გამორიცხავს რადიო და სატელევიზიო კომპანიების მხრიდან იმ საარჩევნო რეკლამებისა თუ ვადაცემების შინაარსობრივ შემოწმებას, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები მათთვის ოფიციალურად გამოყოფილი საერთო დროის ფარგლებში ავრცელებენ. ამდენად, რადიო თუ სატელევიზიო კომპანიის ხელმძღვანელს არა აქვს უფლება, რაიმე საფუძეველით აკრძალოს ასეთი ვადაცემების ეთერში ვაშეება. მას უფლება აქვს შეამოწმოს და ვაარკვიოს, საერთოდ წარმოადგენს თუ არა მოცემული სიუჟეტი საარჩევნო რეკლამას და ამკარად ხომ არ მოუწოდებს იგი მსამკნელსა თუ მყოურებელს კონსტიტუციური წესრიგის საწინააღმდეგო გამოსვლებისა და დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისაკენ.

VI. კონკრეტული სასამართლო საქმეები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილია კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვა. ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ძალიან

ხშირია შემთხვევები, როცა აზრის თავისუფლების მსგავსად, პრესისა და ელექტრონული მედიის თავისუფლებები უპირისპირდება ადამიანის ღირსებას და ზოგად პიროვნულ უფლებას. ამ ძირითად უფლებათაგან არც ერთს არა აქვს რაიმე უპირატესობა მეორის მიმართ. ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული გარემოებების მიხედვით უნდა მოხდეს კოლიზირებული ძირითადი უფლებების შედარება და აწონ-დაწონვა. ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზემოაღნიშნულ *ზომიერების პრინციპს*, აგრეთვე ვარაუდის წებს. ამ წესის მიხედვით ყოველთვის, როცა საქმე ეხება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს ან საჯარო პირს, თავიდანვე გამოითქმის ვარაუდი აზრის, პრესისა და ელ. მედიის თავისუფლების, ანუ თავისუფალი საჯარო დისკუსიის სასარგებლოდ.

ვარდა იმისა, რომ ადამიანის ზოგად პიროვნულ უფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას შორის კოლიზიის შემთხვევების გადაწყვეტისას გამოიყენება მხარეთა ინტერესების შედარებისა და აწონ-დაწონვის მეთოდი, უნდა დადგინდეს აგრეთვე საზოგადოების განსაკუთრებული ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, რაც ზორციელდება ე.წ. „პიროვნული“ და „შინაარსობრივი“ მასშტაბების საფუძველზე. *პიროვნული მასშტაბის დროს ივარაუდება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება საჯარო პირს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფ პიროვნებას და ძის საქმიანობას. შინაარსობრივი მასშტაბის დროს კი საქმე ვეკაცს საგანთან ან მოვლენასთან, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, რის გამოც გამართლებულია ამ საკითხზე საჯარო დისკუსიისა და დებატების, ხშირად კი მწვავე, ბევრისათვის არასასიამოვნო და აღმაშფოთებელი კრიტიკის გამოთქმა და კამათის გამართვა.*

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება რამდენიმე კონკრეტული საქმე, რომელთა განხილვა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასა და ზოგად პიროვნულ უფლებას შორის კოლიზიის შემთხვევების გადაწყვეტისას ზემოაღნიშნულ მასშტაბთა გამოყენება.

საქმე №1: 1977 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით მწერალი გუნტერ ვალრაფი *ქანს ესერის* სახელითა და გვართ, ინკოგნიტოდ

უქმობდა ვახუცი „ბილდის“ მანუერის რედაქციაში. მოვგვიანებით მან გამოაცხვინა წიგნი სათაურით „გამოაშკარავება – ადამიანი, რომელიც „ბილდის“ პანს ესერი იყო“. ამ წიგნში მწერალი, ვახუცის რედაქციის საქმიანობის სხვა დეტალებთან ერთად, მოგვითხრობდა ერთ-ერთი სარედაქციო შეკრების შინაარსსა და მიმდინარეობაზე და სიტყვა-სიტყვით ვადმოსცემდა მის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ აზრებს. გარდა ამისა, წიგნში გამოცხვინებული იყო მწერლის მიერ მომზადებული მანუსკრიპტის გვერდის ფაქსიმილე, რომელიც პირადად აქონდა ჩასწორებული უფროს რეპორტიორს. ამ მანუსკრიპტის სურათის ქვეშ იყო ავტორის ასეთი მინაწერი: „*ეს მთავარად სტატია სათაურით „მოვლენებზე ეს სტატია საკუთარი ხელით ვაყვალს ზვიგ ტრიაკოლემ და ტექსტში ჩაამატა ციტატები“.*

ამ საქმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვიწრო კალრადსაც და ვახუცი „ბილდისაც“ შეეძლოთ საკუთარი უფლებების დასაცავად გამოეყენებინათ აზრისა და პრესის თავისუფლებები. ორივე მხარის ინტერესების, კერძოდ, ერთი მხრივ, შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ანტიორმაციაზე საზოგადოების ინტერესისა და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად მშვიდ სარედაქციო საქმიანობაზე ვახუცი „ბილდის“ ინტერესის შედარებისა და აწინ-დაწინების შედეგად, ვაჩვენებ, რომ სარედაქციო შეკრების შინაარსისა და მიმდინარეობის სიტყვა-სიტყვით ვადმოცემა დაუშვებელი იყო. ეს, კრიტიკური, ნაშნაქვდა სარედაქციო საიდუმლოებაში მძიმე ჩარევას, მეორე მხრივ კი არ აამკარავებდა რაიმე განსაკუთრებით მძიმე შეცდომებს და ასევე არ აღწერდა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. სამაგვოროდ, დასაშვებია იყო მანუსკრიპტის გვერდის გამოქვეყნება, რადგან იგი ეხებოდა მხოლოდ რედაქციის ცალკეულ თანამშრომლებს შორის ურთიერთობას და, მოსამართლეთა აზრით, სარედაქციო შეკრების დაწვრილებით ვადმოცემასთან შედარებით ვაცილებით ნაკლებად ერიოდა სარედაქციო საიდუმლოებაში.

საქმე №2: გერმანიის ერთ-ერთი ცენტრალური და ყველაზე პოპულარული ტელეკომპანიის – „ZDF“-ის თანამშრომლები 1986 წელს ვიდეო-კამერატურით იღებდნენ ატომურ სადგურ „ბროკდორფთან“ გამართული საპროტესტო დემონსტრაციის მიმდინარეობას. დემონსტრაციას დადი არეულობა მოჰყვა პოლიციისა და მონაწილეების დაპირისპირების შედეგად პროკურატურამ აღძრა საქმე და დაიწყო გამოძიება როგორც დემონსტრანტთა, ისე პოლიციის თანამშრომელთა მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შეკვლელობის მცდელობის და სხეულის დაზიანების

ზრადლებით. პროკურატურამ „ZDF“-ს მოსახოვა ვაჰიდიებისათვის გადაეცა მისი სასამართლოების მიერ გადაღებული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ვიდეომასალის ასლი. „ZDF“-ს არ სურდა ამ მასალის კამელოვნება; იგი თანახმა იყო მხოლოდ იმ ნაწილის გაცემაზე, რომელიც უკვე გადაეცა ეთერით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტურმა სასამართლომ პრძანა „ZDF“-ის ოფისის განხრევა და „ბროკლორფის“ დემონსტრაციის შესახებ არსებული ყველა ვიდეომასალის ამოღება, „ZDF“-მა გასცა ეს მასალები, მაგრამ იმაკროულად სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

სასამართლომ მიიხნია, რომ ამ შემთხვევაში ჩხრევა და ამოღება დასაშვები იყო. მართალია ეს ღონისძიება წარმოადგენდა აშკარა ჩარევას ელ. მედიის თავისუფლებაში, მაგრამ ჩარევა ეკრდობოდა კანონს, კერძოდ, სისხლის სასმართლის საპროცესო კოდექსის დებულებებს, რომლებითაც განსაზღვრულია დანაშაულთა გახსნის მიზნით გარკვეული მტკიცებულებების მოპოვებისა და ამოღების აუცილებლობა (აქ არ ყოფილა ინფორმაციის დაცვის პრობლემა, რადგან „ZDF“-მა აღნიშნული მასალა თვითონ შექმნა). „ZDF“-ის ინტერესებისა და სახელმწიფოს (პროკურატურის) ინტერესების შედარებისა და აწონ-დაწონვის დროს ასევე გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ საქმე ეხებოდა სისხლის სასმართლის მიძიე დანაშაულს, რომლის ჩადენა ბრალად ედებოდათ არა მხოლოდ დემონსტრანტებს, არამედ პოლიციელებსაც; გარდა ამისა, მოვლენები ღიად და საჯაროდ, ყველას თვალწინ განვითარდა, ასე რომ, ისინი „ZDF“-ის საიდუქლოებას არ წარმოადგენდა.

საქმე №3: მონაკოს პრინცესა კაროლინას და სახელგანთქმული გერმანელი მოცურაეის ფრანცისკა ვან ალშვიკის შესახებ უერნალ „Das Neue Blatt“-ის გარეკანზე გამოქვეყნდა ცნობები ამ პიროვნებათა (სინამდვილეში არარსებული) დაქორწინების განზრახვების შესახებ. ორივე ქალბატონმა მიაღწია სასამართლოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც გამომცემლობას დაევალა უახლოეს ნომერში უერნალის გარეკანზე მცდარი ცნობების უარყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნება. გამომცემლობამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ბოლოს გამომცემლობამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. კონსტიტუციურ სარჩელში იგი მიუთითებდა, რომ საერთო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს (შეცდომით გაითვალისწინეს) კონსტიტუციით აღიარებული პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების მნიშვნელობა. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მართალია, უარყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება ამკარად გავლენას ახდენდა კამოქცეისლობის ძირითად უფლებაზე, მაგრამ აქ არ მომხდარა პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების დარღვევა. პრესას არა აქვს აკრძალული, ეურადღებით ჩატარებული კვლევების შესწდგ მკითხველს მოუხსროს იმ განზრახვებსა თუ ვარემოებებზე, რომელთა ნამდვილობა გამოქვეყნების მომენტში აბსოლუტური სიზუსტით არ ღვინდება. მაგრამ ისეთი ფაქტების გავრცელება, რომელთა სიყალბე წინასწარვე ცნობილია, რითაც მუდმივად ირღვევა კონკრეტული ფიზიკური პირის ზოგადი პიროვნული უფლება, წარმოადგენს პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფუძესელებს. პრესის თავისუფლებით დაცული სფერო ასევე არ არის დარღვეული, როცა უარყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნა არც ღირსების დარღვევის დადასტურებას, არც პირველად გამოქვეყნებული ინფორმაციის მედარობის მტკიცებას და თვით უარყოფელი ინფორმაციის სინამდვილის მტკიცებასაც არ ითხოვს.

საქმე №4: ყოველთვის პიპულარული ეურნალის გამოქცემელმა გამოაქვეყნა ხამი ფოტო, რომლებიც ასახავდა ცნობილი დამნაშავეისა და მისი თურაბექტი ქალბატონის საგამოძიებო იზოლაციორში გადახდილ ქორწილს და გადაღებული იყო იზოლაციორის თანამშრომლის მიერ. უცნობი იყო, თუ როგორ მოხვდა ეს ფოტოები გამოქცემლის ხელში. საგამოძიებო იზოლაციორზე პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიწინა, რომ ამ ფოტოების გამოქვეყნებით მოხდა აღნიშნული მოვლენის კომერციალიზაცია, და გამოქცემლისაგან მოითხოვა მისთვის ფოტოების მძმწოდებელი წყაროს დასახელება. სასამართლომ დაადასტურა ამ მოთხოვნის კანონიერება. გამოქცემლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს წარმატება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ გამოქცემელმა კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში. სარჩელში იგი მიუთითებდა კონსტიტუციით გარანტირებულ პრესის თავისუფლებაზე და აღნიშნავდა, რომ ფოტოების გადაცემა წყაროს დასახელების ვალდებულება არღვევს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. დასაბუთებულია თუ არა კონსტიტუციური სარჩელი?

1. დაცული სფერო

პრესის თავისუფლება იცავს პრესის თვითმყოფადობას და დამოუკიდებლობას, დაწებული ინფორმაციისა და ცნობების მოპოვებით დამთავრებული ამ ინფორმაციისა და მოსახრებების გავრცელებით. რადგან პრესას ინფორმაციების გავრცელებითა და კრიტიკით ღიდი წველილი

შეაქვს თავისუფალი აზრის ჩამოყალიბებაში და, აქედან გამომდინარე, მიმართულია საზოგადოების მიერ ინფორმაციების დაუბრკოლებელი მოპოვებისაკენ, კონსტიტუციით აღიარებული პრესის თავისუფლება აკავს აგრეთვე პრესასა და ინფორმანტებს შორის სანდობასა და საიდუმლოებას. ბუნებრივია, რომ ეს დაცვა ვრცელდება ფოტოსურათების გამოქვეყნებაზეც. ინფორმაციის გაცემაზე ყოველი იძულება არღვევს სანდობას და ამით შეუძლია შეაფერხოს პრესის მიერ თავისი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი ფუნქციის – საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების – განხორციელება.

2. დაცულ სფეროში ჩარევა

სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება წყაროს დასახელების ვალდებულების შესახებ წარმოადგენს პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.

3. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

პრესის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. შეზღუდვის შემთხვევები კონსტიტუციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დგინდება საკანონმდებლო აქტით – კანონით.

კანონით შეიძლება განისაზღვროს ისეთ სამართლებრივ სიკეთეთა დამცავი ნორმები, რომლებსაც გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს აზრისა და პრესის თავისუფლებების მიმართ. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. თუმცა საქმის განმხილველმა სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საქმესთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული ყველა ძირითადი უფლება, მათი მნიშვნელობა, უნდა მოახდინოს ნორმათა ინტერპრეტაცია საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, რათა ძირითადი უფლებების შინაარსი და მათი ღირებულება არ დაირღვევს სამართლის ნორმის გამოყენების დროს. რადგან განსახილველ შემთხვევაში ხდება პრესისაგან ინფორმაციის გამოთხოვა, როგორც წესი, აუცილებელია საქმის გარემოებების შესაბამისი აწონ-დაწონვა და შედარება პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებისა და სამართლებრივი ნორმით დაცული სიკეთის მნიშვნელობებისა. პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტსა და ინფორმანტს შორის ნდობას დაკვირვების უზრუნველყოფა აუცილებელია წინაპირობაა პრესის საქმიანობისათვის. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჟურნალისტური საქმიანობის აბსოლუტურ დაცვას, რადგან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთეებით, როგორცაა, მაგალითად, საავტორო უფლება, გარკვეულ შემ-

იხვევებში შეიძლება პრესის თავისუფლება შეიზღუდოს. სააკტორი უფლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია ამ უფლების იმპლემენტაციისათვის მისი დარღვევის საშუალებებისა, კენ მიმავალი გზებისა და წყაროების გამოკვლევა, რათა ამით (მოცემულ შემთხვევაში ამ უფლების დამრღვევი პირის ქმედებისაგან დამოუკიდებლად) შესაძლებელი გახდეს მოზავალში სავარაუდო დამრღვევთა წინააღმდეგ მოქმედება და სააკტორი უფლების დაცვა.

აღნიშნულის შესაბამისად, ინფორმაციის წყაროს დასახელების მიმოხილვითა ინტერესთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს: არსებობს თუ არა სხვა დარღვევების საფრთხე და ამ საფრთხის თავიდან ასცილებლად აუცილებელია თუ არა წყაროს დასახელება, ხოლო თუკი ეს არ არის აუცილებელი, სჭირდება თუ არა დაზარალებულს ეს ინფორმაცია იმისათვის, რომ მიყენებული ზიანისათვის მიიღოს გარკვეული ანაზღაურება. საქმის არსიდან ჩანს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოძღვერო დარღვევები მოსალოდნელი არ არის, ანუ არ არსებობს ამის საფრთხე, გამოძინარე იქედან, რომ განხილული მოვლენა (ქორწილი იზოლატორში) ამომწურავად იქნა ასახული გამოკვლევებულ ფოტოებით. ასევე არ იკვეთება რაიმე ზიანის მიყენების ფაქტი. ამდენად, გამომცემლის კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმე №5: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ძირითად უფლებათა დარღვევად მიიჩნია ავსტრიელი ჟურნალისტის სასამართლო წესით დასჯა, რომელმაც თავის პუბლიკაციაში ავსტრიის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს იორგ ჰაიდერს უწოდა „Frottel“ (დოყლაპა, ბედოვლათი). აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საჯარო პირის (ამ შემთხვევაში – პოლიტიკური პარტიის ლიდერის) მიმართ მწვავე, გადაჭარბებული და ხშირად არასასიამოვნო გამოხატუებებისა და შეხედულებების დასაშვებობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, საჯარო პირმა უნდა ითმინოს მისი საქმიანობის ასეთი (მისი აზრით „არასამართლიანი“) შეფასებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში კენის სასამართლოს მედარი გადაწყვეტილებების გამო ავსტრიის სახელმწიფოს დააკისრა 21 000 ავსტრიული შილინგის გადახდა ჟურნალისტისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

საქმე №6: განსახილველი შემთხვევა ცნობილია „გრინპისის საქმის“ სახელით, რომლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის უხუცესმა იედერალურმა სასამართლომ: 1990 წელს საერთაშორისო

ორგანიზაცია „გრინპეისი“ (Greenpeace), რომელიც აქტიურად გამოდის ვარჯის დაბნძურების წინააღმდეგ, მთელი გერმანიის მასშტაბით მოაწყო მრავალმილიონიანი აქცია თზონის შრის დაზიანებისა და გარემოს დაბნძურების აღკვეთის მოთხოვნით. აქცია განხორციელდა უპირავი დიდი პლაკატის თანხლებით, რომლებზედაც იყო წარწერა: „ვევლა ლაპარაკობს კლამატზე, ჩვენ კი მას კანადურებთ“; წარწერის ქვეშ მოთავსებული იყო სს „პოეხსტ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და სს „კალი-ქიბის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფოტოპორტრეტები, მათი სახელებისა და გვარების მითითებით. შემდეგ იყო კიდევ ერთი წარწერა: „თზონის შრის დაზიანებასა და გარემოს დაბნძურებაში უმძლესი ძვლყვების მქონე პირები, რომლებიც კასუხისმგებელნი არიან თზონის დაზიანებისა და გარემოს დაბნძურებისათვის“. პლაკატზე მითითებული იყო აგრეთვე ორივე სააქციო საზოგადოების ტელეფონის ნომრები, რათა სოსახლეობას აქონოდა მათთან დაკავშირებისა და პროტესტის გამოთქმის საშუალება. პლაკატების აქცია“ სს „პოეხსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ვოლფგანგ პილგერმა საკუთარ სურათზე და სახელზე უფლების დარღვევად მიიჩნია, სარჩელი შეიტანა აქციის ორგანიზატორის – გერმანიაში „გრინპეისის“ წარმომადგენლის წინააღმდეგ და მოითხოვა პლაკატის შემდგომი გამოქვეყნების აკრძალვა იმ შემთხვევაში, თუ მასზე კვლავ იქნებოდა ჩისი ფოტოსურათი და სახელი.

ფრანკფურტის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, მაგრამ „გრინპეისის“ სარჩელის საფუძველზე გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა ფრანკფურტის სასამართლოს გადაწყვეტილება და უარყო პილგერის მოთხოვნა. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ არ განიხილა საქმე იმ კუთხით, ხომ არ ექცეოდა „პლაკატების აქცია“ ხელოვნების თავისუფლების დაცვის ქვეშ, რადგან იგი პოლიტიკურ შეხედულებას პლაკატის, ანუ სახელოვნებო საქმიანობის შედეგის საშუალებით ვადმოსცემდა. სასამართლომ დაწვრილებით განიხილა საქმის მხოლოდ ძირითადი ნაწილი: ფოტოსურათისა და სახელის გამოქვეყნების დასაშვებობა.

გერმანიაში გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებისა და სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ პილგერი ისტორიულ პიროვნებად ანუ საჯარო პირად მიიჩნია. შესაბამისად, დასაშვები იყო ამ პიროვნებასთან დაკავშირებით მწვავე, კრიტიკული, მისთვის არასასიამოვნო მოსაზრებების გამოთქმა. იმავედროულად, არსებობს პრესისა და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი ასეთ პირთა საქმიანობის მიმართ. პლაკატი, რომელიც „პრესას“ კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს, დაეკუთვნება პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

პრესის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი კონკრეტული საჯარო პირთა საქმიანობაზე კარდა აისხა, საქმის ყველა გარემოების დაწვრილებით შეფასების შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ პლაკატის ტექსტი მთლიანად დაცული იყო აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით. ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, რომ აქ ერთობლივად მოქმედებენ ფაქტები და შეფასებითი შეხედულებები. პლაკატის მთლიანი ფონიც, ფოტოპორტრეტებისა და სახელების მითითებით, დაცულია აზრის თავისუფლებით. პლაკატების ასეთი პერსონალიზება მიზნად ისახავდა შესაბამისი რეაქციის გამოწვევას. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს პირები პასუხისმგებელი არიან ისეთი ვიგანტური საწარმოების სამეწარმეო პოლიტიკაზე, როგორებიც არიან სს „პოლესტი“ და სს „კალი-ქიმი“. მათი საქმიანობის შეფასების ხატირული ფორმა და სარკაზმი აზრის გამოთქმის ფორმებს წარმოადგენს, რომლის მიზანია სასურველი ეფექტის მიღწევა.

საქმე №7: 1986 წელს ათენის საოლქო სასამართლოს ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა მეტად საინტერესო შეფასება პრესის როლის, აგრეთვე ზოგად პიროვნულ უფლებასა და აზრის თავისუფლებას შორის კონფლიქტის შესახებ.

1986 წელს ერთ-ერთ ბერძნულ გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტის პოლიტიკური კომენტარი, რომლის ბოლოს ავტორმა კითხვის ფორმით მიმართა ერთ-ერთი მინისტრის პირველ მოადგილეს - სახელმწიფო მდივანს, მართალი იყო თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამინისტროს ორი თანამშრომელი, განათლებით პედაგოგები, სამსახურის ნაცვლად მის შეიღის, საშუალო სკოლის მოსწავლეს, დამატებით კერძო გაკვეთილებს უტარებდნენ. ამის შემდეგ ჟურნალისტი გამოთქვამდა ეარაუდს, რომ სახელმწიფო მდივანი საკუთარი, კერძო ინტერესების (ამ შემთხვევაში შეიღისათვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარების) დასაკმაყოფილებლად იყენებდა საბერძნეთის მოქალაქეთაგან გადასახადების ხანით ოფიციალურად სახელმწიფო ხაზინაში შესულ თანხებს.

სახელმწიფო მდივანმა ეს პუბლიკაცია თავისი პიროვნული უფლების შელახვად და შეურაცხყოფად მიიჩნია და გაზეთის წინააღმდეგ შესაბამისი სარჩელი შეიტანა სასამართლოში. ათენის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვეტილება შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება საჯარო პირს, რომელსაც უჭირავს საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, არსებობს პრესისა და საზოგადოების ლეგიტიმური, გამართლებული ინტერესა

თავისთვისა და როგორც, საჯარო პირების საქმიანობისა და ცხოვრების სტილის მხარეს მის ვაიხ დემოკრატიულ საზოგადოებაში უერთნაღისტებს უფლება აქვთ დაუწიონებთ სოუიზონ მისახლეობას ამ ადამიანებს შესახებ. კამოიქენ თავისი მოსახრებები, ხოლო თუ საჭიროდ მიიჩნევენ, მწკვედ გააკრიტიონ მისი და განახორციელონ ინტენსური საზოგადოებრივი კონტროლი მათ საქმიანობაზე. ასეთი კრიტიკა სრულიად დასაშვებია და შეესაბამება საბერძნეთის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის შესახებ.

სასამართლო პროცესზე გაარკვა, რომ საბინისტროს ორი თანამშრომელი მართლაც მხოლოდ სახელმწიფო მდიენისათვის მუშაობდა და ხშირად მდიედა მასთან სახლში, თუმცა ისინი არ უტარებდნენ სახელმწიფო მდიენის შვილს კერძო გაკვეთილებს. ამდენად, საგაზეთო სტატია არასწორ ფაქტებს შეიცავდა, მაგრამ უერთნაღისტი ამ შემთხვევაში არ მოქმედებდა წინასწარი ვანზრახვით, რომ ვაევრციელებისა სწორედ ყალბი ფაქტები. იგი დაევრდნო აღნიშნულ ფაქტებს და შეეცადა დაეზუსტებინა ისინი, მაგრამ ეს ვერ შეძლო, ამდენად, მან არ იცოდა, რომ ეს ფაქტები ყალბი იყო. კარდა ამისა, უერთნაღისტის კომენტარი ჩამოყალიბებული იყო სახელმწიფო მდიენის მიხარო კოთხეის ფორმით და არ შეიცავდა რაიმე მტყიცებას.

საქმე №8: ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე „ტაიმ“ ჰილის წინააღმდეგ“ (*Time Inc. v. James Hill*), რომელიც საინტერესოა იმით, რომ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაუკრილებით განმარტა პრესის თავისუფლებასა და ზოგად პიროვნულ უფლებას შორის კონფლიქტის დროს სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი დებულებები.

აღნიშნული საქმე ეხებოდა წერილს, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა უერთნაღისში „Life“ და მკითხველს უამბობდა უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილი თეატრალური წარმოდგენის შესახებ. თეატრალური წარმოდგენა ემკარებოდა ნამდვილ ამბავს – ჯეიმს ჰილის ოჯახის გატაცებას და შეიცავდა სცენას, რომლის დროსაც ჰილის ქალიშვილის მიმართ გამტაცებლები სექსუალურ ძალადობას სჩადიოდნენ. თავად ჰილს და მის ვაჟიშვილს კი სასტიკად სცემდნენ. ეს სცენა ავტორთა ფანტაზიის ნაყოფი იყო და არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. უერთნაღისში გამოკვეენებული სტატის ტექსტიდან კი სინამდვილისა და კამონაგონის ვარჩევა შეუძლებელი იყო. ჯეიმს ჰილმა სასამართლოში შეიოტანა სარჩელი უერთნაღის წინააღმდეგ.

ამშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე არ ეხებოდა არც სახელმწიფო მოხელეს და არც საჯარო პირს, მაგრამ კერძოადმი გამოქვეყნებული თეატრალური წარმოდგენის შინაარსი ასახავდა ისეთ მოვლენას, რომლის მიმართაც არსებობდა საზოგადოების ძალიან დიდი ინტერესი. სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „სწორედ პრესის თავისუფლება უზრუნველყოფს ჩვენს პოლიტიკური სისტემისა და ღია საზოგადოების არსებობას“. სასამართლომ განმარტა, რომ პილი არ იყო არც „საჯარო ფიგურა“ („public figure“) და არც „სახელმწიფო თანამდებობის პირი“ („public official“); იგი ჩვეულებრივ „კერძო პირთა“ („private figures“) ჯგუფს განეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, მისი პიროვნების მიმართ არსებობდა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, რადგან იგი მკტად მძიმე დანაშაულის მსხვერპლი იყო. ამდენად, სასამართლომ შინაარსობრივი მასშტაბის საფუძველზე უპირატესობა მიანიჭა პრესის თავისუფლებას.

ჩანართი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების წინააღმდეგ (უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა)

I. შესავალი

პრესისა და ელ. მედიის თავისუფლებათა შინაარსისა და კონკრეტული სასამართლო საქმეების განხილვა ადასტურებს, რომ ძალიან ხშირად ამ ძირითად უფლებებს უპირისპირდება ადამიანის ღირსება და ზოგადი პიროვნული უფლება. სასამართლოს მიერ ამ დაპირისპირების განხილვის შედეგად კი შეიძლება ერთ-ერთი მათგანი შეიზღუდოს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მდიდარი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე გამოყოფილია გარკვეული სტანდარტები, რომელთა მისდევითაც ხშირად თავიდანვე ცხადი ხდება, აღნიშნულ ძირითად უფლებათა კოლიზიის შემთხვევებში რომელს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა. ამ ჩანართში მოკლედ იქნება წარმოდგენილი უცხოეთის სასამართლო პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების ძირითადი შინაარსი. ამასთან, განხილვის მოქნილობის უზრუნველყოფისათვის ჩანართის ტექსტში

„მას იბრძვი ინფორმაციას საშუალებათა“ ნაცვლად გამოყენებული იქნება ტერმინები „პრესა“ და „ექვლა“.

II. ნამდვილი ფაქტები

როგორც ზემოთ აღანიშნა, ნამდვილი ფაქტების გავრცელება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად პრესის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას და უფლებას წარმოადგენს. დადგენილია, რომ პრესასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონფლიქტების უმთავრესი ნაწილი არა ვაღბი, არამედ ნამდვილი ფაქტების გავრცელებას უკავშირდება, რაც ერთი შეხედვით პარადოქსად შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ნამდვილი ფაქტების გავრცელებაა ის სფერო, რომელშიც განსაკუთრებით გამწვავებულია ურთიერთობა. ერთი მხრივ, პრესის სურვილთან, რაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და, მეორე მხრივ, ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ ადამიანის სურვილთან, საჯარო მსჯელობისა და განხილვის საგანი არ გახდეს მისი პირადი ცხოვრება.

აქედან, **ზოგადი პიროვნული უფლება პრესის თავისუფლების უმთავრესი შემზღვევაკი ნორმაა და იგი განსაკუთრებით ინტენსიურად მოქმედებს პრესის მიერ ნამდვილი ფაქტების გავრცელების დროს.** აქ საქმე გვაქვს ე.წ. ღია შესაძლებლობასთან, რომლის ხესტი აღწერა შეუძლებელია. იგი შეიძლება დაზუსტდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის განხილვისას და გადაწყვეტისას. ამ დროს, როგორც ვიცით, გამოიყენება ე.წ. **სიკეთთა შედარების (ანონ-დაწონვის) მეთოდი**, როდესაც ერთმანეთის წინაშე დგანან, ერთი მხრივ, ადამიანის ღირსება, როგორც ზოგადი პიროვნული უფლების საფუძველი, და, მეორე მხრივ, პრესის გამართლებული ინტერესი და უფლება, შეიძლებისდაგვარად დეტალურად მოახდინოს საზოგადოების, მასსახლეობის ინფორმირება. მართლმსაჯულების ამოცანაა, კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს მხარეთა ინტერესები სიკეთთა შედარების მეთოდით. სასამართლო პრაქტიკის შედეგად მოხდა ამ ღია შემადგენლობის განვითარება, რის შემდეგაც მთელი სიერო გარკვეულწილად დაკონკრეტდა და ამჟამად რედაქციებს აქვთ შესაძლებლობა, მასალის გამოქვეყნებაზე შეიქმნან წარმოდგენა იმაზე, თუ რამდენად არღვევს მათ მიერ გამოისაქვეყნებელი ინფორმაცია ზოგადი პიროვნული უფლებით

დადგენილ საზღვრებს და შესაბამისად, უნდა გამოქვეყნდეს თუ არა ეს ინფორმაცია.

როგორც ზოგადი პიროვნული უფლების დაწვრილებითი განსილ-კისას ითქვამს, ამ უფლების სისტემატიზაცია და ტიპიზირება სრულიადაც არ არის დამთავრებული და საბოლოოდ დადგენილი; იგი კვლავ კითარდება და კონკრეტდება მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მსხველით. მსუხედავად ამისა, დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებები იმ შემთხვევებისათვის, როცა ზოგადი პიროვნული უფლება გამოიყენება როგორც საზოგადოების ნაბმვილი ფაქტებით ინფორმირებაზე მედიის უფლების შემზღუდავი სპეციალური ნორმა. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის უკვე ცნობილ ე.წ. *სფეროთა თეორიას*, რომელიც გულისხმობს ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს. განვიხილოთ ისინი თანმიმდევრობით:

1. ინტიმური სფერო

ინტიმურა სფერო არის ადამიანის ცხოვრების ყველაზე „შინაგანი“, ხელშეუხებელი და იმავდროულად ყველაზე ვიწრო სფერო. მისი განკარგვა შეეძლია მხოლოდ ინდივიდს და არავის სხვას. პიროვნებას აქვს აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება, ამ სფეროში თავის თავს ეკუთვნოდეს და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისაებრ განკარგოს ყველაფერი. ინტიმური სფერო ყველაზე უფექტიანად არის დაცული მესამე პირთა ჩარევისაგან და მედიის მიერ რაიმე ფაქტების გავრცელებისაგან (ეს ეხება როგორც ტექსტს, ისე ფოტოსურათებს, აუდიო- და ვიდეოჩანაწერებს და ა.შ.). იგივე წესი მოქმედებს „საჯარო ფიგურისა“ („public figure“) და „სახელმწიფო თანამდებობის პირის“ („public official“) ანუ *საჯარო პირების* მიმართ, რომელთა ზოგადი პიროვნული უფლება რიგით მოქალაქეებთან შედარებით საკმაოდ შეზღუდულია; ისინი იძულებულნი არიან მოითმინონ მედიის მიერ მათ საქმიანობასთან და მათ მიერ საჯარო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული მოსაზრებების, ფაქტების, შეფასებების, კომენტარების, ფოტოსურათებისა და ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნება. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს პირებიც კი არ არიან ვალდებული, ითმინონ ისეთი ფოტოსურათების ან ინფორმაციების გავრცელება, რომლებითაც სდება მათ ინტიმურ სფეროში ჩარევა. *მაკაღიითად*, ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის გან-

ქორწინება არას საზოგადოების გამართლებული საინფორმაციო ინტერესის საგანი და აღარ განეკუთვნება ამ პოლიტიკოსის ინტიმურ სფეროს; ამდენად, პრესა უფლებამოსილია საზოგადოებას მოუთხროს ამის შესახებ. მაგრამ ამ განქორწინების მიზეზები მაინც მიეკუთვნება პიროვნების ინტიმურ სფეროს და ისინი დაცულია გამოქვეყნებისაგან. როცა პოლიტიკოსი რამდენჯერმე გამოჩნდება საჯარო თავშეყრის ადგილზე არა თავის მეუღლესთან, არამედ ახალ მეგობარ ქალითან ერთად, ეს, რა თქმა უნდა, განეკუთვნება არა მის ინტიმურ, არამედ შედარებით უჯრო სუსტად დაცულ კერძო სფეროს და პრესას უფლება აქვს ამის შესახებ მოუთხროს საზოგადოებას. სამაგიეროდ, ინტიმურ სფეროს უნდა მიეკუთვნოს შემთხვევითი გაცნობა შვებულების დროს, რომელიც საზოგადოებისგან დაფარულად და არა საჯაროდ ხდება და, ამდენად, დაცულია პრესაში გამოქვეყნებისაგან.

ინტიმურ სფეროს თითქმის ყოველთვის მიეკუთვნება პიროვნების *სექსუალური სფერო*, რომელიც აბსოლუტურად დაცულია ჩარევისაგან. მოუხედავად ამისა, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ პრინციპიდან გამონაკლისი არ არსებობს, საკმაოდ საკამათოა. *გამონაკლისის სახით ინტიმური სფერო არ არის დაცული იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქმის გარემოებები გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ გამოძახილს .ჩხოკებენ*, როგორც ეს მოხდა ერთ-ერთი ცნობილი თანამედროვის მამობის დადგენის შემთხვევაში ან ბრიტანული პრესის მიერ ინგლისის ტასტრის მეჩვიდრის ინტიმური გატაცებების შესახებ ინფორმაციების ვაკრცელების დროს. ქართული სამართლებრივი და მორალური ღირებულებების მიხედვით, პოლიტიკის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა (ანუ საჯარო პირთა) სექსუალურ სფეროზე ინფორმაციებისა და სურათების გამოქვეყნება, რომელთა მთავრებაც შესაძლებელია სპეციალური ტელე- და ფოტოკამერების საშუალებით, კონკრეტული პიროვნების საცხოვრებელში (სახლში, ბინაში, აგარაკზე...) შეღწევით, ისევე მიუღებელი და დაუშვებელია, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ. მაგრამ როცა უცხოეთის პრესა ასეთ შემთხვევებზე მოგვითხრობს და თანაც განსაკუთრებული ინტენსივობით, მაშინ ადგილობრივ პრესასაც აქვს უფლება, ამ ფაქტებზე თავად მიაწოდოს ინფორმაციები მკითხველს.

ინტიმურ სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე *პირადი საიდუმლოების შემცველი ისეთი ცნობები*, რომლებიც კანონმდებლობით განსაკუთრე-

ბით არის დაცული. ასეაა, ქვედალად შემთხვევა, როცა საქმე ევაგვს სამედიცინო გამოკვლევების დეტალებთან. მაგრამ თუ საქმე ეხება საჯარო პირს, ანუ საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ მყოფი პიროვნების ავადმყოფობას, ასეთი შემთხვევა არ განეკუთვნება ამ პიროვნების ინტიმურ სფეროს და შეიძლება გახმაურდეს მედიის მიერ. აღსარების დროს გამოთქმული მოსაზრებები დაცულია აღსარების საიდუმლოებით და ასევე მიეკუთვნება ინტიმურ სფეროს. დაცულია აგრეთვე მოსაზრებები, რომლებიც ექცევა ადვოკატის დუმილის უფლების ქვეშ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეს მოსაზრებები დაკავშირებულია ინტიმურ სფეროში შემაჯავლ გარკვეულ ვარემოებებთან.

ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებულია კიდევ ერთი გამონაკლისი: ეს არის ე.წ. **უარყოფის** შემთხვევები. თუ რომელიმე პიროვნება თავად ავრცელებს ცნობებს საკუთარი ცხოვრების ინტიმური სფეროდან, მაშინ მან უნდა მოითმინოს კადეც, რომ შედია ამის შესახებ მოუთხრობს მოსახლეობას. უარყოფის მსგავსია ის შემთხვევაც, როცა პიროვნება პრესაში გამოქვეყნებულ, მისი ინტიმური სფეროს დამრღვევ ცნობებს მშვიდად ხვდება და პროტესტს არ გამოთქვამს, ან როცა ვინმე დაწერილებით მოუთხრობს ჟურნალისტს თავისი სექსუალური ცხოვრებისა და გამოცდილების შესახებ, ან დათანხმდება მონაწილეობა მხილოს პორნოგრაფიულ ფოტოგადაღებებში, რის შემდეგაც სურათები უნდა გამოქვეყნდეს დიდტირაჟიან ჟურნალებში. ასეთ შემთხვევებში ამ ადამიანების 'ზოგადი პიროვნული უფლება არ იქნება დარღვეული იმით, რომ მათი გამონათქვამები და ფოტოები სხვა გაზეთებსა და გამოცემებში, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემებში გამოქვეყნდება. ეს პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სამართლებრივად დაცული, როცა მისი ფოტოსურათები და გამონათქვამები დაცულია საავტორო ან მექანიკური საამართლის სპეციალური ნორმებით, მაგრამ ამ ინდივიდის ინტიმურ სფეროში ჩარევის გამო მისი 'ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევასთან აქ საქმე არ გვექნება.

2. **საიდუმლო სფერო**

მედიის მიერ გამოქვეყნებისა და ცნობების გავრცელებისაგან დაცულ დაახლოებით ისეთივე სფეროს, როგორიც ინტიმური სფეროა, წარმოადგენს ე.წ. **საიდუმლო სფერო**, რომელიც ზოგადი პიროვნული

უფლების კიდევ ერთი გამოსხაველებაა. საიდეოლო სფერო პრესაში გამოქვეყნებისაგან იტაკს, მკვალითად, იმ მოსახრებებს, რომლებიც მოცემული პიროვნების ნებართვის გარეშე ან მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაწერილია აუდიო- ან ვიდეოფირზე. საიდეოლო სფერო ასევე მოიცავს პირის გამოსათქვამებს, რომლებიც გადმოცემულია პირადი წერილებით ან სატელეფონო საუბრებით. მათი მოძიება, მოსმენა და ფირზე ჩაწერა თვით პიროვნების ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

საიდუმლო სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე დამახსოვრებელი და არქივირებული პერსონალური მონაცემები (რომლებიც ბევრ ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შესაბამისი კანონებითაა დაცული). ამ მონაცემების დამცველი პირის მიერ მათი გაცემა კანონში მითითებული ნორმების გვერდის ავლით (ანუ კანონის დარღვევით) წარმოადგენს ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ნორმები ვხება არა მხოლოდ პირად, არამედ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოსახრებებსაც, აგრეთვე პირის ისეთ ზემოთ გამონათქვამებს, რომლებიც პრეზის წარმომადგენელმა მასთან პირადი საუბრასას კანონის მოთხოვნათა დარღვევით, საიდუმლოდ ჩაიწერა. საიდუმლო სფეროს განსაკუთრებულად დაცულ ნაწილს წარმოადგენს ასევე საწარმოს სამსახურებრივი საბუთები და ჩანაწერები იმ შემთხვევაში, როცა ისინი განკუთვნილია საწარმოს მიერ გასანადგურებლად და ამ მიზნისათვის არის მომზადებული.

ინტიმური სფეროსაგან განსხვავებით, საიდუმლო სფერო ზოგადი პიროვნული უფლებით არ არის აბსოლუტურად დაცული. ამ სფეროს მიკუთვნებული ინფორმაციები და გამონათქვამები შეიძლება გამოქვეყნდეს მაშინ, როცა მათი შინაარსის მიმართ (დაპირისპირებული ინტერესების შედარების მეთოდზე დაყრდნობით) არსებობს საზოგადოების გამართლებელი საინფორმაციო ინტერესი. ამ დროს გამოიყენება იგივე პრინციპები, რომლებიც მართლმსაჯულების მიერ დადგენილია კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციების გამოყენების მიმართ. აქ თავიდანვე ცხადია, რომ უმეტესად ასეთი საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება არსებობდეს საჯარო პირებისა და ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სფეროში მომხდარი მოვლენების და არა კერძო პირის პირადი ცხოვრების დეტალების მიმართ.

3. კერძო სფერო

როგორც ენახეთ, ინტიმურ და საიდუმლო სფეროთა კონტურები მკატნაკლებად მკვეთრად არის ჩამოყალიბებული. განსაკუთრებული ხარისხულე წარმომობა იმ გარემოებებისა და ფაქტების ანალიზის დროს, რომლებიც *კერძო სფეროს* მიეკუთვნება. შეძლებისდაგვარად უერთო სამართლებრივი საზუსტისა და სამართლებრივი უსაფრთხოების მისაღწევად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიზანმიმართულად არის მიჩნეული ამ სფეროს დიფერენცირება, რომელიც სამუალებას იძლევა გამოიყოს ზოგადი პიროვნული უფლებით დაცული კერძო სფეროს რამდენიმე შემადგენელი ნაწილი. ყველა მათგანისათვის საერთოა ერთი რამ: პრესის მიერ ადამიანის კერძო სფეროდან ცნობების მოძოკებისას და გავრცელებისას ზოგადი პიროვნული უფლება არ არის აბსოლუტურად დაცული. ასეთ შემთხვევებში შედეგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების ანალიზითა და დაპირისპირებულ სიკეთეთა (ინტერესთა) შედარების (აწონ-დაწონვის) ტესტირების გამოყენებით. ამასთან, ისევე როგორც ინტიმური სფეროდან, პირის კერძო სფეროდან ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება კამართლებულია ყველა იმ შემთხვევაში, როცა იგი ხორციელდება თვით ამ პირის ნებართვის საფუძველზე (ე.წ. უარყოფის შემთხვევები).

ა) პირადი ცხოვრების სფერო

კერძო სფეროს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ადამიანის პირადი ცხოვრების სფერო. ამ სფეროდან ცნობებისა და ინფორმაციების პრესაში გამოქვეყნების საფუძვლიანობა დამოკიდებულია პირად ცხოვრებაში წარუვის ინტენსივობასა და მოცემული პირის სოციალურ მდგომარეობაზე. პირები, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს, ანუ საჯარო პირები, ვალდებული არიან მოითმინონ პრესის მიერ გავრცელებული ცნობები მათი *ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახური ცვლილებების შესახებ*, შეიღების რაოდენობისა და მათი პროფესიული განათლების მდგომარეობის მითითებით. ეს პრინციპი მოქმედებს ქორწინებისგარეშე ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვის შესახებ გავრცელებული ინფორმაციების მიმართაც, როცა საქმე ეხება მამობის დადგენას. იმ ადამიანთა პიროვნების

უკეთ შესაფასებლად, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური, პროფესიული ან სოციალური ფუნქციის გამო საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში დგანან, მათი პირადი ცხოვრების სფეროდან ზემოსხსენებული ინფორმაციების გამოქვეყნება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანია. ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ კი აღნიშნული პრინციპის გამოყენება დაუშვებელია.

მოუხედავად ამისა, თვით საჯარო პირების მიმართაც საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესი „*მთავრდება*“ მათი *საცხოვრებლის კართან*. ოჯახური უთანხმოებანი და ჯერ კიდევ არარეალიზებული განქორწინების განზრახვები წარმოადგენს საჯარო პირისა და მისი მეუღლის პირად საქმეს, რომელთანაც საზოგადოებას არაფერი ესაქმება და პრესასაც არა აქვს უფლება, ამის შესახებ საზოგადოებას მოუთხროს. თუმცა, როცა საქმე გვაქვს ძალიან რეზონანსულ გარემოებებთან, შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ამ პრინციპიდან. ასეთი შემთხვევა მოხდა დიდ ბრიტანეთში, როცა ერთ-ერთი პოლიტიკოსი იძულებული გახდა მოეთმინა პრესის ინფორმაციები, რომლებიც, ყველა მოქმედი პირის ვინაობის დასახელებით, აღწერდა ამ პოლიტიკოსის სურვილის საწინააღმდეგოდ მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის შოტლანდიაში გათხოვების ამბავს. იმ ოჯახის მიმართ, რომელიც არ დგას საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევებში უპირატესობა მიენიჭება ადამიანის კერძო სფეროს დაცვის აუცილებლობას და, შესაბამისად, სრულიად დაუშვებელი იქნება მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის განეკუთვნება კერძო სფეროს და, როგორც წესი, დაუშვებელია მედიის მიერ მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება. მაგრამ ეს წესი არ მოქმედებს, როცა ჯანმრთელობის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფი პირთა ცხოვრების მიერ საჯარო პოზიციისა და ფუნქციის განხორციელებას. ასე, *მაგალითად*, პრეზიდენტობის ან პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი იძულებული იქნება მოითმინოს, როცა პრესა საზოგადოებას მოუთხრობს მის მიერ გადატანილი ორი ინფარქტის შესახებ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ კანდიდატის, მისი ფიზიკური შესაძლებლობებისა და მომავალ თანამდებობასთან მისი შესაბამისობის შესაფასებლად. ბოლო ხანს დამ-

კვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, დასაშვებია პრესის მიერ მუდმივად გამოქვეყნება ინფორმაციებისა მოქმედი ცნობილი პოლიტიკოსების ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ. იმ პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ კი, რომლებიც არ არიან საჯარო თანამდებობის პირები და არც კენჭს იყრიან რაიმე თანამდებობაზე, არ არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესი და ასეთ შემთხვევებში წინა პლანზე გამოდის მათი პირადი ცხოვრების სფეროს დაცვის აუცილებლობა.

ცნობები იმის შესახებ, რომ რომელიმე მონარქის მეუღლეს არ შეუძლია ბავშვის გაჩენა. შეიძლება გამოქვეყნდეს ამ შემთხვევაში, როცა ამ ფაქტმა განქორწინება გამოიწვია. ყველა სხვა ოჯახისა და ქალის მიმართ ასეთი ცნობები შეიძლება მათ კერძო და ინტიმურ სფეროსაც კი მიეკუთვნოს; ასეთ შემთხვევაშიც საზოგადოების გამართლებული საინფორმაციო ინტერესი არ არსებობს.

ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემებიც, როგორც წესი, პირადი ცხოვრების სფეროში შემაჯალ საკითხებს განეკუთვნება, რასაც მედიამ პატივი უნდა სცეს. მაგრამ როცა ალკოჰოლური პრობლემები უშუალო გავლენას ახდენს ცნობილი ვარსკვლავის საჯარო გამოსვლებზე, რომელიც წლების მანძილზე ხალხის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს და მუდმივად არის საზოგადოებისა და ქვეყნის ყურადღების ცენტრში, ანუ ამის გამო „საჯარო პირია“, მაშინ პარჯულ პლანზე, ბუნებრივია, დგას საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი, რომელსაც აინტერესებს, თუ რა არის ამ ვარსკვლავის ასეთი ქცევის მიზეზი; მედიას უფლება აქვს დეტალურად მოუთხროს საზოგადოებას ამის შესახებ. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანის უფლება კერძო სფეროსა და პირად ცხოვრებაზე უკან დაიხვეს.

პირადი ცხოვრების სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე ინფორმაციები **რელიგიური რწმენის ან სექტებთან თუ სხვა მსოფლმხედველობრივ ჯგუფებთან** კავშირის შესახებ. აქ ხდება კოლიზია ადამიანის ზოგად პიროვნულ უფლებასა და რელიგიის თავისუფლების ნეკატორ ძირითად უფლებას შორის. ასევე დაუშვებელია, აღნიშნული ინფორმაციების შესახებ არსებობდეს საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესი. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად ეს პრინციპი მოქმედებს მასწინაც, როცა ერთ ოჯახში წარმოიშობა ახრთა სხვადასხვაობა

სექტანტთან და სხვა ავტორიტეტთან მკაცრ ენებულობის შესახებ და ოჯახის ერთი წევრი პრესას მოეოხრობს ამის თაობაზე, ოჯახის მეორე წევრს კი არ სურს ამ უთანხმოებისა და თავისი მიკეთებულობის საჯაროდ გახმაურება. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება რაიმე ზოგადი დებულებისა და ნორმის დადგენა, აქ უნდა მოხდეს ისევე ინტერესთა შედარება კონკრეტული ვარემოებების შეფასების საფუძველზე. ამ დროს ოჯახის ერთი წევრის ნება – თავისი ოჯახის გამოცდილებიდან გამომდინარე მოუთხოროს საზოგადოებას რომელიმე სექტის საქმიანობის შესახებ, მისი ზოგადი პიროვნული უფლების თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც ამ ოჯახის სხვა წევრის ნება – დაუმალოს საზოგადოებას ინფორმაცია ამ სექტის საქმიანობის შესახებ, რომლის წევრიც თვითონ არის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ კერძო სფეროს დაცვის უფლება საზოგადოების ლეგიტიმურ საინფორმაციო ინტერესთან შედარებით უკანა პლანზე გადადის იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ერთ-ერთი ყველაზე აგრესიულად განწყობილი ახალგაზრდული დაჯგუფების (*Scientology Church*) წევრობას და ოჯახის მოცემული წევრის ფუნქცია საზოგადოებაში ისეთია, რომ ამან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვა ახალგაზრდებზე და ხელი შეუწყოს მათ გაწვერიანებას ამ ორგანიზაციაში.

ადამიანის პირადი ცხოვრების სხვა ვარემოებებიც შეიძლება მიეკუთვნოს საზოგადოების ინტერესისაგან დაცულ კერძო სფეროს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, იმ პირის საცხოვრებელი ადგილი ან უცხოეთთან კავშირი, რომელსაც თავისი პროფესიული მოღვაწეობის გამო (აღნიშნული ცნობების გამოქვეყნების შემთხვევაში) განსაკუთრებული საფრთხე შეიძლება დაემუქროს. იგივე შეიძლება ითქვას კონკრეტული პირების შემოსავლებისა და ქონების თაობაზე. აქ გასათვალისწინებელია ის ვარემოება, რომ მდიდარი ადამიანების შემოსავლებისა და ქონების შესახებ ცნობების გამოქვეყნება მათი სახელებისა და მისაპრათის აღნიშვნით იპყრობს კრიმინალური სამყაროს ყურადღებასაც. თუმცა დასაშვებია შემოსავლებისა და ქონების შესახებ იმ ცნობების გამოქვეყნება, რომლებიც საზოგადოებისათვის ისედაც ცნობილია ამ ადამიანთა პროფესიული და საზოგადოებრივი ფუნქციიდან გამომდინარე.

საინტერესოა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გერმანიისათვის მეტად აქტიუალური იქნა ყოფილი გდრ-ის უმისროების სამსახურის საიდუმლო

თანამშრომელთა ადვანტივიზაციების შესახებ. დადგენა იმისა, არსებობს თუ არა საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესი კონკრეტული პირის წარსულის მიმართ, კერძოდ, იყო თუ არა იგი ვდრ-ის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის („შტაზის“) არაფორმალური თანამშრომელი, შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. ყოფილი არაფორმალური თანამშრომლების არადიფერენცირებული სიის გამოქვეყნება ათასობით სახელისა და გვარის მითითებით არღვევს იმ პირთა ზოგად პიროვნულ უფლებას, რომლებსაც არც გდრ-ში პიონდათ რაიმე განსაკუთრებული ფუნქცია და მით უმეტეს არც გერმანიის გაერთიანების შემდეგ ფლობდნენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობას. მაგრამ თუ ყოფილი არაფორმალური თანამშრომელი ამჟამად საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას თავისი ფუნქციის გამო, ისინი უკვე დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ამ პირის მიმართ და შედიას უფლება აქვს მოუთხოროს საზოგადოებას ყოფილ გდრ-ში მისი საქმიანობის შესახებ. აქ უკან იხივს პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი და შედიის საშუალებებით შესაბამისი ცნობების გაკრეფლება დასაშვებია. საზოგადოების ყურადღების ცენტრში მდგომი პიროვნების, მაგალითად, გერმანიის ერთ-ერთი მხარის (ღანდის) პრემიერ-მინისტრის დასახელება „შტაზის“ აგენტად წარმოადგენს ფაქტის გადმოცემას, რომელიც თუნდაც მხოლოდ იმიტომ არის დასაშვები, რომ ეს პიროვნება ნამდვილად იყო „შტაზის“ არაფორმალური თანამშრომელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველთვის უარყოფდა რაიმე აქტიური აგენტურული საქმიანობის წარმოებას.

საზოგადოების საინფორმაციო ინტერესი უპირატესობას იძენს იმ შემთხვევაშიც, როცა პირი, რომელსაც „შტაზი“ თვალყურს ადევნებდა, გამოაქვეყნებს „შტაზის“ მიერ მასზე შეგროვებულ ცნობებსა და საქმის მასალებს და ამ ცნობებში იქნება ინფორმაცია გდრ-ის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის შესახებ. თუ ეს ინფორმაცია არ არის სწორი, მაშინ ამ ყოფილმა ფუნქციონერმა შეიძლება მითითდეს არასწორი ინფორმაციის უარყოფა, მაგრამ მას არ აქვს უფლება მითითდეს, რომ ამ საქმიდან ცნობები მისი სახელის აღნიშვნით საერთოდ აღარ გამოქვეყნდეს.

ა) ზოგადი პიროვნული უფლება და სისხლის სამართალი

1. სახელის მითითება

სასამართლოების მიერ ქართლმსაჯულების განხორციელება, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, იმუშავდ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის ცენტრში დგას და, შესაბამისად, წარმოადგენს მედიის საინფორმაციო ინტერესის საგანს. კანონმდებელი ამას ადასტურებს საჯაროობის პრინციპის აღიარებით. *სასამართლო პროცესისა და განსაკუთრებით განაპენის კომოცხადების საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვის გასამართლება არასოდეს შეიძლება იყოს მხოლოდ მოცემული პირის კერძო სფეროს საგანი.* ამასთან, პირი, რომელიც სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას სჩადის, თავისთავად აყენებს საკუთარ თავს სამართლებრივი წესრიგის ფარგლებს გარეთ, ასე რომ, მას ძალიან შეზღუდულად შეუძლია პრეტენზია განაცხადოს საკუთარი კერძო სფეროს დაცვაზე საზოგადოებისა და მედიის საინფორმაციო ინტერესის წინაშე. აქედან, მედიის მიერ საზოგადოების ინფორმირება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისა და განაჩენის შესახებ პრინციპულად დასაშვებია.

საკითხი, დასაშვებია თუ არა გასამართლებული პირის *სახელის მითითება*, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ვარკვეული. კონკრეტულ შემთხვევაში ის შესაძლებელია გაირკვეს კოლიდირებულ სიკეთათა შედარების (აწონ-დაწონვის) პრინციპის საფუძველზე, რომლის დროსაც ზემოხსენებული პრინციპი პირიქით გამოიყურება: სახელის მითითება მით უფრო დასაშვებია იქნება, რამდენადაც მძიმეა ჩადენილი დანაშაული და რამდენადაც ძალიან თანამდებობრივი და საზოგადოებრივი პოზიცია უჭირავს დამნაშავეს. მედიის უფლება, საზოგადოებას მოუთხროს არა მხოლოდ დანაშაულისა და განაჩენის, არამედ აგრეთვე დამნაშავეის პიროვნების შესახებ მისი სახელის აღნიშვნით, აბსოლუტურია მაშინ, როცა საზოგადოების გასამართლებული საინფორმაციო ინტერესი მიმართულია არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის, არამედ აგრეთვე დამნაშავეის პიროვნების მიმართ. აქედან გამომდინარე, ნაკლებად მძიმე დანაშაულების დროს საზოგადოების ინტერესი არ არის მიმართული დამნაშავეის პიროვნებისა და მისი სახელის მითითებისაკენ. თუმცა,

მოუხედავად ამისა, მოთავსობის წევრი, რომელიც ალკოჰოლის ზემოქმედებით ბრალდებულად მოასდენს საავტომობილო ავარიას და მქმდეგ ვაიქცევა ავარიის ადგილიდან, ისულებული იქნება მოითმინოს მედიის მიერ ამ ინფორმაციის გავრცელება მისი სახელის მითითებით, მაშინ როცა დაუშვებელია რიგითი მოქალაქის მიერ ჩადენილი ისევე ქმედების შესახებ პრესით ინფორმაციის გავრცელებისას მისი სახელის მითითება; ამ დროს საზოგადოების გამართლებული საინფორმაციო ინტერესი მიმართულია მხოლოდ ჩადენილი დანაშაულისაკენ და არა მისი ჩამდენი პირისაკენ.

თუკი ჩადენილი დანაშაული მძიმეა და დამნაშაის პიროვნება ისედაც ცნობილია, რადგან ეს დანაშაული მან საჯაროდ, საზოგადოების წინაშე ჩაიდინა, მაშინ პრესის მიერ აქტუალური ინფორმაციების გავრცელება დამნაშაის სახელის მითითებით არ წარმოადგენს მის ზოგად პიროვნულ უფლებაში გაქმართლებულ და დაუშვებულ ჩარევას. იგივე პრინციპი მოქმედებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარების შემთხვევაში. მუდმივი სასამართლო პრაქტიკით საბოლოოდ დადგინდა, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დროს ზოგადი პიროვნული უფლება თითქმის ყოველთვის უკან იხევის საზოგადოების საინფორმაციო ინტერესის წინაშე. გამონაკლისია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები. რადგან ამ დროს სისხლისსამართლებრივი სანქციის რესოციალიზაციის მიზანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და უპირატესობა ყოველთვის დამნაშავე არასრულწლოვანის ზოგად პიროვნულ უფლებას ენიჭება. ეს პრაქტიკა დასაფუძვლავთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში უკვე განმტკიცებულია კანონმდებლის ნებით, რომელმაც დაადგინა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესის მთავარი სხდომები და განაჩენის გამოცხადება უნდა მოხდეს საზოგადოებისა და მედიის მონაწილეობის გარეშე. ამდენად, არასრულწლოვანთა საქმეების აღწერისას მათი სახელის მითითება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს, გამონაკლის შემთხვევებში.

7. შეზღუდვა დროში

სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენისათვის პირის ვასამართლების შესახებ პრესის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების თავისუფლება და საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო

ინტერესის უპირატესობა დამნაშავეის ზოგადი პიროვნული უფლებების მიმართ გამართლებულია იმითაც, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ამ დანაშაულის ჩადენით ფაქტობრივად *საჯარო პირი* (გერმანიაში – „*აბსოლუტური ისტორიული პიროვნება*“) ხდება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ რაიმე განსაკუთრებული ვარემოებები არ არსებობს, იგი *ხდება არა „აბსოლუტური“, არამედ „დროებითი“ საჯარო პირი* და ეს სტატუსი მასზე მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც მის მიერ ჩადენილ დანაშაულს აქტუალური სნიშვნელობა აქვს (გერმანიაში – „*შედარებითი ისტორიული პიროვნება*“). აქედან გამომდინარე, ჩადენილი დანაშაულისა და განაჩენის შესახებ პრესის მიერ ინფორმაციის გავრცელება დამნაშავეის სახელის მითითებით არ არის დროში შეუხლუდავად დასაშვები. თუმცა აქ არ შეიძლება დადგინდეს დროის სტანდარტული ფარგლები, რომლებიც ყველა შემთხვევის მიმართ იმოქმედებდა. აქაც საჭიროა დამნაშავეის კერძო სფეროს პატივისცემისა და საზოგადოების საინფორმაციო ინტერესის *შედარების პრინციპის* გამოყენება; ამ პროცესში *აუცილებელია რესოციალიზაციის ფაქტორის* გათვალისწინება. ყოველ შემთხვევაში, ამ დანაშავეთა მიმართ მასიც, რომლებიც გასამართლებული იქნენ და უკვე მოიხადეს სასჯელი, სასჯელის რესოციალიზაციის მიზნიდან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ მომდევნო პუბლიცისტური გამოხმაურება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მისი სახელის მითითებით უკვე აღარ არის დასაშვები. ნასამართლობის გაქარწყლების შემთხვევაც სასამართლო პრაქტიკის მიერ მიჩნეულია ისეთ ვარემოებად, როცა უკვე დაუმუშავებელი ადრე ჩადენილი დანაშაულის შესახებ პირის სახელის მითითებით პრესას მიერ ინფორმაციის გავრცელება. *მაგალითად*, გერმანიაში კოლნის სასამართლომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ როცა პიროვნებამ წამოაყენა თავისი კანდიდატურა კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამასთან დაკავშირებით პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ II წლის წინ იგი გასამართლებული იყო ჰლაზის გაქურდვისათვის, მაგრამ ეს ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული პიონდა, ასეთ დროს საქმე ვაკაცს ადამიანის ღირსების შელახვასთან. მიუხედავად ამისა, ეს შემთხვევა მართლაც ძალიან მორს წახელად შეიძლება მივიჩნიოთ. დასაყვლეთ ევროპის მეცნიერ-

იურისტთა შორის გავრცელებული მოსაზრებით, უფრო მიზანშეწონილი უნდა იყოს ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სასამართლოდის ვაქარწყლება არ უნდა ნიშნავდეს აბსოლუტურ აკრძალვას იმისა, რომ რაღაც მიზეზით მოვგვიანებით კვლავ ნახსენები იქნეს პირის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული. სწორედ ასე გადაწყდა ერთი საქმე, რომლის დროსაც სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის მიერ 20 წლის წინ ჩადენილი დანაშაული (სისხლისმღვრელ შეტაკებასთან დაკავშირებით), რომელიც უკვე გაქარწყლებულია, შესაძლებელია ნახსენები იქნეს პრესის მიერ ამ პირის ხელმძღვრედ დაკავების დროს დაახლოებით იმავე სახის დელიქტისათვის, ამ პირმა კი უნდა ითმინოს ეს ინფორმაცია, ანუ მას ვერ ექნება პრეტენზია თავისი კერძო სფეროს დაცვაზე.

იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებსაც არ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, დანაშაულისა და განაჩენის შესახებ ინფორმაცია დამნაშავეს სახელის მითითებით დროში გაცილებით შეზღუდული უნდა იყოს (ანუ პირველი დასახელების შემდეგ უკვე აღარ უნდა განმეორდეს), ეიდრე ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებსაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა. უცხოური ლიტერატურა და სამეცნიერო წრეები მიიჩნევენ, რომ ასეთი შეზღუდული, შეკვეცილი ვადა უნდა იყოს 6 თვე.

საერთო ჯამში, სასამართლოთა მუდმივ სამართალმემოქმედებაზე დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დროში შეზღუდვასთან დაკავშირებით საკმაოდ კრიტიკული მასშტაბებია დადგენილი, ასე მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როცა კამბურგის სასამართლომ არ მიიჩნია დასაშვებად 3 წლის წინ მომხდარ დანაშაულზე ინფორმაციის გავრცელება მსჯავრდებულის (რომელიც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არასრულწლოვანი იყო) სახელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში გამოძიებამ დააკავა მოცემული დანაშაულის კიდევ ერთი მონაწილე და ამის გამო ძველი დანაშაული კვლავ გახდა საზოგადოების ლეგიტიმური საინფორმაციო ინტერესის საგანი. საფრანგეთის სასამართლომ ასევე დაუშვებლად მიიჩნია ერთ-ერთ ეურნალში გამოქვეყნებული წერილების სერია სათაურით „მკვლელები, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებენ“, რომელიც მკითხველებს მხოლოდობდა მკვლელები მანიაკის შესახებ მისი სახელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულიდან უკვე 13 წელი იყო გასული. მიუხედავად სასამართლოთა ასეთი გადაწყვეტილებების სიმრავლისა, დასავლეთ ევროპის თითქმის

კვლევა სახელმწიფოში დამკვიდრებულა საერთო პრინციპი *საჯარო პირებთან* დაკავშირებული შემთხვევების მიმართ. ამ პირებმა, ცნობილმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც წლების განმავლობაში საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგანან, მათი ზოგადი პიროვნული უფლების პატივისცემის მოთხოვნის მიუხედავად, უნდა მოითმინონ მედიის მიერ აქტუალურ შემთხვევებზე დაყრდნობით წარსულის პოლიტიკურ და ფინანსურ სკანდალებში მათი მონაწილეობისა და მათ წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციების მიწოდება.

4. სოციალური და საჯარო სფეროები

„სოციალური და საჯარო სფეროები“ გულისხმობს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ისეთ სფეროებს, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს ინტიმურ და კერძო სფეროთა ფარგლების გარეთ, ნაწილობრივ შეზღუდული ან შეუზღუდავი საჯაროობის პირობებში. თუმცა ამ სფეროებშიც პიროვნებები და ანსტიტუციები ნაძვილი ფაქტების გამოქვეყნების დროს არ არიან აბსოლუტურად დაუცველნი, მაგრამ აქ საზოგადოების ლეგიტიმურ საინფორმაციო ინტერესს ვაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს ადამიანის ღირსებისა და ზოგადი პიროვნული უფლების მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება *საჯარო სფეროს*, რომელშიც, როგორც წესი, საერთოდ არ არსებობს ნამდვილი ფაქტებისა და ინფორმაციის გავრცელების რაიმე შეზღუდვა. მედიას უფლება აქვს, სრულიად შეუზღუდავად მოუთხროს მოსახლეობას საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფი პიროვნებებისა და პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ. თუ ეინშე თავისი პროფესიული ან სპორტული წარმატებების საფუძველზე იმდენად ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებას აინტერესებს მისი ცხოვრება, ინფორმაციები მასზე, ამ პირმა უნდა მოითმინოს მედიის მიერ მის შესახებ ნამდვილი ფაქტების გავრცელება. ეს ეხება, *მაგალითად*, ძალიან განხმაურებულ პროცესებში მონაწილე ადვოკატებს და იმ პირებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ დგანან საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევებში ნებაყოფლობით იხსნიან ანონიმურობას და პოპულარულნი ხდებიან. როცა ეინშე ნებაყოფლობით, აქტიურად მონაწილეობს რა-

დიოდისკულისქმის ან სატელევიზიო გადაცემებში, ან რაიმე აქტუალური მოხეხით თავის პინაში უშვებს სატელევიზიო ჩაწერას საკუთარი პიროვნების შესახებ და ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტს, მან ყველა შემთხვევაში უნდა მოითმინოს, რომ ამ გადაღებების შედეგად წარმოშობილ ფირს ერთხელ ან რამდენჯერმე ნახავს მრავალმილიონიანი პუბლიკა, თუნდაც მას შემდეგ არ მოეწონოს საკუთარი თავი ამ ფირზე.

შედარებით ძლიერია ზოგადი პიროვნული უფლება ე.წ. *სოციალურ სფეროში*, ე.ი. *ინდივიდის სოციალურ ანუ არა უშუალოდ საჯარო სფეროს მიკუთვნებულ პროფესიულ გარემოში*. ინდივიდმა ამ სფეროში მხოლოდ მაშინ უნდა მოითმინოს მისი პიროვნების შესახებ საჯარო ინფორმაციები და კომენტარები, თუ ასაზე არსებობს საზოგადოების აქტუალური საინფორმაციო ინტერესი. ამასთან დაკავშირებით მომავალში უფრო მძლავრად უნდა იმოქმედოს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებამ. არავინ არ არის ვალდებული, მოითმინოს ის, რომ მისი პიროფესიული საქმიანობა, რომელიც ეწერო სოციალურ გარემოში ფართო საზოგადოებისაგან ფარულად მიხდინარეობს, გამოკვლეული და შესწავლილი იქნება ვინმეს მიერ და თუნდაც ნამდვილი ფაქტების აღწერით გაეცნობა მისახლეობას, ან როცა მკვლევარი საიდუმლოდ შეეცა ამ გარემოში, ვაკეთებს ფოტო თუ ვიდეოგადაღებებს და შემდეგ გაავრცელებს მათ. მაგრამ თუ ვინმე ძალიან აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა და ყურადღების ცენტრშია, მაშინ მისი პიროვნული უფლება არ ჩაითვლება დარღვეულად მაშინაც კი, თუკი მისი საქმიანობის შესახებ საზოგადოებას მოუთხორობენ არა მამინვე, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

როგორც ხემათ აღინიშნა, ადამიანის საიდუმლო სფეროს დაცვა მოქმედებს მის პროფესიულ სფეროზე და ამით იმპედროულად მოიცავს სოციალურ სფეროსაც. ასე *მკვალთად*, იდეოკატმა იმ შემთხვევაშიც კი არ უნდა მოითმინოს მხოლოდ მისი მანდანტისათვის განკუთვნილი დოკუმენტაციის საჯაროდ გამოქვეყნება პრესის მიერ, როცა ამ დოკუმენტზე არ არსებობს საავტორო უფლება, დოკუმენტის შინაარსი არსებითად სწორად გადმოიცემა და მანდანტის სპეციფიკურობის გამო მის დოკუმენტაციაზე ნამდვილად არსებობს საზოგადოების აქტუალური საინფორმაციო ინტერესი. იგივე შეიძლება ითქვას კო-

რესპონდენტიაზე, რომელსაც ცნობილი მწერალი აწარმოებს რედაქციასთან და რომელშიც იგი გარკვევით წერს, რომ არ სურს ამ კორესპონდენტის გამოქვეყნება. ასე რომ, შეხედულება, თითქოს ზოგადი პიროვნული უფლება სოციალურ სფეროში ვაცილებით ნაკლებად დაცულია, მილად ზუსტი არ არის და მას გარკვეული შეზღუდვები ახლავს. ამ სფეროშიც, როგორც წესი, უპირატესობას იძენს ინდივიდის ზოგადი პიროვნული უფლება იმ შემთხვევებში, როცა მისი საქმიანობა და სოციალური ფუნქციები არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ განაუთაროს რაიმე გარე ზემოქმედება.

III. მცდარი (ყალბი) ფაქტები

მცდარი (ყალბი) ფაქტების მიმართ მოქმედებს წინასწარი კარაული მკდრის მიერ მათი გავრცელების დაუშვებლობის შესახებ. უცხო ქვეყნების სასამართლოთა მუდმივი სამართალშემოქმედების შესაბამისად, მცდარი (ყალბი) ფაქტები არ არის დაცული აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით, თუ მათი მცდარობა (სიყალბე) ჟურნალისტიკისთვის წინასწარვე ცნობილია ან მათი გავრცელების მომენტშივე ცხადია. ასეთ შემთხვევაში მათი განმეორებითი გავრცელების მიმართ არავითარი გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს, ხოლო თავდაპირველი გავრცელება ფაქტებისა, როცა მხოლოდ გავრცელების შემდეგ გახდება ცნობილი მათი მცდარობის შესახებ, არ შეიძლება მოეწყვიტოს აზრის თავისუფლად გამოთქმის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს. რაც შეეხება იმას, რამდენად დასაშვებია ასეთი ფაქტების გავრცელება მესამე პირთა იმ უფლებების მიმართ, რომლებიც აზრის თავისუფლების ძირითად უფლებას ბოჭავენ, ეს უკვე სხვაგვარად უნდა შემოწმდეს.

1. მართლწინააღმდეგობის პრინციპი

პიროვნებებისა თუ ინსტიტუციების შესახებ მცდარი ფაქტების გავრცელება ზოგადად უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაში ამ პირთა ავტორიტეტზე, მათ სოციალური პრეტენზიასა და მათ კრედიტორულ თუ სამსახურებრივ ღირსებაზე. ასეთი ფაქტების როგორც თავდაპირველი, ისე განმეორებითი გავრცელება აბსოლუტურად დაუშვებელია. როცა ფაქტების მცდარობა სახეხეა და საბოლოოდ დადგენილია,

მსმინ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის ვათვალისწინების პრინციპიც, როგორც მათი გავრცელების გამამართლებელი საფუძველი, არ მოქმედებს. თუმცა, საყურადღებოა, რომ ასეთი ფაქტების თავდაპირველი გავრცელება აღნიშნული ინტერესის საფუძველზე შესაძლოა გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავიდანვე ცხადი არ არის მათი მცდარობა და ის მხოლოდ მათი გავრცელების შემდეგ ხდება ცნობილი. მედიას ასევე არ შეუძლია დაეკრძლოს აზრისა და პრესის თავისუფლებათა ძირითად უფლებებს, რათა გაამართლოს ამკარად მცდარი ფაქტების განმეორებითი გავრცელება, რადგან ასეთი ფაქტები არაფერს მატებს საჯარო დისკუსიასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს პროცესს.

2. კამონაკლისები

ამ ერთი შეხედვით საკმაოდ ცხადი სამართლებრივი მდგომარეობის მიუხედავად, მრავალი ათწლეულის მანძილზე ძილებული გამოცდილების ვათვალისწინებით, სასამართლოები ამჯობინებენ, რომ მცდარი ფაქტების გავრცელების დაუშვებლობის პრინციპი სექმატურად და, შესაბამისად, არაკრიტიკულად იქნეს გამოყენებული. ამ დროს აუცილებელია იმის ვათვალისწინებაც, რომ პიროვნებისა თუ ინსტიტუციის შესახებ გავრცელებული ყოველი მცდარი ფაქტი არ შეესაბამება ამ ქვეყნების სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსების სათანადო მუხლების დისპოზიციებს. საყურადღებოა, რომ კონკრეტული ვარემოებების არსებობისას ეს ნორმები ხშირად წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი პრეტენზიების განხორციელების საფუძველს.

პოსტკომუნიკური სახელმწიფოების მეტნიერ-იურისტთა შორის გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებული ერთ-ერთი უსენაესი ღირებულებიდან – პრესის თავისუფლებიდან გამომდინარე, მედიისათვის „სიმართლე“, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო სიკეთეს. ეს ნიშნავს, რომ “სიმართლის” დარღვევა (თუ ამით არ ხდება ზემოხსენებული სისხლის ან სამოქალაქო სამართლის ნორმათა დარღვევა) ასევე არ წარმოადგენს კანონის დარღვევას. შეკალითად, ვერმანიის კანონმდებლობა მუდიის შესახებ და ვერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს

სამართალშეცემუდებმა შედიისაგან მოითხოვს მხოლოდ სიმართლასკენ სწრაფვას, სიმართლეზე ზრუნვას და არა აბსოლუტური სიმართლის, ანუ მხოლოდ ნამდვილი ფაქტების გაერკვლებას. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნამდვილად ვაუმართლებელი იქნებოდა, რომ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ნორმები გამოყენებულ იქნეს ისეთი მცდარი ფაქტების მიმართ, რომლებიც არ არღვევს კანონით დადგენილ ნორმებს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ. ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება აქ მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა ხდება მისი შინაარსის მიმდე, არსებითი დარღვევა. ასეთია მკვალთად კონკრეტული პირის ცხოვრებისა და საქმიანობის სურათის გაყალბება, პიროვნული თვითგამორკვევის უფლების დარღვევა გამოვონილი ინტერვეუს დაბეჭდვით, დაწერილი თუ გამოთქმული მოსაზრებების მანიპულირებით ან სხვაგვარი გაყალბებით, რომლებიც იმავლროულად ხედება სისხლის სამართლის ან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების მოქმედების ქვეშ.

ზეკითქმულის შესაბამისად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთმა ცნობილმა მსახიობმა მადეირაზე დაისვენა, სინამდვილეში კი იგი მალიორკაზე იყო, ერთმა დიდმა საწარმომ ზე-ტყის დიდი პარტია გაყიდა დასუელეთის რომელიღაც ქვეყანაში, როცა სინამდვილეში საქმე ნაყოფს ეხებოდა, ან ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი ყოველწლიური ყოილობა პარიზში ჩაატარა, თუმცა სინამდვილეში ეს ყოილობა მარსელში მოესწო, თუმცა მართლაც მცდარია, მაგრამ მათ არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვთ აღნიშნული პირების პიროვნული უფლებების, საქმიანი რეპუტაციის ან სოციალური თვითდამკვიდრების მიმართ. ამდენად, ამ ინფორმაციების გაერკვლების გამო შეიძლება მოითხოვილ იქნეს მხოლოდ მცდარი ფაქტების უარმყოფელი ინფორმაციის გამოქვეყნება და არა სამოქალაქო, მით უმეტეს სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება.

დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკის შედეგად საძოლოდ დამკვიდრდა ის მიდგომა, რომ „სიმართლე“, მით უმეტეს „სიკრუე“, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს ვადაწყვეტილების მისაღებად, რადგან შეცდომები და ცალმხრივობა შეიძლება ყოველთვის მოხდეს. ისინი ცხოვრების ნამდვილ სურათს კი არღვევს, მაგრამ

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია მათი მოთმენა. ასეთია, მაგალითად, შემთხვევები, როცა ინფორმაციაში მითითებულია, რომ ჩარტერული ავიარეისის გადაღებამ გამოიწვია 40 პირის დაბრკოლება, სინამდვილეში კი საქმე მხოლოდ 30 პირს ეხებოდა. ან როცა თაღლითმა მოსახლეობას მოჩუყებით მიჰყიდა არარსებული კომპანიების ყაღბი აქციები და ამით 6 მილიონი დოლარი მიითვისა, თუმცა სინამდვილეში 5 მილიონამდე დოლარზე იყო საუბარი. იგივე შეიძლება ითქვას ბუღალრული პრესის მიერ მოწოდებულ ზედმეტად აფიშირებულ და „სენსაციურად“ გაფორმებულ ინფორმაციებზე, თუ ეს გაფორმება და ზედმეტობა მოკლუნის არსს არ ცვლის და არ ხდება ინდივიდის ცხოვრების სურათის გაყალბება ან მისი სოციალური თვითღამკვიდრების არაზუსტი ასახვა.

ამდენად, მკდარი (ყაღბი) ცნობების გავრცელებისას ყოველთვის უნდა ვაირკვეს არა მხოლოდ ის, ამით აშკარად ირღვევა თუ არა კონკრეტული პირის უფლებები, არამედ ისიც, ხომ არ ვაკექს საქმე მოკლუნისა თუ ფაქტის მეტად ნეიტრალურ, მკდარ წარმოსახვასთან, რითაც ინდივიდის პიროვნული უფლება და მისი სოციალური პრეტენზია მხოლოდ მსუბუქად იღაზება.

14. მ. 25 – შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. ეს ძირითადი უფლება მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგება:

„1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერტევემ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი

ვაფიქსილებს აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის საძირაო ადგილას იმართება.

3. სკლისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“

II. ცნება და დაცული სფერო

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება ე.წ. საკომუნიკაციო უფლებაა და კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულ გაერთიანებების ძირითად უფლებასთან ერთად იცავს მოქალაქის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში. გაბატონებული სამართლებრივი შეხედულების თანახმად, ეს ძირითადი უფლება საფუძველს იღებს ბუნებითი სამართლიდან და წარმოადგენს პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიშანს. იგი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას, შეხვედეს და ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ადამიანებთან. ვარდა ამისა, შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლება უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფლებას, რომლის მიხედვითაც, ძირითადი უფლებები, რომლებიც ყოველ ინდივიდს ცალკეულ აქვს, ამ ინდივიდებმა ერთად გამოიყენონ. აქ შეიძლება დავასახელოთ აზრისა და ინფორმაციის, აგრეთვე რწმენისა და სინდისის თავისუფლებები.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შეკრებების თავისუფლება გაცილებით ფართო და ყოვლისმომცველი უფლებაა, ხოლო მანიფესტაციების თავისუფლება, ანუ უფლება საკუთარი მოსაზრებების ერთობლივ საჯარო გაცხადებაზე, წარმოადგენს შეკრებების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, საჩელმძღვანელოში „შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების“ ნაცვლად ხშირად გამოყენებული იქნება „შეკრებების თავისუფლება“ და „შეკრებების ძირითადი უფლება.“

აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებათა მსგავსად, შეკრებების თავისუფლებაც ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება. პირველი ნიშანი არის კავშირი კონსტიტუციით აღიარებულ დემოკრატიის პრინციპთან: *დემოკრატიული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მას მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეკრებებზე გამოთქვან თავიანთი*

პოლიტიკური შეხედულება, მოუსმინონ სხვა მოქალაქეთა მოსაზრებებს და მსხვერცხვების საშუალებით, ანუ სხვა მოქალაქეებთან ერთად, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. აზრის თავისუფლების მსგავსად, შეკრებების თავისუფლებაც თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ელემენტია. მეორე ნიშანი მდგომარეობს ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების პატივისცემასა და აღიარებაში: ადამიანის ელემენტარული მოთხოვნებია არა სხვა ადამიანებისაგან იზოლირება, არამედ მათთან ურთიერთობა, საუბარი და დისკუსია. სწორედ ამ ნიშნის გამოა, რომ შეკრებების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც საჯარო, ისე კერძო, როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური შეკრებები.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით ყველასათვის უზრუნველყოფილია უფლება, თავად გადაწყვიტონ შეკრების ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის საკითხები. დაუშვებელია, სახელმწიფომ აიძულოს ადამიანები, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ შეკრებაში ან არ მიუახლოვდნენ და არ მოუსმინონ შეკრების მონაწილეებს.

თავად „შეკრების“ ცნებაში იგულისხმება არანაკლებ ორი (ზოგიერთი ძველიერის აზრით, არანაკლებ სამი) ადამიანის შეკრება. დაცულია ყველა საჯარო შეკრება, რომელში მონაწილეობის უფლებაც ყველას აქვს, აგრეთვე კერძო შეკრებებიც, რომლებშიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ადამიანები (მაგალითად, პერსონალური მიწვევის საფუძველზე) მონაწილეობენ. შეკრებების თავისუფლებაში იგულისხმება შეკრებები როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, ანუ ღია ცისქვეშ. „გარეთ“, ანუ „ღია ცისქვეშ“ შეკრება გულისხმობს შეკრებას, რომელიც ამართება ისეთ ადგილზე, სადაც სხვა ადამიანებს უშუალო კონტაქტი აქვთ შეკრებაში მონაწილე ადამიანებთან, ანუ შეკრების ადგილი არ არის შემოსაზღვრული რაიმე ნაგებობით (ღობით, კედლებით და ა.შ.; მაგალითად, შიდა ეზო ან სახურავის არმქონე სპორტული ნაგებობა - სტადიონი).

შეკრება ნიშნდება წინასწარ იყოს მომზადებული და ორგანიზებული, თუმცა შესაძლოა იგი სპონტანურად წარმოიშვას რაიმე მოვლენის გამო. ორივე სახის შეკრება დაცულია შეკრებების ძირითადი უფლებით. აქ უნდა გაკეთვადისწინაოთ მხოლოდ ის, რომ შეკრებების ძირითადი უფლებით არ არის დაცული ადამიანთა მოულოდნელი შეჯგუფება

რაც უაქტოან დაკავშირებით, მკვლევარ ავტორიის სანახავად ან ქუჩებში სროლის შედეგად მოკლული პირის გვამთან. ასეთი შეჯგუფება და განვასხვავოთ სპონტანური შეკრებისაგან, რომლის, ისევე როგორც წინასწარ ორგანიზებული შეკრების, ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ერთობლივი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მიზნის საფუძველზე ადამიანთა წინასწარი შეთანხმება და შეხვედრა და არა მათი უბრალო თავშეყრა თუ ერთმანეთის ეკერდით დრომ.

**შეკრებებისა და მანიფესტაციების
თავისუფლება
მ. 25**

იცავს

არ იცავს

<p>ადამიანთა წინასწარგანზრახულ ან სპონტანურ შეკრებას საერთო მიზნით (მაგალითად: პოლიტიკურ შეკრებას ან დემონსტრაციას)</p>	<p>ადამიანთა უეცარ თავშეყრას (მაგალითად: ავტორიის ან ადამიანის გვამის ადგილის სანახავად)</p>
---	--

ზემოხსენებული საერთო მიზანი, რომელიც შეკრების ძირითადი მახასიათებელია, პოლიტიკური ხასიათისაა ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის. არაპოლიტიკური საკითხების გასარკვევად და გადასაწყვეტად ადამიანთა შეკრება ასევე ითვლება შეკრებების ძირითადი უფლებით დაცულ არაპოლიტიკურ შეკრებად.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის საფუძველზე 1997 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით „შეკრება არის მოქალაქეთა აკრუვის შეკრება ჭერქვეშ ან ვარეთ. მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით“. ხოლო „მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მახობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების,

ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახეითი საშუალებების გამოყენებით.“ აღნიშნული ფორმულირებების მიხედვით, ერთი შეხედვით მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის შეკრებებსა და მანიფესტაციებსა საუბარი, თუქცა „მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში“ და „სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვა“ არაპოლიტიკური ხასიათისაც შეიძლება იყოს. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში ხშირად იმხმს კითხვა: წარმოადგენს თუ არა მხოლოდ გასართობი და კომერციული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, როგორებიცაა თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები ან საღვთისაწაულო ზეიმები და კარნავალები ქუჩებსა და მოედნებზე (მაგალითად, „თბილისობის“ დღესასწაული), კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ „შეკრებებს“? მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, აღამიანთა ასეთი შეხვედრები და ურთიერთობა უნდა ჩაითვალოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და ძირითადი უფლებით დაცულ „შეკრებად“. რადგან ერთადერთი მოთხოვნა, რომელსაც კონსტიტუცია შეკრებების მიმართ აყენებს, არის „უთარალოდ“ შეკრება, კონსტიტუცია არ მიუთითებს შეკრების მიზნის რაიმე კონკრეტულ შინაარსზე (პოლიტიკურზე, კულტურულზე, გასართობზე, სპორტულზე და ა.შ.). თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ შეკრებების თავისუფლება აბრკოლებს აღამიანთა აზოლირებას და ხელს უწყობს ინდივიდთა ურთიერთობასა და კონტაქტს, ცხადი გახდება, რომ კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების სანახავად აღამიანთა შეკრება ისევე უნდა იყოს დაცული შეკრებების თავისუფლებით, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური ხასიათის შეხვედრა, დისკუსია და დემონსტრაცია.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეკრებების თავისუფლების ძირითადი უფლებით სარგებლობენ ფიზიკური პირები, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. პირველ პუნქტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ყველას (და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს) აქვს შეკრების უფლება. გამონაკლისი არიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შესაძგენლობაში მსახურობენ. გარდა ამისა, იგივე უფლება საჭიროების შესიხვევაში შეიძლება გამოიყენონ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმაც, რომლებიც ძალიან ხშირად არიან შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორები. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების

დაწესდება პოხდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი არ შეიძლება იყოს 18 წლამდე ასაკის ან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის ზემოთ ციტირებული მე-3 მუხლი არ შეესაბამება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც „ყველას“ აქვს შეკრების უფლება, კანონის მე-3 მუხლი კი შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებად მხოლოდ “მოქალაქეებს” მოიაზრებს. აქ საკმარისი არ არის კონსტიტუციის 27-ე მუხლზე მითითება, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუცია იცავს როგორც პოლიტიკურ, ისე არაპოლიტიკურ, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და ა.შ. შეკრებებსა და მანიფესტაციებს, რომლებშიც მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. ამდენად, კანონის მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვა გაუმართლებლად არღვევს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ძირითად უფლებას შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობაზე.

III. შეზღუდვები და დაცულ სფეროში ჩარევა

შეკრება ან მანიფესტაცია შეიძლება ჩატარდეს ხელისუფლების ორგანოების ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და მათი ნებართვის გარეშე. კონსტიტუცია გარკვევით მიუთითებს, რომ წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა უნდა დაწესდეს კანონით; თანაც ასეთი გაფრთხილება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა „შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის საშუალო ადგილას იმართება“ (მ. 25, პ. 2).

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან, ერთი მხრივ, ცხადი ხდება, რომ *კერძო* შეკრებისათვის ხელისუფლების ორგანოების არავითარი წინასწარი გაფრთხილება (მათ უმეტეს ნებართვა) არ არის

საკარო, მეორე მხრივ კი, ასევე ნათელია, რომ ხელისუფლების წინააღმართ გაურთხილება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როცა შეკრება ან მანიფესტაცია ხელს შეუშლის ტრანსპორტის ან ხალხის მოძრაობას. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა სპონტანურად წარმოშობილ დემონსტრაციაზე ვერ გავრცელდება. იგი მხოლოდ წინასწარ ორგანიზებულ აქციებს ეხება. აქ მნიშვნელოვანია სიტყვები „წინასწარი გაურთხილება“, რომელთა მახედითაც ნათელია, რომ ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ აქციის ორგანიზატორებისაგან ეს გაურთხილება და ასევე გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები ქუჩებსა თუ მოედნებზე ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის დროებით შესაცვლელად. აღსანიშნავია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი სრულიად უსაფუძვლოდ ზღუდავდა ორგანიზატორთა ამ უფლებას და კონსტიტუციით გათვალისწინებულ „წინასწარ გაურთხილებას“ ფაქტობრივად „ნებართვად“ აქცევდა. კანონის მე-8 მუხლის იე-5 პუნქტის მიხედვით, ხელისუფლების ორგანოს შეეძლო „არ მიეღო გაურთხილება“ სხვადასხვა მიზეზით. ეს ამკარად არაკონსტიტუციური ნორმა გააუქმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.³¹

მოუხედავად ამისა, რომ შეკრებების თავისუფლება არ იცავს ისეთ დემონსტრაციებს, რომელთა მიზანი მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტა და ამით ქალაქში ხალხის მოძრაობის შეფერხებაა, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ და შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ დემონსტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოძრაობის შეწყვეტება. დემონსტრაციების თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს იმით, რომ შეკრებები და მანიფესტაციები დაშვებულ იქნეს მხოლოდ ხალხის მოძრაობის ადგილებიდან მოშორებით მდებარე ტერიტორიაზე და ამით შეკრებას და მანიფესტაციას ფაქტობრივად გამოეცალოს საზოგადოებაზე, მისახლეობაზე ზემოქმედების ძალა. საერთო ჯამში, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს და პატივი სცეს იმას, რომ თუკი ადამიანთა მიერ თავიანთი ძირითადი უფლებების გამოყენებას აუცილებლად მოჰყვება გარკვეული სირთულეები (თუნდაც ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების სახით), დაუშვებელია აღნიშნულის აღსაკვეთად

³¹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო“, 19.11.2002.

წინასწარ რაიმე ნორმების დადგენა ან მის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომების მიღება.

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სახელმწიფოს მიერ შეკრებების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით რაიმე ზომების მიღება უნდა შეძლიერებლოს მხოლოდ ასეთი ღონისძიებებით, რომლებიც აუცილებელია იმ სამართლებრივი სიკეთების დასაცავად, რომლებსაც შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების მსგავსი ღირებულება აქვთ. ამ თვალსაზრისით უკიდურეს ღონისძიებას წარმოადგენს შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა. ბუნებრივია, ასეთი ჩარევის გამართლებისათვის აუცილებელია კონსტიტუციური საფუძველი და შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედონ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა.

ხელისუფლების ორგანოების მხრიდან აღნიშნული ზომების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი ზომების მიღებით ვერ იქნება მიღწეული შეკრებისაგან ან მანიფესტაციისაგან მომდინარე (პოტენციური) საფრთხის -- აღამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის, კონსტიტუციური წყობილების შერყევის -- თავიდან აცილება. საქართველოს კონსტიტუცია ასეთი ზომების მიღებას, ანუ ხელისუფლების მიერ „შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტას“ უშვებს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად „კანონსაწინააღმდეგო ხასიათს“ შეკრება ან მანიფესტაცია მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ორგანიზებისას ან ჩატარებისას იქნება „მოწოდება კონსტიტუციურა წყობილების დამზღობის ან ძალადობით შეკვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კეთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“ (მ. 4), ან თუკი მის მონაწილეებს ექნებათ „იარაღი, ფეხქვალი, ავდილად აკლებადი, ცრეკლმენი, რადიოაპტორი, ხერხულ-პარაღოტიკური მოქმედების და მოწამეღელი ნივთიერებანი, ალკოჰოლიანი სასმელები“ (მ. 11, პ. 3). ასეთ შემთხვევებში ხელი-

სუფლებების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა წარმოადგენს ჩარევას შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებაში, მაგრამ ეს ჩარევა გამართლებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივად, ეყრდნობა კანონის ნორმებს და აუცილებელია შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების მსგავსი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთების დასაცავად. ხეშოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის კანონით დადგენილი ფორმალური და საორგანიზაციო ხასიათის მოთხოვნების დარღვევა არ ნიშნავს შეკრებისა თუ მანიფესტაციის „კანონსაწინააღმდეგო ხასიათს“.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებულია ჩარევის კიდევ ერთი უკიდურესი შემთხვევა – შეკრების ან მანიფესტაციის *აკრძალვა, ანუ მისი ჩატარების არდაშეება*. საფუძველი ისევ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვაა: ხელისუფლება უფლებამოსილია „არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.“ ეს არის კიდევ ერთი შეუსაბამობა კონსტიტუციის 25-ე მუხლიდან, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს შეკრების ან მანიფესტაციის მხოლოდ შეწყვეტას (პ. 3; „შეწყვეტა“ ნიშნავს შეკრების ან მანიფესტაციის დაწყების შემდეგ სახელმწიფოს მიერ მის აღკვეთას) და არა მისი ჩატარების წინასწარ არდაშეებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ეს საკითხი და აღნიშნული ნორმა არ ჩათვალა ანტიკონსტიტუციურად. სავარაუდოა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა იმ სახელმწიფოთა გამოცდილება, რომლებიც იცნობენ ასეთ მექანიზმს და იქ შესაბამის ორგანოებს მათ ხელთ არსებული შემოწმებული მონაცემების საფუძველზე შეუძლიათ არ დაუშვან შეკრება ან მანიფესტაცია. ამ მექანიზმის საფუძველი მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის დებულება უნდა გაეთვალისწინებინა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს შეკრებისა და მანიფესტაციის მხოლოდ შეწყვეტას და არა წინასწარ აკრძალ-

კახ. კონსტიტუციის 25-ე მუხლის დებულების ასეთი ფართო (სასამართლო-სეული) ინტერპრეტაცია კი, რომლითაც უსაფუძვლოდ იზღუდება ძირითადი უფლების შინაარსი, სრულიად დაუშვებელია.

15. მ. 26 – საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თავისუფლება. შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების მსგავსად, ეს უფლებაც საზოგადოებაში ადამიანების თვითგანვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალპარტიული სისტემა კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი შემადგენელი ნაწილია. კონსტიტუციის 26-ე მუხლის დებულება დაწკრილებით განსაზღვრავს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის საფუძველებს:

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამზობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ზეღოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კეთხოზურ, რელიგიურ ან სოციალურ შეღღს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეთარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, კამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წვევტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ორგანული კანონით ვანსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.”

II. ცნება და დაცული სფერო

საზოგადოებრივი გაერთიანებებიდან და პოლიტიკური პარტიებიდან უნდა გამოეყოთ „საზოგადოებრივი გაერთიანებები“, რომელიც ფართო ცნებაა და გულისხმობს ზოგადად გაერთიანებებს, მათ შორის, პროფესიულ კავშირებს („მათ შორის პროფესიული კავშირები“ – მ. ში. პ. 1), რომლებიც იქმნება შრომის სფეროში, და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში.

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლება მოიცავს **ინდივიდუალურ, კოლექტიურ და დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარე კომპონენტებს**. როგორც ინდივიდუალური უფლება, იგი უზრუნველყოფს ადამიანის მოქმედებისა და საქმიანობის თავისუფლების ულტიმტარულ ფორმას, კერძოდ, ყოველი ადამიანის შეხატლებლობას. სხვა ადამიანებთან ერთად გაერთიანდეს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფში. ისევე როგორც, ამით ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, ძირითადი უფლებები გამოიყენოს არა მხოლოდ თვითონ, როგორც ინდივიდი, არამედ სხვებთან ერთად, გაერთიანების სახით. ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებული ძირითადი უფლება ე.წ. **ორმაგი უფლებაა**, რადგან ამ უფლებით დაცული არიან არა მხოლოდ გაერთიანების წევრები, როგორც ცალკეული ინდივიდები (**ინდივიდუალური უფლება**), არამედ აგრეთვე როგორც ერთი მოღვაწეობა – მათი გაერთიანება (**კოლექტიური უფლება**). ანუ იგი სახელმწიფოს ჩარევებისაგან იცავს უშუალოდ გაერთიანებებს.

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ
საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება
მ. 26

უზრუნველყოფს

და

იცავს

ინდივიდთა უფლებას –
შექმნან გაერთიანებები

თავად ამ გაერთიანებებს

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლება, როგორც კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს აგრეთვე სოციალური ჯგუფების თავისუფალი ჩამოყალიბების პრინციპის საფუძველს. ეს პრინციპი არსებითად განსხვავდება როგორც უყოღალიზმის ეპოქის სახელმწიფოების ორგანიზაციული ფორმისაგან, სადაც საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა იყო არა თავისუფალი, არამედ დამოკიდებული ადამიანების წარსომავლობას ან პროფესიაზე, ისე უახლოესი წარსულისა და ზოგიერთი თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფოს წყობილებისაგან, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად ზემოდან ქვემოთ, ხელისუფლებისაგან არის ორგანიზებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოკლედ ასეც შეიძლება გადმოვცეთ: **პოზიტიური მხრივ** დაცულია ინდივიდთა ინიციატივა, შექმნან საზოგადოებრივი გაერთიანება (ან შეუერთდნენ უკვე შექმნილ გაერთიანებას) და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. **ნეგატიური მხრივ** კი უზრუნველყოფილია გაერთიანებაში და მის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმა და გაერთიანებიდან გამოსვლა.

დაცული სფერო მოიცავს ყოველი გაერთიანების უფლებას შექმნასა და არსებობაზე. ასევე დაცულია გაერთიანების უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი სტრუქტურის, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურისა და გაერთიანების საქმიანობის წარსართვის შესახებ. ამ უფლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თავისუფალი გაერთიანების შექმნა და არსებობა. დაცულია აგრეთვე გაერთიანებისათვის სახელის მინიჭების უფლება.

კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია საქართველოში მცხოვრები *ველა* ადამიანისათვის, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა („ვეველას აქვს...“). იმავე მუხლის მე-2 პუნქტი კი პოლიტიკური პარტიების შექმნის უფლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს. ამ დებულებას უშუალო კავშირი აქვს კონსტიტუციის 27-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც „*საზღვრისთვის უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა*“; გარდა ამისა, ამ ძირითადი უფლების მინაარსიდან გამომდინარე, იგი მოიცავს მხოლოდ ეკრძო სამართლის იურიდიულ პირებს – გაერთიანებებს და არა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რადგან ამ უკანასკნელთა წარმოშობა დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის გამოცემასთან და არა ფიზიკურ პირთა ინიციატივასთან. ეს კარგად ჩანს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებიდან, რომელიც მოცემულია „*საჯარო სამართლის იურიდიულს პირის შესახებ*“ საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონის მე-2 მუხლში: „*საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, სავაჭრო-საბაზო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.*“

გაერთიანებათა თავისუფლება (როგორც ხშირად უწოდებენ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითად უფლებას) პრაქტიკულად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი წესების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ანდივიდთა თავისუფალი ნების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებებს კანუნიზღვრავენ ადვილს არსებულ სამართლებრივ სისტემაში, უზრუნველყოფენ მათი და მათი წევრების უფლებებს, აგრეთვე ათვალისწინებენ სხვა ინდივიდთა და საზოგადოების ინტერესებს. ასეთი დებულებების არსებობას ითვლიანვე გულისხმობს და მოითხოვს კონ-

სტიტუციით გარანტირებული ვაერთიანებათა თავისუფლება, ამიტომ საკანონმდებლო ხელისუფლება არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა შეიმუშაოს სამართლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს ვაერთიანებათა თავისუფლების რეალურ განხორციელებას. ვაერთიანებათა შექმნისა და არსებობის შესახებ სამართლის ნორმები ჩამოყალიბებული უნდა იყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ვაერთიანებათა უფლებაუნარიანობა და გამართული ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნული ნორმები საქართველოში დადგენილია სამოქალაქო კოდექსით, რომლის 24-ე-მე-40 მუხლების საფუძველზე უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ვაერთიანებათა შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება. კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი ვაერთიანება შეიძლება შეიქმნას და არსებობდეს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში აღნიშნული მიზნების შესაბამისი საქმიანობა, კერძო სამართლის იურიდიულ პირს - არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაცია, საზოგადოებრივ ვაერთიანებას, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუქრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული (მ. 25). პროფესიულ კავშირებთან დაკავშირებით ანალოგიურ ნორმებს ადგენს საქართველოს 1997 წლის 2 აპრილის კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“.

III. დაცულ სფეროში ჩარევა

საზოგადოებრივი ვაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. კონსტიტუციის 26-ე მუხლი ადგენს ამ უფლებაში ჩარევის საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია. გაუმართლებელი ჩარევის *მჯავლითა* ვაერთიანების შექმნის პროცესში ხელისუფლების მიერ დაბრკოლებების შექმნა, გაუმართლებელი დამატებითი მოთხოვნების დადგენა, ვაერთიანების რეგისტრაციის ვადების დაუდგენლობა, აგრეთვე

პროცედურას სუბიექტად ვარაუდობა. ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმებია კონსტიტუციის 26-ე მუხლით განსაზღვრული გაერთიანების საქმიანობის შეჩერება და მისი აკრძალვა.

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. ამ დებულების მიხედვით *„დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროვოცირებას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან სოციალურ შეტლის.“* აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილი და იმპედროულად კალაძებულიც არის, არ დაუშვას საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების დამხობა ან შეცვლა და ამისთვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმები. განსახილველ ძირითად უფლებაში ჩარევისა და აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედების სახელმწიფოსათვის სავალდებულო პროცედურა დადგენილია კონსტიტუციის იმავე მუხლის მე-6 პუნქტით: *„საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორეანოლი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“*

კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებათა შესაბამისად 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს *„არასამეწარმეო (არაკომერციული) აურიდიული პარის, პრიაფესიული კავშირისა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის საფუძვლებსა და წესს“* (მ. 1). აღნიშნულ საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, რომელსაც შეუძლია

...*... ოვერსე ვადით შეახეროს ამ საზოგადოებრივი გაერთიანების საქსანობა, როიგლოვ არსებითად ვადავდა სამქარბო საქსანობაზე*“ (მ. 3, პ. 1). სასაქართლოს ასევე შეუძლია აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მახანია „*საქართველოს კონსტიტუციური წყობალების დამხობა ან ძალიადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ზელყოფა, ტერიტორიული მოლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღიეებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შეუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ ვანახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას*“ (მ. 4).

V. პოლიტიკური პარტიები

როგორც ზემოთ აღინიშნა, „საზოგადოებრივი გაერთიანებები“ ფართო ცნებაა და ზოგადად მოქალაქეთა გაერთიანებებს გულისხმობს. მოქალაქეთა გაერთიანების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პოლიტიკური პარტია, რომლის არსებობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და სწორედ ამიტომ გამოსირჩეულად არის მითითებული კონსტიტუციის 26-ე მუხლში.

1. ცნება და დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად პოლიტიკური პარტიების ცნებას, მათი შექმნისა და საქმიანობის საფუძვლებს, აგრეთვე მათი აკრძალვის წესს განსაზღვრავს „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ*“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის ორგანული კანონი. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ... (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება...*“ „*პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუტაღლებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშეყობით და კანონმდებლობით ნებადართულია სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოსატყაობაში*“ (მ. 2).

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის ძხოლოდ მე-4 მუხლშია მოცემული მოკლე დებულება პარტიის იურიდიული ბუნების შესახებ: „პარტია არის არასაძეწარმოო იურიდიული პირი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი მიუთითებს, რომ პარტია არის „საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (მ. 1509, ნაწ. 1, ქვბ. აე“). კოდექსის ეს ნორმა საკმაოდ საკამათოა, როგორც აღინიშნა, ორგანული კანონი არ მიიჩნევს პარტიებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება პოლიტიკური პარტიის ბუნებას, რომელიც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციური ნაწილია, მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირება და მისი თავისუფალი გამოხატვა კი ძირითადად სწორედ პარტიების საშუალებით ხორციელდება. გარდა ამისა, პარტია, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, არ წარმოიშობა კანონის ან ხელისუფლების სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე, ორგანული კანონი ძხოლოდ პარტიის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წესებს, აგრეთვე რეგისტრაციის პროცედურას ადგენს, პოლიტიკური პარტია კი არსებობს არა იმის გამო, რომ არსებობს ეს ორგანული კანონი, არამედ იმიტომ, რომ კონსტიტუციით შეიქმნა თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, რომლის განუყოფელი და ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია პოლიტიკური პარტიები. ამით კონსტიტუცია ფაქტობრივად ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას, შეიმუშაოს პოლიტიკურ პარტიათა გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო წესები, რაც განხორციელდა ზემოხსენებული ორგანული კანონით. ამდერად, პარტია შინაარსობრივად სრულიად განსხვავდება ყველა სხვა იურიდიული პირისგან, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

საწინააღმდეგო მოსაზრების მიხედვით, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ დებულებას ეყრდნობა, იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური პარტია საჯარო სამართლის იურიდიული პირია, განაპირობებს პარტიის მინაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შექმნაში და არა ის, თუ რა უდევს საფუძველად მის შექმნას – ნების თავისუფალი გამოვლენა თუ აღმინისტრაციული

აქტი. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრების სამართლებრივი არგუმენტაციის შედარება ეკიხენებს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის დებულებები ვაცილებით მეტად შეესაბამება პოლიტიკური პარტიის ნამდვილ შინაარსს და იურიდიულ ბუნებას, ვიდრე სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა.

2. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის ძირითად უფლებაში ჩარევა ან პარტიის აკრძალვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, იმავე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი პროცედურით. აღსანიშნავია, რომ ამ ძირითად უფლებაში ჩარევა, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა მსგავსად, შეიძლება მოხდეს ვერ კიდევ რეგისტრაციის ეტაპზე. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად საზოგადოებრივი ორგანიზაცია – ფონდი რეგისტრირდება ასევე იუსტიციის სამინისტროში, კავშირი კი – სასამართლოში). სამინისტრო უფლებამოსილია, უარი უთხრას პარტიას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებულ მოთხოვნებს ან ორგანული კანონის სხვა დებულებებს. მოცემულ ძირითად უფლებაში ამ გარკვეულწილად პრევენციულ ჩარევას საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ (იმავე პუნქტით განსაზღვრულ) შემთხვევებში დაუშვებელია საზოგადოებრივ გაერთიანებათა და პოლიტიკური პარტიების არა მხოლოდ „საქმიანობა“, არამედ „შექმნაც“.

ყველაზე მძიმე და რადიკალურ ჩარევას საერთოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კონკრეტულად კი პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის ძირითად უფლებაში წარმოადგენს

მათი აკრძალვა სხვა სახეგადობრივი გაერთიანებებისაგან განსხვავებით, რომელთა აკრძალვის საკითხს საერთო სასამართლოები იხილავენ, ორგანული კანონის თანახმად „პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით...“ (მ. 35). ამ დებულების საფუძველი, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებული მნიშვნელობაა, მეორე მხრივ კი, კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილია განიხილოს „მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის“ საკითხები. საკონსტიტუციო სასამართლო შეუძლია აკრძალოს მხოლოდ ის პარტია, „რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან სოციალურ შეტევას, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირებები“ (მ. 36).

თანასწორობის ძირითადი უფლებები

1. თანასწორობის ძირითად უფლებათა დარღვევის შემოწმება

თავისუფლების ძირითად უფლებებთან ერთად საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს თანასწორობის ძირითად უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია მე-14, 28-ე, 29-ე და 38-ე მუხლებით. როგორც სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში აღინიშნა, თანასწორობის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მათი დარღვევის შემოწმება თავისუფლების ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმებისაგან განსხვავებული სქემით ხორციელდება. შემოწმება შედგება მხოლოდ ორი საფეხურისგან:

1. არათანასწორი მოპყრობის დადგენა

2. დადგენილი არათანასწორი მოპყრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

ა) თავდაპირველად უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მხრიდან პირის, პირთა ჯგუფების ან სიტუაციათა მიმართ არათანასწორი მოპყრობის ფაქტი. ასეთი მოპყრობა სახეზე გვაქვს, როცა მნიშვნელოვნად თანასწორს თვითნებურად უთანასწოროდ ან მნიშვნელოვნად უთანასწოროს თვითნებურად თანასწორად ეპყრობიან. ამასთან, არათანასწორი მოპყრობა ერთი და იმავე სახელმწიფო ორგანოსაგან უნდა მომდინარეობდეს. შესაბამისად, არათანასწორ მოპყრობას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს ორი ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი ორგანოები კონკრეტულ პირთა მიმართ განსხვავებულ წესებს დაადგენენ.

არათანასწორი მოპყრობის დასაღვენად აუცილებელია ე.წ. შესადა-
რებელი ჯგუფის არსებობა. მაგალითად: *ყველა თურქულმა პიცა-
კაფეებმა უნდა ვადაიხადონ უფრო მეტი სამეწარმეო ვალასხადი,
ვიღრე ქართულმა პიცა-კაფეებმა. თურქების მიმართ არათანასწორი
მოპყრობა ცხადი ხდება შესადარებელ ჯგუფთან (ქართველები)
შედარების საფუძველზე.*

სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ შესადარებელი ჯგუფი
ყოველთვის ფიზიკურ პირებს მოიცავდეს. ზოგჯერ შესაძლებელია
საქმის შინაარსის შედარება განხორციელდეს.

ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას,
რომ შესადარებელი ჯგუფის ორივე ნაწილი მსგავსი უნდა იყოს
ერთი საერთო პუნქტის მიხედვით, ანუ უნდა აღინიშნებოდეს
საერთო, ზოგადი ცნებით (მაგალითად: პიცა-კაფეები), რომელიც
უშვებს მსგავსების დადგენის შესაძლებლობას. როცა შესაძ-
ლებელია პირების, პირთა ჯგუფების ან სიტუაციების ერთი და იმავე
პუნქტის გარშემო გაერთიანება, ეს ნიშნავს, რომ არსებობს მსგავსება.
აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდება შედარება, მაგალითად, თურქული
პიცა-კაფეებისა და ქართველი ადვოკატებისა. საერთო, ზოგადი ცნება
ფიზიკური პირებისათვის შეიძლება იყოს – მეწარმეები, ინჟინრები,
ექიმები, მასწავლებლები, ზოლო საქმის შინაარსისათვის ანუ
სიტუაციებისათვის – გადასახადებით დაბეგვრა, საქმიანობის აკრძალვა,
ჩაცმულობის სავალდებულო სორმები და ა.შ.

ბ) მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს დადგენილი არათანასწორი
მოპყრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. ამი-
სათვის საჭიროა, წინასწარ დადგინდეს სახელმწიფო ხელისუფლების
მიერ განხორციელებული დიფერენცირების მიზანი: რისი მიღწევა
სურს კანონს? რა მიზანს ისახავს ადმინისტრაცია თავისი მოქმედებით?

მაგალითი: ერთ-ერთი საჯარო თანამდებობის დასაკავებლად გამო-
ცხადებულ კონკურსში კანდიდატთა შორის უპირატესობა ენიჭება
ქალებს. ქალებთან შედარებით მამაკაცთა მიმართ ასეთი არათანასწორი
მოპყრობა დასაბუთებულია ქალების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ამ და სხვა მსგავს შემთხვევაში თანდაპირველად უნდა გაირკვეს,
დიფერენცირების რა კრიტერიუმი უდევს საფუძველად ასეთ მო-
ქრობას?

მკვლევართა: *სტესი*.

ამის შემდეგ უნდა შექმნილიყო შესაძლებელია თუ არა ასეთი დიფერენცირების გამართლება. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა: პირველი მათგანის მიხედვით, დიფერენცირება შესაძლებელია და გვაქვს მაშინ, როცა დიფერენცირება (= არათანასწორი მოპყრობა) არ ხორციელდება თვითნებურად. თვითნებური ხასიათი კი დიფერენცირებას არ აქვს მაშინ, როცა მას საფუძვლად უდევს არა საკუთარი შეხედულებისამებრ შექმნილი, არამედ გონივრული, საგნის ბუნებიდან გამომდინარე ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შინაარსობრივად განსაზღვრული საფუძველი.

მეორე მიდგომის მიხედვით, დიფერენცირება გამართლებულია მაშინ, როცა ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებობს ფორმითა და შინაარსით ისეთი აშკარა განსხვავება, რომელიც ამართლებს სახელმწიფოს მხრიდან მათ მძიმარ არათანასწორ მოპყრობას. ამ შემთხვევაში აუცილებელია არა მხოლოდ არსებითი ხასიათის საფუძვლის არსებობა, არამედ შედარებაც (აწონ-დაწონვა), რომელიც ხორციელდება ჩვენთვის უკვე ცნობილი სქემის მიხედვით: დიფერენცირებას უნდა აქონდეს ლეგიტიმური საჯარო მაჩანთი, დიფერენცირების კრიტერიუმი უნდა იყოს გამოსადევი, დიფერენცირების ინტენსივობა და სიძლიერე – აუცილებელი, ხოლო თვითონ დიფერენცირება – შესაბამისი, ანუ ზომიერი ვიწრო გაგებით (ზომიერების პრინციპი).

2. მ. 14 – თანასწორობის ძირითადი უფლება

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია მე-14 მუხლით აღიარებს და უზრუნველყოფს კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის ძირითად უფლებას:

„ეველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

თანასწორობის ძირითადი უფლება ყველა დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს; იგი ითვლება ე.წ. ზემოზივითურ. ანუ კონკრეტული მითითების გარეშე მოქმედ სამართლებრივ პრინციპად კონსტიტუციის მე-14 მუხლით თანასწორობის პრინციპის ფორმალური აღიარების გარდა აუცილებელია მისი უდიდესი მოქმედების ძალისა და მნიშვნელობის წარმოჩენა.

II. დაცული სფერო

თანასწორობის პრინციპი თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ელემენტარული ტექსტირებაა. მისი ძირითადი არსი *„კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობა“*; რაც უპირველესად ნიშნავს *„თანაბარ უფლებას ყველასათვის“*. კანონის ნორმათა გამოყენებისას სახელმწიფომ (აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებებმა) უნდა ვაითვალისწინოს კანონის წინაშე ყველას თანასწორი სამართლებრივი მდგომარეობა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ხელისუფლებაც ვალდებულია კანონების შექმნისას იხელმძღვანელოს ამ პრინციპით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კანონების შემუშავებისას და გადასინჯვისას დიდი ყურადღება საჭირო. ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის პირობები და გარემოებები, რომლებიც კანონით უნდა იქნეს მოწესრიგებული, არასოდეს არიან სრულიად იდენტური; ისინი ყოველთვის მხოლოდ ცალკეული ელემენტებით არიან ერთმანეთის მსგავსი, სხვა მხრივ კი – განსხვავებული. პირველ რიგში სწორედ კანონმდებლის საქმეა იმის განსაზღვრა, თუ რომელია ამ ელემენტებიდან გადასწყვეტი, ანუ რა მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს თანასწორად ან უთანასწოროდ და რა კრიტერიუმები – სამართლიანად. ამ შეფასების გაკეთებისას კანონმდებელს საკმაოდ დიდი სამოქმედო სივრცე აქვს, რომლის ფარგლებში მას თავისუფლად შეუძლია იმოქმედოს და მიიღოს გადაწყვეტილება. გადაამტკიცა თუ არა კანონმდებელმა თავისი სამოქმედო არეალის უკადურეს საზღვრებს შეიძლება შეამოწმოს და გაარკვიოს მხოლოდ სასამართლომ.

კონსტიტუციის მე-14 მუხლი გარკვევით მიუთითებს იმ კრიტერიუმებზე, რომელთა საფუძველზედაც აკრძალულია ადამიანთა დიფერენცირება. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ *კონსტიტუცია არ მოითხოვს ყოვლისმომცველ, ტოტალურ გათანაბრებას და თანასწორობას. იგი უშვებს გარკვეული დიფერენცირების არსებობას.* ასე რომ

არ იყოს, თანასწორობის პრინციპი წინააღმდეგობაში იქნებოდა კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის თავისუფლების ძირითად უფლებებთან. როგორც კიციო, კონსტიტუციით უზრუნველყოფილია არა მხოლოდ თანასწორობა, არამედ პიროვნების თავისუფლება, საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება, საკუთრების უფლება და სხვა ძირითადი უფლებები, რითაც თავიდანვე აღიარებულია ფაქტობრივი უთანასწორობა. ამდენად, მე-14 მუხლით გათვალისწინებული ადამიანთა თანასწორობა ტოტალურ თანასწორობას კი არ ნიშნავს, არამედ კრძალავს უსაფუძველო დიფერენცირებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება თანასწორობის პრინციპის მთავარი მოთხოვნა: იგი ავალდებულებს სახელმწიფოს, თანასწორს თანასწორად, ხოლო არათანასწორს მისი თავისებურების შესაბამისად არათანასწორად და განსხვავებულად მოეპყრას. თანასწორობის პრინციპი საფუძველს უყრის სამართლიანობის მოთხოვნას და თვითნებობის აკრძალვას სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *სახელმწიფოს კერძალება, მნიშვნელოვნად თანასწორს თვითნებურად უთანასწოროდ და მნიშვნელოვნად უთანასწოროს თვითნებურად თანასწორად მოეპყრას* თანასწორობის პრინციპი დარღვეულია, როცა არ არსებობს დიფერენცირების ან თანასწორად მოპყრობის გონივრული, საგნის ბუნებიდან გამომდინარე ანუ შინაარსობრივად განსაზღვრული საფუძველი, ე.ი. როცა ცხადად ჩანს, რომ საფუძველი თვითნებურად არის შექმნილი.

მაგალითი 1: თვითნებური მოწყვრივების თვალსაჩინო შემთხვევა იყო გერმანიის ერთ-ერთი მხარის (ლანდის) კანონი სახანძრო მოსაკრებლის შესახებ. მას იხდიდნენ მხოლოდ 18-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცები. მოსაკრებლის გადამხდელთა კატეგორიის ამავე კრიტერიუმით განსაზღვრა დაუსმებელი იყო ნებისმიერი საფუძველით, რადგან ყველა შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის პრინციპს. გადამხდელთა კატეგორიის განსაზღვრის საფუძველად თუნდაც ის კრიტერიუმი რომ ყოფილიყო აღებული, რომლის მიხედვითაც მოსაკრებელს მხოლოდ ის გადაიხდიდა, კისაც საერთოდ სასანძრო სამსახურის არსებობის გამო სხვებთან შედარებით რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა მქონდა და უკეთ იყო დაცული, მაინც დაუმკებელი იქნებოდა მხოლოდ მამაკაცებით შემოფარგვლა, რადგან ქალებიც და იურიდიული პირებიც ყულობენ შენობებს, რომლებსაც შეიძლება

დასჯირდეთ სახანძრო სამსახურის დახმარება. კომპეტენტური სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით კანონის ნორმები არღვევდა თანასწორობის პრინციპს, მოსაკრებელი აუცილებლად უნდა გადაეხადათ ქალუხსაც და იურიდიულ პირებსაც.

თანასწორობის პრინციპი მოქმედებს როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ისე უცხოელთა მიმართ; შესაბამისად იგი ადამიანის უფლებაა.

კონსტიტუციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს ადამიანთა თავისუფლებას – „ვევლი ადამიანი დაბადებით თავისუფალია“. თავისუფლება და თანასწორობა დემოკრატიის ძირითადი პრინციპებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. თანასწორობის პრინციპის მიზანი გაჭირვებულთა და ღარიბთა, აგრეთვე სხვაგვარად დისკრიმინირებულთა სიტუაციის გაუმჯობესებაა და არა კარგად მცხოვრებთა უარეს მდგომარეობაში ჩაყენება – ასედაც ხომ შეიძლება თანასწორობის მიღწევა. სწორედ ამით უკავშირდება იგი თავისუფლების პრინციპს და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველს – ღირსებადაცულ ადამიანს. თანასწორობისა და თავისუფლების ელემენტარული მოთხოვნა სწორედ ადამიანთა ღირსეული ცხოვრება და მათი ღირსების დაცვაა. ღირსეული ცხოვრებისათვის კი აუცილებელია საარსებო პინიუმისა და სხვა სოციალური პირობების უზრუნველყოფა. სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა არსებობა სახელმწიფოში თანასწორობისა და თავისუფლების არარსებობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, სიღარიბის დაძლევა თანასწორობისა და თავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა, სიღარიბეში ცხოვრება კი თანასწორობის დარღვევას და თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს.

ა) „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ არათანასწორი მიდგომა

კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით თავდაპირველად მნიშვნელოვანია „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ არათანასწორი მიდგომის შემთხვევების განხილვა. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ არათანასწორი მიდგომა ერთი და იმავე ხელისუფალისაგან უნდა მომდინარეობდეს. როცა სახელმწიფოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულები თავიანთი მოსახლეობისათვის შიდაავტონომიური აქტების საფუძველზე განსხვავებულ წესებს ადგენენ, ეს არ არის თანასწორობის

პრინციპის დარღვევა, რადგან არ არსებობს საფუძველი, რომლითაც შეიძლება ამ მოქალაქეთა შედარების საერთო წერტილის პოვნა. ყოველმა ხელისუფლებამ მხოლოდ თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს თანასწორობის პრინციპი.

მაგალითი 2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებლებმა კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური ხელისუფლების გადაწყვეტილებით მიიღეს ერთგვარადი დახმარება ასი-ასი ლარის ოდენობით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებმა მასწავლებლებმა შესაბამის ავტონომიურ ორგანოში შეიტანეს განცხადება მსგავსი დახმარების მოთხოვნით. განცხადება არ დააკმაყოფილეს. მასწავლებლები თვლიან, რომ დაირღვა თანასწორობის პრინციპი.

აღნიშნული საკითხის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, აფხაზეთის მასწავლებლებთან შედარებით უთანასწოროდ მოეპყრა თუ არა აჭარის ხელისუფლება მასწავლებლებს. აფხაზეთისა და აჭარის მასწავლებლები „მნიშვნელოვნად თანასწორნი“ არიან. ამ ნიშნის მიხედვით სახეზეა დარღვევა, მაგრამ თანასწორობის პრინციპი თანასწორობის უზრუნველყოფას მოითხოვს ერთი და იმავე ხელისუფლებისაგან. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ორი ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებები. ყოველი ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ თავის სამოქმედო ტერიტორიაზე თანასწორობის უზრუნველყოფაზე. ამდენად, თანასწორობის პრინციპი არ არის დარღვეული.

განსაკუთრებით პრობლემატურია „მნიშვნელოვნად თანასწორის“ განსაზღვრა. არც ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს; ასევე არც ერთი გარემოება ან სიტუაცია აბსოლუტურად მსგავსი არ არის სხვა გარემოებისა თუ სიტუაციისა. სწორედ ამიტომ საუბარი გვაქვს არა „აბსოლუტურად თანასწორზე“, არამედ „მნიშვნელოვნად თანასწორზე“. ამდენად, საკითხის გასარკვევად აუცილებელია შედარების, თანასწორობის რაღაც საფუძვლის, საერთო წერტილის პოვნა.

„მნიშვნელოვნად თანასწორი“ ნიშნავს, რომ პირები, პირთა ჯგუფები ან სიტუაციები მსგავსნი არიან ერთი საერთო *ტუნქტის* (tertium comparationis) საფუძველზე. საერთო ტუნქტი არის ერთიანი, ზემდგომი ცნება (genus proximum), რომელიც გვაძლევს მსგავსების დადგენის შესაძლებლობას. როცა შესაძლებელია პირების, პირთა ჯგუფების ან სიტუაციების ერთი

და იმავე პუნქტის გარშემო გაერთიანება, ეს ნიშნავს, რომ მსგავსება არსებობს.

მაგალითი 3: ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით ყველა პირმა, რომელიც სოციალურ დახმარებას ძირითადად ფულადი სახით იღებს, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება. გიორგი გიორგაძე, რომელიც უსახლკაროა და სოციალურ დახმარებას ძირითადად საგნების სახით იღებს, თვლის, რომ მას უსამართლოდ მოუყრა ხელისუფლება და აღნიშნული გადაწყვეტილებით დაირღვა თანასწორობის პრინციპი. რამდენად დასაბუთებულია გიორგაძის შეხედულება?

თანასწორობის პრინციპის დარღვევა ხდება იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა განსხვავებული წესების საფუძველზე „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ არათანასწორო მიდგომა. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ვარემოების დადგენისათვის აუცილებელია სოციალური დახმარების ძირითადად ფულადი სახით მიმღებ პირებსა და სოციალური დახმარების ძირითადად საგნების სახით მიმღებ პირებს შორის არსებობდეს მსგავსება. გამოიმდინარე იქედან, რომ ერთი ადამიანი არასოდეს ჰკავს მუორეს, საჭიროა მსგავსების საერთო პუნქტის მოძებნა. ფულადი დახმარებისა და საგნობრივი დახმარების მიმღებ პირთათვის საერთოა ის, რომ ისინი სოციალურ დახმარებას იღებენ. სწორედ ეს არის მსგავსების საერთო პუნქტი. ამის საფუძველზე ფულადი სოციალური დახმარებისა და საგნობრივი სოციალური დახმარების მიმღები პირები „მნიშვნელოვნად თანასწორნი“ არიან. რა შეიძლება იყოს მათი დიფერენცირების საფუძველი? სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დიფერენცირების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იმაში მდგომარეობს, რომ გიორგის და მის მსგავს (უსახლკარო) პირებს არა აქვთ შობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტიპური ზედმეტი ხარჯები (ნაძვის ხე, სათამაშოები, საჩუქრები და ა.შ.). მაგრამ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მთავარი მიზანია არა ამ ხარჯების ანაზღაურება. არამედ სოციალური დამხმარების მიმღებთათვის შობასთან დაკავშირებით დამატებითი სასიამოვნო შესაძლებლობის შექმნა. ამ მხრივ კი გიორგისაც, მიუხედავად უსახლკარობისა, შეეძლია ისევე წარმატებით გამოიყენოს დახმარება, როგორც ფულადი დახმარების მიმღებ პირებს. ამდენად, „მნიშვნელოვნად თანასწორის“ არათანასწორად მოყვრობის საფუძველი არ არსებობს. სახელმწიფოს გადაწყვეტილება არღვევს თანასწორობის პრინციპს.

3) „მნიშვნელოვნად არათანასწორობის“ მიმართ თანასწორობის
მიდგომა

თანასწორობის პრინციპი დაუმუშებლად მიიჩნეეს არა მხოლოდ „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ თვითნებურ, არათანასწორ მიდგომას, არამედ აგრეთვე „მნიშვნელოვნად არათანასწორობის“ მიმართ თვითნებურად თანასწორ მიდგომას. თუმცა ამ შემთხვევაში შეუძლებელია ერთი საერთო პუნქტის, ზემდგომი ცნების პოვნა. ამის გამო აუცილებელია იმის გარკვევა, რომ ნამდვილად არ არსებობს საერთო პუნქტი. როცა ის არ არსებობს, ეს უკვე ნიშნავს „მნიშვნელოვნად არათანასწორობის“. თუ ამის შედეგად ხორციელდება შინაარსობრივად გაუმართლებელი საფუძვლით თანასწორობის მიდგომა, ე.ი. ირღვევა თანასწორობის პრინციპი.

ზემოთ მოკეპული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თანასწორობის პრინციპის დარღვევა ხდება იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო კანონის ნორმის ადრესატთა ერთ ჯგუფს ადრესატთა მეორე ჯგუფთან შედარებით განსხვავებულად მოეპყრობა იმის მიუხედავად, რომ ჯგუფებს შორის არ არსებობს ისეთი მასშტაბის განსხვავება, რომლითაც შეიძლება გამართლებული იქნეს უთანასწორო მოპყრობა.

თანასწორობის პრინციპის შინაარსისა და მოქმედების ძალის უკეთ წარმოჩენის მიზნით განვიხილოთ კიდევ ორი შემთხვევა:

მაგალითი 4: ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტთა სასაღილოს ხელმძღვანელმა სანდრო წმინდაშვილმა ბოლო ხანებში მიიღო სტუდენტთა რამდენიმე საჩივარი, რომლებიც აღმოუთქებულნი არიან იმით, რომ საჭმელში რამდენჯერმე აღმოაჩინეს გრძელი თმები. აღნიშნულის გამო წმინდაშვილმა სამზარეულოს მოსამსახურეებს და სასაღილოს ყველა სხვა მუშაკს, რომლებსაც მხრებადღე მოზრდილი თმები აქონდათ (განურჩევლად სქესისა), უბრძანა თმების ნიკაბის დონეზე დაბოკლება. სამზარეულოს მოსამსახურეთა შორის ასეთი აღმოჩნდა 11 ადამიანი, 8 ქალი და 3 მამაკაცი. იმავედროულად, სასაღილოს ხელმძღვანელი თვლის, რომ ეს არის ყველა სამზარეულოს საერთო პრობლემა და აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ კანონით დადგინდეს სამზარეულოს მოსამსახურეებისათვის გრძელი თმების აკრძალვა. თუ დაუშვებთ, რომ სახელმწიფომ მართლაც მიიღო შესაბამისი კანონით, ეწინააღმდეგება თუ არა იგი თანასწორობის პრინციპს?

1. „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ არათანასწორო მიდგომას თანასწორობის პრინციპის დარღვევა სახეზე გვაქვს ამ შექმნილებებში, როცა განსხვავებული ნორმების საფუძველზე „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ თვითნებურად არათანასწორად ეპერობიან. ამის გასარკვევად თავდაპირველად აუცილებელია საერთო პუნქტის პოვნა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი კასდება მხრებამდე თმების მქონე პირებისა და მოკლეთმიანი პირების თანასწორობის დადგენა.

მოკლემულ შემთხვევაში საერთო პუნქტი შეიძლება იყოს ის, რომ პირთა ორივე ჯგუფი შედგება მოსამსახურეთაგან, რომლებიც ადამიანების საკვებთან არიან დოკუმირებულნი. მხრებამდე თმების მქონე პირთა ჯგუფის წევრებსა ნიკაპამდე უნდა შეიჭრან თმები, მეორე (მოკლეთმიანთა) ჯგუფის წევრებს კი ეს წესი არ ეხება. ამდენად, ჩვენს წინაშეა „მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ განსხვავებული, უთანასწორო სამართლებრივი მიდგომა.

2. არათანასწორად მიდგომის საფუძველი

„მნიშვნელოვნად თანასწორობის“ მიმართ არათანასწორ სამართლებრივ მიდგომას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გონივრული, სამართლიანი საფუძველი. არათანასწორი მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს არათვითნებურად და კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართლებულად, როცა მას საფუძველად უდევს რაიმე შინაარსობრივად დასაბუთებული გარემოება. მაგრამ როცა ხდება დიდი მასშტაბის არათანასწორი მიდგომა, აუცილებელია ზომიერების პრინციპის მიხედვით გარემოებათა აწონ-დაწონვა. განსახილველ შემთხვევაში არათანასწორი მიდგომა საკმაოდ ინტენსიურ გაველენას ახდენს მოსამსახურეთა ზოგად პიროვნულ უფლებასზე, ამდენად, საგაღდებულთა ზომიერების პრინციპის გამოყენება:

ა) ნორმატიული აქტით დადგენილი დიფერენცირების მიზანია საკვებში გრძელი თმების მოხვედრის თავიდან აცილება;

ბ) დიფერენცირების კრიტერიუმია სამზარეულოს მოსამსახურეთა თმების სიგრძე;

გ) დიფერენცირების კრიტერიუმში გონივრული, საჭირო და აუცილებელია, თუ მისი საშუალებით შეიძლება მიზნის მიღწევა. გრძელი თმების შეჭრის ვალდებულებით შეიძლება მიღწეულ იქნეს მიზანი - თმები აღარ მოხვდეს კერძებში;

ლ) დიფერენცირების მიზანსა და დიფერენცირების კრიტერიუმს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივად სამართლიანი ურთიერთკავშირი (შესაბამისობა ანუ ზომიერება ვიწრო გაგებით). ამ ურთიერთკავშირის, ანუ შესაბამისობის დადგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თქმების შეჭრის ვალდებულება სამზარეულოს მოსამსახურეთა ზოგად პიროვნულ უფლებებში მძიმე ჩარევას წარმოადგენს. ამ ჩარევის თავიდან ასაცილებლად და მიზნის მისაღწევად საკმარისი იქნებოდა მათთვის სპეციალური ქულების გამოყენების ვალდებულების დადგენა. ქულების გამოყენებით ასევე წარმატებით მოხდებოდა სისუფთავის უზრუნველყოფა და კერძებშიც აღარ აღმოჩნდებოდა თიები. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ კანონი არ შეესაბამება ზომიერების პრინციპს.

3. შედეგი: სამზარეულოს გრძელთმიანი თანამშრომლებისათვის თიების შეჭრის ვალდებულების დამდგენი კანონი ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს.

მაგალითი 5: გერმანიის ფედერალური კანონი უბედურ შემთხვევათა დაზღვევის შესახებ არ ვრცელდებოდა ბავშვზე, რომელიც შეიძლება დაზინებულიყო დაბადებამდე დედის პროფესიული დაავადების გამო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დედა, რომელიც პროფესიული საქმიანობის შედეგად დაზიანდებოდა, სარგებლობდა ასეთი დაზღვევით. ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მიდგომა არ შეესაბამებოდა თანასწორობისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს, რადგან საერთოდ არ ითვალისწინებდა დედისა და ბავშვის მიმართ თანაბრად არსებულ საფრთხეს და ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას. კანონის აღნიშნული ნორმის გამართლება არ შეიძლებოდა იმ არგუმენტითაც, რომ კანონმდებელს უფლება აქვს, გარკვეული ტიპისიზირება მოახდინოს სოციალური დაზღვევის სფეროში და რომ დედის პროფესიული დაავადების გამო ბავშვის დაზიანების შემთხვევები ძალიან იშვიათად გვხვდება. ეს თითქოს გონივრული არგუმენტი არ ითვალისწინებდა იმას, რომ დაზღვევის არარსებობას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა დაბადების შემდგომ ბავშვის ვანპრობლობის გაუარესების თვალსაზრისით, რადგან დაბადებამდე მძღებული დაზიანებები ყოველთვის უარყოფით და მძიმე გავლენას ახდენს ბავშვის განმრთელობაზე.

3. მ. 29 და მ. 38 – საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული თანასწორობის ძირითადი უფლება საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 38-ე მუხლს, რომელიც აცხადებს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას, მათ თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსწავლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საფუძვლათაოდ აღიარებული პრინციპებისა და სწორების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ძმარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.“

აღნიშნული დებულებით შეზღუდულია ხელისუფლება, რომელსაც ეკრძალება საქართველოს მოქალაქეთა დიფერენცირება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილების საფუძველზე. იმპლორულად უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქეთა უფლება, განავითარონ თავიანთი კულტურა ყოველგვარი შეზღუდვისა და დისკრიმინაციის გარეშე.

38-ე მუხლით აღიარებული საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა კონსტიტუციის 29-ე მუხლის დებულება, რომლითაც დადგენილია საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორი უფლება, დაიცავონ ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა:

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიცავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი ამცხოვრებებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“.

II. დაცული სფერო და ჩარევა დაცულ სფეროში

კონსტიტუციის ხელმოღნიშნული დებულებები ფართოდ უნდა განმარტოს. საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობისა და მათი

თანასწორი უფლება-მოვალეობების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, კრძალავს საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციული თუ პოლიტიკური ტერიტორიული ერთეულის მიერ სხვა რეგიონების მცხოვრებთათვის ამ ერთეულის მოსახლეობისაგან განსხვავებული უფლება-მოვალეობების დადგენას და მათთვის *უცხოელის* სტატუსის მინიჭებას. საქართველოს მოქალაქეთა თანასწორ უფლებებში იგულისხმება სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობებიდან წარმოშობილი ყველა უფლება-მოვალეობა, მაგალითად, საარჩევნო უფლება, განათლების უფლება, გადასახადების გადახდის მოვალეობა და სხვა. ამ უფლებების მინიჭება და მოვალეობების დაკისრება არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლებად ცნობაზე. ასევე არაერთარი მნიშვნელობა არ უნდა აქონდეს ამ საკითხში მოქალაქეთა რელიგიურ რწმენას და მათ მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს.

სახელმწიფო თანამდებობათა დაკავების თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის ზოგადი ნორმის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს, კრძალავს არა მხოლოდ მოქალაქეთა თვითნებურ დიფერენცირებას, არამედ იმ კრიტერიუმებსაც, რომელთა საფუძველზედაც შეიძლება მოხდეს ასეთი დიფერენცირება. *კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყოველ მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად შეუძლია ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო სამსახურის პირობები და მოთხოვნები უნდა დადგინდეს მხოლოდ ამ და არა სხვა კრიტერიუმის საფუძველზე.* სახელმწიფო, კონკრეტულად კი კანონმდებელი, შებოჭილია თანასწორობის ძირითადი უფლების მოთხოვნით სამართლიან დიფერენცირებაზე. შესაბამისად, სახელმწიფო სამსახურის მსურველ მოქალაქეთა დიფერენცირებაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ კრიტერიუმის – საკუთარი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ყოველივე ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმას, რომ მოქალაქეთა განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად არ მოხდება მათ ზიზარო თანაბარი მიდგომა, ანუ უკეთესი მონაცემების მქონე პირი არ დაინაგრება სხვებთან თვითნებური „გათანაბრების“ გამო. გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მოქალაქეთა შესაძლებლობებს აქვს, რომლებიც

მოცემულ თანამდებობაზე უვლებათა და მოვალეობათა წარმატებით განხორციელების საფუძველია.

აღნიშნული ძირითადი უფლებების დარღვევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო თვითნებურად ახდენს მოქალაქეთა დიფერენცირებას ეროვნული, რელიგიური ან ენობრივი კრიტერიუმით, ხელს უშლის მოქალაქებს თავიანთი კულტურის განვითარებასა და დედანით სარგებლობაში (მ. 38), ან სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად თვითნებურად ადგენს დამატებით მოთხოვნებს და მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიას უქმნის სხვებთან შედარებით ხელსაყრელ პირობებს (მ. 28).

III. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

კონსტიტუციის 38-ე მუხლით აღიარებული საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. მოქალაქეთა ნებისმიერი სახის დიფერენცირება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი კრიტერიუმის მიხედვით ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა იქნება.

ასევე დაუშვებელია ნებისმიერი სახის ჩარევა სახელმწიფო თანამდებობათა დაკავებას თანასწორობაში. ეს საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ადგენს „საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძველებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას“.

აღნიშნული კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბაუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში (მ. 1). საჯარო სამსახურში მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და ვაშლიც-დიდება, მთავრია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას (მ. 15). სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები შეიძლება დადგინდეს კანონით ან მის საფუძველზე. დამატებითი სპეციალური მოთხოვნები შეიძლება დაადგინოს დაწესებულების ხელმძღვანელმა ან ზემდგომმა უფროსმა (მ. 19).

ბუნებრივია, რომ ყველა ეს მოთხოვნა თანაბრად ვრცელდება ყველა პირზე, რომელსაც სურს საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის დაკავება. ამასთან, თანამდებობაზე დანიშვნა ხდება არა დაწესებულების ხელმძღვანელის პირადი, სუბიექტური შეხედულების მიხედვით, არამედ კონკურსის წესით (მ. 29). კონკურსი ცხადდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო კონკურსის შედეგებს აჯამებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია (მ. 31). კომისია აყვასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოატესტებს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით (მ. 33). ეს წესი სრულად უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სახელმწიფო თანამდებობათა დაკავების თანასწორობის პრინციპის განხორციელებას.

4. მ. 28 – საარჩევნო უფლება

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე მუხლში ასახავს იმ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ერთ-ერთ უმნიშვნელოკანეს ძირითად უფლებას – საარჩევნო უფლებას. როგორც სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში აღინიშნა, საარჩევნო უფლება „სამოქალაქო“ და არა „აღამიანის“ უფლებაა, ანუ მისი გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. უფრო კონკრეტულად, კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საარჩევნო უფლება მოიცავს საქართველოს მოქალაქის უფლებას, აირჩიოს (*აქტიური საარჩევნო უფლება*) და თავად იყოს არჩეული (*პასიური საარჩევნო უფლება*). საქართველოს კონსტიტუციის 28-ე, 49-ე და 70-ე მუხლების მიხედვით, საქართველოში არჩევნები არის *საყოველთაო, პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და ფარული*. ქვემოთ კონკრეტულად განვიხილავთ საარჩევნო უფლების თითოეულ კონსტიტუციურ პრინციპს.

II. საარჩევნო უფლების კონსტიტუციური პრინციპები

I. საყოველთაო არჩევნები

საარჩევნო უფლება სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებაა. *საყოველთაო არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი გამოირიცხავს არჩევნებში მონაწილეობისაგან მოქალაქის უსამართლო და არაკანონიერ გამოთიშვას.* იგი უკრძალავს კანონმდებელს, მოსახლეობის რომელიმე ნაწილს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საფუძვლით უარი უთხრას საარჩევნო უფლებაზე, და მისიხივას, რომ ყოველმა მოქალაქემ საკუთარი საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად გამოიყენოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არჩევნების საყოველთაოობის პრინციპის კანონიერ (ტრადიციულ) შეხლეუდას წარმოადგენს მოკლე ჩამონათვალი მოქალაქეებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ვერ გამოიყენებენ საარჩევნო უფლებას. ეს პირები შეიძლება იყვნენ: ქმედუუნარო, ღროებით მეურვეობის ქვეშ მყოფი, სასამართლო გადაწყვეტილებით საარჩევნო უფლების არმქონე პირები და პირები, რომლებსაც მოცემულ საარჩევნო უბანში არა აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი.

2. პირდაპირი არჩევნები

პირდაპირი არჩევნების პრინციპის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს საბოლოო და გადაწყვეტილი სიტყვა. ეს პრინციპი გამოირიცხავს ისეთი საარჩევნო სისტემის არსებობას, რომლის დროსაც არჩევნების შემდეგ ამომრჩეველის ნებასა და საარჩევნო პირთა შორის წარმოიშობა კიდევ ერთი ინსტანცია (მაგალითად, „ამომრჩეველთა კრება“ ან „ამომრჩეველთა საბჭო“), რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩევს წარმომადგენელს და ამით ამომრჩეველს წაართმევს საშუალებას პირდაპირ, საკუთარი ხმის მიცემით აირჩიოს თავისი წარმომადგენელი სახალხო წარმომადგენლობაში (პარლამენტში, სენატში, საბჭოში და ა.შ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა საარჩევნო სივლით სრულად შეესაბამება პირდაპირი არჩევნების კონსტიტუციურ პრინციპს. საარჩევნო სიაში უკვე წინასწარ არის განსაზღვრული თოვარი თანმიმდევრობით მოხვედებიან კანდიდატებს წარ-

-მოძღვებლობით ორგანოში. პირდაპირი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი დაირღვეოდა ომ შემთხვევაში, შესაძლებელი რომ იყოს მოცუბული საარჩევნო სიის შემადგენლობის ან თანმიმდევრობის შეცვლა ხმის მიცემის შემდეგ.

3. თავისუფალი არჩევნები

თავისუფალი არჩევნების პრინციპი უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის მიერ თავისი საარჩევნო უფლების გამოყენებას რაიმე იძულების თუ სხვა ნებისმიერი გარეგანი ზეწოლის გარეშე. მან თავისი გადაწყვეტილება უნდა ჩამოაყალიბოს და მიიღოს აზრთა ჭიდილისა და დისკუსიების თავისუფალ, ღია პროცესში. თუმცა ფარული არჩევნების პრინციპიც უზრუნველყოფს, რომ მოქალაქის ინდივიდუალური საარჩევნო გადაწყვეტილება არ შეიძლება რაიმე საჩქიით დაძმოდეს. მაგრამ იმავედროულად ამომრჩეველი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი ზეწოლისაგან, რომელსაც, მოუხდავად არჩევნების ფარულობისა, მაინც შეუძლია გავლენა მოახდინოს მის საარჩევნო გადაწყვეტილებაზე. აქ იგულისხმება არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა ზეგავლენა, არამედ დაუშვებელი ზეწოლა სხვა მოქალაქეთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან, მავალითად, სამსახურიდან განთავისუფლების შექარა.

თავისუფალი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი ნიშნავს იმასაც, რომ ამომრჩეველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი სხვადასხვა საარჩევნო წინადადებას (ანუ სხვადასხვა კანდიდატთა) შორის. სახალხო წარმომადგენლობის ისეთი არჩევნები, რომლის დროსაც სამართლებრივი საფუძვლის (ანუ შესაბამისი კანონის) არსებობის გამო ამომრჩეველს წარედგინება მხოლოდ ერთი სია ან მხოლოდ ერთი კანდიდატი, არ იქნება თავისუფალი.

არჩევნების თავისუფლების პრინციპი ასევე უზრუნველყოფს საარჩევნო უფლების მქონე ყველა პირის მიერ საარჩევნო წინადადებათა თავისუფალ წარდგენას. კანდიდატთა (როგორც საარჩევნო სიებში, ისე (აუთორიტარულად) წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას (მათ შორის, მოქალაქეთა ჯგუფებს, არაპოლიტიკურ გაერთიანებებსა

და საზოგადოებრივს) და არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს. ამ უფლებების მონიშნული ნება პოლიტიკური პარტიების მიერ დაუშვებელია.

4. თანასწორი არჩევნები

სახელმწიფოს ყველა მოქალაქის თანასწორობა მათ მიერ თავიანთი სამოქალაქო უფლებების განხორციელებისას საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებით საფუძველს წარმოადგენს. **თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი (აქტიური თუ პასიური) საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად (თანასწორად) გამოიყენოს.** ყოველი მოქალაქის ხმას აქვს თანასწორი წონა და მნიშვნელობა, დაუშვებელია მოქალაქის ხმა დიფერენცირებულ იქნეს განათლების, რელიგიის, ქონების, სოციალური მდგომარეობის ან პოლიტიკური შეხედულების შესაბამისად. ამასთან, კანდიდატებს გარანტირებული აქვთ შანსების თანასწორობა.

სახალხო წარმომადგენლობაში მანდატთა განაწილება ხშირად დამოკიდებულია გარკვეული კვორუმის მიღწევაზე, როგორცაა 5- (ხშირად) ან 7- (იშვიათად) პროცენტობის საარჩევნო ზღვარი. საარჩევნო სია თუ წინადადება, რომლის მიერ მიღებული ხმების რაოდენობაც კერძო მიღწევს ამ კვორუმს, არ იქნება გათვალისწინებული მანდატების საბოლოო განაწილებისას. ზემოხსენებული პრინციპი, რომ ყოველ ხმას თანაბარი წონა და მნიშვნელობა აქვს, არ ირღვევა ამ **ხმათა რაოდენობრივი მნიშვნელობის** განსაზღვრისას (არჩევნების შედეგების შეჯამებისას ითვლება ყველა ნამდვილი (არაბათილი) ხმა, კვორუმის მიღწევას არ აქვს მნიშვნელობა), მაგრამ ხმათა ე.წ. **წარმატებითი ანუ შედეგობრივი მნიშვნელობის** განსაზღვრისას ხმებს, რომლებიც მიიღეს იმ საარჩევნო სიებში, რომლებმაც საერთო ჯამში კერძო მიღწივს ზემოაღნიშნულ საარჩევნო კვორუმს, არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს სახალხო წარმომადგენლობაში მანდატების საბოლოო განაწილებისათვის. ამომრჩეველთა ხმების თანასწორობის ამ **შეზღუდვას** საფუძველად უდევს საპარლამენტო დემოკრატიის გამართული უუნქციონირების უზრუნველყოფის აუცილებლობა, რო-

მელიც საერთოხის ქვეშ აღმოჩნდებოდა მრავალი პარტიის კანდიდატების სასაღვთო წარმომადგენლობაში მოსვლით (ანუ „საარჩევნო ზღვრის“ არარსებობის შემთხვევაში), რაც წარმომადგენლობითი ორგანოს უკიდურეს პარტიულ დაქსაქსულობას და, შესაბამისად, მისი ქმედ-უნარიანობის დაქვეითებას გამოიწვევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ზღვარი არ შეიძლება განსაკუთრებით მაღალი იყოს. მისი გაზრდა 7 პროცენტზე ზემოთ აღარ იქნება არჩევნების თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისი.

5. ფარული არჩევნები

ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი იცავს მოქალაქის თავისუფალ საარჩევნო გადაწყვეტილებას. ყოველი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისათვის მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული რაიმე სანქცია, რადგან არავის არ აქვს უფლება, იცოდეს ვინ ვის მისცა ხმა. ფარული არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც მოქმედებს. არავინ არ არის ვალდებული, წინასაარჩევნო კამპანიის დროს საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი ან გამოხატოს თავისი დამოკიდებულება რო-მელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის მიმართ. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს აზრის საჯაროდ გამოთქმა, თუ ეს აუცილებელია წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყებად, მაგალითად, როცა საჭიროა ამომრჩეველთა ხელმოწერების გარკვეული რაოდენობის შეგროვება, რათა კანონით დადგენილი წესით საარჩევნოდ რეგისტრირებულ იქნეს შესაბამისი პოლიტიკური პარტია თუ კანდიდატი.

საპროცესო ძირითადი უფლებები

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საპროცესო უფლებები: სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება, უფლება კანონიერ სასამართლოზე, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა (ne bis in idem); იმ დანაშაულისათვის დასჯის დაუშვებლობა, რომელიც ჩადენის დროს დანაშაულად არ ითვლებოდა (nulla poena sine lege). აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ძალზე კომპაქტურად, მე-18 და 42-ე მუხლებში ასახავს ამ უფლებებს. მათ ჩშირად მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც უწოდებენ. განვიხილოთ ისინი თანამიმდევრობით.

1. მ. 42, პ. 1, 3, 6, 8 – სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით *„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“*, სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლებრივი დაცვის ეს ძირითადი ნორმა განმტკიცებულია იმავე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის მიხედვითაც *„დაცვის უფლება გარანტირებულია“*. აგრეთვე მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით, რომლებიც დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებებს განსაზღვრავენ:

...2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარა შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს ვადაწვევრილების გარეშე.

3. ... დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით...

...5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრე-

ამისთანავე ... შეუდგა მოითხოვოს დასცკელის დაბმარება, რაც უნდა დაკრეფილიყოს”.

ადამიანის სრულყოფილ და სამართლიან დაცვას უზრუნველყოფს 42-ე მუხლის მე-6 პუნქტიც, რომლის მიხედვითაც „პრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ პრალდების მოწმეებს“. დიდი მნიშვნელობა აქვს ამავე მუხლის მე-8 პუნქტსაც, რომელიც აცხადებს, რომ „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლომდგომ საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით“. ამ და 'აქვით ციტირებულს დებულებებიდან გამომდინარე სასამართლო დაცვის უფლებას ხშირად „სამართლიან სასამართლო განხილვაზე ადამიანის ძირითად უფლებას“ უწოდებენ.

II. დაცული სფერო

როგორც აღინიშნა, სასამართლო დაცვის კარანტია საპროცესო ძირითადი უფლებაა და წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს საპროცესო სამართლისა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მატერიალური სამართალი. თეხიკური პარის პრეტენზიას სასამართლო დაცვაზე, ანუ სასამართლისადმი მიმართვაზე ხშირად „ადამიანის უფლებას პროცესუალურ უფლებას“ უწოდებენ. ამ უფლების მიხედვით ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუკი თვლის, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი უფლებები; არავინ შეიძლება იყოს სასამართლო პროცესის მისმკელი ობიექტი, ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა პროცესის მომდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა ამით გარკვეული შეგავლენა მოახდინოს თავად პროცესზეც და სასამართლოს გადაწყვეტილებაზეც. სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, შინაარსობრივად კი ადამიანის სრულყოფილ, ყოვლისბოძიკველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. სრულყოფილი და ყოვლისბოძიკველი დაცვა კი უპირველესად ნიშნავს სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შემოწმებას ხელისუფლების ყველა იმ მოქმედებისა თუ გადაწყვეტილებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ.

განსახილველი ძირითადი უფლების მფლობელია ყველა თეხიკური პირო განურჩევლად მოქალაქეობისა. ამასთან, კონსტიტუციას 45-ე

ქუნლზე დაყრდნობით, რომელიც უშვებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ვაერცვლებას იურიდიულ პირებზე, და სასამართლო დაცვის ვარანტიის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საჭიროების შემთხვევაში მას გამოიყენებენ კერძო სამართლის იურიდიული პირებიც.

სასამართლო დაცვის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე *სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება*. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობა ყველა იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც წარმოადგენს მკორე მხარე ან რომელსაც იხილავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით. სასამართლოს არ აქვს უფლება გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს იმ ფაქტებს, რომელთა შესახებაც მხარეებს არ გამოუთქვამთ საკუთარი შეხედულება. საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება მოიცავს აგრეთვე *შუამდგომლობათა წარდგენის* უფლებას.

აღსანიშნავია, რომ როცა მხარეს ეძლევა საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, მაგრამ იგი უარს ამბობს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე, ეს სრულიად არ ნიშნავს სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევით პროცესის ჩატარებას. დაუშვებელია მხარემ მოახდინოს სასამართლო პროცესის ბლოკირება იმით, რომ არ გამოიყენოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მისთვის არაერთხელ მიცემული შესაძლებლობა.

სასამართლო დაცვის ანუ სამართლიანი სასამართლო განხილვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია *ბრალდებულის უფლება*, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმეზე „საუნდერსი ვერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“; 17 დეკემბერი, 1996) აღნიშნული უფლება წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმას და სისხლის სამართლის პროცესში იგი ყრცვლდება ნებისმიერ დასჯად ქმედებაზე და ნებისმიერ ბრალდებაზე.

სასამართლო დაცვა ექვემტური შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი **დროულად** ხორციელდება. ამ ძირითადი უფლების მთავარი მოთხოვნაა ხელისუფლების ისეთი გადაწყვეტილებების მაქსიმალური შექმნა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდნენ. ამ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის **ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის** 29-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვითაც სარჩელის წარდგენა სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას. ეს ნორმა კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფილი სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების კონკრეტული გამოხატულება და საჯარო-სამართლებრივი პროცესის ფუნდამენტური პრინციპია. ბუნებრივია, აქ შეიძლება არსებობდეს შეპიხევები, როცა ადმინისტრაციული აქტის მოქმედების და აღსრულების შეჩერება არ ხდება, რადგან **მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი** მოითხოვს კონკრეტული ღონისძიების დაყოვნებლივ განხორციელებას, მაგრამ ეს შეპიხევები მხოლოდ გამონაკლისი უნდა იყოს ზოგადი წესიდან. ასეთი გამონაკლისები ჩამოთვლილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოხარებლების ან სხვა გადასახადების გადახდასთან;

ბ) იგი წარმოადგენს პოლიციის ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც გამოცემულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერადობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაყოვნებული აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

კ) ეს გათვალისწინებულია კანონით.”

სასამართლო დაცვის ძირითად უფლებას ეწინააღმდეგება ისეთი ნორმები, რომლებიც არაგონივრულ სასამართლო ხარჯებს ადგენენ და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიან სასამართლოსადმი მიმართვას. ეს განსაკუთრებით სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს ეხება. *სასამართლო დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე.* კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ეს მოთხოვნა შესაბამისი ნორმების დიდგენით, სასამართლოებმა კი უნდა მიიღონ მხედველობაში მოქალაქის სოციალური მდგომარეობა. საყურადღებოა, რომ საქართველოს 1997 წლის 14 ნოემბრის *სამოქალაქო საპროცესო კოდექსით* სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეკუდილია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, აგრეთვე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე (მ. 47). ან ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯეუბის ოდენობა (მ. 48).

III. დაცულ სფეროში ჩარევა

უსაძველოდ კრძელი და დაუსრულებელი სასამართლო პროცედურა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების ფაქტობრივ გაუქმებას და, შესაბამისად, მის დაცულ სფეროში მძიმე ჩარევას წარმოადგენს. ასევე *მძიმე ჩარევა* გვაქვს სახეზე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობა *შეცდომას, ანუ გადაწყვეტილება მიღებულია სწორედ ამ შეცდომის საფუძველზე.* ასეთს კი ადგილი აქვს მასშინ, როცა არ არის გამორიცხული, რომ პროცესზე კონკრეტული პირის გამოკითხვა და მოსმენა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, პირმა, რომელიც მსგავსი შემთხვევის გამო დარღვეულად მიიჩნევს სასამართლო დაცვის ძირითად უფლებას, უნდა მოიზანოს ის ფაქტები, რომლებსაც ის წარმოადგენდა სასამართლო პროცესზე მისი მოსმენის შემთხვევაში, რადგან სწორედ ამ გზით შეიძლება შეძოწმდეს, შესაძლებელი იყო თუ არა სასამართლოს ძიერ

სპეციკარი გადაწყვეტილების მიღება აღნიშნული ფაქტებისა და ვარუ-
სოებების მოსმენის შექმნევაში.

საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი „საერთო სასამარ-
თლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილებათა სხვა მოსამარ-
თლოსათვის დაკისრების წესის შესახებ“ სახელმწიფოს აკისრებს
კალდებულებას სასამართლოებში მოსამართლის არყოფნის ან
განსახილველი საქმეების რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში
ამ სასამართლოში მოსამართლის უფლების განსახორციელებლად
მიაუღწინოს სხვა სასამართლოს მოსამართლე (მ. 13), რათა ამით
თავიდან იქნეს აცილებული საქმეთა განხილვის ეაღების და, შესაბამისად,
სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევა.

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია ყო-
ველგვარი შეზღუდვის გარეშე. კანონმდებელმა შეიძლება დაადგინოს
სამართლებრივი დაცვის პროცედურული და ორგანიზაციული ნორმები.
მისი ერთადერთი შემზღუდავი შეიძლება იყოს მხოლოდ კოლიზირებული
კონსტიტუციური უფლება, თუმცა ძალიან ძნელია თქვა იმისა, რომელ
უფლებასთან შეიძლება მოხდეს კოლიზია. შესაბამისად, არ არსებობს
არავითარი შესაძლო კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი ჩა-
რევის გასამართლებლად.

2. მ. 42, პ. 2 – უფლება კანონიერ სასამართლოზე

I. შესავალი

აღამიანის ძირითადი უფლება კანონიერ სასამართლოზე, სხვა საპ-
როცესო ძირითად უფლებებთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს
პრინციპის შემადგენელ ნაწილს და კონკრეტულ გამოხატულებას
წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია ამ ძირითად უფლებას
უზრუნველყოფს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც
*„ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ ამ სასამართლომ, რომლის
ურისდიქციასაც ეჭვქვეშდგება მისი საქმე“*.

II. დაცული სფერო

განსახილველი ძირითადი უფლების მფლობელია ყველა ფიზიკური პირი, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა. ეს უფლება წარმოადგენს გარანტიას, რომლის საფუძველზეც აცილებულ უნდა იქნეს ფიზიკური პირის სასამართლო გზით დაცვაზე სხვადასხვა საშუალებებით ზეგავლენისა და სასამართლო პროცესის მანიპულირების საფრთხე. დაუმტკიცებელია სასამართლოთა განსჯადობისა და შემაღვნილობის ისეთი წესით განსაზღვრა, რომლის მიზანი იქნება კონკრეტულ სასამართლო საქმეთა ამორჩევა და განხილვა. ეს ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლო განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას. ამ მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა, სასამართლოთა მინაარსობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური იურისდიქცია განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საპროცესო კოდექსებით.

რომელი მოსამართლე იხილავს საქმეს?



მინაარსობრივი იურისდიქცია: სასამართლო



ტერიტორიული იურისდიქცია: ადგილმდებარეობა
მაგალითად: ქუთაისი



ინსტანციური იურისდიქცია: ინსტანცია
მაგალითად: საოლქო სასამართლო



პირადი იურისდიქცია: მოსამართლე
მაგალითად: გიორგი გიორგაძე

კანონიერ სასამართლოზე ადამიანის ძირითადი უფლება მოქალაქეებს იცავს მოსამართლეთა ან სასამართლოთა მიერ მათთვის „სასურველი“

საქმეების საკუთარი შეჩედვლებისამებრ „ამორჩევის“ შესაძლებლობა-
ზავან. შესაბამისად, აღნიშნული უფლება გამოიყენება შემთხვევითობას
საქმეთა ამორჩევისა და მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის
საკითხებში. ნეგატიური თვალსაზრისით უზრუნველყოფილია უფლება,
რომლის მიხედვითაც კანონით გათვალისწინებული კონკრეტული გა-
რემობების შემთხვევაში დაუშვებელია საქმის განხილვა კონკრეტული
მოსამართლის მიერ (ე.წ. *აცილების უფლება*). აქედან გამომდინარე,
სახელმწიფო კვლდებულია შექმნას შესაბამისი პირობები ამ ძირითადი
უფლების რეალური განხორციელებისათვის, კერძოდ კი შეიმუშაოს
კანონები, რომელთა საშუალებითაც წინასწარვე მაქსიმალურად ნათლად
იქნება განსაზღვრული თუ როგორ განაწილება სასამართლოში საქმეები
და რომელი მოსამართლე განიხილავს კონკრეტულ საქმეს.

განსახილველი ძირითადი უფლების ზემოსწენებულ მოთხოვნას პა-
სუხობს საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონი „საერთო სასა-
მართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილებათა სხვა მო-
სამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრუ-
ლია რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აუხაზეთისა და აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და
უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესი (მ. 1).
საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები
ნაწილდება რიგითობის წესით, რომელიც გულისხმობს მოსამართლეთა
შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და
მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით (მ. 4). რიგითობით პირველი
ნომერი ენიჭება იმ მოსამართლეს, რომლის გვარის პირველი, ხოლო
ეგვიკობის შემთხვევაში მომდევნო ასო ანბანის მიხედვით პირველია (მ.
5). სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები
და სხვა მასალები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში
საქმის შემოსვლის თანამიმდევრობის მიხედვით; შემოსვლის რიგით
ყველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს (მ. 8).

III. დაცულ სფეროში ჩარევა

განსახილველ ძირითად უფლებაში ჩარევა სახეზე გვაქვს, *შეკალთადა*
იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოებში საქმეთა განაწილების კანონითა
და სასამართლოთა სამუშაო რეგლამენტით დადგენილი წესების დარღვე-

ეთი საქმეს იხილავს კვ. არასათანადო მოსამართლე, მძიმე ჩარევას წარმოადგენს აგრეთვე საქმის განხილვა სასამართლოთა ტერიტორიული ან ინსტანციური იერარქიის დარღვევით.

IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციით უფლება კანონიერ სასამართლოზე უზრუნველყოფილია ყოველგვარი შესაძლებლობის გარეშე, ანუ იგი აბსოლუტურად გარანტირებულია. შესაბამისად, დაუშვებელია რაიმე სახით მისი შეზღუდვა. ჩარევა ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ასევე არ შეიძლება გამართლებულ იქნეს კოლიზირებული (ისმის კითხვა: რომელი?) სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

3. მ. 42, პ. 4 – ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა (ne bis in idem)

I. შესავალი

ne bis in idem ანუ ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა ასევე საპროცესო ძირითადი უფლება და ერთ-ერთი უსკელესი და უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპია. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ პრინციპს 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის მიხედვითაც „არაეის არ შეიძლება განმეორებით დაჯიოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“.

II. დაცული სფერო

აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია ნებისმიერი ფიზიკური პირი, მთუხედავად მისი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა. დაცული სიკეთე არის ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის აკრძალვა. ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ და მტკვერ დასჯის შემთხვევაში ადამიანი უსამართლოდ და აშკარად შეუსაბამოდ იქნებოდა უფლებამწიკლასული.

„ერთი და იმავე დანაშაული“ ნიშნავს წარსულში არსებულ ვარემოებებს, რომელთა საფუძველზეც აღიძრა და სასამართლოს მიერ

კანსაზღვროდ იქნა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სასამართლო განაჩენის მიხედვით კონკრეტული ბრალდებული პირი ცნობდა იქნა დანაშაულები ან თანამონაწილეა. ამ საქმეებთან დაკავშირებით ახალი ვარაუდობების წარმოშობა, მაგალითად დანაშაულის ჩადენისათვის პირის დასჯიდან გარკვეული დროის შემდეგ დანაშაულის მსხვერპლის განმართებლობის გაუარესება ან მისი გარდაცვალება არ შეიძლება ჩათვალოს საქმის განახლების და ამ „ახალი“ დანაშაულისათვის პირის დასჯის საფუძველად. დამატებითი ან უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება დასჯილი პირისათვის დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პრინციპს ne bis in idem.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც სისხლისსამართლებრივ სასჯელთან ერთად პირს დაეკისრება დისციპლინარული სასჯელიც, მაგრამ თუკი ორივე სახის სასჯელის საფუძველი ერთი და იგივე დანაშაულია, მაშინ ასევე ირღვევა ne bis in idem პრინციპი.

მაგალითი: ერთ-ერთი ჯარისკაცი უარს ამბობს ბრძანების შესრულებაზე. მეთაური მას დასჯის დისციპლინარული წესით (დისციპლინარული სასჯელი). გარკვეული დროის შემდეგ კი სასამართლო გაასამართლებს ჯარისკაცს იგივე ქმედობისათვის და დაეკისრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სისხლისსამართლებრივი სასჯელი). აქ სახეზე გვაქვს საქართველოს კონსტიტუციით აკრძალული ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის შემთხვევა.

თუკი სასამართლო გაასამართლებს ბრალდებულ პირს და გაათავისუფლებს ან გარკვეულ სასჯელს დაეკისრებს მას, დაუშვებელია იმავე საკითხთან დაკავშირებით ახალი საქმის აღძვრა. ეს დადასტურებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძვრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ „არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (სისამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე“. გამონაკლისია შემთხვევა, როცა საქმეში გამოიკვეთება და წარმოიშობა ახალი გარემოებები, რომელთა სამართლებრივი განხილვა და შეფასება არ მომხდარა სასამართლო პროცესზე.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ *ne bis in idem* პრინციპი აბსოლუტურად უზრუნველყოფილია, ანუ კონსტიტუცია არ ადგენს ამ პრინციპის შემზღვევად ფარგლებს. შესაბამისად, ნებისმიერი დარღვევა ამ პრინციპისა ანტიკონსტიტუციურია და შეუძლებელია რაიმე საფუძველით ამ დარღვევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება.

4. მ. 42, პ. 5 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (*nulla poena sine lege*), კანონის უკუძალა

I. შესავალი

კანონიერების უმნიშვნელოვანესი პრინციპი *nulla poena sine lege* (სიტყვასიტყვით: *არავითარი სასჯელი კანონის გარეშე*) ნიშნავს ადამიანის დასჯის დაუშვებლობას იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს კანონით არ იყო განსაზღვრული დანაშაულებად. საქართველოს კონსტიტუცია ამ პრინციპს, რომელიც იმავდროულად საპროცესო ძირითად უფლებას წარმოადგენს, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებს: „*არაეინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა*“. ეს პრინციპი ასევე აღიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვითაც „*ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს*“.

II. დაცული სფერო

აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია ყველა ფიზიკური პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირებიც. ვარდა ამისა, ამ ძირითად უფლებას საფუძველად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი:

კანონიერების პრინციპი	კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპი	სისხლის სამართლის კანონის უკუძალის პრინციპი
-----------------------	--	---

კანონიერების პრინციპის მიხედვით სასჯელი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ მიღებული და ამოქმედებულია კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი საკანონმდებლო ნორმების დაცვით.

კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპი კანონმდებლისაგან მოითხოვს გასაგები, არაბუნდოვანი და კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმების დადგენას, რათა მოქალაქეთათვის შესაძლებელი უნდა იყოს კანონის ნორმათა გაგება და ამ ნორმათა შესაბამისად მოქმედება. დაუშვებელია სისხლის სამართლის სფეროში ანალოგიის გამოყენება პირის საზიანოდ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უშვებს ანალოგიას პირის სასარგებლოდ, რაც შეიძლება განხორციელდეს სამოსამართლო სამართალშემოქმედებით, რომელსაც საფუძველად შეიძლება დაედოს კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლებით აღიარებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური ვარემოებები.

კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპის საწინააღმდეგო იქნება, მაგალითად, კანონის ასეთი ნორმა: „*ცელა ქმედება, რომელიც არ შეესაბამება ზნეობის ნორმებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით*“.

კანონის უკუძალის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა გაითვალისწინა კონსტიტუციის კანონმდებელმა და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებით აღიარა იგი: „*კანონს, თუ ის არ ამხუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს*“. ეს პრინციპი სრულად აისახა და ვანიმარტა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში:

„...1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამხუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუქმობებს დამნაშავეის მდგომარეობას, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს,

რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეის მდგომარეობას. უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედობისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი“.

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლიდან იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, თუ ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეის მდგომარეობას, მაშინ ახალ კანონს უკუძალა ექნება. მაგალითად, თუ ახალმა კანონმა დააწესა სანდანშულობის ან ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები ან განსხვავებული წესი, ახალ ნორმებს ექნება უკუძალა. მიუხედავად იმისა, ავი ამსუბუქებს თუ ამკაცრებს პირის მდგომარეობას. ეს წესი სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებასთან, რადგან დანაშაულის ჩადენ პირს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონი გარანტიას აძლევენ მხოლოდ ორ საკითხში:

ა) ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას ქმედების ჩადენის შემდეგ არ აქვს უკუძალა;

ბ) ქმედების დასჯადობის გამკაცრებას ქმედების ჩადენის შემდეგ არ აქვს უკუძალა.

ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონს უკუძალა აქვს.

III. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის

კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

განსახილველ საპროცესო ძირითად უფლებაში ჩარევა დაუშვებელია. კონსტიტუცია არ ადგენს ამ ძირითადი უფლების შეზღუდვის რაიმე საფუძველს. იგი აბსოლუტურად უზრუნველყოფილია ძირითადი უფლებათა ასევე არ არსებობს ამ ძირითადი უფლების კოლიზიური კონსტიტუციური უფლება ან სამართლებრივი სიკეთე.

IV. ნდობის დაცვა და კანონის უკუძალის ზოგადი პრინციპი

განხილულ სამართლებრივ ძირითად უფლებასთან ერთად აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ნდობის დაცვის განხილვა. ეს პრინციპი კონკრეტულად არ არის მითითებული კონსტიტუციის რომელიმე მუხლში, მაგრამ იგი ერთ-ერთი ძირითადი შემაღგენელი ნაწილია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციით შექმნილი ახალი ქართული სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ცნება და შინაარსი დაწვრილებით იქნა განხილული სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში, აქ კი, როგორც აღინიშნა, მისი ერთ-ერთი შემაღგენელი ნაწილის – ნდობის დაცვის პრინციპის მნიშვნელობას განვიხილავთ, რადგან იგი არსებითად არის დაკავშირებული კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებულ სისხლის სამართლის კანონის უკუძალის პრინციპთან.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის დაცვის პრინციპი მქედროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს კიდევ ერთ ძირითად შემაღგენელ ნაწილთან – სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა სწორედ ნდობის დაცვას ნიშნავს, კერძოდ მოქალაქის იმ ნდობის დაცვას, რომ მის მოქმედებას მოგვანებით არ მოჰყვება მისთვის არასასურველი სამართლებრივი შედეგები, რისი გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო მოქმედების განხორციელებისას. სწორედ აქედან გამომდინარე, ნდობის დაცვა ეხება უკუძალის მქონე და არა მომავალში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს.

ნდობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია ე.წ. „ნაშ-დევილი უკუძალის“ მქონე კანონებისა თუ კანონქვემდებარე აქტების მიღება. ნამდვილი უკუძალა სახეზე ვვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ახალი კანონი ეხება წარსულში განხორციელებულ და არსებითად უკვე დამთავრებულ მოქმედებებს თუ გარემოებებს და ადგენს ახალ ნორმებს ამ გარემოებათა შესახებ. მაგალითად, კანონი, რომელიც წარსულში განხორციელებულ მოქმედებებზე აწესებს გადასახადს და მოითხოვს მათ გადახდას ფიზიკური თუ აურიდიული პირებისაგან. ასეთი კანონი ეწინააღმდეგება ნდობის დაცვის პრინციპს, რადგან არყვეს მოქალაქეთა ნდობას სამართლებრივი სახელმწიფოსადმი და, შესაბამისად,

ანტიკონსტიტუციონია, მაგრამ სშირია შემთხვევები, როცა კანონის ნორმები ეხება არა მხოლოდ წარსულში მოხდარ ან მომავალში განსახორციელებელ მოქმედებებს, არამედ აწმყოში მიმდინარე მოვლენას, რომელიც წარსულში წარმოიშვა, აწმყოში აგრძელებს მოქმედებას და შეწყდება მომავალში. ასეთ კანონებს მხოლოდ ნაწილობრივ აქვთ უკუძალა და მათ ე.წ. „**კარანამდელი უკუძალის**“ მქონე ნორმები ეწოდებათ. **მაგალითად:** კანონმა შეიძლება დააწესოს ამჟამად არსებული საგადასახადო შეღავათების მომავალში გაუქმების თარიღი. ასეთი ნორმები ძირითადად არ ეწინააღმდეგება ნდობის დაცვის პრინციპს, მაგრამ მაინც, ყოველ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მოცემული კონკრეტული შემთხვევის გარემოებების შეფასება და გარკვევა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესების თვალსაზრისით) მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა. ამ შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქის ინტერესის (რომელსაც სურს მოქმედი ნორმის მომავალში არსებობა) შედარებას სახელმწიფოს ინტერესთან, რომელსაც გარკვეული მოსახრებების გამო სურს არსებული ნორმის შეცვლა.

სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს ნორმას ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვითაც „**კანონებსა და კანონქველობარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მოტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას**“.

როგორც ვხედავთ, ნდობის დაცვის პრინციპისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული მუხლის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს კანონის უკუძალის პრინციპის ნამდვილი შინაარსი. ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს კანონის უკუძალის პრინციპის მოქმედების ძალას:

საქმის არსი: *მოქმედი საკანონმდებლო ნორმის მიხედვით ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც ეუფლებიან მუსიკალურ ხელოვნებას, 5 წლის მანძილზე იღებენ დახმარებას სახელმწიფოსაგან თვეში 500 ლარის ოდენობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წელიწადში ხუთჯერ მაინც მიაღებენ მონაწილეობას ბაკოშთა ოლიმპიადაში“. 2004 წლის 1 იანვრიდან ძალაში*

შედიხ ფორმალურად საკანონმდებლო პროცედურის დაცვით მიღებული საკანონმდებლო ნორმა, რიპლითაც მოქმედ კანონში სიტყვა „ხუთჯერ“ იცვლება სიტყვით „ათჯერ“. ვარდა ამისა, 500 ლარს ყოველთვიურად მიიღებენ ის ბავშვები, რომლებსაც ბავშვთა ოლიმპიადებში პირველ ხუთ საუკეთესო შემსრულებელთა შორის მოხვდებიან. ამ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველს ამ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს.

თამუნა, რომელიც რეგულარულად იღებს მუსიკის გაკეთილებს და საკმაოდ კარგად უკრავს ვიოლინოზე, ძველი საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე უკვე ოთხი წელია სარგებლობს სახელმწიფო დახმარებით (ყოველთვიური 500 ლარი). მაგრამ ავი ფიქრობს, რომ ახალი ნორმის მიხედვით აღნიშნული დახმარება შეუწყდება. რის გამოც ვეღარ გააგრძელებს მუსიკალური განათლების მიღებას. თამუნა და მისი მშობლები მიმართავენ ადვოკატს, რომელიც ამჟამად მათ და ამტკიცებს, რომ ახალი საკანონმდებლო ნორმა არ შეესაბამება კონსტიტუციას. როგორ შეიძლება დაასაბუთოს ადვოკატმა თავისი მოსაზრება?

საქმის შინაარსიდან გამომდინარე უნდა გაირკვეს შეესაბამება თუ არა მოცემული კანონი კონსტიტუციას.

I. **ფორმალური შესაბამისობა.** როგორც საქმის არსიდან ჩანს, საკანონმდებლო ნორმა ფორმალურად სათანადო ნორმების დაცვით არის მიღებული, რაც ნიშნავს, რომ საკანონმდებლო უწყებამოსილების საფუძველზე პარლამენტმა საკანონმდებლო პროცედურის დაცვით განიხილა და მიიღო კანონი. შედეგად, ეს კანონი ფორმალურად კონსტიტუციის შესაბამისია.

II. **მატერიალური შესაბამისობა.** მიუხედავად ფორმალური შესაბამისობისა, კანონი შეიძლება მატერიალურად ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, კერძოდ კი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, რომელთა შორისაა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგისა და მოქმედი კანონების მამართი მოქალაქეთა ნდობის დაცვის პრინციპი. მაგრამ როცა ხდება წარსულში არსებული და განხორციელებული გარემოებების კიდევ ერთხელ, დასატებით განხილვა და შეფასება, ამით ირღვევა ზემოხსენებული ნდობის დაცვის პრინციპი. შესაბამისად, კანონთა უკუქაღის შემთხვევებში აუცილებლად უნდა გაირკვეს უპირისპირდება თუ არა უკუქაღის მქონე კანონს ადრე არსებული კანონების მიმართ მოქალაქეთა ნდობის პრინციპი.

როგორც აღინიშნა, განასხვავებენ კანონთა ნამდვილ და არანამდვილ უკუქაღას. ნამდვილი უკუქაღა სახეზე გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა

ახალი კანონი ცუდს დასაჯრებულ, წარსულში არსებულ ვარემოებებსა და განხორციელებულ მოქმედებებს, არანამდვილი უკუძალის მქონე კანონით კი კანონმდებელა ემება წარსულიდან მომდინარე ვარემოებებსა და მოქმედებებს, რომლებიც ჯერ არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება.

სამართლებრივა სახელმწიფოს პრინციპებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მნიშვნელობიდან გამომდინარე ნამდვილი უკუძალის მქონე კანონების მიღება დაუშვებელია. სამაგიეროდ, ძირითადად დასაშვებია არანამდვილი უკუძალის მქონე კანონების მოქმედება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონმდებლის სურვილსა და მიზანს უპირისპირდება ადამიანის დაცვის ღირსი სიკეთე - ერთ-ერთი ძირითადი უფლება. ამის კარგევა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ჩვენთვის უკვე ცნობილი ინტერესთა შედარების (აწონ-დაწონვის) საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო ნორმის უცვლელობის მიმართ ჰიქალაქის ინტერესისა და საზოგადოებრივი საჭიროების გამო ამ ნორმის შეცვლის მიზნის მქონე სახელმწიფოს ინტერესის შედარება.

საქმის შინაარსის მიხედვით, თამუნას მუხიკალური განათლება წარსულში დაიწყო და ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ამდენად, **საზეზე გვაქვს კანონის არანამდვილი უკუძალა**. ამის შემდეგ უნდა გაირკვეს რა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო მეტად დაცვის ღირსია: თამუნას, როგორც მოქალაქის ნდობა მოქმედი საკანონმდებლო ნორმის მიმართ თუ სახელმწიფოს ინტერესი, შექმნილ სიტუაციაში ახლებურად მოაწესრიგოს მოცემული საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია არსებულ ვარემოებთა შესაბამისად შეცვალოს მოქმედი საკანონმდებლო ნორმები, ამავდროულად იგი ვალდებულია მაქსიმალურად გაითვალისწინოს მოქალაქეთა ასტერესები და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ვარდამავალი დებულებები სიტუაციის თანდათანობით (და არა რადიკალურად) შესაცვლელად. ამ ვალდებულებიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა კანონმდებლის მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა სასწრაფოდ და გადაუდებლად უნდა განხორციელდეს.

ყოველივე შემთხვეულიდან გამომდინარე, თამუნას ინტერესი, დასაჯრის მუხიკალური განათლების მიღება, უპირისპირდება სახელმწიფოს ინტერესს - დაზოგოს ფინანსური სახსრები. ამ ინტერესთა შედარებისა და აწონ-დაწონვისას უპირველესად გასათვალისწინებელია ის ვარემოება, რომ თამუნა უკვე ითხი წელია ეუფლება ეოლინოზე დაკრის ხელოვნებას და სახელმწიფოს ფინანსური დახმარების შეწყვეტის შემთხვევაში

იმუცლებულია მუსიკალური განათლებაც მაშინვე შეწყვეტოს. ამდენად, თამუნას ნდობის დაცვის ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესი. სახელმწიფომ კარდაბავალი დებულებაც კი არ შეიმუშავა სიტუაციის ადეკვატური, შედარებით მოქნილი მექანიზმის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ახალი საკანონმდებლო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციით აღიარებულ სამართლებრივი საზღვარწიფოს პრინციპს, ანუ კანონი მატერიალურად არ შეესაბამება კონსტიტუციას.

ლიტერატურა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, ტ. I-II, თბილისი, 2001;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი (წიგნი I), გამოცემული: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), თბილისი, 1999;
- ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (სტატიათა კრებული), თბილისი, 2002;
- ადამიანი და კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო კურნალი, №1, 2. 3, 1996; №1, 3, 1998; №1, 2002;
- კობეზი, დონა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე შეგზური, თბილისი, 2000;
- დემეტრაშვილი ავთანდილ, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი, 1992;
- ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, გამოცემული: საია, თბილისი, 2002;
- მაკაეელი, ნიკოლო, მთავარი, თბილისი, 1995;
- მონტესკიე, შარლ ლუი, კანონთა გონი, თბილისი, 1994;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სასოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999;
- საქართველოს კანონები. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998;
- საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობა და პრაქტიკა, გამოცემა II, თბილისი, 2000;
- საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, (2002 წლის 1 მაისის მდგომარეობით), თბილისი, 2002;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოცემული: საია, თბილისი, 2002;
- სიტყვის თავისუფლება. გამოცემული: საია, თბილისი, 2002;

- Общая Теория прав человека, под. ред. Е.А.Лукашева, Москва, 2000;
- Arnold Hans-Wolfgang/Rudolf, Walter*, Öffentliches Recht: Grundriss für das Studium der Rechts- und Wirtschaftswissenschaft, 12. Aufl., München, 1998;
- Badura, Peter*. Der Schutz von Religion und Weltanschauung durch das Grundgesetz, Berlin, 1989;
- Brugger, Winfried*, Verfassungsinterpretation in den Vereinigten Staaten von Amerika, in: Jahrbuch des öffentlichen Rechts (JöR) Neue Folge, Bd. 42, Tübingen, 1994;
- Bleckmann, Albert*, Das allgemeine Persönlichkeitsrecht in der Europäischen Menschenrechtskonvention, Zur Interpretation des Art. 8 Abs. 1 EMRK; München, 1996;
- Bleckmann, Albert*, Staatsrecht II – Grundrechte, Köln-Berlin-Bonn-München, 3. Aufl., 1989;
- Böckenförde, E.-W.*, Zur Lage der Grundrechtsdogmatik nach 40 Jahren Grundgesetz, Heidelberg, 1990;
- Classics Ö-Recht, 99 examenstypische Entscheidungen, Herrner/Wust/Triebel/Heil, 2. Aufl., Markttheidenfeld, 2002;
- Degenhart, Christoph*, Das allgemeine Handlungsfreiheit des Art. 2 I GG, in: Juristische Schulung (JuS) 1990/3, 161;
- Degenhart, Christoph*, Das allgemeine Persönlichkeitsrecht, Art. 2 I i.V. mit Art. 1 I GG, in: JuS 1992/5, 361;
- Die Grundrechte, Handbuch der Theorie und Praxis der Grundrechte, *Bettermann, Karl August/Neumann, Franz L./Nipperdey, Hans Karl (Hrsg.)*, Bde. I-IV, Berlin, 1967;
- Dörr, Dieter*, Die Entwicklung des Medienrechts, in: Neue Juristische Wochenschrift (NJW) 1997, 1341;
- Dürig, Günter*, Gleichheit, in: Staatslexikon (Recht - Wirtschaft - Gesellschaft), Bd. 2, 7. Aufl., 1986;

- Zimmann, Horst*, Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, in: JuS 1997 3, 197;
- Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Studienauswahl (Band 1-100), Hrsg. Jürgen Schwabe, 7. Aufl., Hamburg, 2000;
- Frömming, Jens/Peters. Butz*, Die Einwilligung im Medienrecht, in: NJW 1996, 958;
- Grimm, Dieter*, Die Meinungsfreiheit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, in: NJW 1995, 1697;
- Grundrechte in Europa und USA, *Grabitz E.* (Hrsg.), Berlin, 1984;
- Grundgesetz, Kommentar, Hrsg. Prof. Michael Sachs, München, 1996;
- Hager, Johannes*, Der Schutz der Ehre im Zivilrecht, in: Archiv für civilistische Praxis (AcP) 196 (1996), S. 168;
- Hahn, Bernhard*, Das Recht am eigenen Bild - anders betrachtet (Bob Dylan), in: NJW 1997, 1348;
- Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, *Isensee, Josef/Kirchhof, Paul* (Hrsg.), Bde. I-VIII, Heidelberg, 1995; Bd. V - Allgemeine Grundrechtslehren, 1992, und Bd. VI - Freiheitsrechte, 1989;
- Hesse, Konrad*, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Karlsruhe, 19. Aufl., 1993;
- Hesselberger, Dieter*, Das Grundgesetz, Kommentar für die politische Bildung, 11. Aufl., Neuwied, 1999;
- Ipsen, Jörn*, Staatsrecht II (Grundrechte), Alfred-Metzner-Studienliteratur, Juristische Lehrbücher, Berlin, 1997;
- Ipsen, Jörn*, Repetitorium Staatsrecht II (Grundrechte), 2000;
- Jarass, Hans D./Pieroth, Bodo*, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, München, 1995;
- Isensee, Josef*, Wer definiert die Freiheitsrechte? Köln, 1980;
- Katz, Alfred*, Staatsrecht, Grundkurs im öffentlichen Recht, 14. Aufl., Heidelberg, 1999;

- Kerscher, Helmut*, Strafjustiz contra Medien - ein Anachronismus, in: NJW 1997, 1350;
- Kübler, Friedrich*, Ehrenschtutz, Selbstbestimmung und Demokratie, in: NJW 1999, 1281;
- Nolte, Georg*, Die rechtlichen Grenzen politischer Satire in den USA und der Bundesrepublik, in: Europäische Grundrechtszeitung (EuGRZ) 1988, 253;
- de Otto y Pardo, Ignacio*, Die Regelung der Ausübung der Grundrechte. Die Garantie ihres Wesensgehalts in Artikel 53 Abs. 1 der Verfassung, S. 309, in: Spanisches Verfassungsrecht, ein Handbuch, Hrsg. von Antonio López Pina, Heidelberg, 1993;
- Pieroth, Bodo/Schlink, Bernhard*, Grundrechte, 15. Aufl., Heidelberg, 1999;
- Prinz, Matthias*, Geldentschädigung bei Persönlichkeitsverletzungen durch Medien, in: NJW 1996, 953;
- Rehbock, Klaus*, Gegendarstellung auf dem Titelblatt einer Zeitschrift, in: NJW 1993, 1448;
- Säcker, Horst*, Das Bundesverfassungsgericht, Bundeszentrale für politische Bildung, Bonn, 1997;
- Schmidt, Rolf/Seidel, Stephanie*, Grundrechte, Klausuraufbauorientierte Examenvorbereitung im öffentlichen Recht, Bremen, 2001;
- Schnitt Glaeser, Walter*, Die Meinungsfreiheit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, in: Archiv des öffentlichen Rechts (AöR), 113 (1988), S. 52;
- Schnitt Glaeser, Walter*, Meinungsfreiheit, Ehrenschtutz und Toleranzgebot, in: NJW 1996, 874;
- Schroeder, Friedrich-Christian*, Die Rechtsnatur des Grundsatzes „ne bis in idem“, in: JuS 1997/3, 227;
- Soehring, Jörg*, Ehrenschtutz und Meinungsfreiheit, in: NJW 1994, 2926;
- Soehring, Jörg*, Die Entwicklung des Presse- und Äußerungsrechts 1994-1996, in: NJW 1997, 360;

Seifarth, Georg, Der Einfluss des Verfassungsrechts auf zivilrechtliche Un-
schutzklagen, in: NJW 1999, 1287;

Theorie der Grundrechte, Alexy, R. (Hrsg.), Berlin 1985;

Ulke, Karl-Dieter, Vorbilder im Denken, 32 Porträts grosser Philosophen,
München, 1998;

Verfassungen der EU-Mitgliedstaaten, Textausgabe, 5. Aufl., Stand 1. Juni
2000, München, 2000;

von Münch, Ingo, Grundbegriffe des Staatsrechts II, 6. Aufl., Stuttgart-
Berlin-Köln, 1995;

Zenthofer, Jochen, Staatsrecht II, Grundrechte, H.P. Richter, Juristische
Grundkurse, Bd. 19, 1. Aufl., Berlin, 2000;

Zenthofer, Jochen, Rechtsphilosophie, H.P. Richter, Juristische Grundkurse,
Bd. 20, 1. Aufl., Berlin, 2001;

შედეგის გასწორება:

სახელმძღვანელოს 351-352-ე გვერდებზე მოცემული ტექსტი უნდა იკითხებოდეს შემდეგი სახით:

კანონის უკუქაღის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა გაითვალისწინა კონსტიტუციის კანონმდებელმა და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებით აღიარა იგი: „კანონს, თუ ის არ ასუბუტებს ან არ აუჭუტებს ძისუბისბუტუბობას, უკუქაღა არა აქუს“; ეს პრინციპი სრულად აისახა და განიმარტა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-3-ე პუნქტებით:

„1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუჭუტებს ქუქუბის დანაშაულებრობას ან ასუბუტებს სასჯელს, აქუს უკუქაღა, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწუბებს ქუქუბის დანაშაულებრობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუქაღა არა აქუს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ასუბუტებს სასჯელს ქუქუბისათვის, რომლის გამოც დაწაშაქე ძის იბდის, ეს სასჯელი უნდა შეტყირღეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის მიღწიდან განაწენის გამოტანამღე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე ასუბუტე კანონი“.

კონსტიტუციის შემოღწიწწელი დებულებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლიდან უკერ ერთია, სათილად ჩანს, რომ კანონს, რომელიც ადგენს ან ამკაცრებს სასჯელს, უკუქაღა არ აქუს, მეორე მხრივ, ასევე ცხადია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანონი სხვაგვარად გააუბუტუბესებს ან სხვაგვარად გააუარესებს დანაშაულის მფლობარუბას, ახალ კანონს უკუქაღა ეწუბა.